თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი.

№№ VI და VII

ივნისი და ივლისი

თბილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.
1901

შინაარსი №№ 6 და 7:

		გვ.
1.	სურათი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდისა .	523.
2.	პატარა კახი (მეფე ირაკლი II-ის ახალგაზდობა)	525.
3.	ისტორიული დამაკვირდები, ბ. ე—სა . .	528.
4.	სოფელი ნინო-წმინდა და მისი ნაშთი, სურათით	529.
5.	ვარძიის მონასტერი მესხეთში, სურათით .	533.
6.	ბუმბერაზნი ჩვენის მთებისა, სურ., თ. ფალავანდიშვილისა	537.
7.	ამირანი, ლეგენდა, მ. გობეჩიასი . .	545.
8.	ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ინგილო ჯანაშვილისა. . . .	552.
9.	გურია, კ. გვარამაძისა	565.
10.	ბორჩ. მაზ. და მასში მცხოვრები ქართველები, ბ.	575.
11.	წმ. მოღვაწე ნინო, ვინმე მესხისა . .	580.
12.	დავით აღმაშენებელი, ლასურიძისა . .	594.
13.	რუსუდანი, ისტორ. დრამა ხუთ მოქმედებად .	606.
14.	იანიჩარი, ისტორიული დრამა, მესამე მოქმედება, დ. ნახუცრიშვილისა	649.
15.	ანტონი I, კათალიკოსი, თ. ჯორდანიასი, რუსულიდამ თარგმანი კ. ანთაძისა . . .	655.
16.	ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობის მოკლე განხილვა, თ—ტ—ელი--სა . . .	663
17.	კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის ისტორია, ზ. ჭ.-სა	682.
18.	ლეგენდა მეფე ირაკლიზე, ვარდენ ყიფიანისა .	697.

ივნისი ⁂ ივლისი №№ 6 ⁂ 7 1901 წელი

9(05)
Ж802

მოგზაური

Р-23823

ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი, გამოვა ყოველის თვის პირველს რიცხვებში.

წლიური ფასი ჟურნალ „მოგზაური“-სა გაგზავნით არის **5 მანეთი.** ვინც ხუთ მანეთს სრულად შემოიტანს, გაეგზავნება **დიდი სურათი** პატარა კახისა.

ხელის-მოწერა მიიღება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში, ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში და თვით რედაქტორთან, დავითის ვიწრო ქუჩაზედ, № 20. აქვე შეიძლება ნახვა რედაქტორისა ყოველ დღე შუადღის შემდეგ 4—7 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „МОГЗАУРИ“.

რედაქტორ-გამომცემელი ივანე ბ. როსტომაშვილი.

Академия Наук Груз. С. С. Р.
ფუნდამენტალური
ბიბლიოთ.
ФУНДАМЕНТАЛЬНАЯ
БИБЛИОТЕКА

თბილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.
1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая, 1901 года.

ეოვლად-სამღვდელო დეოსიდე, ეპისკოპოსი
იმერეთისა (იხ. ქვეით).

პატარა კახი

(მეფე ირაკლი ახალ-გაზდობაში).

(„მოგზაური“-ს რედაქციისგან გამოცემული სურათის გამო).

„პატარა კახი“-ს სურათი ამ რამდენისამე წლის წინად გადმოიღო ფოტოგრაფიით ძველი ნახატიდამ განსვენებულმა ა. როინოვმა. ჩვენ იგი გავადიდეთ, გავამშვენიერეთ, მაგრამ ისე კი, რომ მცირედაც არ შეგვიცვლია საზოგადო სახე მხატვრობისა. რედაქციამ იღონა ყოველი საშუალება, რომ სურათი კარგი გამოსულიყო და, როგორც მნახველიც დარწმუნდება, ცდამ, გვგონია, მუქთად არ ჩაგვიარა. ეს სურათი ჩვენ გამოვეცით „მოგზაური“-ს სრულ ხელის-მომწერთათვის, მაგრამ, რადგანაც სურათის გამოცემა საკმაოდ ძვირად დაგვიჯდა, ვსთხოვთ გზის ხარჯი თვითონ იკისრონ და ამისთვის ფოსტის აბაზიანი მარკა გამოუგზავნონ რედაქციას...

ორა ხელის-მომწერთათვის სურათი ღირს გაგზავნით 1 მან. და 20 კაპ. (თბილისში ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში და დავით ზაბრუაშვილის საპარიკმახეროში, გოლოვინის პროსპექტზედ, „პურ-ღვინო“-ს გვერ-დით).

ვინც ათს ცალზედ მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.

მოგვყავს აქ მოკლე ცნობაც ირაკლი მეორის ყმაწვილობის შესახებ.

1712 წელს მეფე თეიმურაზ მეორემ შეირთო ვახტანგ სჯულ-მდებელის ასული თამარი, რომლისგანაც 1716 წელს იშვა ირაკლი. თოთხმეტი წლისა არც კი იყო ირაკლი, რომ მამამ იგი ქახეთის ლაშქრის სარდლად დანიშნა. აქ მან (ირა-

კლიმ) ზედი-ზედ რამდენჯერმე დაამარცხა და მოსრნა ქახეთის დაუძინებელნი მტერნი—ლეკნი და დაიმსახურა წოდება **ბატარა კახი.**

თუმცა **ი**რაკლი მაშინ ჯერ კიდევ მცირე-წლოვანი იყო, იგი მაინც რა საქმესაც იქმოდა **ფალავნის შესადარისს იქმოდა,**—ამბობს მისი თანამედროვე მეისტორიე. მამულსაც ამ დროს სწორედ ასეთი ფალავანი ეჭირებოდა: **ს**აქართველოსთვის საჭირო იყო **გმირი საგმიროთა მქნელი** და აი **შ**ფალმაც მოუვლინა მას ნუგეშ-დიდება, მამაცთა შორის საკვირველება—**ბატარა კახი.**

ბავიხსენოთ ორიოდე სხვა ამბავიც.

ინდოეთის ლაშქრობაში **ნ**ადირ-შაჰს სხვათა შორის თან ახლდა ერთი რაზმი ქართველებისა ახალგაზდა **ი**რაკლი ბატონიშვილის წინამძღოლობით. **ა**ქ ქართველებმა და **ი**რაკლიმ ისე მოაწონეს თავი **შ**აჰ-ნადირს, რომ შიგ გაცხარებულს ომში, იგი გადმოხტა ცხენიდამ, შეიხსნა წელიდამ ძვირფასი ხმალი, შემოარტყა **ი**რაკლის და უთხრა: „შენ და შენმა ქართველებმა ისე მომაწონეთ თავი, რომ ამ დიდს ომშივე მინდა მადლობა გადაგიხადოთ: ეს ხმალი თქვენი იყოს ჩემდა სახსოვრად“-ო!..

აღსანიშნია შემდეგი ამბავიც: **ი**ნდოეთის ლაშქრობიდამ დაბრუნების შემდეგ, **შ**აჰ-ნადირი მოადგა **ს**ინდეთის სამეფოს (არაბეთის ყურის პირად) და გადასწყვიტა მისი დაპყრობაც. **მ**აგრამ აქ მან ნახა ერთი მაღალი ქვის სვეტი, რომელზედაც ეწერა: „ვინც ამ მიჯნას გადავა სამეფოს დასაპყრობად, მას საუკუნო სიკვდილი და შეჩვენება მოელის“-ო!

დალონდა ცრუ-მორწმუნე **შ**აჰ-ნადირი და ვერ გადაეწყვიტა—დაუჯეროს მუქარას და უკუ-იქცეს, თუ გადალახოს მიჯნა და დაიპყრას **ს**ინდეთი. **მ**ოიწვია ნაზირ-ვაზირნი და ყველამ ურჩია უკან დაბრუნება. **მ**აგრამ **შ**აჰ-ნადირს მეტად უმძიმდა უკუ-ქცევა და ახლა **ი**რაკლის მიმართა: „შენ რალას იტყვი გურჯთ ბატონიშვილო?“

Ირაკლიმ მოახსენა: „აქ არაფერია, დიდო შაჰო, განსაკუთრებული; თუ მაგრე გაფიქრებს ეგ წარწერა, უბრძანე მოსთხარონ სვეტი, აჰკიდონ აქლემს ანუ სპილოს, წავიმძღვაროთ წინ და ასე დავიპყრათ სინდეთი“!..

შაჰ-ნადირს ისე მოეწონა Ირაკლის სიტყვები, რომ მან მაშინვე მრძანა სვეტის მოთხრა, აჰკიდეს სპილოს, გაიმძღვარეს წინ და დაიპყრეს კიდეც სინდეთი.

ისტორიული დამაკვირდები.

წარსულის ცოდნა იგივ კომპასია, რომელსაც ზღვებზე მოგზაურობის დროს ხმარობენ. **ა**მიტომ, რომელ მოღვაწესაც სურს თავისი ერის დაწინაურება და წინსვლა, მან წინ ეს კომპასი უნდა გაიმძღვაროს.

*
* *

რა გინდ მიწასთან იყოს გასწორებული წარსული დიდების ნანგრევები, საძირკველი მათი მაინც ივარგებს უკეთესის მომავლის ასაგებად...

*
* *

ყოველი ქვა წარსულის დიდების ნანგრევებისა, ყოველი ძვალი ჩვენის მამა-პაპების აკლდამებისა სულ იმას გაიძახის, რომ შურმა და ორგულობამ დაგვღუპაო, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვეხსნებით ამ დაწყევლილ ისტორიულ ჩვეულებას...

*
* *

რაც უნდა არარაობა იყოს ჩვენი წარსული, მაინც მისი სხივი გვინათებს მომავლის გზას...

*
* *

სხვა-და-სხვა ერები და ხალხები მთელი კაცობრიბის ტოტებია; შეაჭერით ეს ტოტები და კაცობრიობაც დიდხანს ვერ იბოგინებს, სწორეთ ისე, როგორც ტოტებს მოკლებული მდინარე დიდს მანძილს ვერ გაივლის.

ბ. ე.

სოფ. ნინო-წმინდა და მისი ნაშთი.

სოფელი ნინო-წმინდა გაშენებულია **Ცივ-გომბორის** სამხრეთ მომაღლო სერებზე **Ივრის** ხეობაში, მდინარის მარცხენა კიდით, დაახლოვებით 45 ვერსზე ქ. **თ**ბილისიდამ. **ა**ქ ითვლება ორას კომლამდის მცხოვრები ქართველი და აქვთ სამრევლო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 40-დის შეგირდი, ჰყავთ საკუთარი მასწავლებელი და მღვდელი. **უ**კანასკნელის სახელი და გვარი გახლავთ **ა**ლექსი **ბ**ულისაშვილი, სასულიერო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული. **ი**გი ცნობილია ჩვენს მწერლობაში არქეოლოგიურის წერილებით **ი**ვრის ხეობის ზოგიერთ ნაშთების შესახებ. მაგ., **ნ**ინო-წმინდა „დროების“ 1884 წლის № 225-ში, **ბ**ოჭორმის ციხე— 1885 წლის № 8-ში, **ნ**ოტკორზე და **ა**რჩილ მოწამე მეფეზე —„ივერიის“ 1899 წლის № 141-ში, ამ წლის „სასულიერო მოამბეში“ და სხვ.

როგორც სურათიდამაც კარგად დაინახავს მკითხველი, სოფელი **ნ**ინო-წმინდა შესანიშნავია თავისი ძველის ტაძრით და მაღალის კოშკით, რომელზედაც ჩვენს იქ ყოფნაში, 1-ს მკათათვეს 1900 წ., ვნახეთ **ი**რაკლი მეფის დროინდელი გრძელი, ვიწრო ლულიანი ზარბაზანი. **უ**რიგო არ იქნებოდა, რომ იგი ან **თ**ბილისის სიძველეთა საცავში გადმოეტანათ და ან ადგილობრივ ეკლესიის ქონების დავთარში შეეტანათ იგი, რათა ვინმემ არ წაიღოს იქიდამ და არ დაიკარგოს. **ბ**ატონიშვილის **ვ**ახუშტის გეოგრაფიაში **ნ**ინო-წმინდის შესახებ ვკითხულობთ შემდეგსა:

„**საგარეჯოს დასავლით ერთვის იორს ნინო-წმინდის ხევი. ამ ხევზედ არს ნინო-წმინდა, ეკლესია დიდ-შენი, გუნბათია-**

ნი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა ქისიყამდე".

როგორც ჰხედავთ უბრალო სოფელი არ ყოფილა ნინო-წმინდა; მთელი ათას-ორასი წლის განმავლობაში იგი იყო



ნინო-წმინდის ძველი ტაძარი და კოშკი.

ადგილ-საბრძანებელი ეპისკოპოზისა, რომელიც ჩვენს იერარქიაში იწოდებოდა ნინო-წმინდელად. მას ეკავა ადგილი ‹ქუ-

მურდოს (იხ. „მოგზაური“ № 2, გვ. 103) ეპისკოპოზის შემდეგ (მეფის მარცხნივ სხდებოდნენ ამ რიგით: ჭყონდიდელი, ალავერდელი, ძიზიყისა, ქუმურდოსი, ნინო-წმინდისა და სხვ.).

ტაძარი საკმაოდ დიდი ყოფილა: სიგრძე ჰქონია 12 და სიგანე 9 საჟენი. როგორც თვით სურათიდამაც გაარჩევს მკითხველი (მარცხენა მხარეს), გარედამ ეკლესია წარმოადგენს ნამდვილს გოდოლს, აშენებულს დიდრონის ლოდებით; ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ საკურთხევლის კედლები და თაღი ამ 1500 წლის განმავლობაშიაც დღევანდლამდე მთელად შენახულა.

პლატონ იოსელიანი ამბობს, რომ ნინო-წმინდის ძველი ტაძარი თავდა-პირველად საკერპო იყოვო და ეკლესიად თვით წმ. ნინოს დროს იქმნა ნაკურთხიო. პირველად იგი უგუნბათო იყოვო, მაგრამ 1750 წლებში ეპისკოპოსმა მიქელმა დაადგა მას მაღალი გუმბათი, რომელმაც თუმცა დიდად დაამშვენა ტაძარი, მაგრამ დიდადვე დაამძიმა იგიო. 1771 წელს მეფე ირაკლი თბილისიდამ სიღნაღს მიდიოდა და გზად ნინო-წმინდაში შეიარა. ეპისკოპოსმა თავმომწონედ მიაქცია მეფის ყურადღება ამ ახლად დადგმულ მშვენიერ გუმბათზე, მაგრამ მეფემ უბრძანა: „ტაძარი მართალია გაგიმშვენებია, მაგრამ მოგიკლამს-კიო!“ გავიდა სწორედ 70 წელიწადი— განაგრძობს იოსელიანი და ასრულდა სიტყვები ბრძენის მეფისა: 1824 წლის მიწის-ნძრევის დროს, ათას წლოვანმა კედლებმა ველარ შეიმაგრეს მეტი ტვირთი და თაღი და გუმბათი საშინელის გრიალით ძირს წამოვიდა... დადუმდა მას შემდეგ დიდის ვახტანგის ძეგლი და ტაძრის წმ. ნინოს ხატი თბილისის სიონის ტაძარში გადმოიტანეს.

შიგნიდამ ეკლესია მთლად მოხატული ყოფილა; საკურთხევლის კამარაზედ დღესაც ცხადად სჩანს ღვთის-მშობლის და მისის ძის უშველებელი სურათი, სიმაღლით $1^1/_2$ და სიგანით 1 საჟენამდის, ხატები ბაბრიელ და მიქელ მთავარ-ანგელოზებისა წარწერებით:

ᲙᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲓᲠᲔ

გ ა ბ რ ი ე ლ მ ი ქ ე ლ

და სხვა მრავალი. ღვთის-მშობლის სახე განკვეთილია (დაჭრილია) რვა ტყვიით, ძისა მისისა—სამით. ᲐᲘ უტყვი მოწამე ბნელის დროის მტრის შურის ძიებისა!.. ᲨᲔᲡᲐᲕᲚᲘᲡ კარებში დასავლეთიდამ დიდს ქვაზედ დაცულია შემდეგი წარწერა მხედრულის ასოებით:

„ნებითა: და: შეწევნითა: ღვთისათა: ხელი: ვუავ: განახლებად: ესდრონიკ: შვილმა; ნინო-წმიდელმა: ნიკოლოზ: და: განვაახლე კარეთ: აგურით: დავახატვინე: კანკელი: და შევამკეგ: სრულ (სრულად): და ადგაშენე: ბჯე: ჯიი: შემწეო. ჩემო: და შ: ღ: ისა: და მშობლისა მისისა: .....ვედრებელო: წმიდაო: ნინო შეიწირე მტირე ესე ნაშრომი და სატულად მაგე დღესა მას დიდსა კაკითხვისასა ამინ: ქკსა ᲢᲜᲗ *).

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛ წარწერისა, საკურთხevლის კედლების გარედამაც არის რამდენიმე ასო-მთავრულით დაწერილი წარწერა, მაგრამ შიგა-და-შიგ ზოგი-ერთი ასო გაფუჭებულია და ამიტომ ვერ იკითხვის. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ძველი კი უნდა იყოს.

ᲢᲐᲫᲠᲘᲡ გარშემო არსებობს საკმაოდ ვრცელი ციხე-გალავანი; მასში სხვათა შორის აგებულია მაღალი 8—10 საჟენიანი გუნბათიანი კოშკი, რომელიც იმავ დროს ეტყობა, ასრულებდა სამრეკლოს დანიშნულებასაც. არის მეორე პატარა ეკლესიაც, აშენებული ძველის მაგიერ 1847 წელს და სამრევლო სკოლა, დაარსებული 1895 წ. ᲐᲠᲘᲡ სხვა ბევრი ძველი შენობაც, მაგრამ დღეს იგინი თითქმის ყველა დანგრეულია. ᲨᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ მაღალი კოშკი ჩვენის აზრით აშენებული უნდა იყოს ძველის ტაძრის განახლების დროსვე ᲜᲘᲜᲝ-წმინდელ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲔᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-მიერ 1671 წლებში. ᲘᲒᲘ მთლად აგურით არის აშენებული და ფრიად მკვიდრათაც.

---

*) 359+780+532=1671 წ.

ვარძიის მონასტერი მესხეთში

(ახალციხის მაზრაში)

ვარძია არის შესანიშნავი მონასტერი საქართველოსი, მდ. **მ**ტკვრის მარცხენა კიდის მაღალს კლდეში გამოკვეთილი, **ხ**ერთვისს ზემოთ, 15 ვერსზე. **მ**ის აღშენებას მიაწერენ **თ**ამარ მეფის მამას მეფე **გ**იორგი III-ეს (1156—1184), მაგრამ ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მონასტერი არსებობდა აქ უკვე მე-VII საუკუნიდამაო. **თ**ამარ მეფემ გამოაკვეთინა აქ საკმაოდ მოზრდილი ეკლესია, რომელიც დღევანდლამდე მთლათ მოხატულია მაშინდელის მხატვრობითა. ხატებს შორის აღსანიშნია უშველებელი ხატი ღვთის-მშობლისა, რომელსაც უკავია საკურთხევლის მთელი კამარა. საბწუხაროთ ამ ჟამად სწორეთ იმ ადგილას კლდე გარღვეულა და სახე ღვთის-მშობლისა დაზიანებულა. **ს**აჭიროა ყურადღება მიექცეს ამას და ნაპრალი შეკეთდეს, თორემ შეიძლება ამან მთელი ეკლესიაც დააზიანოს. **ა**ქვეა აქამომდე დაცული სახენი **თ**ამარ მეფისა, მისი მამის **გ**იორგი მეფისა და **თ**ამარის შვილებისა—**ლ**აშასი და **რ**უსუდანისა. **წ**არწერა ამ ეკლესიისა მოიხსენებს მეფეთა-მეფეს მთელის აღმოსავლეთისას **გ**იორგის **დ**იმიტრის ძესა და ასულსა მისსა **თ**ამარსა.

ამ ჟამად **ვ**არძიის მონასტერი, წარმოადგენს შემდეგს სურათს: წარმოიდგინეთ, სულ რამდენსამე ნაბიჯზედ, **მ**ტკვრის მარცხენა კიდიდამ, სიმაღლით ას საჟენიანი კლდე, რომელიც შუა ვულში შესდგება მორბილო მჭადა ქვისგან; ეს ქვა იმდენად რბილია, რომ ადვილია მასში გამოქვაბულების გამოკვეთა; ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება იყო უმთავრესი მიზე-



ვარძიის მონასტერი მესხეთში (ახალ-ციხის მაზრაში).

ზი აქ სავანის გამოკვეთისა და დაფუძნებისა, რადგანაც, სადაც-კი გვინახავს იქით მხარეს გამოკვეთილი გამოქვაბულნი, სულ ასეთ ნიადაგში გვინახავს; ხოლო, თუ ვარძია გაცილებით სჭარბობს სხვა ამ გვარ გამოქვაბულებს რიცხვითა და სივრცით ეს იმით აიხსნება, რომ, გვგონია, არსად მთელს საქართველოში არ მოიპოვება მასზედ დიდი კლდე ასეთის რბილის და ერთიანის მიწალით.

ვახუშტი ასე ასწერავს ვარძიას: „ქარზამეთს ზეით არს **ვარძიას** მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატებითურთ და მას შინა აღშენებული 61 მეფის ბიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან 61 მეფე ბიორგი (1156—1184), 75 მეფე კონსტანტინე (1407—1414) და სხვანიცა, არამედ აწ ცალიერი“.

ასეთი სიმდიდრე ვარძიისა მუდამ იზიდავდა მტაცებელ ბარბაროსთა ყურმდღებას და ამიტომ მონასტერი მრავალ ჯერ ყოფილა აფორიაქებული. მაგალითად, მე-XIV ს-ში იგი ააფორიაქეს ტამერლანის ურდოებმა, ხოლო 1551 წ.—სპარსელებმა. იმ დროის მაჰმადიანთა ისტორიკოსი ისკანდერ-მუნჯი ასე აგვიწერს ვარძიას: ვარძიის კლდეში გამოკვეთილი ტაძარი საკვირველი ქმნილებაა. იგი ჩაითვლება სასწაულად კაცის ხელოვნებისა და ჭკუისა. აქ იდგა ხალას ოქროსგან ჩამოსხმული ხატი, შიგა და შიგ შთათხილი ძვირფას ქვებითაო. ხატზე გამოყვანილის წმიდანის თვალების ადგილას ჩასმული იყოვო ორი ლალი, ღირებული თითო 50 თუმნად. ამ კლდეში გამოხვრეტილს ქალაქში 700-ზე მეტი პალატ-სენაკია და მათ შორის, ეკლესიის გარდა არისო მეფის სასახლე, სალარო, სასამართლოს პალატნი, საპყრობილე და სხვა“. მონასტრისთვის წყალი გამოყვანილია მილით შიგ კლდეში იაილის წყაროდგან, რომელიც ვარძიაზე დაშორებულია 3 ვერსით. აქ ასაფლავია გვამი მეფე კოსტანტინე I-ისა, რო-

მელიც 1414 წელს მოკლულ იქმნა მაჰმადიან თურქებთან ომში. ვარძიის ოთხ-თავი (სახარება) ამ ჟამად ინახება ბელათის მონასტერში. ახლა აქ ცხოვრობს ერთი წინამძღვარი რამდენიმე მორჩილით. დღეობა ვარძიისა იცის 15 მარიამობის თვეს. ვინმე მესხი ბვარამაძე ვარძიის შესახებ გვწერს შემდეგსა: „ქარწახი (ახლა სომხები ცხოვრობენ), ზედა-ვარძია და ამათი მოყოლება მტკვრის გაღმა-გამოღმა მხარი, სულ ვარძიის შეწირულობა ყოფილა, ვენახებით, ბოსტნებით და ბაღჩებით; მეფის სამსაჯულოსთან სამწირველო ტრაპეზზედ ყოფილა წარწერილი მხედრულად, მაგრამ მტრებს ამოუმტვრევიათ, რამდენიმე სტრიქონი ნაწყვეტ-ნაწყვეტი კიდევ ეტყობა; ამისი გუჯარიც ყოფილა; ეს გუჯარი ინახებოდა პატარა თონეთელ მანველიძე თევდორე მღვდლის სახლში, რომელიც ადრე ქოთელიის მღვდლად ყოფილა. 1846 წელს მღვდლის შვილმა სვიმონ მანველიძემ ბოგაშნელებს (სოფ. ბოგაშენი მდებარებს ვარძიის პირის-პირ მტკვრის მაღალს კიდეზედ) გარდასცა ეს გუჯარი, სამაგიეროდ ბედაური ცხენი აჩუქეს ბოგაშნელებმა და ადგილობრივ ბლაღოჩინს ბ. ბამრეკელოვს მოართვეს სიხარულითა. ერთს ხანს მიწერ-მოწერაც გაიმართა, მაგრამ მალე ჩაყრუვდა საქმე. ბლაღოჩინი გამოიცვალა და საქმე საბლაღოჩინოში დარჩა, თუ თბილისს საეკზარხოსო არხივში, აღარა ისმის რა. ამბობენ, სომხის ქარაპეტ ეპისკოპოსს შეუსყიდია იგი 18,000 მანეთად, ვისგან, არ არის ცხადი“.

ბუმბერაზნი ჩვენის მთებისა—იალბუზი. *)

უფრო მაღალია ჩვენის მთების ბუმბერაზი **იალბუზი**. ის სდგას მარტოდ, კავკასიის მთა-გრეხილის მოშორებით, მაგრამ მის წვერზედაც არა ერთხელ ასულა კაცი. პირველად ავიდა ინგლისელი ფრეშფილდი 1868 წელს, შემდგომ ბროვე 1874 წ. და უნგრეთელი დემი 1884 წ. უკანასკნელად ორჯერ ავიდა იალბუზზე „მოგზაური"-ს მკითხველებისთვის უკვე ცნობილი ა. ვ. პასტუხოვი. ის პირველად ავიდა 1890 წ. იალბუზის აღმოსავლეთის მხრიდგან, მეორედ 1896 წ.—დასავლეთიდგან. პირველ ასვლაში პასტუხოვს ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ სულ-მოკლე კაცს სამუდამოდ გულს აუცრუებდა ასეთ საქმეზე, მაგრამ ასეთი არ იყო პასტუხოვი. მაგრამ, უმჯობესია თვით პასტუხოვის ნაამბობი მოვისმინოთ:

„მოვიდა ჩვენთან ორი სვანი, რომელნიც მიდიოდნენ სამუშაოდ სოფელ ურუსბიევში. როდესაც ვისაუზმეთ და დავისვენეთ, შევსხედით ცხენებზედ და გავუდექით გზას. სვანები ქვეითად მოდიოდნენ, მაგრამ მაინც დაგვეწივნენ და წინ წავიდნენ. არ გაგვევლო 50 საჟენიც, რომ ერთი სვანი

---

*) იალბუზი უდიდესი და უმაღლესი მთაა კავკასიის მთებში. იგი ამართულია სვანეთის გადაღმა და შესდგება ორი წვერისგან: დასავლეთის წვერი უმაღლესია და შეიცავს 18,595 მწერთას ზღვის მაღლა, ხოლო აღმოსავლეთისა, ცოტა უფრო დაბალია და შეიცავს 18,431 მწერთას ზღვის მაღლა. უაზბეგისა, არარატისა და ალაგიოზის მწვერვალების მსგავსად, იალბუზიც სანძარის ნაყოფია. წვერიდამ იალბუზს ჩამოსდევს რამდენიმე ყინვარი (ледникъ). მათში აღსანიშნია შემდეგნი: ბასკანისა (7,350 მწერთა), ტერსკოლი (8600), ირიკი (8300), ულუკამი (8720) და კიჩკინაკელი



ბუმბერაზნი ჩვენს მთებისა—ბ'ლ ბ უ ზ ი.

შეჩერდა, თითით რაღაცას მანიშნებდა და მიძახოდა. როცა მიველ მასთან, დავინახე ჩაქცეული ყინული და სამი საჟენის სიღრმეზედ ცოცხალი ცხენი. მე მოვატანინე რკინის ნიჩბები და ჩავთხარეთ ნაპირებიდგან თოვლი. გაკეთდა ფერდობი, რომლითაც ჩავუშვით ერთი სვანი. მან მოჰკიდა აღვირს ხელი და ცხენმაც ერთს წუთს ამოჰყო თავი ყინულის ზედა ნაპირზედ. უველას დიდად გაგვიხარდა ცხენის გადარჩენა. ერთი სვანი იკვეხიდა, რომ კარგად ვიცი გზაო, წაიყვანა გადარჩენილი ცხენი და გზა-გაურჩეველად ჩაიყვანა ქვევით. მე შევაჩერე ის, მივეცი ხელში შუბი და ვუბრძანე წასულიყო ყინულის სინჯვით და ნელა. ის წავიდა წინ და ჩვენც ცხენებით მივსდევდით მწკრივად შორი-ახლო. მაგრამ ჯერ ასი საჟენიც არ გაგვეველო, რომ ნაპოვნი ცხენი უკანა ფეხებით კიდევ ჩავარდა სადღაც უფსკრულში, მისცვივნდნენ ის ორი სვანი და რავდენიმე ყაზახი; ყველა მხრიდამ მოჰკიდეს ხელი და ამოსწიეს, თვითონ ცხენიც სცდილობდა, მაგრამ ის უფრო ქვევით-და-ქვევით მიდიოდა. ძიდევ ერთი წამი და ხელიდგან გაშვებული ცხენი თვალის დახამხამებაში ჩავარდა უფსკრულში. ამასთან არაფერი ხმაურობა არ მოისმა. ხალხი მაშინვე შემოეცალა იმ საშიშ ადგილს; ჩემი ცხენი აიტანა ჟრჟოლამ და დაიჭიხვინა. სიფრთხილით მივუახლოვდი უფსკრულს, ჩავიხედე შიგ, მინდოდა თვალი მაინც მომეკრა ცხენისათვის, მაგრამ სიბნელის მეტი ვერა დავინახე რა; ყური დავუგდე—სამარის სიჩუმე იდგა, არაფერი ისმოდა. ჩვენ სიფრთხილით მივდიოდით, გავიარეთ რავდენიმე უფსკრული და როცა გამოვედით სამშვიდობოს, მხოლოდ მაშინ გამოსთქვეს ყაზახებმა თვისი შთაბეჭდილებანი. ერთმა მათგანმა დაუმატა:

(7800 მწერთა). ჩვენის ხალხის თქმულებით იალბუზზე მიჯაჭვულია ამირანი, ბერძნების პრომეთეოსი. ამის შესახებ იხ. „საქართველოს ისტორია“ „მოგზაური“-ს № 4, გვ. 31 და ამ სტატიის ბოლოში ბ-ნ კობეჩიას ლეგენდა. რედ.

P 23 Д23

„ძმებო, თითქო სიზმარში მოგველანდა ის ცხენი“! დანარჩენი გზა სულ იმ ცხენის ხსენებაში იყვნენ და ბოლოს გარდასწყვიტეს, რომ იმის ბედის-წერაც ეს ყოფილაო“.

მაგრამ, რა სათქმელია ეს იმასთან, თუ როგორ გაატარეს ღამე მგზავრებმა საშინელ სიმაღლეზე! როგორი შემაძრწუნებელი და მრისხანე სურათები იშლებოდნენ მათ თვალწინა! თვით იყვნენ ღრუბლის იქითა ქვეყანაში და მათ ფეხ ქვეშ კი ელავდა. საშინელი ქარი ჰქროდა და თან მოჰქონდა შავი ღრუბლები. შორს, დასავლეთით, მოდიოდა თოვლი და წვიმა ალმაცერად, ზოლებად. ჩაწურული მზის სხივები სჭვრეტდნენ ზოლებში და ოქროს ფრად ჰღებავდნენ დაბლა მიმავალს ღრუბლებს. იყო მშვენიერი არეულ-დარეული ველური სურათი.

„ძლდის ირგვლივ, რომელსაც ჩვენ თავი შევაფარეთ, —განაგრძობს პასტუხოვი,—უსტვენდა ქარი და დრო-გამოშვებით გვაყრიდა ნამქერს. რვა საათზედ ქარი ჩადგა; ეს შეეტყო დაბლაც: ღრუბლები შედგნენ და მათი ზეითა პირი, რომელიც წარმოადგენდა მთებს, გასწორდა და გაშავდა. $8^1/_2$ საათზედ გაიელვა შორს, შორს, ქვევით დაიქუხა, ღრუბლები ხელ-ახლად შეირყნენ და ასტყდა ჭექა-ქუხილი. ჩვენ გარშემო სიჩუმე და ყინვა იყო; კაშკაშა ვარსკვლავნი ბრწყინავდნენ მუქ ლურჯ ცაზედა და მათ შორის ესრედ წოდებული ბეთლემის ვარსკვლავიც ანათებდა. ყველა ეს მოაგონებდა კაცს ზამთრის ღამეს სადმე შორს, ჩრდილოეთისკენ. ყინვა უმატებდა და საღამო ჟამზე მიაღწია 10^0.

დამტკბარი ამ გასაშტერებელ და საუცხოო სურათით, მივსწექ მეც მძინარე ყაზახებთან“.

13 ივლისს, 9 საათზე და 20 წამზე პასტუხოვმა სამის ყაზახით მიაღწია ორ-თავიანი ბუმბერაზის აღმოსავლეთის წვერს, აღმართა მასზედ ალამი წითელი ყუმაჩისა და უკან დაბრუნდა. ბუმბერაზი დამარცხდა, მაგრამ მოგზაურთ საშინელებანი ჯერ წინ იყო. აბოვარდა ქარიშხალი. მგზავრებმა მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც უსანასკნელად გაატარეს ღამე,

მარდად გააკეთეს ნაბდების ქოხი და დადგეს ნავთის ფეჩი ყინულის დასადნობად. დასხდნენ დასანაყრად. ქარიშხალი მძვინვარებდა საშინელის ძალით. ჰაერი აიმღვრა და ყველაფერი აირია.

„ჩვენ ვერ ვხედავდით ერთმანეთს და ნაბდებს შეეფარენით. საშინელის გრიგალის გამო ერთმანეთის ლაპარაკი არ გვესმოდა. მე დავიწვინე ჩემთან ყაზახი მერკოვი, რომელსაც ჰქონდა უფრო მდარე ტანთ-საცმელი ვიდრე სხვას და მივეცი მას ჩემი ჯუბა; ვჰკითხე ყაზახებს—კარგად წვანან თუ არა და რა მივიღე პასუხი, დამშვიდებულმა მალე დავიძინე. არ ვიცი, რავდენი მეძინა, მხოლოდ, როდესაც გამომეღვიძა, გავიგონე ორი ყაზახის ლაპარაკი. ერთი მათგანი სიცივეს უჩიოდა. მაშინ მე გავაღვიძე ჩემთან მწოლარე ყაზახი, ვუბრძანე ცოტა მიეწია, მივიწიე მეც, დავუძახე ყაზახს, რომელიც სჩიოდა და ვუბრძანე დაწოლილიყო ჩვენ შუა. დავაწვინეთ ყაზახი და დავიხურეთ ნაბდები. საწყალი ყაზახი სიცივისგან მაინც კანკალებდა და კბილებს აცემინებდა. ჩვენ კარგად დავხურეთ მას, მივაწექით ორივე მხრიდგან, ცოტა დასთბა, ცახცახი დაუცხრა და 10 წუთის შემდეგ დაიძინა. ბამოვიხედე ნაბდის ქვეშიდგან: საშინელი ბნელი ღამე იყო. ჩვენ გვთბილოდა, მაგრამ ჩამოწოლილი თოვლი გვამძიმებდა, და ქვებიც, რომლებზედაც ჩვენ ვიწექით, გვაწუხებდნენ. ამასთან ერთი გვერდიდგან მეორე გვერდზედ არ შეგვეძლო გადაბრუნება და იძულებულნი ვიყავით მთელი ღამე ერთ მდგომარეობაში გაგვეტარებინა.

ქარიშხალი მთელს ღამეს ერთს წუთსაც არ შემდგარა. ბათენდა, მაგრამ ქარიშხალმა უფრო უმატა. როდესაც გამოვიხედე ნაბდის ქვეშიდგან, უკვე გათენებულიყო. რა საშინელი დარი იდგა, ვერ აგიწერთ. თოვლის ღრუბლები მიცურავდნენ ჰაერში, ვერ გაირჩეოდა, ზევიდგან მოდიოდა თოვლი, თუ დედა-მიწიდგან იყო აღებული... ქარისგან საშინელი გრიგალი ტრიალებდა სივრცეში. ძძინარე ყაზახებს

მთელი თოვლის ზვინები ედვათ ზედ და შეუძლებელი იყო კაცს წარმოედგინა, თუ ამ ზვინების ქვეშ იმყოფებოდნენ ცოცხალი არსებანი. Იმედი არ მქონდა გამოდარებისა და გარდავსწყვიტე დაბრუნება წინანდელის გზით. Დავაღვიძე ყაზახები და ვუბრძანე მომზადებულიყვნენ. Ზვინები შეიძრნენ და მათ ქვეშიდგან, თითქოს საფლავებიდგან, ყაზახები გამოჩნდნენ. Მათგან დატოვებული ადგილები ერთს წამს ამოინამქრნენ და ახლად დაწოლა შეუძლებელი-ღა იყო, რადგანაც, ვინც ერთხელ წამოდგებოდა, თოვლი შემოეკროდა ხოლმე, ავსებდა წელამდინ და დატოვებული ტან-საცმელიც ერთს წუთში იმალებოდა ზვინის ქვეშ. დაგვიანება შეუძლებელი იყო და ამიტომ გამოვეშურენით. Ზამოვსთხარეთ ჩვენი ავეჯი თოვლის ქვეშიდგან, შევიბით ფეხებზე ფოლადის წრიაპები, გადავებით თოკით ერთმანეთს, შევაქციეთ პირი გრიგალს, ვახსენეთ ღმერთი და გავუდექით გზას. Ჩვენ მივდიოდით წინანდელს რიგზედ: წინ მე და ორ-ორი საჟენის მანძილზედ მწკრივად ყაზახები მომდევდნენ. Მაგრამ რა სიარული იყო ეს! მუხლამდინ თოვლში ვიფლობოდით, ქარი შიგ პირში გვიბერამდა და ეს უფრო გვიძნელებდა წინ სვლას, თოვლი გვილესავდა თვალებს, გვეყრებოდა პირში, ცხვირში და იყო წუთები, რომ სული გვიგუბდებოდა. ამის-და-მიუხედავად თუმცა ნელა, მაგრამ შეუყენებლად წინ მივდიოდით. Რაც უფრო დაბლა ჩავდიოდით, მით უფრო ვიფლობოდით ახლად დანამქრულ თოვლში. Თითქმის ერთს საათზედ მეტი მივდიოდით ასე და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ვიყურებოდი ირგვლივ, რომ დამენახა რამე და გამერჩია სად ვიყავით. მაგრამ არაფერი სჩანდა. Უეცრად გავიგონე უკანა ყაზახის ხმა! ის ხვეწნით მსთხოვდა მიმეცა აქ დარჩენის ნება, რომ უფრო მალე გაყინულიყო, რადგანაც ძალიან დაიღალა და წამოსვლა აღარ შეეძლო, მაგრამ მის ხმაში იმდენად დაღალვა არ ისმოდა, რამდენიც სასოწარკვეთილება. Მე ვანუგეშე იგი,

რომ ახლა უკვე სამშვიდობოში ვართ-მეთქი და ვურჩიე ცოტა კიდევ მოეთმინა. მოვუმატე ნაბიჯს და იშვიათადაც ვჩერდებოდი. ბავიარეთ რამდენიმე ალმართ-დალმართი და გარდაწყვეტით კი არ ვიცოდით, საითკენ მივდიოდით. ვგრძნობდით, რომ გზა დავკარგეთ. ქარმა თითქოს ცოტა იკლო, ნისლიც მაღლა აიკრიფა. დავინახეთ საშინელი ნაპრალი. რამდენიმე ნაბიჯიც რო გადაგვედგა, ისე დავიღუპებოდით, რომ მნახველიც არავინ გვეყოლებოდა. ფეხს ავუჩქარეთ. ბავარჩიეთ, რა ადგილსაც ვიყავით. თუმცა მალე ისევ ნისლში გავეხვიეთ, მაგრამ ახლა მაინც უფრო ჩქარა მივდიოდით. ნახევარ საათის შემდეგ გამოვედით გრიგალის სფერიდამ, ყაზახები მომხიარულდნენ. შევდექით, გავაჩაღეთ ნავთის ფეჩი და ავადუღეთ ჩაიდანი; მათს მხიარულებას ბოლო აღარ ჰქონდა: ყაზახები ხუმრობდნენ, იცინოდნენ და მღეროდნენ. ამის შემდეგ ჩვენ მშვიდობიანად განვაგრძეთ გზა და მალე სოფელშიაც ჩავედით"...

ა. ვ. პასტუხოვი მეორედ ავიდა იალბუზზედ 1896 წელს, დასავლეთის მხრიდგან. მისი თანამოგზაურები იყვნენ სტუდენტი ვორობიოვი და ოთხი სხვა კაცი, რომლებმაც 15000 ფუტის სიმაღლიდამ უკვე უარი სთქვეს მთაზე ასვლაზე. მოგზაურობა ორმა განაგრძეს, მაგრამ რამდენიმე საჟენი-ღა უკლდათ იალბუზის წვერამდინ, რომ სტუდენტი ვორობიოვიც გაჩერდა და დიად ბუმბერაზის თავზედ მარტო პასტუხოვი-ღა ავიდა.

მაგრამ საშინელება ამ მეორე მოგზაურობისაც ჯერ კიდევ წინ იყო. იმისდა-მიუხედავად, რომ ცხელი ზაფხული იყო, ამ საშინელ სიმაღლეზე 15° ყინვა იყო და აუტანელი ქარი. პასტუხოვს და მის თანამგზავრს გზა დაეკარგათ. დადგა ბნელი ღამე. დაქანცული მგზავრები განგებ თოვლში ჩაეფლნენ, რომ ამით მაინც დაეცვათ თავი საშინელი ქარიშხალისგან.

ბათენდა. ქარიშხალი ჩადგა და მგზავრებმა დაინახეს,

რომ სადღაც ღრმა ხეობაში იმყოფებოდნენ. წინ საშინელი უფსკრული ჩანდა. ისინი რომ თოვლში არ ჩაფლულიყვნენ და გზა განეგრძოთ, უეჭველად დაიღუპებოდნენ.

დიდი სიძნელით ამოვიდა პასტუხოვი ამ ხეობიდგან და დაეშო ქვევით. შემდეგი მგზავრობა უფრო მშვიდობიანი იყო და ოთხი დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ სამარადისო თოვლის სამფლობელოში, მოგზაურებმა კავკასიის მთიულთა სოფელს მიაღწიეს.

თამარ ფალავანდიშვილი.

ამირანი

(ლეგენდა)

ალსდექ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია.

ხალხური.

I

ბუნებას გადაჭეარვია
შესაზარავი ბნელეთი,
შავსა სიკვდილსა მოუცავს
კიდით-კიდემდინ ხმელეთი.
უფალმა ხირი იბრუნა,
ეშმაკთ დაუომო ქვეყანა,
სულნი ბოროტნი მეფობენ
დედა-მიწაზედ უფლებანა.
მოდის ამირან და ჭეხედავს
გავერანებულს სოფელსა,
თვის მოძმე ადამიანებს
საშიშ წყვდიადში მეფეელსა.
უცებ იგრძეა ქუხილმა,
თან დაიელვა, განათდა,
და ისევ ჩაჭქრა, მხოლოდ წამს
ნათელმა ბნელი გაჭეანტა.
აჭხედა გმირმა ზეცასა,
დრუბელნი მიმოსტურავენ, —
მათ შორის ნაჭერწკალები
მიმოხტიან და ბრწეინავენ.

II

„საბრალო კატობრიობავ,
რა უკუნეთი გავლია!
გზა სინათლისა აქამდის
როგორ ვერ შეგისწავლია?
დაბურულს ტყეში შემწუვდეულს
უხმოდ გებნევა გზა-კვალი,
ვით ჭია-მტვერი, გაჭრები
და არც დაგრჩება ნავალი;
მაშინ როდესაც იქ, ცაში,
სხივები გათანტულია,
შენთვის ბუნების საუნჯე
აქ ოოვლად დათარულია!“ —
სთქვა ამირანმა, დაეურდნო
მოჯადოებულს ხელ-კვერთხსა,
ათრინდა მადა ჰაერში,
ცეცხლი მოსტაცა ღრუბელსა,
ჩამოიტანა ქვეუნადა
და გაანათა მთა-ბარი.
კატოტხლდა ადამიანი,
იწყო ცხოვრება სხვა გვარი...

III

ბუნებამ ფერი იცვალა:
აჭუვავდნენ მინდორ-ჭალები,
მდვიმით გამოსულს ცხოველებს
გამოეხიდათ თვალები.
გაინავარდეს შველ-ირემთ
აბიბინებულს მოლზედა,
ფრინველთაც დაიჭიკჭიკეს
ფოთლებ-დაკიდულს ტოტზედა,
გამოიშალნენ ქალწულნი,
შეჭკრეს ყვავილთა კონები,

დაიწყეს ტკბილი სიმღერა
ჯერეთ არ განაგონები
მათ ბანს აძღევდა მდინარე
და მოშრიალე მიდამო,
თითქოს დგთის ანგელოზები
გადმოფრენილან ციდამო.
ვაჟკაცნი ბედაურებსა
დაჩქროლებენ ველადა,
ხან ჯირითობენ, ხან ისარს
არწივს სტეორცნიან ხელადა.

IV

ბოროტნი სულნი ადბოგრდნენ,
ნახეს-რა ქვეყნად სხვა ძალა,
რომელმაც მათი წუვდიადი
ციურის ცეცხლით დასძალა.
შეუდგნენ უფრო ვერაგად
ადამიანის დამხობას,
შურის და მტრობის დაოესვით
სცდილობდნენ ცეცხლის გაქრობას.
ბილწი მდევები, ქაჯები
მოედგნენ არე-მარესა,
ხალხს ახლად გამოღვიძებულს
დღეს აუნებდნენ მწარესა.
და აჭა ხალხის მოკეთე
მდევთ შეებრძოლა მწვავადა,
გასწუვიტა ქაჯთა სინსილა,
დღე გაუთენა შავადა.
ამირან ასწრობს თვით ფრინველს
მოჯადოებულ კვერთხითა,
ისე გადაქრის მთიდან მთას,
რომ ვერ აკარებს ფეხითა.

V

ამირანს ლოცავს ქვეყანა,
თაყვანსა სცემენ ყველანი,
ხოტბა-შესხმასა უძღვნიან
ხმა-ტკბილ დამკვრელნი, მღერალნი.
კერპად გამხდარა ერისა
ვაჟკაცი სახელოვანი,
მას ადიდებენ ერთგვარად
ურმა, ჯაბუკნი და მხცოვანნი.
მას შეჭნატრიან დედანი:
„ნეტავი შვილად მუვანდეო!
შეგცქერდე დედის იმედსა,
მშობელს გულს ჩაგიგრავდეო“.
ქალწულნი უფრო ნატრობენ:
„ოჰ, ის ჩემი ძმა იყოსო,
მას მამსახურა დასავით
და ბედი შვა გამიყოსო“!
ზოგნი ოცნებით: „ნეტავი
გამხადა მაგის დირსიო,
ვითა სატრფოს და მეგობარს
მატკბობდეს სიტყვა მისიო“!

VI

მაგრამ ამირანს ჭეავს უკვე
რჩეული მზეთ-უნახავი,
დასაბამითგან ქვეყნისა
არავინ არის მნახავი
ამის უტურფეს ქალისა;
ვითა ვარსკვლავი შვენოდა,
არ-ქვეყნიური ნათელი,
სახეზედ გადაჭფენოდა,
და ანათებდა გარშემო
გამეფებულსა წუვდიადსა.

შეჭშურდა ისიც სატანას
გულ-ღვარძლიანსა, ზვიადსა;
გაგზავნა ქვეყნად მდევები,
ქალწული მოაგვრევინა,
კარ-დახშულ კოშკში, ზღვის ძირას
ჩაჭკეტა, დაამწყვდევინა.
მაგრამ გამოჩნდა ქვესკნელშიც
მძლეთა-მძლეველი ამირან,
შემუსრა კოშკი ბოროტთა,
წამოიყვანა ქალიც თან.

VII

ერისგან განდიდებული
ამირან სწორს გზას გადასცდა,
არ გმარობს სოფლის დიდებას,
მიუწვდომელსაც გადასწვდა,
იმ ამაე ანგელოზსავით
დაიწყო კაენიერება,
თავს ადარ უკრავს თვით დმერთსა,
არად უჩნს მის ძალიერება.
„შენ ცა გეკუთვნის, უფალო,
მე ვმეფობ ქვეყანაზედო,
შენს საქმეს მე არ ვეხები,
გამიშვი ჩემსავ გზაზედო!“
უფალმა მართლაც ამირანს
წყალობის თვალი არიდა,
მას აქეთ მადლი ღვთიური
ამირანს ადარ ჰფარვიდა.
ეშმაკნიც წამოიშალნენ
კვლავ ქვეყნის დასაფერობადა,
სინათლის გასაქრობლადა,
გმირთ-გმირის დასამხობადა.

VIII

ბრრრტენი სულნი შეუჩნდნენ
ქალს და აცდინეს მაცდურად,
ღალატი ამირანისა
მოანდომინეს მას მტრულად.
ერთს დამეს, როცა ვაუკაცსა
დადალულს დდიურ შრომითა,
მოხიბლულს ტურფა სატრფოსი
ალერსით ხვევნა-კოცნითა,
ტკბილად ეძინა... წამოდგა
ქალი უჩუმრად თვეხითა,
ჩახერხა მოჯადოსნული
კვერთხი ოილისმახ ხერხითა,
ისე რომ მძლავრად მოქნევას
ვერ გაუძლებდა მეტადა,
ულალატებდა პატრონსა,
გახდიდა მტრისა მსხვერპლადა.
შენ გძინავს ტკბილად,, ვაუკაცო,
და ვინდა გამოგიცხადებს,
შენი ძვირფასი არსება
თუ რა განსაცდელს გიმზადებს!..

IX

მეორე დილა ადრიან
ამირან თვიცხლავ წამოხტა
და ადიჭურვა საჭურვლით,
არ იცის წინად რა მოხდა.
იდებს კვერთხს ხელში, მოამართავს,
დაებჯინება კვერთხზედა,
რომ ჩვეულებრივ სისწრაფეით
გადაიქრიალოს მთებზედა.
მაგრამ ოჰ, საშინელება!

კვერთხი გადუტეა შუაზედ,
ვაჟკაცსა თავ-ბრუ ესხმება,
თითქოს იშლება ჭკუაზედ.
„ჭოი, მუხთალო!“ — შეჰყვირა
გმირმა და მძიმედ დაეცა,
მოტვივდნენ ურიცხვ ეშმაკნი,
ბნელმა გადაჰკრა ჰაერსა;
შეჰკრეს, შეჰბოჭეს ამირან,
მიჰჯაჭვეს მალალს კედელზედა,
გულ-დვიძლსა უჭამს არწივი
და ათრინდება მკერდზედა.

X

მიჯაჭვულია გმირთ-გმირი
კავკასიონის მთაზედა,
ხან დასტქერს მიწას მწუხარედ,
ხან აიხედავს ცაზედა.
მის გულში დაგუბებული
სისხლი ხან და ხან გადმოსჩქეფს
და მაშინ კოლხიდის წყალნი
გადავლენ თავის ნაპირებს.
ამირანს თვალნი უბერია
ტირს მიმარა სასოებითა,
მოელის ორსა არსებას
ადგილს დვთივ-ძლიერებითა.
ერთი იქმნება უმანკო
ქალწული სათნოიანი,

რომ შეავედრას თვის ლოცვით
უფალსა ცოდვილიანი;
მეორე—გმირი ვაჟკაცი,
ახალის ძალით შემკული,
რომ მთლად დალეწოს კლდე, ჯაჭვი
და იხსნას გმირი ტუვე ქმნილი.

მ. ზობეჩია.

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

ჰერეთისა

(შემდეგი *)

ქახეთის Ყაბალი-ს აღმოსავლეთ მხარეს, კავკასიის მთისავე ძირში, დაფენილია ვაკეზე ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘ. ᲐᲬ დგანან აქ რუსის ჯარები. მოსახლენი არიან ქართველნიცა. ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ მის შესახებ სწერს: „ველსა ზედა არს ციხე ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘᲡᲐ, 44 მეფის ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ქმნული და აწ ᲚᲐᲒᲝᲔᲗᲐᲓ წოდებული, მაგარი, დიდ-შენი, განა აწ ოხერი“ (გვ. 312). ᲚᲐᲒᲝᲔᲗᲡ, მოიხსენებენ სხვა მემატიანენიცა. ᲔᲠᲗ დროს ის იყო ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ სატახტო ქალაქადაც. „ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲥᲐᲮᲔᲗᲐᲓ“,— სწერენ მემატიანენი,—„და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა ᲥᲐᲮᲔᲗᲘ, და აზნაურ ჰყვნა იგინი, აღაშენა ციხე და ეკკლესია ᲡᲐᲫᲛᲝᲠᲡᲐ, და შეირთო ცოლი, და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი (?) და ხევსა ლაკვასტისასა (ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘᲡᲐ) ციხე, აღაშენა (აგრეთვე) ციხე-ქალაქი ნუხპატის ორთა წყალთა შუა“ (I წ. ᲫᲐᲠᲗ.-ᲪᲮᲝᲕ. გვ. 181). ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡᲐ და ᲑᲠᲝᲡᲔᲡ სიტყვით მან აღიშენა აქვე სასახლე, რომელსაც სახელად ერქვა თოდა (ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲐᲜᲘ, გვ. 61).

ᲠᲐᲡ-დაჰხარბდა მეფე ᲐᲠᲩᲘᲚᲘ, რომ ᲚᲐᲒᲝᲓᲐᲮᲘ აღირჩია რეზიდენციად,—ეს ჩვენთვის გაუგებარია. ᲐᲥ ბუნება, მართალია, ძალიან მდიდარია ყოველისფრით, ხეხილითა, ტყეებით, ანკარა მთის წყლებით, მაგრამ აქ მცხოვრები ხალხი მეტის-

*) იხ. „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ“ № 5, გვ. 496.

მეტად გაუთლელი და ხეპრე იყო და საჩოთირო ზნე-ჩვეულება ჰქონდა. იმათ ერქვათ „ნოხპატელნი“ ადგილისა გამო და „იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი; მურვან ყრუმ გასწყვიტა უმრავლესი მათი, ხოლო, რომელნიც სიკვდილს გადურჩნენ, ისინი იძულებით მონათლა არჩილ მეფემ. ცხადია, როცა ქრისტიანობა გავრცელდა ლაგოდახში, მას შემდეგ აშენდა აქ ეკლესიებიცა. რიცხვი მათი მრავალია, მაგრამ მომცროებია, მეტადრე მთებში და ხეობებში, ზოგიერთებს მათგანს აქვთ წარწერებიცა. მრავლად ყოფილან ეკკლესიები ჯიაურის ტყეშიაც, რომელიც ლაგოდახსვე ზედ აკრავს. მაგრამ შაჰ-აბაზს მე-XVII საუკუნის დასაწყისს გაუნადგურებია და გაუოხრებია, ხოლო ხალხი დაუტყვევებია, შეუერთებია მოსაბრუნის ტყვეებთან და გადუსახლებია სპარსეთში. მას შემდეგ უმკვიდროა ჯიაური. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ ნაოხრალ სოფელში, მიწის თხრის დროს, ქიზიყის გლეხებმა აღმოაჩინეს ქვევრი, წითელის ღვინით სავსე, გემო აღარ ჰქონია ღვინისა, მიგრამ ისეთი წმინდა ყოფილა, როგორც წანკარა. ბლეხებს მიწით აუმსიათ და ღვინო წითლად გადმოღვრილა მიწაზე. უეჭველია, რომ ის იქნებოდა შიჰ-აბასის დროიდგან დარჩენილი (უმეტეს 300 წლისა).

ლაგოდახში მცხეთის ეკკლესიას ჰქონია მრავლად საეკლესიო მამულები, ანუ უფრო უკეთა ვსთქვათ, ლაგოდახი მთლად მცხეთის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა. ეს მტკიცდება მე-XI საუკუნის კათალიკოზ მელქისედეკისაგან დარჩენილ გუჯრით, რომელშიაც სწერია: „კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდახი“ (I წ. ქ.-ცხოვ. გვ. 222). ამას ამტკიცებს აგრეთვე 1579 წლის გუჯარი ნიკოლოზ კათალიკოსისა. ის განუახლებია ქახეთის მეფეს ალექსანდრე მეორეს და ლაგოდახი მცხეთის ეკკლესიის საკუთრებად უცვნია.

ლაგოდახისავე ნაწილია მაჯი. ის მდებარებს მის აღ-

მოსავლეთ მხარეს, და მთლად დაფარულია დაბურულის ტყით. ის შეადგენს ერთს დიდს და ღრმა ხეობას, კავკასიის მთებით შემოზღუდულს. ახდილი აქვს მხოლოდ დასავლეთის მხარე და უერთდება ჭიაურსა და ალაზნის ველს. მას ჰქვიან მაჭის ხეობა. მასზე მომდინარეობს ჩრდილოეთიდგან წყალი, რომელსაც ქართულად ჰქვიან მაჭის წყალი, ხოლო ჭარელი გლეხები ეძახიან „მაზიმ-ჩაი". ამ წყლის სათაურში არის მინგრეულ-მონგრეული ციხე-სიმაგრე და მის გარშემო დიდს მანძილზე შენობათა ნანგრევები. აქვეა, ჩემის აზრით, ნაშთი არჩილ მეფის (მოწამის) სასახლისა „თოღა"-სი. მისგან დარჩენილა მიწაში ოთახები. ერთს მათგანს კედელში ჩატანებული აქვს სიგრძით ერთ-არშინიანი და სიგანით ნახევარ-არშინიანი ქვა, რომელზედაც ხუცური წარწერაა, მაგრამ აქამდე არავის გადმოუწერია და არ არის ცნობილი მისი შინაარსი. შეეჭველია, რომ მისი შინაარსის წაკითხვა გაარკვევს ჰერეთ-კახეთის ისტორიას და ნათელს მოჰფენს სიბნელით დაფარულს წარსულს მაჭის საერისთაოსას.

დიაღ! არჩილ მოწამის შემდეგ აქა მსხდარან მაჭის ერისთავნი. მათ ეჭირათ მესამე ადგილი ჰერეთის ერისთავთა შორის—„და მისცა კახეთის მეფემ, კვირიკე დიდმა, მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ (ნუხის მაზრა) და ხუნზახითურთ (ახლანდელი ავარია, ხუნძახი —დაღესტანშია). აქედგან ცხადია და უეჭველი, რომ ახლანდელი ზაქათალის ოლქიც—საინგილოც, მაჭის ერისთავს ექვემდებარებოდა. საფიქრებელია ისიც, რომ, როცა ჰერეთს ცალკე მეფეები ჰყვანდა, იმათი რეზიდენცია იყო მაჭი, ხოლო როცა ჰერეთი უერთდებოდა საქართველოს, მაშინ იქ ისხდნენ ერისთავნი და ერქვათ „მაჭელი ანუ მაჭის ერისთავი (II ნაწ. ძ.-ცხოვ. გვ. 99).

მაჭში ერისთავები ისხდნენ 1038 წელსაც. ისინი იყვნენ საქართველოს ერთობისა და გაძლიერების მოსურნენი.

ერთი მათგანი მიემხრო ლიპარიტ ოლბელიანს, რომელიც ებრძოდა მეფე ბაგრატ მე-IV-ს იმ მიზეზისა გამო, რომ მან არ დაიპყრო თბილისი და არაბთა ემირსავე ჯაფარს დაუტოვა; მაგრამ მეფე ბაგრატმა დაამარცხა ჰერეთ-ქახეთის ერისთავნი და დაატყვევა. მათში ერია მაჭელიცა (I ნაწ. ქ.-ცხ. გვ. 223). მაჭის ერისთავთ დიდი გავლენა ჰქონდათ ქახეთის სამეფოს პოლიტიკურს მდგომარეობაზე; მაგრამ ამ წუთის სოფელში სამუდამო არა არის რა. ცვალებადი ბედი ეწვია მაჭისაც. 1471 წელს გაუქმდა ერისთობა მაჭისა და გადასცა თავისი სახელი ჭიაურს. ამ წლის შემდეგ ერისთავი მაჭისა იწოდება ჩვენს ისტორიაში ჭიაურის მოურავად (II ნაწ. ქ.-ცხოვ. გვ. 103). მოურავობაც მოიშალა მე-XVII საუკუნეში შაჰ-აბაზისაგან ჭიაურის სამოურავოს აოხრებისა, აკლებისა, ხალხის ზოგის გაწყვეტისა, ზოგის დატყვევებისა და სპარსეთში გადასახლების შემდეგ. მოიშალა ყოველივე. შაჰ-აბაზის შემდეგ ქახეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ დაუტევა აქაურობა, მაჭის ეკლესიის განძეულობა გადასცა ალავერდის ეკლესიას, თვითონაც აიკრიფა ქვეშსაგები და გადასახლდა თელავს (იხ. წერილები დეკანოზის მ. ხელაევისა, დაბეჭდილნი გაზ. „ივერია“-ში 18.. წელს).

მაჭის ხეობა ანუ წყალი მიჯნაა ზაქათალის ოლქისა და ნუხის მაზრისა. აქედგან იწყობა ოლქის გზა-ტკეცილი. იგი მშვენიერად არის ნაკეთი 1873 წელს გლეხებისაგან. გზის აქეთ-იქით თხრილებია და აქვს დარგული კაკლის ხეები ექვსიოდენ საჟენის მანძილზე თვითეული. ეხლა ისინი იმოდენად დაზრდილან, რომ ერთმანერთს გადაჰხვევიან გზაზე და ისრე სჩრდილავენ გზას, რომ მგზავრის პირსა და ზურგს ჰხედავს მზე მხოლოდ მდინარეების რიყეებზე, საცა არ არის დარგული კაკლის ხეები.

ასრეთი გზა-ტკეცილები გაყვანილია მარტო იქ-კი არა, საცა ფოსტა დადის, არამედ მთელს ოლქაში, სოფლიდგან სოფლებში. მშვენიერნი არიან ისინი და სასიამოვნო სანა-

ხავნი. ვგონებ მთელს რუსეთის იმპერიაში არც ერთი კუთხე არ არის ასრე შემკობილი კარგის გზა-ტკეცილებით, როგორც ზაქათალის ოლქა. ბაზაფხულობით ამ გზებზე სიარული მეტის-მეტად სასიამოვნოა და გამრთობი მგზავრისა.

ამ გვარს გზაზედ გავიარე ჭიაურიდგან და გავექანე ეტლით ბელაქნისაკენ. დამრჩენოდა 5 ვერსი სოფ. ბელაქნამდე. ბაჩერდა ეტლი. ცხენები მზად იყვნენ. შევსხედით და შევედით ტყეში, რომელსაც ბელაქნის ლეკები ეძახიან „ნამარაშ ყარაჯა“. წაგვიძღვა წინ ეტიკი—მაჰამა ბალაჯოვი. ძარგს ხანს ვიარეთ ტყით დაბურულ ხევ-ხევ და ბოლოს ჩამოვხდით, დავტოვეთ ცხენები და ფეხით ავედით სერზე. აქ მიჩვენა ეტიკმა ეკლესია. მას ეძახიან მცხოვრებლები „ნაზუქ-სუ ქალასა“ (პატარა წყლის ეკლესია). მას თალი სრულიად ჩამონგრეული აქვს; კედლებიც ძლიერ დაზიანებულია. ნაშენია რიყის ქვით. კედლები ჯერ გაჯით ჰქონია გალესილი და მერე მთლად დახატული; მაგრამ ნახატი წვიმა-წყალს გაურეცხია. მხოლოდ აღმოსავლეთ კუთხეში-ღა მოჩანს მთლად ტანიანად დახატული ქრისტე, რომლის თავიც შემოფარგლულია სინათლით; აგრეთვე ეტყობა საკურთხევლის ფანჯრის კედელზედ ხატი ყოვლად წმ. მღვთის-მშობლისა ყრმითურთ. სხვა არაფერია. ჰქონია გარედ აღმოსავლეთის კედელში ქვა ზედ-წარწერით, მაგრამ ის სადღაცა მიუმალავთ ლეკებს. მაჰამამ ბევრი ეძება ის, მაგრამ ვერ იპოვა. ამისათვის ვერ გავიგე, ვის აუშენებია ის ან როდის. სიგრძე აქვს 10 არშინი, სიგანე 7.

ამ ეკლესიიდგან მოჩანს ერთის მხრით ძახეთი, ძიზიყი, შირაქი და ცივ-გომბორის სუკი, მეორე მხრით სოფ. ბელაქანი და ზაქათალის ოლქა. მდებიარება სერისა ასეთია, რომ უკეთესი აღარ იქნება ბელაქანის არე-მარეში. მის აღმოსავლეთ ხევში მომდინარებს წყალი. მის ნაპირებზე ყოფილა სოფელი, რომელსაც ჰრქმევია ნამარნევი. ადგილი ვაკეა.

მრავალთა შენობათა ნანგრევებისა, სახლებისა და ეზოების მოზომილებაზე ეტყობა, რომ აქ ყოფილა დაბა-ქალაქი, საზაფხულო სადგომი ბელაქნის ძველთა მცხოვრებთა და აქვე ჰქონიათ ქართველთ ვენახები და მარნები. რამდენიმე ქვევრი კიდევაც გვიჩვენა მაჰამა ბალაჯოვმა, და აგრეთვე გვანახვინა თავის მამა-პაპათა ძველებური მამული, აწ შემოყორუღებული და სახნავ-სათეს მიწად ქცეული. აქვე აქვთ სხვა ბელაქნელებს მამულები შემოღობილი. ერთ მათგანში მიჩვენეს 300-დე ფუტკრის გეჯა. თურმე ძალიან კარგს თაფლს აკეთებს აქაური ფუტკარი.

— ნამარნევს თავისი ეკლესია ჰქონიაო,—მითხრა ეტიკმა, მაგრამ მე ვგონებ, რომ მისი ტაძარი ყოფილა ნაზუქსუს ეკლესია.

ნამარნევიდამ გავემგზავრეთ ბელქნისაკენ ტყე-ტყე. ერთი ვერსი არ გაგვეევლო, რომ ეტიკმა შემაჩერა. ჩამოვხდით ცხენებიდამ, შევედით დაბურულ ტყეში და მივადექით ერთს დანგრეულს ძველს გალავანს. ის არტყია გარშემო ოთხ-კუთხს დღიურს მიწას, მაგრამ აწ მთლად მისი გული ბუჩქნარ ტყეს დაუბურავს. მის სამხრეთ მხარეზე, დაძველებული გალავანის შიგნით არის მშვენიერი ეკლესია, მთლად აგურით ნაშენი. მას ჰქონია კარი-ბჭეც. სიგრძე აქვს 13 არშინი, სიგანე—რვა. დახურულია აგურითვე. ნაწერი არავითარი არ მოეპოვება. შიგნით კედლები გალესილი ჰქონია, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო დააფრაკებულა და აპირებს დაშლას. ნახატი არ ეტყობა. ერთი შესავალი კარები აქვს, ისიც მონგრეულია, კარი-ბჭესაც ცხვირი მიწისთვის დაუცია. ყოველივე ეს ახდენს მხილველზე ღრმა და გონება დამთურგვნელ შთაბეჭდილებას. მას სახელად ჰრქმევია დარბაზის ეკლესია.—„დარბაზ ქილისა“ არისო,—სთქვა მაჰამა ბალაჯოვმა. მაგრამ რას ნიშნავს ეს დარბაზის ეკლესია? რათა ჰქვიან მას ეს სახელი? სიტყვა „დარბაზი“ ნიშნავს სამეფო,

სათათბირო ადგილს. ნუ თუ აქ თათბიროობდნენ ოდესმე ჭერეთელნი, თუ როგორ და რა ღონის ძიებით დაიცვან სამშობლო ქვეყანა მტრისაგან! თუ ჰო, მაშ როდის? ჩემის ჰაზრით მე-XVI საუკუნეში, იმ დროს, როცა მეფე ლეონი მეფობდა ქახეთში სახელოვანად, დიდს თვალ-ყურს ადევნებდა ამ მხარეს და აშენებდა ეკლესიებს. შემდეგ დავრწმუნდებით, რომ მის-მიერ არის აგურითვე აშენებული, ზაქათალის ბოლოს, სოფ. ბაზარში, თალალების ბინების მახლობლად, დიდ-მშვენიერი ღვთის-მშობლის ეკლესია. ს. ბელაქნის დარბაზი აწ აოხრებულია. აქა-იქ მოჩანან მრავალთა სადგურების ნანგრევები, და ოხერ და ტიალ არიან ისინი შთამომავლობათა გულის საკლავად. თვით ეკლესიაც სავსეა ბინძურებით, რადგან ზამთრობით ხუნძახის ლეკები აქ ბინაობენ თავიანთ ცხვრითა და საქონლით, და ეკლესია აქვთ გადაქცეული სადგურად თვისად...

ამ ფიქრებით აღვსილი გამოველ ,,დარბაზ ქილისადამ''. ფიქრებმა უფრო-და-უფრო შეიპყრეს ჩემი გონება, შებოჭვეს და შემიბორკილეს ჭკუა. ბულმა დაჰკარგა თავისუფლება, აჰყვა მწარე ფიქრებსა, მაგრამ გონებამ კვლავ წამომიჩურჩულა: რა ხალხია ის ხალხი, რომელიც, უბედურება რომ ეწვევა •წაიქცევა, ფეხებს აპლაკუნებს და სასოწარკვეთილებით იძახის: ,,ვაიმე! მიშველეთ, მომკლესო''. არა, ასეთი ლაჩარი არ ყოფილა ქართველი ერი, არც იქნება...

თუ ასეა, მაშ გასწი ჭკუისა მერანო, და ვნახოთ, რას აღმოვიკითხავთ კიდევ ქართველთა ცხოვრების არქეოლოგიურს ნაშთებში იქ, საცა ბელაქანია. აგერ ისიც გადმოეშალა წინ თვალისა მხედველობას, მაგრამ მაჰამა ეტიკმა ამაცდინა ბელაქანს და აღმაბრუნა ერთს ხეობაში. ეივყე, მიმიველ, ვნახე კვლავ ეკლესია. ლეკები მას ეძახიან ,,შიმშატ ქილისა'', ესე იგი ჭანდრის საყდარი. ასეთი სახელი დაურქმევიათ იმ მიზეზით, რომ მის გარშემო მრავლად ჭანდრის

ხეები ხარობენ. მას ჰქონია ეკვდერები, მაგრამ ისინი ულმობელ დროს დაუნგრევია და მოუყოლებია ქვეშ ისტორიული მოთხრობანი. თვით ტაძარი კიდევ ცოცხალია. შეველ შიგ, მაგრამ ვაი, რაც მე იქა ვნახე. სალოცავი ღმრთისა სავსეა ცხვრის ნაკელით. იგი ფანჯრებამდე აღვსილია, რის გამო ეკლესიაში ძალიან ბნელა, მაგრამ მაინც შეველი შიგ. ოჰ დიდებულო ღმერთო! რა ვნახე, მე უბადრუკმა? ხატების მაგიერ თაღი შემკულია ღამურების თოფრაკის მსგავსი ბუდეებით. ისინი ეკიდნენ თაღზე ბიჭო-გოგიას ბუდესავით. გამიკვირდა, დავაცქერდი და ვიხილე ბუდეში ასობით ღამურათა შვილები. იგინი ფუფუნებდნენ. გამიტაცა ფიქრმა და ოცნებამ ჩამომძახა: იგინი მოასწავებენ საქართველოს სიცოცხლეს, სიბნელით დაბურულს, შეხვეულს ძონძებში! როგორადაც, დღეს არის თუ ხვალ, ეს ღამურათა შვილები მოღონიერდებიან, ფრთებს შეისხმენ, გამოვლენ და დაიწყებენ ფრენას, სწორედ ასრევე განიღვიძებენ ქართველთა ახალგაზდანიც, წაიძღოლებენ წინ განათლების ლამპარსა და მისცემენ საქართველოს ერს გზას თავისუფლად ამოსუნთქვისას.

ვიცი, არ მოსწონს ჩემი ასრეთი ფატალიზმური ჰაზრი განათლებულს ახალგაზდას. იგი მკიცხავს, რომ ცრუ-მორწმუნე ვარ, მაგრამ სტყუის, არ გაეგება რას ამბობს, რადგან არ აძლევს ანგარიშს თავისს თავს, რომ ფატალიზმი იმ კანონსვე გვიქადაგებს, რასაც გვეუბნება ისტორიული მეცნიერება თავისს დასკვნაში—რა არის ,,პროგრესი და რეგრესი''. ჩვენის ხალხის ფილოსოფიაც გვასწავებს, რომ წყალს, რომელს კალაპოტშიაც ერთ დროს უმდინარნია და მერე შეწყვეტილა და გამშრალა, შეუძლებელია, კვლავაც, როცა დროთა-ვითარებანი შეიცვლებიან, კიდევ არ იმდინაროს. თუ ასეა, მაშ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბელაქნის გზის პირას მყოფი თაღ-მონგრეული ეკლესია ოდესმე კიდევ აღსდგება და შეიქნება ქართველთა სალოცავ ტაძრად. „აღვა-

შენებ ეკლესიას,—სთქვა ქრისტემ,—და ბჭენი ჯოჯოხეთისა ვერ ჰსძლევენ მას!..“ იგი აგურ-ნარევად ყოფილა აღშენებული. ამისათვის ბელაქნელები მას ეძახიან ,,ყირმიზი ქილისა‘‘ (წითელი ეკლესია), რადგან აგური წითელს ფერს სცემს.

ამ ეკლესიის ზემოთ, შიგ სოფელში იყო სხვა დიდი ეკლესია. ის ვნახე პირველად 1876 წელს. იმისთვის ლეკებს ცეცხლი წაუკიდებიათ და გადუწვავთ. მთლად კომლით იყო შემურული. რომელ წმიდანის სახელობაზე ყოფილა აშენებული, არავინ იცის. ეტყობოდა-კი, რომ დიდ-მშვენიერი ტაძარი ყოფილა. მას ჰქონია თაღში სამალავებიც. ალბად ხალხი იყო შიგ დამალული, რომ ლეკებმა მას ცეცხლი წაუკიდეს და შიგ ამოსწვეს. პირველ ნახვის დროს მას თაღიცა და კედლებიც საღი ჰქონდა, მაგრამ 1898 წელს ის აღარ დამხვდა უწინდებურად. იმასა და მის გარშემო მიწას პატრონად თურმე გასჩენია ვილაცა ბელაქნელი ლეკი, სახელად ზიული. მამულის პატრონის სახელი დარჰრქმევია ეკლესიასაც. ეძახიან: ,,ზიულის ეკლესია‘‘. ,,უპატრონო ეკლესიას ეშმაკი დაეპატრონებაო‘‘,—ამბობენ ქართველები. სწორედ ამ ეშმაკ ლეკს დაუნგრევია ეს მშვენიერი ეკლესია, გადურჩევია ქვა და აგური, და სახლის ასაშენებლად ჰსურს წაიღოს; ხოლო გარშემო ერთი დღიური მიწა შეუღობნია და ჭარული თხილის ხეები დაურგავს.

ამავე ეკლესიის მახლობლად, მთის ძირში, ჩრდილოეთ მხარეს, შიგ სოფელში ყოფილა კიდევ ეკლესია. აწ მოჰყოლია ის ბელაქნელის ეზოში. ის მაჩვენა ზიორგი ზალაჯოვმა 1887 წელს. საფუძვლამდე დანგრეულა. ერთი ოთხ-კუთხიანი ქვა-ღა გდია იქ ხუცურის ზედ-წარწერით, რომელშიაც აღმოვიკითხე მხოლოდ ერთი სიტყვა „ძოსე‘‘.... ამის მარჯვნივ, აღმოსავლეთ მხარეს, ღრმა ხევში, ბელაქნის ზემოდ, ყოფილა დიდი ეკლესია, მაგრამ აწ გაოხრებულია, და ჰღაღადებს:

,,უფალო! მისაჯენ მე მტერნი ჩემნი''. ამის ზეით მთის სერს უწოდებენ ბელაქნის მცხოვრებნი ,,წერეთელთა თახთ''. უეჭველია, ის ეკუთვნით თავ. წერეთელთ, რომელნიც, როცა აქაურობაში ქრისტიანობა დაღუპულა, აყრილან და იმერეთში გადასახლებულან. მაშასადამე, თავ. წერეთელნი არიან შთამომავლობით ინგილონი—ქართველნი და არა ლეკნი, როგორც ამტკიცებს მეფე ერეკლე მეორეს-მიერ შედგენილი სია თავად-აზნაუთა.

,,წერეთელთ ტახტად'' წოდებულს სერს რომ ჩამოვჰყვეთ და წამოვიდეთ ხევ-ხევ ძირს, ბელაქნისაკენ, წინ შემოგხვდება, შიგ ხევში, კვერნაკი, რომელსაც ძლიერა სცემს ბელაქნის მდინარე, ძირს უთხრის და ანგრევს. ამ კვერნაკზე მონასტერი ყოფილა, მაგრამ აწ აღარ არის ეკლესია, მხოლოდ ნაშთნი სენაკებისა გვარწმუნებენ, რომ აქ ყოფილა, წმ. მამათა სადგური. თვით კვერნაკი მდინარეს ჩამოუჭრია ჩამოუთლია ქავკასიის მთის სუკისთვის და განუმარტოვებია. გაივლიან კიდევ დრონი და კვერნაკს სრულიად დაჰშლის მდინარე და გააქრობს ყოველივე ნიშანს ქართველთა მამათა ნალვაწევ მონასტრისას.

ამ კვერნაკის პირის-პირ, დასავლეთ მხარეს, მდინარის კიდეზე ყოფილა კიდევ სხვა ეკლესია, მაღალს ადგილას აგებული. ამბობენ, ისიც მონასტერი იყო. ლეკები ეძახიან ,,მაკავ ქილისა'' (კვერნაკის ეკლესია). ის პატივი, რომელსაც მას ბელაქნელები უყოფდნენ 1850 წლამდე, ნებას არ გვაძლევს დავამტკიცო, რომ ის იყო თავადთა სამარხი ეკლესია. მებატონეთა კარის ეკლესიაზე უმეტესი იყო ალბათ, რომ ინგოლოების მოქრისტიანებამდე (1850—1863 წლამდე) ბელაქნის მუსულმანები დიდის მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ინგილოებმა გაქრისტიანება რომ იწყეს, მაშინ ლეკებმა მოაკლეს მას პატივი და თაყვანის-ცემა. მას ჰქონია გარ-შემოვლებული სამ საჟენიანი გალავანი

ქვითკირისა. ძვითკირი ამოყვანილია კვერნაკის ძირიდგან და ორ არშინამდე კიდევ მაღლა აცილებული აქვს კვერნაკს, შიგნით მეიდანი იქნება 80 საჟენამდე სიგრძით, ხოლო სიგანით 40-დე. ეკლესია მდგარა შუაზე. ბალაჯოვები ამბობენ, რომ შიგ მარხებულან მრავალნი წმიდანნიო. 1862 წელს, ჰაჯი-მურთუზამ, მაიორმა რუსის მილიციისამ, თათარმა შთამომავლობით და მაჰმადიანმა სარწმუნოებით, ამ ეკლესიის კედლები დააქცია და მის საფუძველზე ორ-სართულიანი ბალკონიანი სახლი აიშენა. ხოლო შიგ მყოფი სამარეები დასთხარა და განსვენებულთა მღვდელ-მონაზონთა, უწყინართა ღვთის-მოსავ მონაზონთა ძვლები ამოყარა აკლდამებიდგან და ხრამში გადაყარა. ამ ბარბაროსობისა და ფანატიკობისათვის არც თვითონ იმას დაეყარა კეთილი. 1863 წელს მან მოახდინა შფოთი და არეულობა, მაგრამ დამარცხდა, მთავრობამ დაიჭირა და ციმბირში უკრა თავი ცოლ-შვილიანად. დარჩა მისი სახლ-კარი ოხრად და გატიალებული. თვით ციმბირში მოკვდა, ხოლო მისი ცოლი უკან დაბრუნდა და აწ მარტო გდია ქმრის სახლში დაფლეთილ-დაძენძილი ტანსაცმელით და ულუკმა-პუროდ ბელაქანში, ყველასაგან მოძულებული. 1887 წელს მე უბედურს შემთხვევა მქონდა მენახა იგი ჰაჯი-მურთუზას სახლში.—,,ვინა ხარო'',—მკითხა მან? —,,ვარ ქართველი მღვდელი, მლოცავი და თაყვანის-მცემელი იმ წინდანებისა, რომელნიც აი ამ შენი სახლის ქვეშ ყოფილ ეკლესიაში იყვნენ დაკრძალულნი, მაგრამ შენმა ქმარმა, ღვთის სამართლის უშიშარმა, ამოჰყარა საფლავებიდგან და უპატიოდ განაბნივნა მათნი ძვალნი''.—,,რა ვქნა, ქეშიშ (მღვდელო),—მიპასუხა მან, ბევრი ვემუდარე ჩემს სვე-უბედურს ქმარს, ნუ შეეხები ფირსაო (სიწმინდეს), მაგრამ არ გამიგონა.... და ღვთისა სამართალმა ისიც დაღუპა. მეჩითსა და ეკლესიას კაცი არასოდეს არ უნდა შეეხოს მტრულად,—დაუმატა მან,—ამისათვის რომ ისინი არიან გამ-

ჩენ ღმერთის სადიდებელნი სახლნი''-ო.—,,მართალს ამბობ, მაგრამ შენმა ქმარმა, თავის ამაყობით წაქეზებულმა, შეურაცხყოფა მიაყენა ქართველთ შეიხებს (წმიდანებს): თავზე დაუქცია ეკლესია და მათი სამარენი შებილწა''.—,,ღმერთმა ჰკითხოს მას, ჩემი რა ბრალია. მისის ავკაცობით დღეს მეც ამ ყოფაში ვარ ჩავარდნილიო''!.. კიდევ რიღასიც თქმა ჰსურდა, მაგრამ გავშორდი მას, გარს შემოვუარე სახლს, გავშინჯე საფუძველი ეკლესიისა და გამოველ დაფიქრებული და გულ-ამღვრეული, მაგრამ იმ რწმუნებით, რომ აქა ყოფილა ლავრა ბელაქნისა, რომელშიაც მოღვაწეობდა პატიოსანი პიმენ სალოსი, რომელიც მოვიდა აქ ბარეჯის მონასტრიდგან. მასთან ერთად მოღვაწეობდა „დიდიც იგი მოღვაწე ანტონ ნაოხრებელიძე, ნათესავით მესხი“ *).

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) „ქართლის ცხოვრება“, 1273—1289 წ.

გ უ რ ი ა

(შემდეგი *)

გურიაში მიწა მოშავოა, ეწრებზე-კი მოყვითალოა; თეთრი—თავის დასაბანი მიწაც ბევრია. **მ**ადნეული: მიწა-ტალახი მრავალია აქა, მაგრამ ვინაა იმის მცოდნე, რომ გამოიკვლიოს ესენი? **ნ**ავთიც ბევრია. **დ**ღეს-დღეობით საკუპრეზე **ს**უფსა-**ნ**ატანებს შუა ინჟენერების წყალობით ბევრგან იბურღება ადგილები, შესატყობად იმისა, თუ რავდენი იქნება ნავთი აქა?

ნიადაგი აქ მეტად ნოყიერია, მეტადრე შავი მიწის. **ა**ქაურს ნიადაგს უმეტესად მოჰყავს სიმინდი და ღომი, რომლითაც იკვებებიან გურულები.

ზეგნეები უკეთესია მერეებზე და მერეები ეწრებს სჯობია.

აქაურ ნიადაგს ბევრი უცხოეთის (ამერიკული, ევროპიული და ინდო-ჩინური) ყვავილ-მცენარეობაც მოჰყავს, ამისათვის გურულს უცხოეთის ყვავილებით მოლამაზებული აქვს კარ-მიდამო.

გურიაში ბუდობს შემდეგი **ფრინველები**: გარეული ბატი, იხვი, ქათამი (გინა ტყის ქათამი და წყლის ქათამი), მტრედი, შაშვი, ჩხარტვი, მხარწითელა, სკვინჩა, ბეღურა, კოდარა, ღაჟო, ოფოფა, ღალღა, ჭყიამპო, მიმინო, მწყერი, ქორი, ჯაჯა, ძერა, მერცხალი, მაფხაჭუნა, თავშავა, ჩხიკვი, თოხი-ტარა, მთის-ჩიტი, წყლიშაშვი, ღრიფი, გაიდონა, კუ-

---

*) იხილე „მოგზაური“ № 5.

ლუმბური, ყანჩა, მებოლოკიე, მაბზაკუნა, ყვავი, ჭილყვავი, ყორანი, წყლის-გიორგა, ყელწითელა, ჩიჩხინაკი, ჭინჭალა, ბოლო-შავი და გვრიტი. *)

ოთხ-ფეხი: ტურა, მგელი, ღორი, მაჩვი, შველი, კვერნა, წავი, ყავი, ფოცხვერი (ბებერი ტურა), ტყის კატა, ვირთაგვა, თაგვი.

ქვე-ძძრომი: ღვაჭაჭა, თავ-კობალა, ბაყაყი, გომბიო, გველი, ტინტილა, სლიკვი, ცხრა-ფეხა, კიბო, ხლუი, ფუღუ, ზღარბი.

მწერი: კორიზა, ჭიანჭველა, სკა (ფუტკარი), პწერი (ბუზი), ბორბალა (ობობა), ციცნათელა, კოღონა, პუჩკური, ფუცუნცელა, ხარაბუა, კუდბუზელა, ძაღლი-მწერა, ლოქორიე, პეპელა სხვა-და-სხვა სოისა (მსგავსი), ღამის პეპელა.

თევზი: ნაფოტა, ლიფსიტი, ხოშნა, ჭარფალი, ღორჯო, კალმახი, წვერედა, ქაშაპა, ორაგული.

მცენარეობა შემდეგი ხაროას აქ, **ბურიაში**: ჭინახუდი: ღომი **), სიმინდი ***), ჭვავი, ქერი.

ბალჩეული: ლობიო (წილობიო, ხოხიე-ლობიო, მიწის-ლობიო, ყვერება-ლობიო, ქონა-ლობიო, ღჯის-ლობიო, რუსული-ლობიო), კიტრი (მიწის კიტრი, ღჯის კიტრი, რუსული კიტრი), ბადრიჯანი (გძელი და წითელი), ცერცვი (ოქრო ცერცვი), ნესვი, კართოფილი, ხაპი, მწარე-ხაპი, ხაპერა, ბოლოკი, თვის ბოლოკი, ჭარხალი, სტაფილო (უკანასკნელი ორი ნაკლებადაა).

ფხალი: კეჟერა ფხ., ჭიჭლაყა, სვინტრი, ჭყანა, ჭანდუა,

---

*) გაიდონა, ჩხარტვი და მაძალი შაშვი მშვენიერად გალობენ.

**) კუხურაი, ბარამულაი, მათრახაი, ჩაქურა ღომი და ძირდაბალაი.

***) თეთრი სიმინდი, ჯორიელა სიმინდი, ალაზანი სიმინდი, წითელი სიმინდი.

ჭინჭარი, მოლოქაი, უმბალო, დედლიქონაი, ფშალაი, ეკალაი, ძიგურაი, ქათანაცარაი, ხვართქლაი, ქათმიქონაი, ძროხი-ენა, კატა კატაბარდაი სუქანა.

ძწვანილი: წიწმარიტაი, ხახვი, სოხი, ქინძი, მდოგვი, შაშტრამი, ნიახური, ნიოორი, პრასა, ქონდარი, პილპილი, მაკიდო, კამა, კლიავი, პიტნა, ზაფრანა (ამათში სუნნელი ბევრია).

ყვავილები: ამერიკა-ევროპიული ყვავილები, ია, ვარდი, ბაია, იასამანი.

სოკოები: კვერცხის სოკო, ქვეშ-წითელა, ხის ყველის სოკო (იჭმევა ესენი); გველის სოკო, ბებერა, ტყაველა, ხის სოკო (ამათში ბევრი შხამიანია და არ იჭმება).

სამკურნალო: მრავალ-ძარღვა, მკვდარი ვაშლი (ჭრილობისთვის სახმარია), ანწლი (მუცლის ტკივილისთვის), კაკირა (ორსული ქალის მუცლისთვის), ოხატუა (ხის დასამყნად), კოთხოჯი, ოსოპონტრო (გულის ტკივილისთვის, მეორე—პაპასკირისთვის), ხვართქლაი, ინა, კანაფი, ჩალამ-კალამი, ია, ჭადა-ჭადაი, ისრიხა, ქრისტე-სისხლა, ძირმწარა, თაქოსტა, ელისაგორაი (ცხენის).

შხამიანი: მგლისოკო, თავნიოსი.

უბრალო ბალახები: ბურძგატალა, გვიმრა, წალიკა, ძაღლი-კამნიე, მწყერის-ფეხა, ლერწამი, ტრიეკუდა, ბურჩხი, ძია-რძუა, ტაბელა, ცაცხა-ცაცხა, აღვალო, დათვი-ფანჩარაი, ცხენი-კბილაი, ზარბაზანაი, აპუტრაკი, ძულუღვა, ხოზიაკა.

ხე-ხილი: ყურძენი (ჩხავერი, კლარჯული, ოროონაი, სამარხი, იზაბელა (ადესსა), ბადაგი, თეთრიშა, შავყურძენა, წუმბური, მტრედის-ფეხაი, კოსმული (ართვინულია), მახატური, ღარი-თვალაი, კამური, ათინური.

ვაშლი: წითელი ვაშლი, შავი (ნაცარა) ვაშლი, სანეფო ვაშლი, დემის ვაშლი, ლიმონის ვაშლი, ბია ვაშლი, გემის ვაშლი, პანტა ვაშლი.

მსხალი: ხეჭეჭური მსხალი, ხატრის მსხალი, საივანობო მსხალი, კაკის-თავა მსხალი, კვირისტავა მსხ., ბია მსხ., სასელა მსხალი, მსხალ-ყვითელა, მოლაზურის მსხალი, მსხალ-გიდელა, მომღრის მსხალი.

ბალი: ვიშნა-ბალი, კახა-ბალი, ალექ-მალექის ბალი, კახაბალის ბუში, შავმბალა, მაისის ბალი.

ტყემალი: წითელი ტყემალი, ყვითელი ტყემალი, ოტურა, ქლიავი, ალუჩა, კორკიმელი, ბჟოლი (თეთრი, შავი), ბროწეული, ბია, ზღმარტლი, ხვიმრა, წაბლი, მოცვი, დათვი-სხალა, მწყავი (თეთრი და შავი).

ატამი: სათუთქი, სათალი, ვაშლ-ატამა.

თხილი: ბერძნული თხილი, ჩხიკვის-თავა, გულ-შიშველა, საფერისცვალობო თხ., ველური თხილი.

ნიგოზი: თქლიფი ნიგოზი, კერკეტა ნიგოზი.

ლეღვი: ჩიტლეღვა, თეთრ-ლეღვა, შავ-ლეღვა.

ჩირგვები, (რომლის ნაყოფი იჭმება): ბარძაყაი, კონწარუხი, მაყვალი, ასკილი და ეკალაი, შკერი, იელი, სურო (მომხვევია) და ბარდი.

უბრალო ხეები: ძეწნა, ჭანდარი, ცაცხვი, წიფელა, ლუქუმხა, ბაძგარი, ძმერხლი, თელა, თხიფსელა, შავი ხე, ეკლის ხე (აკაკი), ურთხელა, ტირიფი, დაფნა, კერხლი, ხე ვარდი, ჭილხრჩილა, კვიდო, კოპიტი.

მიწები **ბ**ურიაში მეტად ძვირია სიმკირისა გამო, და ამიტომაც აქაური გლეხი (კაძახი) თავად-აზნაურთა (მემამულების) მიწას მუშაობს და ღალას (საყანულს) სოფელში ნახევარს აძლევს და გარედ-კი მესამედს, მეოთხედს და მეხუთედს (ეწრებში); ყურძნიდგან და ხილიდგან ნახევარს აძლევს სანაშენო მამულიდგან, სადაც თვით კაძახი სახლობს. **ბ**ევრმა კიდეც დაიხსნა თავი და ბევრიც თავ-უხსნიერია. **ს**აწყალი გურული კაძახი შრომობს და სხვისათვის, თვითონ კი არა რჩება-რა.

მიწა ქცევა აქ 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ფასობს 25—

60 მან. მოუშენებელი, ხოლო (მომუშავებული) მოშენებული 100—200 მან.

ზურიინ ნაწარმოებს შეადგენს: ღვინო, ოტკა, აბრეშუმი, სიმინდი, ღომი, ხილი და ყველი *). ოტკიდგან შევა ზურიაში დაახლოებით 60,000 მან., ამდენივე სიმინდიდგან; ღვინიდგან 20,000 მან., ამდენივე თუთუნიდგან (თამბაქო). ხილიდგან 5,000 მან., პარკიდგან (აბრეშუმის) 200,000 მ. სულ ზურია გაჰყიდის 285,000 მან. ნაწარმოებს.

ზარედ გასულნი: ვაჭარნი, ჩინოვნიკი და სხვანი შემოიტანენ არა უმცირეს 365,000 მან. და თითონაც იმუშავებენ სახლისათვის 1,000,000 მან. მაშასადამე, ზურიაში, სულ ბრუნავს 1,670,000 მან.

აქაურები რადგან ხელგაშლილად სცხოვრობენ, ამისა-

---

*) ფველის კეთება გურიაში. კვეთს (ფველის დედას) ცხარე ძმარში ინახვენ კარგა დამარილების შემდეგ. რა მოწველენ რძეს, გასწურვენ და ერთს კოვზს ძმრით დამდგარს კვეთს ჩასხამენ (ჩაჭკვეთენ), მოურევენ რითიმე და ჩაიკვეთება. მისდგამენ ნელს ცეცხლთან და შეათბობენ ქოთანში. გათბობისას ჩაჭეოფენ ხელს და ხელის ზურგით რა შესწრიან (ამოურევენ), აწვებიან და შეგრილი რძე, გინდ მაწონი, ძირში ილეკავს. ამოიღებენ ხელში და გასწურავენ დაგუნდავებულს ორივე ხელითა, იგი მომზადილი ყველია, დააყრიან ნახევარ მუჭა მარილსა და ქოთანში შეინახავენ.

ჩვილს ყველს გადაზელენ, აი როგორ: ჩვილ ყველს, რომელსაც ხელური ჭქვიან, ფიცხლად და თხლად ასწრიან, ამ აწრილს მდუდარე შრატში (აქ სველს ეძახიან), ჩაჭერიან, აწრილი ერთიან მოუშვებს და მოიხარშება ჩვილათ, მერე ამ რბილს, მოხარშულს ნაკვეთებს ერთი-მეორეზე გადაუფენენ და რავდენიმე ფურცელს დაადებენ და ისე შეინახავენ—ჭქვიან გადაზელილი, რომელიც გემრიელია.

აადუღებენ სველს და რა გამოვა დო, ანძლატი ჭქვიან, აქაურად ნადუღი და ნადუღის შრატი კი წურუქაი. უბალახობისა გამოზირუტუვი ძვირია აქა.

თვის, თავიანთი აღებული არა ჰყოფნით და ვალებს იღებენ. თვითოეული მოსახლე, ორთა შუა რიცხვით 150 მან. ივალებს, სულ-კი 1,200,000 მან. ასე ამ გვარად ბურიაში ხარჯვენ 2,870,000 მან., ხოლო შემოსავალი აქვთ 1,670,000 მან.

მიზეზი ხელ-გაშლილი ხარჯებია, რომ ხალხი აქ მეტად დალარიბებულია მთელს საქართველოში. ბურიაზე ულარიბესი ხალხი ნაკლებათაა და ამათზე უმდიდრესად მცხოვრებნიკი თვით ცხოვრებაშიც ნაკლებია. ლარიბებიც არიან და არც არაფერს არ იკლებენ. ბურულებმა ქორწილ-ტირილში, წვეულებებში ისეთი მასპინძლობა იციან აქ, რომ საკვირველი.

ბურიაში შემდეგს მშვენიერს გემოვანს საჭმელებს ამზადებენ: ქათამს წვნით, ყალიოთ მოხარშულს საწებელით, თევზს წვნით, ხარშოს, ამოლესილ ლობიოს, შეზელილ ლობიოს და მხალეულობას. იციან აგრეთვე შემდეგი საჭმელები: რძის ქაში, ნადული, გადაზელილი, ბრინჯის ფლავი და სხვა მისთანები.

ნამცხვრიდგან შესანიშნია: ხაჭაპური და ყველიანი მჭადი. საშინაოდ ხარჯვენ მჭადსა, ღომსა, მჭადის ღომსა.

ბურული მანდილოსნები თუმცა ბევრს საქმეს აკეთებენ, როგორც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მარა ის მრავალი საქმე, თავის სიჩქარისა გამო, სამ-ოთხს საათში კეთდება—სადილი და იმის დაგვარ საღამოს ვახშამი და ამისთვის უქმი დრო მეტი რჩებათ, რომელსაც თავისი უთაურობით და ზარმაცობით ბევრნი უქმათვე ატარებენ. მართალია ყაჭობა-აბრეშუმის პარკზე დიდი სასჯელი უძევთ ამათ, მარა, ეს თვენახევარს აქვთ და შემდეგ ხანებში, ხსენებულ საქმეების შემდეგ-კი უბრალოთ სხედან სახლებში ბევრი მათგანი მორთულ-მოკაზმული, სახეზე ფერ-უმარილ წასმული, რომელნიც ურთ-ერთ მეზობელთა შორის დაიარებიან და ცის და ქვეყნის ამბავს ლაპარაკობენ და ზოგნიც ჭორებსა სთხზავენ, და ან რა გასაკვირველი იქნება, რო უკანასკნელთ ეს უქმი დრო არშიყობასაც მოანდომონ.

ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲒᲐᲨᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲯᲒᲣᲤᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲒᲣᲠᲣᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲭᲣᲠᲛᲐᲛᲣᲚᲘ (ᲛᲐᲛᲣᲚ-ᲓᲔᲓᲣᲚᲘ) ᲛᲘᲬᲐ, ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲢᲧᲔ, ᲡᲐᲮᲜᲐᲕᲘ ᲡᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡᲡᲐᲕᲔ ᲝᲠᲚᲝᲑᲔ-ᲔᲖᲝᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐᲪ-ᲙᲘ, ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲡ ᲦᲝᲑᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲫᲚᲘᲡ ᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲤᲔᲮᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲓᲒᲐᲛᲡ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲨᲘ; ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲝᲤᲜᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲠᲐᲕᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲕᲔᲠᲡᲝᲑᲘᲗ ᲘᲭᲘᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗ-ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘᲐᲪ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲠᲔ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲪᲐᲐ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲕᲡᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲠᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ-ᲔᲠᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲘᲛ ᲜᲐᲘᲠᲡ ᲣᲖᲐᲠ-ᲛᲐᲖᲐᲠᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ, ᲠᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲔᲓᲐᲠᲔᲑᲐ. ᲒᲣᲠᲣᲚᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲐᲗ ᲝᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ 20—30 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲝᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲔᲓᲒᲐᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲫᲐᲮᲔᲑᲡ-ᲙᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲪᲮᲔᲑᲘ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲛᲐᲗ ᲰᲑᲐᲫᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ.

ᲝᲓᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲐᲗᲐᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ; ᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲜ ᲤᲐᲪᲮᲐ ᲣᲓᲒᲘᲐᲗ, ᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲙᲐᲠᲘᲔ (ᲡᲐᲥᲐᲗᲛᲔ), ᲡᲣᲚ ᲣᲙᲐᲜ ᲦᲝᲑᲔᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲦᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲢᲐ (ᲮᲐᲚᲮᲐᲛᲘ) ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲜᲐᲚᲘᲔ, ᲝᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐ ᲞᲘᲠ ᲑᲔᲦᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲤᲔᲐ, ᲝᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲐ, ᲣᲙᲐᲜ-ᲙᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲝᲡᲕᲔ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲣᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲒᲣᲠᲣᲚᲘᲡ ᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ: ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲙᲐᲛᲝᲓᲘ, ᲙᲠᲐᲝᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲝᲚᲘ, ᲖᲔᲓ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ. ᲫᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲡᲔᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲝᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ: ᲡᲐᲮᲚᲡ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ; ᲮᲝᲚᲝ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲝᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ

წინ და უკან პირ და პირათ. Cუდი ჩვეულებაა, რომ სამზარეულოს და სახლს ორს პირდაპირ კარებს ატანებენ გურულები, რადგანაც ორ კარში შემოსული ქარით ცივდებიან და მიზეზი უმთავრესათ ესაა, რომ აქ ჭვალი ხშირია და აფთიაქის იოდი არა ჰყოფნით ხოლმე. Bუაში კერაა, რაზედაც სხვენიდგან ჯაჭვია ჩამოშვებული კაუჭითა ჩალხნების ჩამოსაკიდათ და ასადუღებლად საჭმელისა. Sხვენზევე ჯაჭვთან მარილის კოთხოს (ჭურჭელს) და საკრელს (ძმრის დოქს) ნახავთ. Kედელთან გამწვდენი კრაოტია, რომელსაც ლოგინს ეძახიან, ზედ სეფეთი (სკივრი) იქნება. Kერა გარშემო ჯორკოებითაა მოწყობილი დასაჯდომათ. იქავე კეცი და ჟესტი აგდია თუ სხვა სამზარეულო არ აქვსთ და თუ აქვსთ, ესენი სამზარეულოში იქნება. Aქავეა: საწნახელი, Bარი, თოხი, ფქვილის კოთხო, გობი, საცერი, ხელგობა, კოთხო, ლაფერა, ჩოგანი, ფილა, ქვა სანაყი, ქოთანი, კოჭობაი, დერგი, დოქი, ლაგინა, ჭარიკა, ნატეხარაი, ვარცლი, Cალხანა, კაპჭანა, კარდალა, ტაფა, ტაშტი, თუნგი, ბოთლი, ჭიქა, გიდელი, გოდორი, გორიცა, კალათა, სუფრა, Bუდე, წალდი, ნაჯახი, ცული, ლასტი და სხ. Bარეთ-კი მარანზე, რომელიც ცის ქვეშ ცხემლის ხეებით მორგულია და შიგ ჭურები ფლია ღვინით სავსე, ნახავთ იქ ხეზე: კოპეს, ორკოპეს, ორჩხუშს, როგოს და სხ. Bარეთ ნალიეს ქვეშ ან სეფაში ნახავთ ურემს და მის მოწყობილებას—კავს, სახნისს და ამისთანობას.

Bურიაში თავად-აზნაური და კაძახი ერთნაირათ ცხოვრობენ და ვერაფრით გაარჩევთ მათ ერთ-მეორესგან თუ არ წოდებითა. Cართლში რო იძახიან: „მე თავადიშვილი ვარ და შენ გლეხი, თაყვანი მეცეო“, აქ ეს არ არსებობს. Rაც კაძახია, ის კეთილ-შობილია. Eრთი შემთხვევა იყო აქა: ერთი აზნაურიშვილი კაძახს შეხვდა და კაძახი უდიერათ მოექცა აზნაურიშვილსა, რომელიც ცხენზე ბრძანდებოდა. Cხენო-

სანმა იწყინა და შეუძახა: კაძახო, რავა მიბედავ, ხედავ ამასო და მათრახი ასწია ზევით, რომ გაუშალოს სახეში, მაგრამ, სანამ მათრახს აიღებდა კეთილ-შობილი, კაძახმა ფიშტო იძრო წელიდგან და ცხენიდგან გადმოუძახა კეთილ-შობილი. ამისთანა მაგალითები მრავალია აქ მხოლოდ ამისთვის, რომ გაერთება სრულებით სუფევდეს ხალხში.

ორივე წოდებავე ერთნაირათვე იცმენ სუფთათ და მშვენივრათ ჩაქურას (მოკლე ჩოხა-შარვალსა), წელზე არტყიათ ბელ-ყაიში, ყამა, ფიშტო აქვთ გარჭობილი, ჰკიდიათ მათარა. თავზე კაბალახი აქვთ და ფეხებზე პაჭანიკით მოწკეპილი წულები მესტებით. ამ გვარათ ჩაცმული გურული მნახველს მოეწონება; გურულის სიჩქარეს ძალიან ხელს უწყობს თავის სიმჩატე.

ახალ-მოდაში გძელი ჩოხა-ახალოხიც შემოვიდა. მანდილოსნები ევროპიულათ და მოქალაქურათ იცმენ და ნაციო ნალური ამათ არა აქვთ რა, გარდა წარბების შეღებვისა და ფერ-უმარილის წაცხებისა სახეზე.

გურულების საყვარელი ერთად-ერთი იარაღია და მონადირეობა ხომ უსაყვარლესია. ჯარში გასვლა მათთვინ ერთად-ერთ სამოთხეს შეადგენს. წვრილ-ფეხობასაც 5—6 წ,, ისე უყვართ იარაღი, რო ხიდგან გათლილ სატევარებს წელს ირჭობენ და მითი ამაყობენ ხოლმე.

ზურულებს სიმღერაში პირველი ადგილი უჭირავთ მთელს საქართველოში. მღერიან სხვა-და-სხვა ხმით ორპირა-ერთპირათ და სხ. (დამწყები, მოძახილი, მობანე და გამყინვარე უსაჭიროესია და მასთანვე სხვაც). უმეტესნი მუზიკის მოყვარული არიან. ზურულთ თავიანთი საკუთარი მემუსიკენიცა ჰყავთ, რომელნიც მთელს რუსეთში და თითქმის ევროპაშიაც მიდიან და თავიანთ ნიჭს აცნობებენ უცხო ხალხს და აკვირვებენ კიდეცა. სიმღერაში 3—5 წ. ბავშვებიც იღებენ მონაწილეობასა. ზურულების სიმღერის საუკეთესო თვისება მიეწერება

ადგილობრივი მგალობელ შაშვ-ჩხარტვთა, გაიდონათა (ბულ-ბულთა) და სხვა ფრინველთა, რომელნიც უფროორე მაის-თი-ბათვეში უწყვეტლივ დღე-ღამე თავიანთ შვენიერ შეჟღრია-მებულ ან გაბმულ სტვენა-გალობით აცხოველებენ ბუნებას და გურულთა ყურთა-სმენას ატკბობენ, რის წახედვით გატა-ცებულნი გურულნიც ბაძავენ მათ.

ქ. ბვარამაძე

(შემდეგი იქნება)

ბორჩალოს მაზრა

და მასში მცხოვრები ქართველები.

ბარდა ბერძნების და რუსებისა, მთელს ბორჩალოს მაზრაში ქართველებიც სცხოვრობენ, ზოგნი მკვიდრნი და ზოგნიც ჯავახეთიდგან გადმოსულნი, ყოფა-ქცევით შესანიშნავი მშვიდობიანნი, სარწმუნოებით ფრიად მტკიცენი,—მთელის აქაურის ქრისტიანების მაგალითნი. სცხოვრობენ მეტი ნაწილი თავადების მამულზე და სხვა პირებისა. საშინელი საშუხარო ვაების ცხოვრება აქვთ, რადგანაც ჩვენს მემამულე თავადიშვილებს აქაური მამულები ზოგი დაუყიდნიათ და რაც შერჩენიათ აქამომდე, მოურავებად ყველგან ს—ი ჰყავთ, რომლებიც განწირულებამდე უდიერად ეპყრობიან ქართველ გლეხებს... ბარდა ამისა, აქ არ მოიპოვება ისეთი სოფელი, რომ ქართველებთან ერთად თათრებიც არ იყვნენ დასახლებულნი, სომხები კი აუცილებლად თითო სოფელში ექვსი ან მეტიც ურევიან. ქართველები მისდევენ ხვნა-თესვას, ჰყავთ ცხვარი, აშენებენ და აქვთ შესანიშნავი ვენახები, რომლებიც ირწყვება მდ. მაშავერიდგან გამოყვანილის რუვებით. მაშავერი გადმორბის ძველ დმანისის გვერდზედ, სადაც აგებულია შესანიშნავი ძველი უშველებელი ტაძარი.

დღეს ს. დმანისი შეადგენს სომეხთა მდიდრების საკუთრებას. ამ ხეობის სოფლები შეადგენენ 11 თუ 12 სამღვდელო სამწყსოს. თითო სამწყსო შესდგება ექვსი ანუ შვიდი დაფანტული სოფლებიდან. რამდენიმე სამწყსო სოფელი შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომლებშიაც ქართველებს გარდა არეულად სცხოვრობენ თათრები და სომხებიც. ეკლესიე-

ბი ყველა სოფლებშია, ჩვენ წინაპართაგან ძველად ნაშენნი, დღეს ზოგი მათგანი სომხების ხელშია.

ძვირფასი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიისათვის, რომ ქართველთ, რომლებიც არეულად სცხოვრობენ სუნითებთან და შიებთან ერთად და წამ-და-უწუმ ლაპარაკობენ მათს თათრულს ენაზედ, დღესაც არ დაჰვიწყებიათ თავიანთი სამშობლო ქართული ენა, მაშინ როდესაც იშვიათია შეხვდეთ აქ იმისთანა სომეხს, რომ თავისი ენა იცოდეს, ამ სოფლებში მკვიდრთაგანმა *). თუმც აქეთ მხარეს სოფლებში იშვიათია სკოლები, მაგრამ ქართველნი თვითონ მცოდნენი ავრცელებენ ახალ-თაობაში წერა-კითხვას. მრავალი მათგანი ნემეცურადაც კარგად ლაპარაკობს, რადგან მეზობლად ჰყავთ ნემცები.

ჯეშმარიტებას გადმოგვცემს აქაური ისტორია, რომ ოდეს თათრები იკლებდნენ აქაურ მხარეს, მაშინ სომხები მოდიოდნენ სამხეთიდამ და აქაურ დაცარიელებულ ალაგებზედ იკალათებდნენ. თუ სადმე ქართველნი იყვნენ დარჩენილნი, მოსულნი სომეხნი იმათთანაც ერეოდნენ ტკბილის ენით. თბილისის აზნაურთა დეპუტატთა ყრილობის საქმეებიდგან სჩანს, რომ ოდეს საქართველო რუსეთს შეუერთდა, საქართველოში გამოგზავნილ იქმნა ვინმე ბ. ქრილოვი; იგი სწერს შულავერში მცხოვრებს ყალანთარ ყალანთაროვს, რომ მას დროებით მიეღო მმართველობა იმ საუფლისწულო მამულისა, რომელშიაც სცხოვრობდა წინედ შვილის-შვილი ქართველთ მეფისა ალექსი. საქმეებიდგან აღარ სჩანს ბ. ქრილოვი რა იქნა, დროებაც არეული გახლდათ იმ ჟამად საქართველოში და მას აქეთია, რომ ეს უძვირფასესი მამული დღევანდლამდე ყალანთაროვებს დარჩათ.

---

*) ჩვენის აზრით ეს იმით აიხსნება, რომ ესენი ტიბეთით სომეხნი არ იქნებიან, თუმცა რჯული კი სომხის უჭირავთ. რედ.

ბრძანებისამებრ სასულიერო მთავრობისა 1899 წელში გაგზავნილ ვიყავ ბორჩალოში ეკლესიის აშენების საქმეზედ. აქ მიამბეს, რომ ამ ულანთაროვებმა, მას შემდეგ, რაც ბ. ქრილოვმა მათ მამული ჩააბარა, დაშალეს იქ არსებული ფეერას-ცვალების ეკლესია სამეფო სასახლისა და ქვა მისი იხმარეს ახალ შენობების აგებაზედ; იმ კომისიას კი, რომელიც დაარსებული იყო საქართველოს მამულების გასაზომ-დასაყოფად, თბილისის სუდ-პალატის 1867 წელში განუცხადეს, რომ მათ, ულანთაროვებს, ეს მამული დაჩემებული აქვთ ძველ დროიდამვე, როგორადაც სახელმწიფო მამული. არსებულის კანონის ძალით მამული დაუმტკიცდა მათ, როგორც სახელმწიფო, და შულავერში მცხოვრებნი მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი კი დღესაც ვერ შოულობენ შესაფერს ალაგს, რომ იქ ეკლესია ააშენონ, თუმცა ფული უკვე დიდი ხანია შეკრებილი და შარშან სამღვდელო მოსამსახურეთა შტატიც გამოცხადდა.

ბოლნისის სიონის ტაძარი, აშენებული მეხუთე საუკუნის ნახევარში, ფარსმან IV-სგან, ქართველთა მეფისაგან, და კათედრა ქართველ ეპისკოპოსთა, დღესაც სდგას, როგორც საუკუნო სახსოვარი, ქართველთაგან რჯულისათვის და სამშობლოსათვის სისხლის ღვრისა. ამთა უწყალო ვითარებისაგან დღეს იგი ნახევრად მიწაშია დაფლული, ვიწროდ არტყია გალავანი ქვისა, წინ უდგას მაღალი სამრეკლო წარწერით, რომელიც პირდაპირ თვალით ვერ წარიკითხვის, გარშემო არტყია ვენახები, მერე სასახლე იქ მცხოვრებ თათრისა და მერმე ირგვლივ არტყია მშვენიერი სახნავი, სარწყავი მიწა 100 დესეტინაზედ მეტი, საკუთრება აღალარებისა ეფენდიებისა, რომლებიც, ტაძრის გვერდზე სცხოვრობენ. ფრიად არ ეჭაშნიკება ხოლმე ჩემი მისვლა იქ ამ აღალარს. ამ ეფენდიებსაც ეს კარ-მიდამო ეკკლესიისა ისევე აქვს დაჩემებული, როგორათაც ულანთაროვებს—შულავერ-

ში. ნეტა იმ დროს ადგილების მზომავი რას ფიქრობდა, რომ ამ სიწმიდის კარ-მიდამოს თათრებს უზომავდა?! ამ ეკლესიის პირ-და-პირ, წყლის გაღმა, მთის წვერზე, სდგას ეკლესია მსგავსი თბილისის სიონისა, გუმბათიანი, ყვითელის ქვით ნაშენი და შესანიშნავის ჩუქურთმებით მოკაზმული; დღეს მარტო გუმბათის თავი აქვს დანგრეული. ეს ეკლესია სდგას აქაური თუჯის ქარხნის პატრონის ი. თ. ბოღაჩის მამულში, რომელიც, როგორც მან თვით მითხრა, აპირებს ამ ეკლესიის განახლებას. ამ ეკლესიის ქვევით, აღმოსავლეთისკენ, მთის ძირში, გაშენებულია ხატის-სოფელი (პატარა ბოლნისი). ეს სახელი ძველ დროიდგანაა, რადგან აქ ქართველებს, ისეთი ძლიერი ხატი ჰქონიათ წმ. გიორგისა, ეკლესიაში, რომ ყოველ წლივ ამ ხეობის ხალხი აქ იყრიდა თავს ხატობაში. დღეს ეს ეკლესია სომხებს უჭირავთ, თუმცა ამ სოფელში 37 კომლი ქართველია და 7 სომეხი. გარდა ამ ეკლესიისა, აქვე აშენებულია ლვთის-მშობლის სახელობაზედ პატარა ეკლესია, როსტომ მეფის და დედოფლის მარიამის აშენებული, მათის შვილის გედალის სულის საცხონებლად (როგორც სჩანს წარწერიდან). წირვა-ლოცვა ამ ეკლესიაში სრულდება ქართველთათვის, ხოლო წმიდა გიორგის ეკლესიაში სომეხთათვის. ეს წმ. გიორგის ეკლესია დაუპყრიათ სომხებს წარსული საუკუნის პირველ ოც წლებში, ვინმე დიამბეგის შანშიევის წყალობით და წმ. ტრაპეზი სომხურად შეუცვლიათ. ახლაც არიან ამ სოფელში ამის მომსწრენი ქართველნი და თვით სომეხნიც. დღესაც დღესასწაული ხდება აქ 10 ნოემბერს ყოველ-წლივ, სომხების კალენდარში-კი ამ დღეს არც გიორგი იხსენება და არც გეურქა. ეს დღესასწაული ნამდვილი „ნაციონალური“ დდესასწაულია ქართველთა და არა სომეხთა, არც სხვათა. სომხებს ტრაპეზის გადაკეთებისთანავე, დავიწყებიათ ეკლესიისათვის სახელიც გამოეცვალათ. აქამომდე 10 ნოემბერს, რომელ დღესაც აქ თავს იყრის თბილისის მდიდარი სომხობა, წირვის მერე გამოვიდოდნენ შვიდი ტერ-

ტერა „ბორძაკლითურთ“ (ბლალოჩინით) სადღესასწაულოდ შემოსილები და უვლიდნენ ქართველებს. მათ უკან მისდევდნენ ოთხი თუ ხუთი კაცი, რომლებიც ჰყიდდნენ წმინდა სანთლებს და ყულაბებით ფულსაც აგროვებდნენ მლოცველებში, შესაწევნელად და გასავრცელებლად სომეხ-გრ. საზოგადოებისა, რაც აკრძალულია კანონით (Циркул. отнош. Мин. Внутр. Д. къ нач. обл. и губер. отъ 10 Іюня 1889 г. № 2772 и 30 Дек. т. г. № 3798. „Собр. узак. кон. и распр. прав. 1890 г. № 17, ст. 662). ამ ნაირი ქცევა სომხებისა წარმოგიდგენდათ თვალში სწორედ ეჩმიაძინს და არა ხატი-სოფელს. ეს ამბავი აცნობა მთავრობას და პოლიციას ადგილობრივმა მღვდელმა და მას აქეთ აი ორი წელიწადია, რომ ქართვლის სოფელში სომხები „კრესტნი ხოდს“ ვეღარ კადრულობენ. ამ ეკლესიაზე და ს. რატევნის ეკლესიაზე აღძრა კითხვა წინაშე სასულიერო და სამხედრო მთავრობისა 1899 წ. ადგილობრივმა მღვდელმა ძ. ს. ბაიდოშვილმა და როგორც ხმა დადის, უკვე დავალებული აქვს მათს უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ბირიონს საფუძვლიანად გამოიძიოს ამ ეკლესიების საქმე და დაუბრუნოს ისინი ქართველებს. რატევნის ეკკლესიის ამბავს ჩვენ შემდეგ მოვახსენებთ „მოგზაურის“ მკითხველებს.

ბ.

წმ. მოღვაწე ნინო

შემდეგი *)

მოვვთპეტი **ბ**ორანა ურიებს მიჰმართავს **ა**ბიათარის სამტროდ. **ი**ხმობს მის შემწე **მ**ურდუხო ხახაშსა ფარულად.

მოგვ. **მ**ურდუხო! **შ**ენ მგონი თქვენი ხახამის შემწე ხარ. **ვ**ერ ჰხედავ, რომ გაქრისტიანებულა და ცდილობს არა მარტო ურიებისა, ისევე წარმართ ქართველების გაქრისტიანებასაცა. **რ**ა გიწერიათ თქვენს სჯულში, ხომ უარმყოფელია თქვენის სჯულისა და მაგინებელი?

მურდ. **მ**აგისთანასთვის გვიწერია სჯულში, რომ ქვით უნდა ჩაიქოლოს!

მოგ. **მ**აშ რაღას უყურებთ, რათ არ მოიყვანთ სისრულეში თქვენის სჯულის კანონის განაჩენსა?

მურდ. **ე**გ უწინ ყოფილა, ბატონო, ჩვენს ქვეყანას, ურიასტანში. **ა**ხლა ჩვენ უცხოეთში ვართ, ველარ შევიძლებთ მაგ ნაირ სჯულის ასრულებას ადვილად!

მოგვ. **ა**ბიათარი შენი ახლო ნათესავი ხომ არ არის?

მურ. **ა**რა, ბატონო, სრულიად უცხოა!

მოგვ. **მ**აშ აასრულეთ თქვენი სჯულის საქმე, დასაჯეთ, მეც ხელს მოგიწყობ, შუა გავგლიჯოთ ეგ ღორი. **რ**ისა გეშინიან?

მურდ. **შ**ფლის-წულებისა და კარის კაცებისა მეშინიან, რომ მეფის ვაჭარია, დიდ პატივდებაში ჰყავთ მიღებული. **ა**რა

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5.

თუ მე მარტო დამსჯიან, მთელს ჩვენს ურიობასაც ამოსწყვეტენ ჩემთან ერთად.

მოგვ. მე ვიცი, შენ ჭკვიანი და წინდახედული კაცი ხარ, არჩიეთ, რით შეიძლება მაგისი დამარცხება-დასჯა, რომ სიადვილით მოვიდეს სისრულეში, ვერ შეიტყონ უფლის-წულთა და კარის კარის კაცთაც, მით შენც უვნებლად დარჩე და ურიობაც არაფერს ხიფათში არ გაებას?

მურდ. მაგას შინაური მტერი უნდა ჰყავდეს ურიობა, რომ შური იძიონ სათემ-ქვეყნოდ. ურიობაში იმისთანა თვალნაჩენი მტერი არავინა ჰყავს, თითო-ოროლა ვაჭრები თუ იქნებიან ურიობაში, არა მგონია, რომ მათ შეიძლონ მაგისი ვნება, დასჯა, მაგრამ რა ვიცი, მე მათ კარგად დაახლოვებით ვერ ვიცნობ, იქნება შეიძლონ, კაცი ვარედგან თვალით არ გაისინჯება? ყველა კაცს თავ-თავისად ლომი უწევს გულში!

მოგვ. ვინ არიან მაგისთანები, ჩემო მურდუხო, მითხარ? ბევრ რამეში გამოგადგები, მერწმუნე!

მურდ. თუ არ გამამხელ, არ გამთქვამ არავისთან, თქვენის პატივის-ცემისთვის გეტყვით, ახლავე მარწმუნეთ თქვენის მზის ფიცით, რომ გენდო.

მოგვ. ჩემმა მზემ, ჩემმა დღემ, ჩემმა სულმან, არსად არ გაგამხელ, ოღონდ სწორე მითხარ, ურიულად არ მომატყუო.

მურდ. ვინც არიან ის პირები, თქვენმა ვაჭარმა აბრამამ კარგად იცის, ის გეტყვით, მე მომიტევეთ, არ დამივიწყოთ და გახსოვდეთ. რა ეს სთქვა, გავიდა.

მოგვ. ფუ! როგორ მაცდინა ამ საძაგელმა ურიამ, ჩემგან ფიცი მიიღო, რომ არ გავსთქვა არავისთან და თვითან კი ფიცი არ მომცა; ახლა რომ წავიდეს და დამაბეზღოს აბიათარს, ხომ გლახად წამივა დანაპირი მტრობის სა-

ქმე. მერმე ისიც ვერ ვჰკითხე, ისევ ურიის სჯულზედ იყო, თუ გაქრისტიანებული. სწორედ შევსცდი. როგორც მისი ლაპარაკიდგან სჩანს, დიდი საეჭვო და ქვეშ-ქვეშა პირი უნდა იყოს, მეტად გაქნილი, უნდობი და მოღალატე: აი ასე ძნელია ყველა კაცზედ ნდობა, გულის ხვაშიადის გამხელა, გაზიარება, წინადვე შეუგნებელ-შეუსწავლელად; სწორედ ქართველური გულ-უბრყვილო განსაცდელი დამემართა!.. ეს რა ღმერთები გამიწყრა, სხვათა მასწავლებელი, სხვების გასაწბილებელი გავხდი; ნეტა რა გრჯიდა-თქო!.. აღარ ვიზამ ამას იქით ამ ნაირ შეცდომილებასა, დაიწყევლოს უგუნურობა!..

მოგზ. აბრამ! თითქო მტკიცე ურია ხარ, შენს სჯულს წმიდად ემსახურები, მგონი თქვენ დიდ ხახამს ურიობა უგმია და ქრისტიანობას დასდგომია, დაახლოვებია ვიდაც უცხო ქვეყნიდგან მოსულს ქრისტიანს დედა-კაცს და იმის რჩევით ქრისტიანობას ჰქადაგობს, მთელ მცხეთის მცხოვრებთ, ურიებს თუ ქართველებს იზიდავს ქრისტიანობაზედ! მაგისთანა კაცი განა მოსაკლავი არ არის?

აბრამ. ბატონო, მოსაკლავია, მაგრამ ვინ მოჰკლავს, ამისთანას მოკვლა ჩვენთვის უცხო ქვეყანას ძნელია, თქვენთვის ადვილია.

მოგზ. თქვენი სჯულის უარ-მყოფელს, რა კანონი აქვს, რა განაჩენი? მითხარ სწორე.

აბრამ. სათემ-ქვეყნოდ დაქოლვა ქვითა!

მოგზ. რა კი კანონით მაგნაირი სიკვდილი აქვს მაგისთანას მისჯილი, დროით ვეცადოთ, მოვაწყობინოთ საქმე სანდო პირებსა, რომ მოვსპოთ მაგის სახელ-სახსენებელი ამ ქვეყნითგან.

აბრ. მაგის ჩასაქოლავად და ჩასაკირავად ჩემი ამხანაგები უნდა მოვიხმოთ: მოშო, ელიშაყო, შალხო, შიმყო და შა-

ლომაი. ამ ყველა ამხანაგებს, სული ყელში მოსული გვაქვს მისი მოწინააღმდეგობისაგან ვაჭრობის საქმეში. სულ არ გვაღებინებს თვალსა. ჩავჰკლათ, ეგება მოვრჩეთ, მოვისვენოთ, მოთმინების ფიალი დიდი ხანია დალეული გვაქვს!..

მოგვ. მაშ მოიწვიე შენ ისინი აქ, ჩემთან ერთად მოვილაპარაკოთ, გარდავსწყვიტოთ საქმე დროზედ... გარეთ გატანის გამოაშკარავების ეჭვი ხომ არ არის, ყველა ხომ შენსავით წმიდა ურიები არიან, ქრისტიანობას ხომ არ ეკვრიან, არ თანაუგრძნობენ!

ებ. არა, ბატონო, ჩემზედ უფრო მაგარნი არიან სჯულზედ და ნდობაზედ!

მოგ. განა შენს მტკიცე ურიობაზედ და ხვაშიადის შენახვაზედ საეჭვოთ მიგაჩნია შენი თავი?

ებ. არა, ბატონო, ეგრეთი კილო ხმარებულია მეტად სანდო სარწმუნო პირებზედ, მისთანა სანდო რომ არ იყვნენ, ჩემს ამხანაგადაც არ იქნებოდნენ. გადის და მიდის მინდობილებისამებრ.

გზა-გზა ამბობს თავის-თავად: „შენმა თავის გახეთქამ, სწორედ არ გითხარი: მაგისთანა საქმეზედ აბა ვინ გიჟი და ჭირვეული იქნება, რომ უეჭველად დაგეთანხმოს. ორთა ბოროტთაგან კაცმა უმცროსი სიბოროტე უნდა აირჩიოს, როცა სხვა გვარი თავის გასატანი გზა და კვალი არ ექნება, სიტყვის კილოს მოიმიზეზებს! მერმე დაფიქრდება... რა დავუშავე ნეტა ვიცოდე მურდუხოს, რომ მე მიმცა პირში ასეთი მძიმე საქმისთვის?.. ან რა ექნა საწყალს, ერთხელვე ჩაუგდია ხელში და ძალის-ძალად შემოუხვევია თავზედ, სხვა გზა რომ არა ჰქონია, მასაც ჩემზედ გადმოუღია. ახლა რა ვქმნა, მეც ძლიერ მიმძიმს, სინიდისის წინააღმდეგია, როცა აბიათარი გაქრისტიანებულა, ურიობა აღარ მიეწერება მას, რომ ღირსი იყოს ჩაქოლვისა. **დვთის მგმობელისთვის**

არის განწესებული ჩაქოლვა და არა ურიის სჯულიდ-
.დგან გარდასვლისთვის; აბიათარი ღვთის მწამებელია,
ქრისტიანობაც ჩვენი სჯულის სისრულეში მომყვანი და
დამაგვირგვინებელია, მესსია თვით იესო ქრისტე მაცხო-
ვარია სოფლისა. მაშასადამე, სრულიად არ გვაქვს სი-
მართლე არც ერთ რიგად მისი ჩაქოლვისა, უსამართ-
ლობა, უსჯულობა იქნება ჩვენი! თუ რომ მართლა
ქრისტიანობა ჩვენის სჯულის საძირკველზედ დაფუძვნი-
ლია, რას დავაშავებთ ჩვენც, რომ გავქრისტიანდებო-
დეთ? მისწრება იქნება, ღვთის ბრძანებას ავასრულებთ,
ძველის სჯულის დამტყვევ დამაბრკოლებელ მრავალ-
ნაირ ფიცხ კანონებისგან გავნთავისუფლებით, ქრისტია-
ნების მადლიან სჯულში სულს მოვიბრუნებთ, მოვისვე-
ნებთ სულითაც და ხორცითაცა! სულ რომ არა იყოს
რა ჩვენს სჯულში დაწერილი ჯავრის ამოყრა ყოველი
მტერ-მოყვრისაგან, სისხლს გვიხდენს, გვიფუჭებს, დღე-
ღამ მოსვენებას არ გვაძლევს. მოყვრებსა მტრად ვიხ-
დით და არა თუ მარტო მტერს, მოწინააღმდეგესა კბი-
ლისთვის კბილს, თვალისთვის თვალს ვსთხრით, ვაწუ-
ხებთ, ვამახინჯებთ, პირს ვიფუჭებთ, საძულველი
ვხდებით, ვიმტერებთ ვინც არა მგონია და ვიკი-
ცხვით მთელის ქვეყნისაგან! ქრისტიანებს-კი არა თუ
მოყვარენი, ისივე თავიანთ მტრებიც უყვარსთ, სიავის-
თვის სიკეთეს უშვრებიან, თავიანთ მტანჯველთა და
მდევნელთათვის ლოცულობენ! რა ჭკვიანური და საქე-
ბელი საქმეა, რომ კაცი განგებ თავის მტრებს იმოყვ-
რებდეს და ყველგან სულ სიტკბოს, სულ მშვიდობას
და ერთობას ამყარებდეს, რა ემჯობინება ამას?.. აგერ
ამით ბრწყინავს ქრისტიანების მადლის სჯულის ძვირ-
ფასი ღირსება... ახლა ჩვენი მტრობა აბიათარზედ ნა-
მეტნავი ფულის შეძენისთვის არის, რომ ჩვენ მეტი მო-
გება გვქონდეს ინაზედა, ესეც სინიდისის წინააღმდეგი

საქმეა. ღმერთს ყველა გამრჯე კაცისთვის თავისი წილი, თავისი ხვედრი მოსაგები მიუცია ცოტა თუ ბევრი სიმართლით, ადგილისა და კაცის-დაგვარ, სიმართლით ყველა ჩვენს კერაზედ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, არა კაცს არ უნდა დავეცილოთ და არც არა უნდა შევიშუროთ მათი. მაგრამ ხარბობა და ვეცხლის მოყვარულობა გვლუპავს მეთავისობით, ნეტა რისთვის-თქო! ცოლშვილმან უნდა ჭამოს ჩვენი ნაარმად მოგებული და ჩვენმა წაწყმენდილმა სულმან უნდა ზღოს მერმისს საუკუნოდ იმ ქვეყანასა... არა, არ მინდა, აღარ ვუღალატებ არც კაცსა და არცა რა ჩემს სულსა!..—მიდის ჯერ აბიათარს ატყობინებს მოგვთპეტის მტრობას და მერმე თავისს ამხანაგებს უმხელს: მოგვთპეტი გიწვევს თქვენ, რაღაც საქმეზედა და მე ნუ მომილოდინებთ, მუცლის ჩხვერა ამივარდაო!

მიდიან მოშო, ელიშაყა, შალხო, შიმყო და შალომა.

მოგგ. იცით თუ მე თქვენ რისთვის მოგიწვიეთ?

მოშო. არ ვიცით, გვიბრძანეთ რა გნებავთ, ყოვლიფერს, რაც შეგვიძლია ავასრულებთ პატივის-ცემითა.

მოგგ. ხომ ხედავთ მეფის ვაჭარი ასეულა, ატეხილა, თქვენ მტრად აგდგომიათ, ვაჭრობის საქმეში ხელს გიშლისთ, ზარალს გაძლევსთ, თქვენი სჯული უგმია, ქრისტიანობას ჩემულობს, ბევრს ურიასაც და ქართველთაც აქრისტიანებს, დიდ უკმაყოფილებას აგდებს ჩვენში, თქვენი სჯულის მგმობელი, როგორც გიწერიათ კანონში უნდა ჩაქოლოთ თუ მართალი ურიები ხართ, თუ არა და სწორე მითხარით, მაშინ ჩვენი იქნებით.

ელიშაყა. არა, ბატონო, ჩვენ წმინდა ებრაელები ვართ, ურიის სჯულისა, მოგვეცით ბრძანების წერილი და მაშინ ჩვენ ვიცით.

მოგვ. Ურიებმა სიცრუე იცით, ბევრჯერ არ ასრულებთ ხოლმე მინდობილ საქმესა!

შალხო. Როგორ არა, ბატონო, ეს თავი მოკვდეს თუ რაც გითხრათ და შემოგპირდეთ არ ავასრულოთ!

მოგვ. Იცით, ერთი და ორი შემთხვევა არ არის, ბევრი მომხდარა.

შაბეო. Ეს პირი გამიხმეს და ენა გამიძვალდეს, თუ გეცრუოთ.

მოგვ. Შალომა, შენ რაღას ამბობ?

შალომა. Იმას, ბატონო, რომ რაც ბრძანეთ და მოგახსენეს თანახმა ვარ, თვალმან მიმტყუნოს და ყურმან მიწივლოს, თუ რასმეში გიღალატოთ!

მოგვ. Მაშ აქვე მოილაპარაკეთ ჩემთან, როგორ უნდა ჩაიგდოთ ხელში დიდი ხახამი Aბიათარი.

მოშ. Ყოველ შაფათს სინაგოგაში გვიქადაგებს, გამოვათრევთ იქიდგან წიალ-წიალით, გავიყვანთ ქალაქ გარეთ და ჩავკლამთ!

მოგვ. Როგორ მოახერხებთ მაგის გატაცვას სინაგოგიდგან, თქვენის ჯამაათის იმოდენა სიმრავლეში?

შალხო. Მომხრე-მომხმარო ბევრი ურიობა ამოგვიჩნდება. Ჩვენ ხელს ვტაცებთ თუ არა, სხვანი ხელ-და-ხელ

ლაში ბეწვს არ ააცილებენ; ათი-თხუთმეტი ქვა და მაგისი ჯანი.. ხელათ გაათავებენ, სულს ამოართმევენ!

მოგგ. მაშ აგერ ბრძანდება, წადით და ჩაქოლეთ, მაგ გულადობისთვის იცოდეთ ბევრს დაგაჯილდოვებთ!..

ზიდიან. შაფათ დღეს აბიათარი შევიდა სინაგოგაში და დაიწყო ქადაგება:

აბიათარ. „შფალმან ზეცას განამზადა საყდარი მისი, და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლების. შგალობდით უფალსა, აკურთხევდით სახელსა მისსა, ახარებდით დღითი-დღე მაცხოვარებასა მისსა: მიუთხარით წარმართთა შორის დიდებაი მისი და ყოველსა ერსა შორის საკვირველება მისი“! (ფსალმუნი რბ. ჟე.). ესაიამ ათასი წლით წინ დასწერა: „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და ჰშვეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუელ“ (ჩვენთანა ღმერთი, ზ.)...

დავით მეფეც ასრე სწერს:—„გარემომადგეს მე ძალლებრ მრავალ და კრებულმან უკეთურთამან გარემოიცვეს მე. ბანხვრიტეს ხელნი ჩემნი და აღრაცხეს ძვალები ჩემი... ბანიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი (კა.)... და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნაღველი, და წყურვილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი“ (ჲბ.)...

„აგერ მესამესა დღესა ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტე მაცხოვრისა მკვდრობისაგან!... ბაიგონეთ, ძმანო! ბესმოდესთ, ძმანო! ურადღება მიაქციეთ, დედანო! ამის მეტი სხვა გზა არ გვაქვს“... ეს თქვა თუ არა, მისცვივდნენ გაბრაზიანებულნი ელიშაყო, მოშო, შალხო და შალომა, გადმოათრიეს სამქადაგებლოდგან, უშველეს სხვა მომხრეებმაც, გაარღვიეს, გაანგრიეს სინაგოგაში დაჭერილი სიმრავლე, გაიტანეს გარეთ და პირი უყვეს ქალაქ გარეთ ჩასაქოლავ ადგილსა, სადაც 15 ქვის მსრო-

ლელნი ურიის ბიჭ-ბუჭები მზად იყვნენ ჩასაქოლავად; მაგრამ ქალაქის კართან მეფის მცველნი დახვდნენ, წინ-დაწინ ცნობა მიეღოთ ასეთი აურ-ზაურობისა. მისცვინ-დნენ ერთიან და ძალის-ძალად გამოჰგლიჯეს აბიათარი მკვლელებსა ხელითგან შეხეულ-შემოხეული, კაბა და-ფლეთილი და წაიყვანეს თავისს სახლში. მკვლელობის მსურველნი კი გაიქცნენ, გადაიკარგნენ მთიულეთში!

ეს ურიების ბოროტობა ნანა დედოფალმან რომ შეიტყო, ეწყინა მეტად და მიიხმო თავისთან აბიათარი ნუგეშის საცემლად.

ნანა. ეგ რა ბოროტობა ჩაუდენიათ, აბიათარ, მაგ თქვენ ებრაელთა, ვისგან ყოფილან აგრე ასეულნი?

ა ბ. მოგვთ-პეტ გორანასგან მოგზავნილნი იყვნენ.

ნანა. საითგან იცით, რომ მისგან შეჩენილნი იყვნენ?

ა ბ. ისევ ჩემმან პატარა ხახამმან მითხრა, მაგრამ მე არ დავი-ჯერე, ხუმრობა მეგონა, მერე მოგვთპეტის ვაჭარმა აბ-რამამ მაცნობა უფრო გარკვევით გუშინ წინ.

ნანა. მერე მცველ-მფარველნი რათ არ გაიჩინე, რომ წინააღ-მდეგ შემთხვევაში მოგშველებოდნენ და გადაერჩინე!

ა ბ. მყვანდა კარგი ბიჭეგი, მაგრამ მოწინააღმდეგენი უფრო მრავალნი და ძლიერ ფიცხნი აღმოჩნდნენ, სინანოგო-გაში ხალხის სიმრავლემაც ხელ-ფეხი შეუშალა, ვე-ღარ გაარღვიეს, ვერარ გაეტივნენ, რომ მის დროს შემ-წეობა რამე მოეცათ. მანამდის იმათ ქალაქის კარამდის გამიტაცეს, ღმერთიმც უშველისთ მეფის მცველთა, გან-მათავისუფლეს მათი ხელითგან, რა ყოფით!

ნანა. ჩვენმა წარმართმა ქართველობამ რომ ჰქმნას მაგ ნაი-რი ავ-კაცობა, საიმისოდ დიდ ბრალად არ დაეთვლებათ, რომ უსწავლელნი, უმეცარნი არიან, ვერ არჩევენ ბევ-რჯერ ავ-კარგსა, მტერ-მოყვარესა, და ებრაელებმან რო-გორ უნდა იკადრონ ეგრეთი ბარბაროსული გლიპობა, როცა თავიანთი სჯულ-კანონი იციან, ავ-კარგს ჰხედვენ,

შავ-თეთრს არჩევენ.. მაგრამ საწარმართოში აღარ ეძებენ სჯულ-კანონსა, წარმართებისგან უარეს ბოროტებას ჩადიან!

ნბ. მაგას მართალს ბრძანებთ: ისეთ უსინიდისობას ჩადიან, რომ არც ერთი ქართველი არ იკადრებს, რაც უნდა მდარე წოდებისაც იყოს. მატყუარება, ტყვილი ფიცი, ტყვილი მოწმობა, მოღალატობა, უსამართლობა, სინიდისის დახშულობა, ნაკლები საზომ-საწონი, საწყალ წარმართების ცარცვა-გლეჯვა, მევახშეობა, მოსაკლავად კაცის გამეტება, უმიზეზოდ, უადგილოდ თავ-შეუკავლობა და ბილწობა,—სულ ჩვენი ურიობის საქმეა, ამისთვის საძულველნი არიან ყოველგან ყოველ კაცთან!

ნანნ. მადლობა ღმერთს, შენ გადარჩი ამჯერად მაგნაირ ხიფათსა, კვლავ ფრთხილად იყავით, იღვაწეთ ღვთის პატივისათვის ქადაგებით, ჩაგონებით, ქრისტიანობის გასამრავლებლად, რომ ეს საძაგელ-საზიზღარი წარმათობა და მისი ცრუ-მორწმუნეობა მოისპოს როგორმე!

ნბ. იმედი მაქვს ღვთისაგან ქართველობა მალე გაქრისტიანდება, მაგრამ ცრუ-მორწმუნოების მოსპობას ათასი წელიწადები სჭირია, მამა-პაპურ ზნე-ხასიათად გამხდარ ჩვეულების მომზნობას დიდი დრო-ხანი-ჟამი სჭირია. ურიობა კი თითო-ოროლათ გარდა ისევ ძველ სჯულზედ დარჩებიან, არ შეიშლიან თავიანთ მრუდ ხელფეხთ თათიკსა, როგორც აქამდის უვლიათ მრუდ გზაზედ, აღარ დააგდებენ იმ წამხდარ გზასა.. ისევ ისე ივლიან არამტარამად *).

ნანნ. არა, აგრე გადაწყვეტითაც ნუ იტყვი, გაქრისტიანებულ ქართველთ თუ თავითგანვე კეთილი მოძღვრები შეხვდნენ, მაშინვე მოასპობინებენ ყოველ წარმართულ ცრუ რწმუნებას.

---

*) არამტარამად—დაფანტვით, ხან აქეთ, ხან იქით.

ნბ. აგერ არ არის ჩვენი ებრაელობა დიდი ხნითგან მრავალ ნაირ ცრუ-მორწმუნოებაში დაღუპული! მართალია დაბადებასამღთო ისტორია გვაქვს სჯულ-კანონის მასწავლებელი, მაგრამ ეშმაკს შეუჩენია ვიღაც სჯულის მცოდნე მოხუცებული მწერლები, დაუწერიათ თალ-მუდი, ვითომც საღმრთო წერილის ამხსნელ-გამომრკვეველი. ის კი არა თუ ისე აბრუდებენ მრავალ საწინასწარმეტყველო აზრებს, მრავალ თქმულებათ, რომ კაცი დაიბნევა, სწორეს ვეღარაფერს ვერ გაიგებს; ის არის რომ ქრისტეზედ მრავალ თქმულებას წინასწარმეტყველთაგან აშორებს, ასხვაფერებს, თავიანთ ტომ-მოდგმის საუკუნო დასაღუპავად.

ნანა. ეგ ყველა ღმერთმან უკეთ იცის; მან იზრუნოს ყოველი კაცის და ყოველი ტომ-მოდგმის სასარგებლოდ!

აბიათარი გამოემშვიდობა დედოფალს და წავიდა.

ნანა. ბატონო მეფევ! ეს თქვენი ნათესავი მოგვთ-მთავარი ხვარა, რომ ასრე დღითგან დღეზედ მოუძლურდა, ახრჩობს ზედი-ზედ მოსული ბნედა, ცოდო არის, შევეწიოთ, მოვეხმაროთ, ამოვაკვანინოთ იმ ქრისტიან დედაკაცთან, ვთხოვოთ, იქნება რამე ეშველოს და განთავისუფლდეს ამ წყეული სნეულებისაგან!

მირიან მეფე. ის თავისს ქრისტიანობას არ ღალატობს, ჩვენს ღმერთებს მზეს, ზადენს, არმაზს არაფრად სთვლის, გვკიცხამს ჩვენც და ჩვენს წარმართობასაც, როგორ უნდა მივმართო მე მისთანა დედაკაცსა, როცა არ მოვსწონვართ არაფრით?

ნანა. ის არც ჩვენ გვწუნობს და არც ჩვენს სამფლობელოს, საწუნელია მისთვის მხოლოდ კაცთა ხელით გამოჭრილ-გამოქანდაკებული სხვა-და-სხვა დევ-გმირების სახეზედ კერპები; გვეუბნება სწორეს, რომ არაფერი შეუძლიათ მაგათ, არაფრის მაქნისნი არიან და არც რამეში გამოსა-

დეგნი. **თ**ქვენი უსწავლელი მამა-პაპების მოგონილ-მოკერებული ჭორ-ზღაპრები არიან ეგენი. **დ**აანებეთ მაგათ თავი, და მართალ **ღ**მერთს, ცისა და ქყვეყნის გამჩენელ **ღ**მერთს ემსახურეთო.

მეფე. **ხ**ვარაი ცეცხლს იკიდებს თავზედ, სიბრაზისაგან ველარ დამდგარა, როცა ესმის მისი ამბები, იძახის: როგორ თუ ერთი დედაკაცი ქრისტიანობით ჩვენ გვერეოდეს და თავზედ გვაჯდებოდესო? სწორედ მისი მიზეზით ველარ შეუკავებია თავი და ხშირად მოსდის აგრე ბნედა.

ნინა. **თ**ავზედ კი არ გვაჯდება და თუ სწორეს მათქმევინებთ, ყველას ფიანდაზად ფეხთ-ქვეშ გვეგება, ვეცოდებით, გვიბრალებს, მადლის საქმეებით სიკეთეს გვიშვრება, ამდენ გაჭირვებულ სნეულებს ჰკურნამს. **რ**ას გვიშავებს —პურს არა გვთხოვს და წყალსა, კვირის-კვირამდის მარხულია, ღამეების თევაში და ლოცვაში ატარებს თავისს დღეთა. **მ**ადლისთვის თუ ვინმე ერთსახე საქმელს და სასმელს მიართმევს, იმათაც ოთხ-წილ გლახაკ-ღატაკებს აძლევს და თვითან სულ ცოტას სჯერდება! **რ**ოგორ არ უნდა დავინახოთ ჩვენ მისი სიკეთე. **ჩ**ემს განკურნების გამრთელების საქმეს რაღას ეტყვით? **რ**ომ მომარჩინა დიდს სნეულებასა, გაგიშრო ღვაპ-ღვაპად თვალთაგან ჩამომდინარე ცრემლნი, რომ მწარე ნაღვლიანად ჩამტიროდი ლოგინზე მისვენებულსა, და გაგიმხიარულა სულიცა და გულიცა, იმ დღეის წამი, წუთი მოიგონეთ! **ბ**ანა აგრე მალე დაგავიწყდათ?

მეფე. **ა**რ დამვიწყებია, მაგრამ ასეთს ჭირვეულს კაცს რა ვუყოთ? **ს**ულით, გულით თავითგანვე მოგვობაზედ შეხორც-სისხლიანებულა, საშინლად ფიცხობს, ბორგამს, რა უნდა შევასმინო, ვერას ღონე-საშუალებით ვერ დავითანხმებ, არ წამომყვება, ქრისტიანი დედა-კაცის სახელის გაგონებაც საოცრად თავ-ზარს სცემს, კანკალ-

თახთახი გააქვს, ჰკრთის, და როგორ უნდა იკადროს მან მასთან მისვლა და მის ფეხთ-ქვეშ დავარდნა... სირცხვილისაგან მოკვდება!..

ნანა. **დ**იაღ, მაგას მართალს ბრძანებთ,სწორედ ეგ მოუდრეკ-მოუხეშავი სიამპარტავნე-სიამაყეა ჩვენის წარმართობისა, რომ აგრე გვღუპამს ჩვენ მრავალგვარს უბედურებაში. **ვ**ხედამთ მთელი ქვეყანა ნათლდება, ქრისტიანობით ავკარგს გებულობს ცოდვა-მადლისას, თავიანთ სავნო სარგებლობისას, დღითგან დღეზეღ წინ მიდიან და ჩვენკი ბნელს წარმართულს ღადაღუდაში უგზო-უკვლოთ ვიჩეხებით, ვიმტვრევით, უსაქმურად, უსარგებლოდ ცარიელ-ტარიელა, მშიერ-მწყურვალე, თვალებ ამოჩერებული უსასოდ, უიმედოდ, რა სიკეთე მოგვივა ჩვენ ამ ყოფით?.. **ვ**ანდერ ჩემის სნეულებისაგან განთავისუფლებისა, მარწმუნებდი ფიცით, რომ მეც შენთან ერთად გავქრისტიანდებიო და სამაგალითო წინამძღვრად გავუხდები ჩემს ერობასაო, მაგრამ დაგავიწყდათ, დღესაც უნდა აასრულო ვითამ თქვენი აღთქმა: თვით მეფე ბატონი, რომ ეგრე ყოყმნობთ, არც წარმართობისკენ ხართ სწორედ და არც ქრისტიანობისკენ, თქვენი ხელთ შემხედვარნი ქვევრდომნი რაღა იქმნებიან? **წ**ყალი მოვა და წაიღებსთ!..

მეფე. **ა**რა, მე წარმართობას ვერ ვუღალატებ, რაშიც დავბადებულვარ, რითაც გავზრდილვარ, ჩემი დღენი იმის ამარა უნდა ვიყო: უთქვამთ, რაც არ ექმნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსაო!

ნანა. **ვ**ინ გიშლისთ, ბატონო მეფევ, თქვენი ნებაა, აგრე იყოს, აგრე იყავით, მაგრამ **რ**ოდემდის?.. **ღ**მერთი დიდია, არვის შეარჩენს უკულმართობასა, მოიხედამს ერთ დღესაც და მაშინ გნახამთ? ფიქრი არ არის, დეე იყავით!

მეფე. **დ**ედოფალო, ეგ რა ნაირად დიდგულად ხარ, რა ნაირ

დიდ დიდებს ამბობთ, სჩანს რაღაც დიდ რამეს მოელით ცითგან საშენო საკეთილდღეოს, რომ აგრე მედიდურად მკვახე-მკვახე სიტყვებს ნასკვამთ?

ნინა. **მე**, ბატონო მეფევ, არც ვდიდგულობ და არც ვმედიდურობ; ჩემი სიტყვა რა იქმნება, როცა არა აქვს გავლენა არსად; ეს კია, რომ ყოველი კაცი იმედით ცოცხალა და მეც იმ იმედით ღვთისაგან წყალობას მოველი ჩვენ სასიკეთო-სასარგებლოდ!..

ვინმე მესხი.

(**დასასრული იქმნება**).

დავით ალმაშენებელი *)

საქმენი სამოქალაქონი.

Ა. ვცნათ, ვითარ შინაური
განგო საქმე ქართველური,
ვითარ ცხოვრება სოფლური
ჩუო ტკბილ, ღვთიურ, ზენაური;

ვითარ იწყო ალშენება,
მამულისა განშვენება,
უმეცრობის შეჩვენება,
ნიჭ-ქველობის მოჩვენება.

ა.

ალვიდა რა მეფე ტახტსა,
ალდგა, გარდახდა ოსეთსა,
მოუხმო ოსთ ბატონებსა
და მათსავე დიდთ მთავრებსა.

ოსნი ყივჩაუთა მტერ იყვნენ,
ყივჩაენი დ:ვითს მოუვრობდნენ,
გურანდუხტს იქ პატივს ჰსცემდნენ
და გმირსა სიძესა ძმობდნენ [1]).

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5.

[1]) დავით მეფის მეუღლე გურანდუხტ იყო ასული ყივჩაუთ მეფის ათრაქა შარაგანიძისა.

დავითმა ზავ ჰყო მათ შორის,
აიხვნა კარნი კავკასის,
ციხენიცა დარიელის
და გზა გახსნა დედეთ შორის;

მერე ეივჩაუნი მოასხნა,
დარიელს აქეთ გადმოსხნა,
ორმოც ათასად ადნუსხნა
და საჯურვედნიც შეასხნა.

ეივჩაუნი წყობას მხნე იუვნეს,
მტერსა თავს უწყალოდ სჯრიდეს,
ბრძოლას უშიშრად იწყებდეს
და მტერს ფიცხლად განაწყებდეს.

ძეფეემ დააწყვნა კვარ-კვარად,
ეივჩაუნი დაჰყო დას-დასად,
შემოსა, შეჯურვა ჩქარად,
ცხენნიც მისცნა გასამხედრად.

დაუდგინნა სპასალარნი,
მმართველნი და წინამძღვარნი;
მათგან მეფესაც რჩეულნი
თან ახლდნენ ხუთ-ათას მბრძოლნი.

ოვისიცა განაწყო ჯარი,
სიქართველოის ლაშკარი,
მოკაზმული, გულ-მაგარი,
ხირშეუქცევარ მხედარი.

ალახვნა მერე კულუფა [2])
და ლაშქარს უძღვნა ულუფა;
როქითაცა მოულუფა
და ცხენთაც საზრდო უსულუფა [3]).

---

[2]) უჯრედი სკივრისა.

[3]) ზესაბმელ პირუტყვთ სასუქებელი მარცვალი.

ჯარს დაუდგინნა მოძღვარნი,
კაცნი ფრიად მწიგნობარნი,
დვთის სათნო, მხედართ მგობარნი,
ხოლო უსათნოთ მგმობარნი.

მოძღვართ მოსპეს ბილწებანი,
დაშქარს შიგან კინებანი,
საუშაკო სიმდერანი,
განცხრომა, სახიობანი.

უკვე აღვწერეთ მეფისნი
მხედრობანი შესატუვისნი:
ვითარ მოსრნა ბარბაროსნი,
ვითარ დალეწნა თურქ-სპარსნი;

ანუ მრწემად ჩვენა მეფენი,
ხოლო მოსად ხელმწიფენი,
მეოტად თურქთ ხალიფენი
და გლეხად სპარსთ მეუფენი.

ვცნათ, ვით მეფემ დასხნა ფოვლნი,
მეფე-ფოფილნი, მსაჯულნი,
კაცნი გოლიათ გმირულნი,
ვითარცა მხეც ბირუტუულნი.

დავით ბრწყინვალ და ენამზე
მზრუნველ იყო, ვითარცა მზე,
არა ხოლო სამხედროზე
დასობასა და წყობაზე, —

ნუ იყოფინ! მეფის მზესა,
მან ბევრი სიბრძნე აკვესა,
ბევრი ნარჩევ ბურ დათესა,
ბევრი ჩაურნა მზაკვარ, გვესა.

ბ.

დავით, ყანობირი შენი
ყამსა დიდს იყო უშენი;
შენ იგი ანაოშენი
ოქროს ფრადა გაუშენი.

მიხვედ შენ ქალაქსა ურბნისს, [4])
რომელს წმიდა წყალ შეურბნის,
სიქველე უხვად მოურბნის,
სიავე მწვავედ გაურბნის, —

მუნ შეჰკრიბე შენ კრებული;
დროცა ჰპოვე მოსწრებული:
ქართველისა შეიწრებული
საუდარ ჰყავ გაცისკრებული.

შენთან დაისვ იოანე [5]),
ჭეშმარიტი ქრისტეანე;
არსენიცა მოიყვანე.
მწიგნობართა სათაყვანე;

ძოუწოდე დირსთ მამათა,
დიდთ და წმიდა მღდელთ-მთავართა,
უმანკოთა მონაზონთა
და შემეცნებულ მოძღვართა;

ყამთა სიავისაგამო,
ბიწისა ავისაგამო,
მტრისა დავდავისაგამო,
ბნელის მოფენვისაგამო

საუდრები წაბილწულიყო,
ქვაბ ავაზაკთა ქმნულიყო;

---

[4]) 1103 წ.

[5]) კათალიკოზი.

მასში უდირს შესულიო
და მდვდელად კურთხეულიო;

საუდარნი არა დირსებით,
არა ჭკვით და წარჩინებით,
არამედ ეპურათ ზვაობით,
დიდგვარობა-მამულობით;

წიგნი უმეცარ, უსწავლელნი,
არა მწყემსებრ კართ შესრულნი,
ვით ქურდნი, ერდოთ ჩასულნი,—
ესრეთ იყვნეს მაშინ მდვდელნი.

ერს მოსდებოდა ბილწება,
სოდომელთ ცოდვას შთაწება;
სათნოების მორეწება
ადარვის სამე ეწება.

ვინცა იყო ქრისტეს მრთავი,
ენა ცბიერ, სიტყვის მრიავი,
იგი იყო სოფლის თავი,
მისი მმართველ, მისი მრთავი.

უძღებობა, უმეცრება,
საჭეთ მპყრობელთ დანაცრება,
ჯეთიდ მოძღვართა დამცრება,—
ცხად იყო, არ უმეცრება.

სომეხთ ეწყოთ ბაქრობა:
ვიდრე არსო ჭაქრობა,
საუდარი ნუ გაგვექრობა,
სჯულიცა ნუ ჩაგვექრობა;

სარკინოზნიც საქმეს რევდენ,
უსჯულობას მრევლს ურევდენ,

ქრისტეანთ ტაძრებს ანგრევდენ,
ბილწებით ქრისტეანთ სრეკდენ.

ესე ასრე დვოისაგანა,
იქმნა სამებისაგანა,
უბადრუკ სამადისაგანა [6])
ქართლი მთლათ გაისაგანა [7]).

ურბნისს რომ შემოიკრიბნა,
უსამართლონი განჰკვეთნა,
უსჯულონი ქვე დაამხვნა,
პატიოსანნი განამხვნა;

ჩინებულნი საუდართ შესხნა,
უხამსონი გარე გახსნა,
მსაჯულნი საბჭოსა დასხნა,
ყოვლს წადმართს ქება შეასხნა.

და სარჩელიცა სომეხთა
განაბჭეს ურბნისს კრებულთა:
განსაჯეს საქმე მამათა
და მიჭრიდეს მათთ ცოდომათა.

მეფემან ძეგლი დასწერა,
მერე ხელი შოაწერა,
და თვისთ კელადთ მიუწერა:
„სრულ უავთ ესე, თუ გაქვთ წერა!“

3.

დავით მეფემ მრავლად დარგო
საქართველოის შესარგო,

---

[6]) ბოროტი სული.
[7]) მოშურდულა, მოისრა.

საქმე კეთილი, საგარგო,
ტკბილი, სათნო, ყველას მარგო.

ადგილსა დამაზს, შვენიერს,
ჭავითა კეთილ შვინვიერს,
ქუთათისა ახლიერს
შეუქმნა მონასტერი ერს [8]);

მან, ვითარცა მეორე ცა,
გადაართხა ტაძარიცა,
რომლისა მსგავსი ჯერეცა
არვინ სად ჰქმნა მეორეცა;

ტაძარი ადავსო ხატით,
ბატიოსანთა ნაწილით,
წიგნით, სამსახურებელით,
საკიდელითა, სასანთლით;

მუნვე შემოკრიბნა კაცნი,
ცხოვრებით ბატიოსანნი,
სათნოებითა შემკულნი,
მეცნიერებით ბრძენ ქმნულნი.

და ვინცა ტუვედ მოიყვანნა,
მას საუმოდ დაუმტკიცნა,
და რაცა რაჲ მტერს მიუხვნა,
ისიც მას ტაძარს შესწირნა.

და ლიპარიტის მამული,
უბატრონოდ ეულ ქმნული

---

[8]) გელათი. საეკლ. მუზ. ხელნაწერში(№ 186, გვ. 548) სწერია: „ქნსა სუდ (=1606), გელათი რომ დაწყებულა, ფ წელიწადი გარდასრულა. მაშასადამე, გელათის ღვთის-მშობლის ტაძარი მეფეს დაუწყია 1106 წ. (1606—500=1106).

და ფრიად გაოხრებული,
ბელათსვე უძღვნა შემკული.

ტრაპეზიცა განუჩინა,
საქმე მისი მოარჩინა,
ნაკლი არ-რა შეარჩინა
და ღვთის-მშობელს დაურჩინა.

ბელათ იერუსალიმად
იქცა აღმოსავლეთისად [9]),
კეთილისა სასწაულად,
კერად მეცნიერებისად;

ბელათიით მოგვეცა წესი,
მამათაგან დანაწესი
და კანონი უწმიდესი,
დავით მეფის მოდვაწესი.

მუნ აღიზარდა მხატვარი,
შვენიერების მსახვარი;
ბელათ, მზისა მისაგვარი,
იქმნა ჩვენი სახვარი.

დ.

მეფემ წმიდას, დიდსსა შიოს,
მიჰხედა სანუგეშიოს,
უძღვნა ბევრ, თქვა: „მამას შიოს
ნუცამცა სამე ეშიოს!“

მუნვე აღაგო ტაძარი,
შესწირაცა ასი ფური,

---

[9]) ძველს ქართულს წიგნებში აღმოსავლეთად იწოდება საქართველო.

ჯორი, ორ ათასი ცხვარი,
ვენახი და ნაფუძარი. [10])

ე.

ქართლს აშთობდა, ვითა სენი,
უმეტრებისა მჭირსენი;
იულთოს დაჯდა არსენი,
სკოლათა დამაარსენი,

ქართულ ესწრა სიბრძნის სასთველოს,
როს გაბრწყინდა გრემს, იულთოს,
ქვეყანასა საკახეთოს,
შარავანდი საქართველოს.

ბრძენმა მამამ მცირე ეფრემ, [11])
იოანე ტარიჭის ძემ, [12])
არსენიმ [13]) და თეოფილემ,—
განაცისკროვნეს დიდი გრემ.

მუნ მეფეს ფილოსოფია
მორჭმით აღუვავებია,
უველასთვის განუოფია
და ქართულ გაუხარებია.

ისმენდი, უმაო მედგარო,
ვითარ წიგნისა მოუვარო
შეიქმნა მეფე უსწორო,
ურმავე ბრძენ, გულისხმიერო:

რაჲცა რაჲ წიგნნი ჴსოვნნა,
ძველ ახალნი, სულ ისწავლნა,

---

[10]) 1123 წ.

[11]) ეფრემ-მცირე იყო ჩინებული მთარგმნელი.

[12]) იოანე ტარიჭის ძე—ფილოსოფოსი.

[13]) არსენი ვაჩეს ძე—დიდი მწიგნობარი და დავით აღმაშენებელის საკუთარი (მეგობარი).

ერთბამ ეველა შეიეკვარნა,
ერთბამ ეველა შეიტკბარნა;

იგინი იეენეს მისდა საზრდელ,
მისდა „გეშოვან სასუმელ“,
ტკბილი ფრიად და საწადელ,
დღისით და ღამით საწურთელ:

წიგნს იგი არ იშორებდის,
წიგნი მას აქვნდა მარადის,—
შინ, ოდესცა ისვენებდის,
გარე—ოდესცა ლაშქრობდის.

როს ლაშქარს მიდიოდიან,
ჯორით წიგნნი მიაქვნდიან:
ვანს სად ჩამოხდებოდიან,
მეფეს წიგნს მიართმევდიან:

კითხვას არ დაცადებდის,
მუნამდეცა იკითხევდის,
ვიდრე კითხვით დაშვრებოდის;
და როსცა დაიღლებოდის,

წიგნსა მეფე აიღებდის,
ჯომარდსა ვის გადასცემდის,
ნელიად წაკითხევდის
და თვით წაკითხულს ისმენდის;

სმენილს გონებით სძიებდა,
ძალსა მისსა განმარტებდა,
ძნიადს მოძღვართა ჰკითხავდა,
სიბრძნის დასაბამს იგვლევდა.

მარტო „სამოციქულოსა“
მოქცევას წელიწადისასა,

ოც-და-ოთხ ჯერობამდისა
მეფე წაიკითხვედისა. [14])

კიდევ სიტყვასა გეტყვით,
არა სხვათაგან მოსიტყვით:
ავჯალას მეფე „დვთის მეტყვით“
დელესა ჯდა მარტო კითხვით;

მაშინ ქალაქი ტფილისი
იყო საძოვი თურქისი;
მეფისა მოუმე სამასი
გამსტრობად განვიდა მტრისი.

ლოჯინითგან მეფის ყმათა
მოასხეს ნახირი თურქთა;
ზედვე ტფილისისა კართა
თურქთა მათ დაჭკრეს ამათა;

ომი ფრიად გაძლიერდა,
მეფეს ესმა, აურიალდა,
ცხენსა ადჯდა, მოქრიალდა
და მტრის გუნდში შთაბრიალდა;

ვითა კაკაბნი არწივმან,
ეგრე მტერნი დალეწა მან,
განაბნია უოგლი თურქმან,
ვით ფილისტიმი დავითმან.

---

[14]) ქ.-ცხ. (გვ. 254): „ვთქვა სხვაცა საქმე მეფისა, საცნაურ-მყოფელი მისის წიგნთ სიყვარულისა. წინა დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო. წარკითხვად, და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასვის ბოლოსა წიგნისასა; ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვთვალეთ,—ოც-და-ოთხჯერ წარეკითხა“.

მერე თვისს წიგნს დაუბრუნდა,
წარიკითხა, რაცა უნდა,
სცნა, საქართველო ვით ადორძნდა,
ქართლს რა სჭირდა, ქართლს რა უნდა;

ცნა ძველთ მეფეთ ცხოვრებანი,
კეთილ ძღვანებულებანი
და წარმატებულებანი
ანუ ნაკლეულებანი.

გაბრძნდა შარავანდოსანი,
მთიებ დიდი ციასკროსანი,
ქვეყნის კარგი ხელოსანი,
ბორეირ-გვირგვინ სკიპტროსანი.

მ. გ. ლასურიძე.

(დასასრული იქნება)

რ უ ს უ დ ა ნ *)

ისტ. დრამა ხუთ მოქმედებად.

(ვუძღვნი ვლ. ალ.-მესხიშვილს და ნინო ჩხეიძეს)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

რუსუდან—ბატონიშვილი, შემდეგ დედოფალი.
ორტულიშვილი—მისი უკანონო მეუღლე.
ლაშა-გიორგი—საქართველოს მეფე.
გელისტიხელის ცოლი—ლაშა-გიორგის ხარჭა (ხასა).
დავით ლაშას ძე—ბატონიშვილი, მეფედ გამოცხადებული.

---

*) ოდესღაც ვინმემ სთქვა: კულტურის დაბალ საფეხურზედ მდგომ ხალხებს დრამები და დრამების მწერალნი არ მოეპოვებათო; ესენი მხოლოდ განვითარების ამაღლეს წერტილზე მდგომ ხალხების კუთვნილებას შეადგენენო''.

ეს აზრი იქნება ცოტა გადაჭარბებულად იყოს გამოთქმული, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ დრამა მართლაც უდიდესი და უაღრესი ფორმაა მწერლობისა. მისი დანიშნულებაა სისწორით დაგვიხასიათოს და დაგვისურათხატოს ესა თუ ის პირი, ესა თუ ის მოვლენა და თავისი სიცხადით და სიმარტივით წაუშლელად აღბეჭდოს ოგინი ჩვენს გულსა და ხსოვნაში.

„რუსუდანის", „დიდ-მოურავიანის" და სხვათა მისთანათა დაბადება ჩვენს მწერლობაში უტუარი ნიშანია ჩვენის ხალხის და მწერლობის შემოქმედებისა და ცხოველ-მყოფელობისა...

ჩვენ განგებ წარუმძღვარეთ ეს ორიოდე სიტყვა ამ დრამას, რომ მით უაღრესი ყურადღება მიგვექცია მასზედ „მოგზაურის" მკითხველისა.

რედ.

როგთი სოსნა—მისი მოსამსახურე.
ნათელა—**შ**ერგილ **ლ**ადიანის მეუღლე.
ცოტნე დადიანი—**ნ**ათელას შვილი, გამგე იმერეთისა.
ივანე—ათაბაგი და ამირ-სპასალარი.
ივანეს ძე—ათაბაგი და ამირ-სპასალარი.
ბოცო
ძენა } ბოცოს ძენი.
ბექა ყვარყვარეს ძე—ციხისჯვარელ-ჯაყელი.
სარგის თმოგველი—ფილოსოფოსი და რიტორი.
გრიგოლ სურამელი—ქართლის ერისთავი.
ვარამ გაგელი ზაქარიას ძე—გამგე სომხითისა.
ჯელალ-ედ-დინი—სპარსეთის ყაენი.

რაინდნი, მოღალატენი და ლაშას წინააღმდეგ შეთქმულნი დიდებულნი, სტუმრები, მეკარენი, იფრინდანი, **შიკრიკნი**, მენავენი და ლაშქარი.

მოქმედება სწარმოებს 1213—1247 წწ.

მოქმედება პირველი

ჩვენება I

თამარ მეფის სასახლე ტფილისში.

ბატონიშვილი **რუსუდან** მდიდრულად მორთულს ოთახში მოუსვენრად დადის.

რუსუდან. (მღერის) **რ**ა შვენიერი ვარ,
ლამაზი ქალი ვარ,
ბატონიშვილი ვარ,
ქვეყნისა თვალი ვარ,
მეფედ გაჩენილ ვარ,
მეფე-კი მე არ ვარ!

(**ღრმად ჩაფიქრების შემდეგ გამბედავად**)

მიწყივ *) წესიაო! არა და არა! იმან იმეფოს და მე არა! ესე არ იქნების! ვეცდები, მეც ვიმეფო. ნათქვამია: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. სანატრელმა დედა ჩემმა (საუკუნოდ იყავნ ხსენება მისი!) თავის მეფობით გაამართლა ეს თქმულობა. მე რაღა დამიშლის ვიყო სახელოვანი და სოფლისა მნათი მნათობი?! მაგრამ როგორ?! ხუთი წელიწადი უკვეა, რაც ლაშა მეფედ იკურთხა თვით თამარ მეფისაგან. ლაშა ახოვანი, გმირი ჭაბუკია, ჰშვენის მას ხმალი და გვირგვინი, იგი რაინდია მკვირცხლი, გულ-მაგარი: განჯის ომმა ცხად ჰყო მისი უებარი გმირობა. ვით დავით გოლიათი, ეგრე შეებაო უამრავ მტერს და ამოწყვიტაო უწყალოდ. (**ჩაფიქრების შემდეგ**). რა გზით შემეძლება ამ

---

*) მიწყივ—მარადის.

ვაშკაცის გადაყენება? გმირს როგორ მოვტაცო გვირგვინი და ხმალი? ვთქვათ, ორივე მოვტაცე, გვირგვინს მე გამოვიყენებ, ხმალს რაღა ვუყო, ვის შემოვარტყა? მელიქი, დიდი სულთანი, რომელი ჰფლობს ეგვიპტითგან სპარსეთამდე, მთხოულობს დედოფლად, მოციქულებს ზედი-ზედ მიგზავნის. ბარბაროსზე გათხოვებას რათ ვიკადრებ! შარვაშეც, მთავარი შარვანისა, ჩემთვის იწვის, ილევა, მაგრამ რა ბედენაა სუსტი მთავრის მეუღლედ ყოფნა, როდესაც შემიძლია გავხდე მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვაშე, შანშე და მპყრობელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა! (ჩაფიქრების შემდეგ). ხმალი-კი მოვტაცო და მისი შემოსარტყამი გმირი არ დაილევა... ერთი ხომ აქვეა, ჩემს კარზე, ორტულისშვილი, ანგელოზივით ლამაზია... ხელმწიფური მახვილი ამას უფრო დააშვენებს! გარნა ლაშა ჩემი დედის-ერთა ძმაა!.. მახსოვს პატარაობა, ერთად ვცელქობდით, სანატრელს დედა ჩემს ვეხვეოდით, ვესაყვარლებოდით, გულში ვეკონებოდით; „შვილებო, გიყვარდეთ ერთმანერთიო“,—გვიბრძანებდა მშობელი, „სიყვარული სიტკბოება არისო, ბედნიერებაო, ხოლო მეფის შვილების ბედნიერება სიტკბოება და ბედნიერებაა მთელის სახელმწიფოსიო“. ეს მეც ვიცი, მაგრამ რა ვუყო, რომ რაღაც იდუმალი ძახილი მოსვენებას არ მაძლევს, არც დღისით და არც ღამით გონებიდამ არ მაშორებს ფიქრს დიდებისას, მამხნევებს გვირგვინი მოვიპოვო, მაქეზებს და მაიძულებს ივერთ ტახტი დავიპყრა... დიაღ, ვიტანჯვი, ვილევი, საიდუმლო ჭია გულღვიძლს მიღრღნის, მიგლის! რა ვქნა?! რა ვუყო?! ვიყო თუ არ ვიყო? თავზე ხელი ავიღო და მწუხარებას შევეჭამო?! თავზე ხელ-აღებულს ხომ უჭკუობას სწამებენ! უჭკუობა ვიკისრო? რისთვის მერე? მისთვის მხო-

ლოდ, რომ სხვა ბედნიერი იყოს!? ნუცამცა ესრე! „ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო“; ჯერ მე, მერე სხვა, თუნდაც იგი სხვა ღვიძლი ძმა იყოს, ძმა დიდებული, გმირი, ვაშკაცი! ვინც გვაწუხებს, გვავნებს, გვანაღვლებს, გვატირებს, ის ჩვენი მტერია... შავ-ნაღვლიანად მატირებს მე ლაშა გიორგი, ჩემზედ უმცროსი დაბადებით, გარნა გამეფებული რაღაც სულელურ „ვაჟურ“ უფლებით! ვინც მაშფოთებს, ჩემ გულს მიწყლავს, ის ჩემი მტერია...ან მტერი უნდა დავამხო,ან მე თვითონ ნელ-ნელა დავილიო, მღრღნელს სევდას შევეჭამო. არ ვიზამ ამას! შორს ჩემგან სიმხდალე! გამბედაობის ანგელოზო, მიშველე და ხელი აღმიპყარ, რათა დავთრგუნო ის, ვინც ბედნიერება და სიტკბოება ჩამიშხამა, ვინც ჩემს სულს მყუდროება წაართო! (რიხით):

რა შვენიერი ვარ,
ლამაზი ქალი ვარ,
ბატონიშვილი ვარ,
ქვეყნისა თვალი ვარ,
მეფედ გაჩენილ ვარ,
მეფე კი მე არ ვარ!

მაშ რაღა ქალი ვარ, თუ ქსელი არ გავაბა და მასში არ მოვამწყვდიო ჩემი მკბენარი კოლო!..

(შემოდის ლაშა იარაღ შესხმული)

ლაშა. **რ**უსუდან!

რუს. **მ**ეფე, ჩემი ლაშა! (ეხვევიან ერთმანერთს და მერე)

ლაშა. **რ**ოგორ ხარ, საყვარელო!

რუს. **რ**ა მიჭირს! შენმა უნახაობამ, ცოტა არ იყოს, მომაწყინა, და დაგვიანებამ კი დამანაღვლიანა. მაგრამ დაქანცული იქნები. დაბძანდი, დაისვენე.

ლაშა. **ვ**აშკაცს რა დაჰლლის! (სხდებიან ტახტზე).

რუს. **მ**იამბე ახლა, რა ნახე, როგორ ილხინე აჯამეთში?

ლაშა. **მ**თელი აჯამეთის ტყე მოვინადირეთ, ბევრი ტურა-მგე-

ლი დავხოცეთ, უფრო მეტი კი შველი, ირემი, დათვი, ღორი. რა უწყალოა კაცი! ერთი ირემი მოვკალით. ფურ-ირემი იყო. მუცლიდამ ნუკრი გამოვუყვანეთ. ერთს ხარ-ირემს კიდე შუბლზე ჯვარი ვუნახეთ; ჯვარწერილს ჯვარი დავულეწეთ! მგონია, ეს კარგს არას მოასწავებს!

რუს. ჯვარიმც გწერია, დიდებულო მეფეო! ნადირობა ღვთისგან აღკრძალული არ არის. მონადირემ რა იცის, რომელს ირემს ჯვარი სწერია, რომელს შვილი ჰყავს მუცელში! უცოდინაროობით კაცის მოკვლაც კი ცოდვად არ თქმულა და რა განაღვლებს შენ!

ლაშა. ეგ ეგრეა, მაგრამ ნუკრიანი ირემი კი მეტად შემებრალა. ულმობელია კაცი, სწორედ ულმობელი. კაცი სწორედ კაცის მგელია და ნადირების კი სულთამხუთავი!

რუს. ბუნების კანონს გზას სად აუქცევ! ადამისითგან ეგრე ყოფილა, რომ ძლიერი უძლურს სჩაგრავს, უფრო ცბიერი უფრო სათნოებიანს ერევა. ამას თავი დავანებოთ, მითხარ ისიც, იმერნი როგორ დაგიხვდნენ?

ლაშა. ჩინებულად. ტყუილად კი არ თქმულა: **„ცრდილნი ერთიან იმერნი, მტერთა მიმტანი რისხვისაო“**. საცა წაველ, ყველგან დიდის ზეიმით მიმიღეს, ნადიმი გადამიხადეს, მომასვენეს. ქუთაისში, აფხაზეთში, გურიაში, აჭარაში და ყველგან, სადაც კი ვიყავ, მთელი ერი აღტაცებით მომეგება. გამრუდებული გავასწორე, უსამართლო გავასამართლე, მჩაგვრელი დავჩაგრე, ქველისმოქმედნი აღვამაღლე.

რუს. მეფე ძმაო, ეგ ყველა კარგი, მაგრამ, იცოდე, შენ ბევრს შრომობ: წელიწადები ზედიზედ გადის და შენ კი მოსვენება არ იცი! მოიარე კახეთი, მოიმგზავრე თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქართლი, სომხითი, სამცხე, ახლა მთელი იმერეთი. ეგრე რომ იარო, ძალ-ღონე გამოგელევა, უდროოდ დაიქანცები და დაბერდები. ჭაბუკს უფრო

შეჰფერის ლხინი, ალერსი, სიყვარული, **„ჯაბა-სბა დადად შესარგი“**, ვით შოთამ გვიანდერძა.

ლაშა. მე რომ ვილხინო, სამეფოს ვილამ მოუაროს?

რუს. ოტანი არიან დიდებულნი ვაზირნი! და თუ სანატრელის ჩვენის დედის ვაზირებს არ ენდობი, შენს ტოლ-ამხანაგებშიაც არიან ისეთნი, რომელთაც სახელიწიფო საქმენი ზედ-მიწევნით იციან.

ლაშა. მხარგრძელებს, საყვარელო რუსუდან, გული მითქვამს, ნუ ენდობიო. ეგენი ქვეშ-ქვეშ გამოიყურებიან და, მგონი, ჩვენი ღალატი სურსთ!

რუს. არა თუ მხარგრძელები, უკმაყოფილონი და გულნაკლულნი სხვებიც იქმნებიან, რადგან მათს გასაკეთებელს შენ აკეთებ, მათ მაგიერ შენ მუშაობ, შენ მოხელეობ. ბრძოლის ველზედაც კი გამარჯვებას არავის უთმობ. ყველგან წინ შენ მიდიხარ. სარდლებსა და სპასპეტებს არას ეკითხები. მაშ გულ-ნაკლულნი არ იქნებიან? უშვი მაგათ, ჰმართონ, როგორც უმართიათ, იხელისუფლონ, როგორც ჩვეულარიან.

ლაშა. მერე რომ რიგიანად არ ხელისუფლობენ? ერს რომ მიჩაგრავენ და მიწიოკებენ? ლაშქარს რომ წესიერად არ უწინამძღვრებენ?

რუს. მთა და ბარი ვის გაუსწორებია! დეე, სწიროონ, როგორც უწირავთ! წუთი სოფლის სტუმრები ვართ. სტუმარს რა უნდა? ლხინი, სიმღერა, ლალის ფერი ღვინო, მუშაითნი და მუტრიბნი, ჩანგი, წინწილი და, თუ მიხვედრილი მასპინძელი შეხვდა, ლამაზი ქალები ვაჟებისათვის და ლამაზი ვაშკაცები ქალებისათვის.

ლაშა. მართალი ბრძანებაა, რომ წუთი სოფლის სტუმრები ვართ, მაგრამ გავიწყდება, დაო, რომ მეფეს, ნაკურთხს ღვთისაგან, დიდი მოვალეობა აწევს. სახელმწიფო საქეს პყრობას ძრიერი მკლავი სჭირია.

რუს. მერე შენს მკლავს განა სიძლიერე აკლია? სახელმწიფო დიდი ჩარხია. ჩარხი რახან მოიმართება, მერე მისს დატრიალებას სუსტი მკლავიც ადვილად შესძლებს. საქართველოს სამეფო ჩარხი ხომ დიდი ხანია მომართულია, მისს ტრიალებას არათუ ვაჟი ვაშკაცი, არამედ ქალიც შესძლებს. სანატრელი დედა ჩვენი ქალი იყო, მაგრამ მაზედ სახელოვანად აბა ვინ ატრიალა საქართველოს ბედი? ტყუილად გგონია, რომ ვინც მეფეა და სახელმწიფოს საჭე უჭირავს, იმას აღარ უნდა არც ლხინი, არც მოსვენება, არც გართობა ტოლ-ამხანაგებში.

ლაშა. ლხინსა და გართობას მე სულაც არ გავურბივარ, მაგრამ, ვშიშობ, ვაჲ თუ ლხინმა გაგვიტაცოს და, იალბუზის სიმაღლემდე აწეულნი, დაღმართ-დაღმართ დაგვაქანოს და წყვდიადის უფსკრულში ჩაგვაქანოს!

რუს. ტყუილი შიშია, გამოუცდელობით გამოწვეული სიფრთხილეა. ჩვენი ტახტი მპყარს კლდეზედ დამყარებულია და, ვსასოებ, იალბუზზედაც მაღლა აღისრბოლს! ლაშა, იდღეგრძელენ ამიერითგან უკუნისამდე! სახელი შენი ითარგმანების ბრწყინვალეობით და განაბრწყინვებცა ტახტსა შენსა უმეტეს ყოვლისა თვის მპყრობელისა!

ლაშა. იყავნ ნება უფლისა! იცოცხლენ, დაო საყვარელო, მრავალ ჟამიერ! ჩრდილი შენი საგრილობელ ჩემდა ჰყავნ უფალმან!

რუს. მე ისევ იქა ვარ. ცოტა დაისვენე აქ, ჯან-ლონე მოიკრიბე, მოსუქდი, და მერე გაგისტუმრებ ერთს ადგილას, საცა შენს სიგმირეს და სიჭაბუკეს მარადღღე უგალობენ მერცხლები და იადონები.

ლაშა. სადაა ეგეთი ადგილი?

რუს. საქართველოში.

ლაშა. მაინც?

რუს. ქახეთში.

ლაშა. ქახეთში!

რუს. **დ**იახ!

ქალი სცხოვრობს კახეთში,
მისებრ არ არს კოლხეთში!
ვარდია სავარდეში,
ველისციხეს ნაზარდში!

ლაშა. ძარგად შეამკე ეგ ვიღაც არი! დედოფლად თუ გვიპირობ!

რუს. **დ**ედოფლად არ ივარგებს!

ლაშა. მიზეზი?

რუს. ოტა კაცის შვილია,
ოტა კაცის ცოლია,
ზარნა ლერწამ-ლელია,
ძაცის გულის მწყვლელია!

ლაშა. ოტა კაცობა რას დაუშლის, თუ თვითონ კარგია! ნათქვამია: **ათასად გვარი დაფასდა, ათი-ათასად ზრდილობა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.**

რუსუდან. ქალი და რა ქალია:
ფუფუნებით ზრდილია,
ზარნა გათხოვილია,
ველისციხის რძალია.

ლაშა. **დ**აო, ნუ მაღელვებ, სისხლს ნუ მიჩქროლებ. წინადაც ვიყავ ლაშარის ჯვარს. თუშ-ფშავ-ხევსურებმა წაწლობა*) იციან. კინაღამ მეც არ ამიჩნდა ერთი წაწალი. ვაშკაცს სისხლი რომ აუჩქროლდების, ძნელად ღა შეიმაგრებს თავს!

რუს. **წ**ადი კახეთს, ქალი ნახე, ვარდი ვარდს შეეყარ და, თუ სურნელოვან აღმოჩნდა, ძალ-გიძს შეირთო და დე-

---

*) და-ძმობა.

დოფლად დასო ბედნიერს ტახტზე. (მარტო). მაცალე, ჩემო მაშფოთებელო, რა გვარ მახეში გაებმი! (გადის).

ლაშა. (მარტოკა). ვიღაც ქალს მირჩევს ჩემი დაჲ, მერე ისიც გათხოვილს, ქმროსანს. ძალგიძს შეირთოო, თუ მოგეწონაო! მაგას სწორედ ჩემი წარწყმედა უნდა! აკი ჩემმა ძუძუსმტემაც გამაფრთხილა, შენს დას ნუ ენდობიო! როგორ დავიჯერო, რომ რუსუდანს ჩემი ღალატი ედოს გულში! მერე რისთვის? ტახტისა და გვირგვინისთვის? არა მგონია! ტახტი მე მეკუთვნის სქესობით. არა, ვერ დავიჯერებ მის ორგულობას! მაგრამ სხვის ცოლის შერთვას რომ მირჩევს, ეს რაღას ნიშნავს? დავით მეფესავით მეც სხვას წავართვა ცოლი! არა, ამას არ ვიზამ, თუ ღმერთი შემეწევა. (გადის).

ჩ ვ ე ნ ე ბ ა II.

ტფილისი. იგივე პალატი.

შემოდიან რაინდნი და მწკრივდებიან. მერე შემობრძანდება რუსუდანი.

რუს. გაუმარჯოთ რაინდებს!

რაინდნი. გამარჯვება და დღეგრძელება დიდებულს უფლის წულს! (თავს უკრავენ).

რუს. დავალებულ საქმისთვის მოხვიდოდით!

რაინდნი. იცოცხლეთ! სწორედ მაგისთვის.

რუს. მოინადირებდით, ვიცი!

უფროსი რაინდი. ღვთით, ყოველივე მალე მოგვარდება.

რუს. ეცადეთ შეაძულოთ სანატრელის დედა ჩემის ვაზირნი!

უფროსი რ. თუ თვითონ არა, სავით დიდებულნი შეიძულებენ მას და განეშორებიან.

რუს. აგრე, აგრე!

უფროსი რ. მას განეშორებიან და თქვენს საფარველს ქვეშე შემოეფარებიან.

რუს. სიფრთხილე-კი საჭიროა ფრიადი. თუ ორგულება შეგვიტყვეს, ჩვენი სასოება ქარტეხილს მიეცემა!

ლაშა. ქახეთში!

რუს. **დ**იახ!

ძალი სცხოვრობს კახეთში,
მისებრ არ არს კოლხეთში!
ვარდია სავარდეში,
ველისციხეს ნაზარდში!

ლაშა. ქარგად შეამკე ეგ ვილაც არი! დედოფლად თუ გვიპიროობ!

რუს. **დ**ედოფლად არ ივარგებს!

ლაშა. **მ**იზეზი?

რუს. **ც**ოტა კაცის შვილია,
ცოტა კაცის ცოლია,
ზარნა ლერწამ-ლელია,
ქაცის გულის მწყვლელია!

ლაშა. **ც**ოტა კაცობა რას დაუშლის, თუ თვითონ კარგია! ნათქვამია: **ათასად გვარი დაფასდა, ათი-ათასად ზრდილობა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.**

რუსუდან. ძალი და რა ქალია:
ფუფუნებით ზრდილია,
ზარნა გათხოვილია,
ველისციხის რძალია.

ლაშა. **დ**აო, ნუ მაღელვებ, სისხლს ნუ მიჩქროლებ. წინადაც ვიყავ ლაშარის ჯვარს. თუშ-ფშავ-ხევსურებმა წაწლობა*) იციან. კინაღამ მეც არ ამიჩნდა ერთი წაწალი. ვაშკაცს სისხლი რომ აუჩქროლდების, ძნელად ღა შეიმაგრებს თავს!

რუს. **წ**ადი კახეთს, ქალი ნახე, ვარდი ვარდს შეეყარ და, თუ სურნელოვან აღმოჩნდა, ძალ-გიძს შეირთო და დე-

---

*) და-ძმობა.

დოფლად დასო ბედნიერს ტახტზე. (მარტო). მაცალე, ჩემო მაშფოთებელო, რა გვარ მახეში გაებმი! (გადის).

ლაშა. (მარტოკა). ვილაც ქალს მირჩევს ჩემი დაჲ, მერე ისიც გათხოვილს, ქმროსანს. ძალგიძს შეირთოო, თუ მოგეწონაო! მაგას სწორედ ჩემი წარწყმედა უნდა! აკი ჩემმა ძუძუსმტემაც გამაფრთხილა, შენს დას ნუ ენდობიო! როგორ დავიჯერო, რომ რუსუდანს ჩემი ღალატი ედოს გულში! მერე რისთვის? ტახტისა და გვირგვინისთვის? არა მგონია! ტახტი მე მეკუთვნის სქესობით. არა, ვერ დავიჯერებ მის ორგულობას! მაგრამ სხვის ცოლის შერთვას რომ მირჩევს, ეს რაღას ნიშნავს? დავით მეფესავით მეც სხვას წავართვა ცოლი! არა, ამას არ ვიზამ, თუ ღმერთი შემეწევა. (გადის).

ჩ ვ ე ნ ე ბ ა II.

ტფილისი. იგივე პალატი.

შემოდიან რაინდნი და მწკრივდებიან. მერე შემობრძანდება რუსუდანი.

რუს. ბაუმარჯოთ რაინდებს!

რაინდნი. ბამარჯვება და დღეგრძელება დიდებულს უფლის წულს! (თავს უკრავენ).

რუს. დავალებულ საქმისთვის მოხვიდოდით!

რაინდნი. იცოცხლეთ! სწორედ მაგისთვის.

რუს. მოინადირებდით, ვიცი!

უფროსი რაინდი. ღვთით, ყოველივე მალე მოგვარდება.

რუს. ეცადეთ შეაძულოთ სანატრელის დედა ჩემის ვაზირნი!

უფროსი რ. თუ თვითონ არა, ავით დიდებულნი შეიძულებენ მას და განეშორებიან.

რუს. აგრე, აგრე!

უფროსი რ. მას განეშორებიან და თქვენს საფარველს ქვეშე შემოეფარებიან.

რუს. სიფრთხილე-კი საჭიროა ფრიადი. თუ ორგულება შეგვიტყვეს, ჩვენი სასოება ქარტეხილს მიეცემა!

რაინდნი. ნუ შიშობთ, დიდო პატრონო, ენდეთ ჩვენს გამოცდილებას!

რუს. მჯერა თქვენი ერთგულება და მისთვისაც გაგიზიარეთ ჩემი გულის წადილი. მითხარით მეც, რა სცანით, რა გააწყეთ და გაარიგეთ?

უფროსი რაინდი. ვცანით, რომ ლაშა ახოვანი კაცია, ჩვენო პატრონო!

მეორე რაინდი. უხვიც ყოფილა, უფლის წულო!

მესამე რაინდი. ლაშა, მოგეხსენებათ, დედუფალო, გლახაკთ გამკითხავია.

მეოთხე რაინდი. ლაშა გულჩვილი ვაშკაცია, ჩვენო დიდო პატრონო!

მეხუთე რაინდი. არც მოშურნეა, თქვენს მზეს ვფიცავ!

უფროსი რაინდი. ლაშას უყვარს სხვის მიყოლა, დედოფალო, სხვათა მინდობა გაუსჯელად, და ესეთი თვისება კი ვისაც ჰბედია, არ იქნების, თითონვე არ გაითხაროს ხნარცვი და თავდაყირა არ ჩავარდეს მასში. ეს თვისება ჩვენ უფრო გავუღვიეთ მას და გავუზარდეთ, და მალე შესტოპავს მწვირეს წუნწუხში და ამოიგანგლება ისე, რომ მტკვარიც ველარ გარეცხავს.

რუს. (კმაყოფილებით) ამინ იყავნ სიტყვა შენი!

უფროსი რაინდი. ხშირ-ხშირად და რიგ-რიგად ვუმასპინძლდებით მას, ვასმევთ, ვაჭმევთ, ვალხინებთ, უწესურ მსახიობას, სიმღერას, სიღოდასა და ნაყროვნობას ვაყვარებთ.

დანაშთენნი რ. აწცა ჩვენ იქიდგან გამოვიპარენით, სადაც ლაშას ერთი ყოფა გააქვს და თავ-აღებულად ლხინობს ჩვენს მეგობრებთან.

რუს. ბარაქალა თქვენს გამოცდილებასა და გამჭრიახობას! მომწონს თქვენი დაწყობილობა. გასამრჯელოს დიდს მიიღებთ.

რაინდნი. ბვიდღეგრძელენ ღმერთმან ჩვენი უხვი პატრონი. (თავს უკრავენ და მოწიწებით გადიან).

რუს. (ნადვლიანის იმედიანობით). იქნება ბნელი უკუნი გამინათდეს?!. (გადის).

ჩ ვ ე ნ ე ბ ა III.

იგივე პალატი. შემოდის ლაშა-გიორგი ბარბაცით. მარჯვენა თვალი ახვეული აქვს.

ლაშა (ენა დაბნევით ელაპარაკება თავის თავს). ახია ჩემზედ. მიშალეს, განეშორე რაინდებსო, მსმელთ, უწესო კაცთ ნუ ეკარებიო. არ გავუგონე მათ. ავყე მსმელებს. მეგონა, გავერთობი-მეთქი. ვენდე რაინდებს. ან როგორ არ ვნდობოდი! დიდებულების და წარჩინებულ თავადების შვილები არიან. რა ვიცოდი, რომ გარყვნილობის მორევში ცურავდნენ. მაგრამ არა. იგინი გარყვნილები არ არიან. ვეჭობ, მხოლოდ მე შემაცურეს სიბილწეს წვირეში. აგერ დღესაც ბევრი მალხინეს, ბევრი მასვეს' მერე, როგორ მოხდა, არ ვიცი, წავედით სხვა მეგობრისას. სისხლი ადუღებული გვქონდა, გონება გახურებული, მზეთ უნახავი ლამაზები შეგვხვდნენ, ძალ-მომრეობა უნდა გვეხმარა, სიბილწე უნდა ჩაგვედინა. გარნა ტლუ ბიჭები გადმოფრინდნენ, თავ-პირი დაგვალეწეს, მეტადრე მე მომხვდა ბევრი. ვერ მიცნეს, მგონია, და მგვემეს, მარჯვენა თვალი ამომიგდებინეს, ქვა კუდით გვასროლინეს. ვაჲმე, ვაჲ ჩემს თავს. წავიწყმიდე სული. შევიგინე და შევუგინე საფლავი დედა ჩემს, თამარ წმიდას. აწ რა არს ჩემი ცხოვრება? რა ვარ მე დღეს? ჩალა, რომელიც ცეცხლმა უნდა დასწვას. რად დავიბადე? შესარცხვენად გვირგვინისა! რად არ გავქარწყლდი

დედის მუცელშივე! ღმერთო მოწყალეო, დამიფარე უვარესისგან. (წვება ტახტზე ტან გაუხდელი, ნაბადს წამოიგდებს, ჩაეძინება და ბოდვას იწყებს). ვინ არის? ის არის... არა, ლანდია!.. არა, დედაა!.. არა, აჩრდილია!.. ვაჲმე, დედა ჩემია!.. რა გნებავს, დედაო, რად მობძანდი?.. ნუ მგმობ! ნუ მწყევლი? ნუ ხარ ჩემზე გულძვირად! ჩემი ბრალი არ არის! შემაცდინეს!.. უცთომელი ვინ არის? ერთი მხოლოდ ღმერთი! ჯ-მე, კბილებსაც მიღრჭენ, დედაო! შენს საყვარელს ლაშას მაფურთხებ! მაკმარე ტანჯვა! ნუ მაწვალებ! ნუ მაწამებ! შემიბრალე! დამლოცე! ეგრე, ეგრე! წადი, გამშორდი, სულს ნუ მიხუთავ! ჩემი ბრალი არ არის! ჩჩვილი გული მაქვს, მიმყოლი ვარ. ყველა კაცი მე კაცი მგონია! ზოგს თურმე კაცის სახე ჰქონია და ტარტაროზის ვერაგობა!.. ნდობას ღალატით მიხდიან (დრმად იძინებს).

(შემოდის რუსუდან ფეხ-აკრეფით).

რუს. რა ტკბილად სძინავს! (მდერის).

დაიძინე, თვალ-გამოთხრილო,
ქვეყანასა შინა მოთხრილო,
ლაშავ, სახელ მოყივლებულო,
უკუნისამდე შერცხვენილო! (გადის).

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება)

ი ა ნ ი ჩ ა რ ი *)

მესამე მოქმედება

ს ცე ნ ა I

ფაშის სადგომში.

შემოდის რობიტ და ათვალიერებს, ზედ დატანებაზე **შემოდის მსახური ფაშისა.**

მსახური. შენ, ჰეი, გურჯო, აქ რათ მოჰსულხარ?
ან ეგრე ჩუმათ რათ მოიპარე?
ვერ ვის ეტყოდი, რომ ჩემთვის ეთქვა?

რობიტ. მე არ მოვსულვარ ჩუმად-ქურდულად,
და, თუ წინ-და-წინ ვერ გაცოდინე,
ეგ-კი ბრალია იმისი, რომა
გარს გახვევიათ უხილავთ რაზმი—
და მე ხილული ვის რას ვეტყოდი!..

მსახური. მაგ სიტყვებისა არა მესმის რა...
შენ უსაქმურად არ მოხვიდოდი;
მითხარ, მიამბე შენი ვარამი.

რობიტ. მოველ, რომ ვნახო ფაშა ეფენდი,
მასთან საქმე მაქვს: სთხოვე, მეჩვენოს.

მსახური. (რბილად) ბეტყობა, გურჯო, ტკბილი კაცი ხარ,
გეტყობა, იცი კარგი ამბავი;
მე უნდა მითხრა ჯერ ყველაფერი,
რაც გსურს იმისთვის მოსახსენებლად;

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5.

მერე მე შევალ, ვთხოვ, მომისმინოს,
გადავცემ იმას შენს ყოველს სიტყვას;
მაშინ თუ გნახავს, გამოვა აქა,
თორემ უამბოთ მასთან ვერ შევალ;—
მე ხომ გამლანძღავს, შენც გაგისტუმრებს
უპასუხოთა, არც გინახულებს.

რობიტ. შენ ტყუილადა გზებს ნუ მიხლართავ;
წადი, უთხარი, მნახოს, თორემა
არ შეეყრებით ორივ კაი დღეს!

მსახური. როგორ, გვემუქრი ორსავე ერთად?!
იქნებ არ იცი, რომ ეხლავ ვბძანებ
და ჩხარა-ჩხურით ტყვედ გაგისტუმრებ!

რობიტ. ძი არ გემუქრი... მაგრამ თქვენს ფაშას
შეატყობინე ჩემი აქ მოსვლა,
საჭირო საქმე მინდა გადავცე,

მსახური. აკი გითხარი, უამბოთ მასთან
ვერ გავბედავ მე შეხედვასაც კი.

რობიტ. სითგან იქნება აქ უამბობა,
ეტყვი: ვიღაცა გურჯი გელისთქო!

მსახური. თუ მე არ მეტყვი, მასთან ვერ შევალ.

რობიტ. რატომ?

მსახური. იმიტომ, რომ ფაშას სძინავს.

რობიტ. რას როშავ, მგონი, არც კი ფიქრობენ!
ეხლა რა დროსღა ფაშის ძილია,
აგერ საცაა შუადღე მოვა!
შენ თუ არ ეტყვი, მე თითონ შევალ.
მაშინ კაი დღე არ დაგადგება... (**ეპირების შესვლას**)

მსახური. დაიცა, კაცო! რათ სცხარობ ეგრე?
ჰო, შევალ, ვეტყვი, მაგრამ ჩემთვისაც
რომ გეთქვა, უფრო შენთვისაც სჯობდა.
(**ცალკე**) ვერ გამოვცინცლე, რომ ფაშის გული

უფრო მქონოდა მით მოგებული.
აი მე მივალ, აქ მოიცადე. (გავა).

ჩობიკ. (მარტო) რა უნდა ვუთხრა?.. (მცირე სიჩუმე)
ამას რას ვშვრები?!

მტერს უნდა გავცე მთლად ქართველობა?
უნდა ვუთხრა, რომ ძალიან მალე
იმათ ქართველნი ძირს გაუთხრიან?!
თან დავარიგო, გაფრთხილდეს ფაშა,
ჯიმშერს ხელები შეუკრას მაგრა,
რომ მან ვერ იხსნას ჩვენი მამული?
ამას რას ვშვრები? რა მემართება?

ვღუპავ, თუ ვშველი ჩვენს ბედკრულს მამულს?!
აქ საკეთილო არაფერი სჩანს!
მეკი მინდოდა სულ სხვა... დიაღ, სხვა!..
მაშ, როგორც ვატყობ გონზედ მოსული,
მე უნდა გავხდე საზიზღარ კაცად,
მთელის ქვეყნისგან შესარისხავად,
რომლის სახელსაც, შესაზარავსა,
აროდეს შვილი არ მოიხსენებს,
თუ არ ლანძღვითა, კიცხვით, ყვედრებით!..
მერე რისთვისა? უბრალო შუღლის
გამოისობით მთლად უნდა შევრცხვე?!
მარტო მე არა, გვარიც და თემიც!..
მოღალატეო, უნდა მეძახონ?!.

არა, ვერ ვიზამ მე მაგ სიმდაბლეს!
პირადულ შურსა ვერ ვანაცვალებ
მთელის ქვეყნის ბედს—კეთილ-ცხოვრებას!
მე ვერ გავხვდები საწყევარ საგნად,
არ მივცემ ნებას ჩემს თავს ამისას!..
სხვამ თითონ იცის... მე კი შორს... შორს
ამ ბილწ საქმითგან, ღმერთო მაშორე!..

ქართველის ფრჩხილი, გინდ მტერი იყოს,
სულ მირჩევნია მთლად ამ ოსმალებს!..
შენ, ჩემო ჭკუავ, როგორ მოგიხდა,
რომ ეს შეცდომა ჩაჩადენინე?
გულმა იქამდის როგორ დაგჯაბნა,
უტვინო გოგრავ, შე ბეციანო,
რომ მამულისთვის უნდა გემტყუვნა?!
არა! ჭკვავ, გასჭერ, გრძნობავ დაჩლუნგდი,
ნუ მახვევ შენსა უწყალო ქსელში!
მაშ, წადი, რობიტ, ის ერთგულება
ბრძოლის ველზედა შენ დაამტკიცე,
და მოძმეებთან თავის განწირვით
იმათი გული შემოიმტკიცე!.. (მსწრაფლად გავა)

შემოდის ფაშა მსახურით.

ფაშა. აბა, სად არის?
მსახური. (დაბნევით) ეხლა აქ იყო,
დიდო ეფენდი... სად წავიდოდა?..
ფაშა. როგორა ჰბედავ ჩემს მოტყუებას?
არ იცი საქმე შენ ვისთანა გაქვს?
მსახური. ალლახსა ვფიცავ, ვიღაცა იყო...
ფაშა. (ტაშს დაჭერავს) ეჰეი, ყული! (შემოდის მეორე მსახური)
წაიყვა ესა,
მოსჭერით ენა და ორივ ყური,
რომ რაც ესმოდეს, მხოლოდ ისა სთქვას!
მეორე მსახ. თქვენი ბრძანება მსწრაფლ აღსრულდება.
(ტაღჯე) ძლივს არ ჩავიგდე ეს წუწკი ხელში!
ფაშა. როცა მოვიდნენ ჯართ უფროსები,
უთხარ, მაშინვე აქ შემოვიდნენ.
ეს კი წაიყვა და აასრულე. (მსახურნი გავლენ)
ფაშა. (მარტო) სწორედ რომ კარგი გამოცანაა!
იქნებ არც სტყუის ეგ ოჯახ-ქორი,

იქნება იყო ვინმე, აცდინა,
და მერე ისევ წავიდა, გაჰქრა...
მაშ, მაგან სითგან გამოიგონა:
არ შეეყრებით ორნივ კარგსაო?
არა, აქ სხვაა საქმის წამხდენი,
ეგ უბრალოა, ტყულად დასჯიან,
ჰე, აბაზ, აქ მო... (შემოდის მესამე მსახური)
წადი, უთხარი,
აღარ დასაჯონ უსუფა, ჩქარა... (ის არ მიდის)
შენ არ გიბრძანებ, რატომ არ წახვალ?

ანაზ. **ფ**აშა ეფენდი, ნუ გამიწყრები...

ფაშა. **ჩ**ქარა თორემა, კაცს აწამებენ...

ანაზ. **მ**ეც მაგისათვის არ გიახლები,
რომ უსუფ კიდეც დასჯილი არის!

ფაშა. **კ**იდეც დასაჯეს? უსვინდისონი!..
ეგრე სასწრაფოთ რას დაეშურნენ?
მე ხომ არ მითქვამს—ამ წამსვე-მეთქი.
მაშა, ვინც სწორედ ჩემი ბრძანება
ვერ გაიგონა, ისიც დასაჯეთ!

ანაზა. **ი**სი როგორლა?

ფაშა. **ს**წორედ იმ გვარად.

ანაზა. (მიმავალი ცალკე) **მ**ე კიდევ მაზე ვიყრი ჩემ ჯავრსა.
(გავა)

ფაშა. **ა**რ დამაცადეს, ცოტა მეფიქრნა,
იქნებ ის კაცი გადამერჩინა...
მაგრამ იქნება მტყუანი არის?
ჰეი, აბაზ! (შემოდის) აქ ცოტა ხანს წინად
იყო ვინმე და მე მკითხულობდა?

ანაზა. **ა**რ ვინ ყოფილა, დიდო ეფენდი!

ფაშა. **კ**არგი, მაშ წადი. ეს მეორე-კი
ტყულად დასაჯეს, უბრალო იყო... (გავა)

(ცოტა ხანს უკან შემოდიან ასლან და ისკანდერ)

ისკანდერ. შენ მართალი ხარ, ეგრე სჯობია;
რომ შენი აზრი ჩვენ შეგვისრულდეს,
ამდენი ჯარი შუა გაიყოს,
მაშინ ხომ საქმე მოგებულია!

ასლან. რასაკვირველია, სად მთელი ჯარი,
სად ნახევარი! ნახევრ-ნახევრის
კბილების მოჭრას უფრო შევიძლებთ—
ახლა ზედ კიდევ ხანი მოგვატანს...
ასეთ პასუხსაც გავცემთ,
და, იმედია, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ისკანდერ. ეგ ხომ ნამდვილად ეგრე იქნება.
მაგრამ შენ ერთი აი ეს მითხარ:
ნინო სად ნახე, სად ესაუბრე?

ასლან. (ამოიოხრებს) ეჰ, მაგაზედა რა უნდა გითხრა?..
ვით მოჩვენება ტკბილ ოცნებისა
მოგეჩვენება და მსწრაფლ გაჰქრება,
მერე ბევრს ეძებ, გინდა დანახვა,
მაგრამ არ იცი, სად იმალება;
ეგრეთვე მისი ჩემთვის დანახვა
ყოფილა ხოლმე ერთის წუთისა.
მაგრამ ისიც-კი საკმაო იყო
ჩემის არსების დასამონებლად...
ის ვნახე ერთხელ ჯიმშერის სახლში,
მეორედ სადღაც მონასტერთანა,
მე მივდიოდი მაშინ ფაშასთან,
ის-კი მეორე ცქრიალა ქალით
მონასტრის კარებს გადაეფარა.
მესამედ ვნახე თვით ეზოშია,
როცა სახლითგან გამოველ აქეთ,
და სწორედ მაშინ მითხრა ის სიტყვა,
რომელმაც მართლა გამომაფხიზლა.

ისკანდერ. ვისი შვილია, არ გაგიგია?
ასლან. ის არის ქალი ერთი მოხუცი
დედა-კაცისა, რომელსაც ჯიმშერ
ინახავს, თურმე, კარგა ხანია.
ალბათ მიტომმც ის დადის ხშირად
ჯიმშერის სახლში, ვით შინაური...
(ხმაურობა) მოდიან, მგონი.
შემოდიან სხვა ჯართ-უფროსნი და ფაშაც.
ფაშა. ძაი დროს მოველ!
ჯართ უფრ. სალამი, ჩვენო დიდო ეფენდი!
ფაშა. გმადლობთ, დასხედით; ეხლავ დავიწყოთ:
ჩვენ ერთს ალაგას დგომა არ გვარგებს,
არც ბრძანება გვაქვს, სადმე ქალაქად,
გინდ სოფლად ვიდგეთ დიდის ხნობითა.
ეხლა კი დროა, გზას რომ გავუდგეთ.
ჩვენ უნდა გავყვეთ აქეთგან რბევით,
რაც ახლო-მახლო სოფლები არის,—
შემდეგ გავიდეთ გალმა მხარშიაც,
დავიჭერთ გრემსა, შილდას, საბუეს;
ავყვებით ზევით, მთიელთ დავარბევთ,
თიანეთისკენ გავიკვლევთ გზასა,
იქითგან ხარჯის მკრეფავთ გავგზავნით,
მთიელთ და ხევსურთ დავიმორჩილებთ,
თუმც ქვეყანაა მტრის შეუვალი.
იქითგან დავყვეთ არაგვის ხევზედ
და ქართლს მოვედნეთ კალიასავით.
და მერე გავალთ ჩვენს სამეფოში
ნაალაფევნი—დამდიდრებულნი,
აღვსილნი ტყვითა, საქონელითა.
ახლა ხონთქარი გვიბოძებს, რომ მას
ესდენ ქვეყნები დავუმორჩილეთ!..
ამდენ სიმდიდრის მომლოდინენი—

ისეც ერთგულნი ხონთქრის ტახტისა—
საქმეს უფრო მხნედ უნდა მოვექცნეთ.

ისაუ-ბეი. შაშა ეფენდი, ეგ თქვენი სიტყვა
მარგალიტია... ნება მიმოძეთ,
მეც მოგახსენოთ.

ფაშა. სთქვი, ისაუ-ბეი.

ისაუ-ბეი. ჩვენ რომ აქეთგან წავალთ, მაშინ ხომ
გურჯები ისევ განთავისუფლდნენ?
არც ხარკს მოგვცემენ, არც სხვა რამ ხონთქრის
ნებას ისინი აასრულებენ.
ჩვენ აქ—თელავში უნდა დავტოვოთ
პატარა რაზმი თვალ-ყურის მჭერად.

ფაშა. (ცალკე) შუ, როგორ აზრად არ მომივიდა!..
ეგ მართალია, ეგრეც იქნება...
მაგრამ დროზედ-კი ვერ მოვიხსენე.

ასლან. ნებას ვთხოულობ, მოგახსენოთ რამ.

ფაშა. იმედი მაქვს, რომ კარგს რასმე იტყვი.

ასლან. თქვენ აპირებთ, რომ პატარა რაზმი
აქვე დასტოვოთ სადარაჯებლად;
მაგრამ კი თანაც ის გავიწყდებათ,
რომ გურჯი იმ რაზმს მალე გასწყვეტავს
და უფრო ცოტა შიში ექნება.
ჩემის აზრით კი ასე აჯობებს,
რომ ჩვენი ჯარის მთლად ნახევარი
აქ მთელს მხარეში ყურის საგდებლად
დავსტოვოთ და მითი ფეხი გავიდგათ.
აღარ გაივლის დიდი რამ ხანი,
მოგვეშველება შირვანის ხანი,
იგი დაიჭერს კახეთს-მთიულეთს...
ხონთქრის მორჩილი მონაც იქნება;
ჩვენ მაშინ მხოლოდ იმ ერთ კაცთანა

გვექნება საქმე და არა ხალხთან,
აქ დარჩენილი ნახევარი კი
ისევ კვალ და კვალ პირველს გაჰყვება,
ქვეყნის დაპყრობაც მტკიცე იქნება.

ისკანდერ. მეც ვეთანხმები ასლანის სიტყვას;
რადგან გურჯებსა არა ჰყავთ ხოლმე
არასდროს ჯარი კარგათ გაწვრთნილი,
ამიტომ მათსა დაპყრობა-რბევას
არ დასჭირდება ის ნახევარიც,
რომელიც წავა წინა წყებათა.
ჩემის აზრითა აქ უფრო უჭირს
მხარეს მაგრება, სანამდის მოვა
შირვანის ხანი და ის დაიჭერს
არე-მარესა.

ფაშა. მართალი არის.
მშვენიერია, ძალიან კარგი!
მე თანახმა ვარ, ეგრე სჯობიან;
მაშ, ერთს თქვენგანსა მე აქ გავუშვებ,
მეორეს კია თან გავიყოლებ.
ნახევარ ჯარის აქ გაშვება სჯობს,
ხანის მოსვლისა შემდეგ კი მალე
უკან მოგვყვება და დაგვეწევა.
ეს თქვენც ხომ მოგწონთ?

ისაებეი. ჩინებულია.

ჯართ-უფრ. ეგრე სჯობია.

ფაშა. მაშ ეხლა წადით ყველანი თქვენთვის,
და როს იქნება დრო საქმობისა,
შეგატყობინებთ, ვისი ჯარებიც
სადარაჯებლად აქ დარჩებიან.
მეც წავალ ცოტა დასასვენებლად,
თორემ თვალები მებლანდებიან. (გავდენ, ასლან და ისკანდერ ჩამორჩებიან)

ალექსანდრ. ჯან ასლან! ყოჩაღ! თითქმის ნახევრად
საქმე გაკეთდა! რაკი ამდენი—
ზღვასავით ჯარი შუა გავყავით,
უფრო ახლოა ჩვენი მიზანი.
წავიდეთ ეხლა ჩვენები ვნახოთ,
გავემცნაუროთ, იმედი მივცეთ,
მათი ამბავი ყველა გადავცეთ. (გავლენ)

სცენა II

ჯიმშერის სახლში.

ანნა ხელ-საქმობს, შემოდის სალომე.

სალომე. შენი ნახვა ჰსურს თავად რობიტსა.
ანნა. აი ჯიმშერის მტერ-მოყვარესა?
სალომე. სწორედ იმასა, მაგრამ მგონია,
მას გუნებაში შური ან მტრობა,
ცუდი განზრახვა არა უდევს რა,
რადგანაც სახე გულის სარკეა.
ეტყობა, რამე სათხოვნელი აქვს.
ანნა. ძარგი, მოიხმე; იქნება მართლა
საბრალო არის გაჭირვებული,
ყველასგან მოთხრილ-შეჩვენებული! (სალომე გავა)
როგორ მოჰსვლია გულ-ამაყს რობიტს,
ზვიადს ვაჟკაცსა, მოუსვენარსა,
რომ იმ ჩხუბ შემდეგ კიდევა ჰბედავს,
მოდის უმძრახის კაცის სახლშია! (შემოდის რობიტი)
ანნა. მობძანდი.
რობიტ. ბმადლობ, ბოდიშს ვთხოულობ,
თუ შეგაწუხე უდრო-უდროთა.
მაგრამ საქმე მაქვს ისე საშური,
რომ ვერ გადავდე შემდეგისთვისა.
ანნა. ბძანე, ბატონო, ყველას მოგისმენ;

თუ იმ საქმეში რამ დახმარება
შენა გჭირია და შემეძლება,
არას დავზოგავ, ერწმუნე ღმერთსა.

ტობიტ. მაგ სიტყვებისთვის მადლობელი ვარ...
თუმცა არ შემფერის, როგორც ვაჟკაცსა,
ნამდურავ კაცის ოჯახში მისვლა,
მაგრამ, რა ვუყო, გარემოება
აწინდელ საქმის ამას ითხოვდა,
რომ დამევიწყნა ყოველი გრძნობა
სამდურავისა—შური თუ გმობა.
მეორეც ისა, შენს გულს და სვინდისს
ძმურად მოვმართე; იმედიცა მაქვს,
უარს არ მეტყვი ერთს სათხოვარზედ.

ანნა. რა არის, ბძანე.

ტობიტ. რომ შეგვარიგო
ერთმანეთს მე და შენი მეუღლე.
ამ წინაზედა ჩვენ ერთმანეთში
აურ-ზაური რაღაც მოგვიხდა;
და ამის გამო მე იმას, ის მე—
მოსაკლავადა აღარ ვინდობდით,
ვით არ დავინდობთ ხვალ ოსმალებსა.
მაგრამ რადგანაც დღევანდელს დღესა
ერთი კაციც-კი დიდი რამ არის,
ამიტომ ვბედავ, ამაყ თავს ვიხრი,
პირველი მოველ საბოდიშოთა...
შევრიგდეთ, გვეყო ამდენი ქიშპი;
ჩვენ თუ ავყვებით გაუმაძღარს გულს,
იგი აროდეს არ დაწყნარდება.
სჯობს, რომ ხშირ-ხშირად ჭკვას გავუგონოთ,
ის უფრო კაცის მეგობარია.
შენ ქმარს ამ სიტყვებს ჩემსას გადასცემ,
ეტყვი: ყოველი, რაც კი ყოფილა

ჩვენ შორის მცირეც უმადურობა,
შევკრათქო კონად და მივცეთ ცეცხლსა
სათნოებისგან აღმოცენებულს.
ვიცი, მეც ბევრი რამ დავაშავე,
არც ჯიმშერია უმანკო კრავი,
მაგრამ მამულის გულისთვის ეხლა
სამარადისო შევკრათ ჩვენ ზავი.
აი ეს არის, ეს გადაეცით,
შემდეგ კიდევაც მოვალ მე მასთან.

ანნა. ძალიან კარგი, მოხარული ვარ,
რა კი საამურ გზას დასდგომიხარ;
ვეტყვი კიდეცა და თან ვეცდები,
რომ შეგარიგოთ ნამდურავები.
იმედიცა მაქვს, არ იტყვის უარს.

ბობიტ. არც მე მგონია, რომ გაჯიუტდეს...
თუ არ შერიგდა ამ თხოვნის შემდეგ,
ჯერ კი სანამდის მტერს მოვიშორებთ,
ხმასაც არ გავცემ, ერთად ვიბრძოლებთ,
შემდეგ კი ორნივ ჩვენსას ვეცადნეთ.
ჩემი პირობა სწორედ ეს გახლავთ,
ცოტა ხანს უკან ისევე გნახავთ. (გავა)

ანნა. (მარტო) საკვირველია, ემაგ ნაირად
ამ მრუდე გულის გარდაგვარება!
გუშინ, გუშინ წინ ნაფიცსა მტერსა,
დღეს თითონვე ჰსურს შემორიგება!.. (სიჩუმე)
ის სხვა ძალაა, რომელიც ჭკუას
შურით მოჟანღულს მიჰფენს ნათელსა,
უჩვენებს გზასა და მით ჭკვა უფრო
ძლიერა ბრწყინავს, აქარწყლებს ბნელსა.
ჭკვა თუ მეფეა და მბრძანებელი,
ის სპასპეტია—სარდალთ მთავარი;

ბრძენს ის ამშვენებს, გმირს ის ამხნევებს,
გულადად მოსჩანს იმით ლაჩარი;
დედა შვილსა ჰზრდის მის ჩაგონებით,
მგოსანი არის აღფრთოვნებული;
შინაურს შურს სპობს, გარეულს მტერს კი
შეაკლავს, რომ მით იხსნას მამული...
ეს ყოვლად ქებული ძალა არის
სამშობლოს ტრფობა, მის სიყვარული!
თუ კაცს ჭკუასთან არ აქვს ეს ძალაც,
იმისი გული აღარა გულობს;
გმირული საქმე არ ეხერხება,
ჭამა-სმის მეტსა ყველაფერს სწუნობს!
რობიტს ეხლა-კი სწორედ ეს ძალა,
აქამდის მკვდარი, გასცოცხლებია;
უფრო სწორე გზა მით მოუნახავს,
მოძმესთან გულიც გასწორებია.

(შემოდიან **ჯიმშერ, გოდერძი** და **ქიტა**).

გოდერძი. სალამი შენდა, დიასახლისო!

ანნა. ბმადლობ გულითა.

ქიტა. მშვიდობა თქვენდა!

ანნა. და სულისაცა შენისათანა!

ჯიმშერ. აბა, დაბრძანდით...

ანნა. საითგან მოხვალთ?

ჯიმშერ. დარბაზობითგან.

ანნა. რა გააკეთეთ,
ან რას აპირობთ ტანჯულ ქვეყნისთვის?

გოდერძი. ჩვენ კი ვაპირებთ, თუ კი შევიძლებთ,
ოსმალთ ზუჩების შუა დაპობას
და მათ ხსენების ჩვენში ამოფხვრას.

ჯიმშერ. ზუჩებს იმდენი ადგიან მცველად,
რომ ვერც-კი დასთვლი სიმრავლისაგან...

მაგრამ რაც უნდა ამით გადაგვხდეს,
ოსმალთა სისხლში უნდა ვიბანოთ;
თუ გვსურს წყალს გაღმა ნაპირს გავიდეთ,
წყლით დასველებას არ დავიზარებთ.

ქიტა. ჯეშმარიტია! ეგ საქმე ჩვენგან
დაგვიანებას ვერ მოინელებს;
გინდ, რაც არიან მტერთა რაზმები,
ერთი მაგდენიც ზედ დაემატოს,
ჩვენ არა გვმართებს მცირეც ყოყმანი,
პირ-და-პირ უნდა საქმეს შევუდგეთ.

გოდერძ. მე იმედიც მაქვს, რომ გავიმარჯვებთ:
ჯერ ჩვენნი ქალნი რასა შვრებიან!
ბევრნი საომრად გამზადებულან
და მამულისთვის თავსა სწირავენ!

ანნა. ჩვენ—დიაცებიც თქვენთან ვიქნებით,
მხოლოდ თქვენ სულით ნუ დაეცემით!

გოდერძ. ნუ გეშინიან, ჩვენც მაგრა ვდგევართ,
ვით დულაბ-ბურჯი ხიდისა წყალში.

ჯიმშერ. მართლა, არ დაგვრჩეს აუსრულებლად
ორი რამ საქმე; ჯერ ერთი ისა,
რომ დილით ადრე, გათენებისას,
უნდა დავხოცოთ ის ოსმალები,
რომელნიც სახლში ჩამოგვიყენეს,—
და მით ჩვენს მტერსა ძალა მოვაკლოთ.
აი სიტყვაზედ—მე დანიშნულს დროს
გამოვასალმებ სხივ-ცხოველს მზესა
ასლანს—ენგიჩართ წინამძღომელსა,
და მოვიშორებთ იმით დიდს მტერსა.

ქიტა. მე-კი—ისკარდერს... ისიც, მგონია,
ენგიჩარია, და ერთს სხვას მასთან
ბოლოს მოვუღებ, თუმც ის ოხერი

კაი ბიჭია; გახსოვთ ეხლა ხან
გზაზედ რომ შემხვდა და ორიოდე
სიტყვა გადმომცა ძალიან კარგი...

ბოდერმ. ჩემთან ჰხირიან ოსმალოები
ორი ბობოლა—ორი უფროსი,
რომ არ დავზოგავ, რაღა თქმა უნდა.
აგრეთვე სხვანიც.. ყველას-კი ვუთხრათ,
შევატყობინოთ, რომ იყვნენ მზათა...

ჯიმშერ. რასაკვრელია, ყველას, სულ ყველას...
ზოგიერთებმა კიდეც იციან.

ანნა. როდისთვის არის დრო დანიშნული?

ჯიმშერ. დრო კი არა გვაქვს ჯერ დანიშნული,
რადგანაც მზირებს გარეთგან ველით.
როცა მოგვივლენ ამბით ისინი,
მაშინ სულ ყველა მსწრაფლ გადასწყდება.
დღეს, იმედი მაქვს, უნდა მოვიდნენ.

ანნა. მეორე რაღა? არ დაგავიწყდეს!

ჯიმშერ. მეორე? ეხლავ. ბიჭო, სარიდან! (შეშოდის **ბიჭი**)
ჯაბუ-მოურავს შეატყობინე,
რომ მოამზადოს ოციოდ ბიჭი,
კარგი ვაჟ-კაცი იარაღითა,
ცოტა ხანს უკან მზათ იყოს ყველა. (**ბიჭი** გავა)

ბოდერმ. რათ გინდა, კაცო?

ჯიმშერ. თუ საწამლავის
დედა ბალახი არ მოსპე, სანამ
კაცის არსების მომშხამველ წამლად
გადიქცეოდეს მის მწვანე წვენი,
მერე-ღა ძლიერ გვიან იქნება
მისი მოსპობა, ან უვნებლობა,
თუ დააცალე მას დაპურება
და შხამს იხმარებს კაცის სავნებლად!

ბოდერმ. მართალს კი ამბობ... მაინც აგრეა,

იქნებ ის კაცი არას აპირობს...

ქიტა. მაგას ნუ იზამ, რადგან, მერწმუნე,
ის არ ჩაიდენს რამე სიმდაბლეს...

ანნა. რატომ არ იტყვით ერთხელ სახელსა,
ვინ არის იგი, ვისაც ემუქრით?
მაგრამ თუმცა თქვენ არ მეუბნებით,
ჩემმა გონებამ მიმაგნობინა
და გულმა კიდევ მე მაგრძნობინა,
რომ თქვენ ჰკამათობთ თავად რობიტზედ!

გოდრეკ. მართალი არის, გამოიცანით!
იმას ემუქრის თქვენი მეუღლე.

ანნა. მე-კი სხვას გეტყვით: არ გაუვლია
ნახევარს საათს თქვენს შემოსვლამდის,
აქ იყო რობიტ, მაგრამ როგორი?
სულ გამოცვლილი, გარდაგვარებულ,
აქამდის ზვავი, გულით ამაყი,
ეხლა შექმნილა თავმდაბალ კაცად;
უგრძვნია თვისი დანაშაული,
ჰსურს შერიგება წრფელის გულითა;
თუ რამ გვქონიათ შური ან ქიშპი—
მოვსპოთო ყველა, გეხვეწებოდა.

ჯიმშერ. თუ ეგ სიტყვები იმისი არის
და გულ-წრფელადაც წარმოთქმულია,
მოხარული ვარ მაგ ამბისათვის!
შინაურ მტრისა ერთი დაძლევა
მაგგვარად უფრო საამურია,
ვიდრე გარეშე მტრების გაჟლეტა.

გოდრეკ. შენ უნდა იყო დარწმუნებული,
რომ ანნა ტყუილს არ იკადრებდა,
ან ტყუილს რა რჯის... ვისი გულისთვის?
მე მრწამს ეგ მისი წრფელი ბოდიში,

რობიტი მაგით არ გამაკვირვებს,—
და ღირსიც არის შერიგებისა.

ანნა. ჩემი სიტყვები თუ არა გჯერათ,
მოიცადეთ ცოტა რამ ხანი,
თითონ რობიტი მოვა აქ თქვენთან
და ის მიმოწმებს ამის სიმართლეს.

ქიტა. ვაშა, რობიტსა, თუ მაგნაირად
ჭკვას დაუჯერა და გვინახულა!

გოდერძ. ჯიმშერიც ისე მიიღებს რობიტს,
ვით შემცდარს უნცროსს, ძმა უხუცესი.

ჯიმშერ. შენი სიტყვები წაქეზებას ჰგავს,
თუმცა ბალღს უნდა მარად ქეზება,
კაცს-კი კეთილი თითონ აქეზებს;
კვლავ ვიმეორებ, მოხარული ვარ
მაგნაირ კაცის მორჯულებასა.

გოდერძ. ბოდერძი იცნობს კარგად ჯიმშერსა;
იცის, რომ იმას არ ეჭირვება
პირმოთნეობით წამქეზებელი;
და, უნდა გითხრა, ჩემს ბუნებასა
პარმოთნეობა არ ეხერხება. (შემოდის მსახური)

ჯიმშერ. ამბავს რას იტყვი?

მსახური. რობიტი არის.

ანნა. ასრულდა ჩემი სიტყვა თუ არა!

ჯიმშერ. სად არის, ბიჭო?

მსახური. ძირს, ეზოშია.

ჯიმშერ. ბოდერძ, შენ წადი და მოიწვიე...

ქიტა. რასაკვრელია, ეგრე სჯობია. (**გოდერძი** გავა მსახურით)

ჯიმშერ. რა-კი პირველად ეშმაკს დავძლიეთ
და გამარჯვება ეხლა ჩვენ დაგვრჩა,
უნდა ვიფიქროთ, მომავალს ომშიც
უფალი ჩვენზედ ხელს არ აიღებს.

ქიტა. თუ, რაც გავიგე, ისე ასრულდა,

არ გამოცვალეს თავიანთ ნება—
და ჯარი, მართლა, ორს წყებად გაჰყვეს,
მაშინ, სჩანს, ბედი ჩვენსკენ ბრუნდება.

ჯიმშერ. ვინ ჰყოფს ჯარს ორად, ერთი მითხარი?

ქიტა. ოსმალოები. ნახევარ ჯარი
მიდის სარბევლად ალაზანს გაღმა,
ნახევარი-კი თურმე აქ რჩება;
ეს მითხრა იმათ მხრისავე კაცმა,
წელან გზაზედ რომ თქვენთან შემომხვდა.

ჯიმშერ. თუ-კი მხოლოდ-ღა ნახევართანა
გვექნება საქმე, რას დაგვიდგება!
(შემოდიან **გოდერძ** და **რობიტა**)

გოდერძ. აი ერთი ძმაც! მომყავს თქვენთანა
გადაგვარებულ-ნაწრთობ-ნადული
მამულის ეშხით მის ცეცხლ-ალზედა...
სთხოვს, შეურიგდეს ჯიმშერი რობიტს.

ჯიმშერ. თუ შენს სიტყვებსა დაამტკიცებენ
მსურველის თქმული ასლი სიტყვები,
მაშინ ვირწმუნებ, რომ მართალია,
და მეც მას ძმურად გავუწვდი ხელსა,
მკერდში ჩავიკრავ, ვით მამა—შვილსა.

რობიტ. რა-კი შევიტყე, რომ შენი გული
ღია ყოფილა შეერთებისთვის,
უფრო თამამად მე აღვიარებ,
რომ მართალია, რაც გოდერძმა სთქვა;
აგრეთვე ვიცი, შენი მეუღლე
ჩემს დაბარებულს რა გადმოგცემდა,
დარწმუნდებოდი ჩემს სიწრფელეში.
კიდევაც რობიტ იხრის ამაყს ქედს,
მზათ არის შენთან შესაერთებლად,
საერთო მტერის მოსაგერებლად!..

თუ შენც მზათა ხარ, აი ეს გული
მოხარულია შენს გადახვევას.

ჯამშერ. ვგრძნობ შენი გულის საამო ცემას
და ვერწმუნები პატიოსნებას!
მოწამედა გვყავს აქ სამი კაცი,
ძირს დედა-მიწა და მაღლა ღმერთი,
რომ საუკუნოდ ჩვენ დავმეგობრდით—
ძმურად გავიყოთ ჭირი და ლხინი.
ამის ნიშნადა აი მზათა ვარ
შემოგიერთო ჩემი გულიცა. (**გადაეხვევიან ერთმანერთს**)

გოდერძ. ეხლა-კი სწორედ მოლოცვა გინდათ...
მაგრამ ისე ხომ არ შეიძლება,
თუ ჩვენ სადილი არ გაგვიმართეთ!

ქიტა. მეც მოგილოცავთ დამეგობრებას,
ნულარც მაჩვენოს განკერძოვება
თქვენში ნურას დროს!..

ანნა. ქეთილი იყოს...
ძმურად იღვაწეთ ასპარეზზედა,
რომელიც ითხოვს თქვენგან ერთობას,
სიმხნეს და გულსა, გამბედაობას.

გოდერძ. მართლაც, ღმერთმანი, სადაურია!
ქვეყანას უჭირს, მწარე დღე ადგა,
ამ დროს-კი იმათ, ვისაც შეეძლო
აღმოეჩინა მისთვის რამ შველა,
აქეთ-იქითკენ მიაქვთ ცხვირები
და ერთმანეთზედ იმჩვირებიან;
ქვეყნის მტრის ნაცვლად, მოუფიქრებლად,
ძმები ერთმანეთს ეომებიან!..
სადაურია ეს მოფიქრება?..
აბა, სად არის იქ მამულისა
ან სიყვარული, ან ერთგულება?!.

ჯიმშერ. ძარგია, კაცო! ეხლა რას ასტყდი,
ხომ ჰხედავ, საქმე კეთილად მოხდა!
გოდერძ. რაზედაც სწორედ მოხარული ვარ!
(შემოდის მსახური)
მსახური. მზირნი, წასულნი გაღმა და მთაში,
გიახლნენ.
ჯიმშერ. აბა, მაშ დაუძახე. (მსახური გადის)
ეხლავ გავიგებთ ყველაფერს ამბავს...

(შემოდიან მზირნი; ცოტა ხანს შემდეგ **ნინო** და **ქალთა-მზე**, სალამს მისცემენ ყველას)

ჯიმშერ. აბა, გულადნო, ქვეყნის წამალნო,
რას გაგვაგონებთ შველის ამბავსა?
ჯერ შენ გვითხარი, გაღმა მხარისავ.
ბირგელი მზირი. რო არ გიამბო ის, როგორ მიველ,
როგორ მიმიღეს, ვინ რას ამბობდა,
მოკლეთ-კი გეტყვი: ჩემს ძახილზედა,
როგორც რომ ელვა მოედო ხალხსა
ბრძოლის სურვილი; მთლად გაღმა-მხარი
ფეხზედ ამდგარა, ყველა მზათ არი
თავიანთ ძმების დასახსნელადა.
ამაღამ მოვლენ მათი ჯარები,
თელავს გარშემო ახლო-მახლოსა
ჩასაფრდებიან მთა-ტყეებშია,
რომ ოსმალებმა არ შეამჩნიონ.
ჯიმშერ. ძალიან კარგი, ღმერთმა გაამოს,
როგორც ჩვენს გულსა მაგით აამე.
აბა, ახლა შენ, მთისა საყვირო.
მეორე მზირი. მეც სწორეთ უნდა იგივე გითხრათ:
მთის ხალხი ძლიერ აღელვებულა—
და ჩემს ძახილზედ ყველა მუქარით
იარაღს ისხავს, აქეთკენ მოდის.

ისინი მოვლენ შუალამემდის...
თან დამაბარეს, რაც შეიძლება,
მალე ეცადეთ, ნუ ახანებთო.

ჯიმშერ. შენც ღმერთმან გიყოს სამაგიერო,
თუმც ჩემი მხრითაც არას დაგაკლებთ.
თქვენ მაგ ოსმალურს ნუ მოაშორებთ,
ეგრე იყავით; ამალამ იქნებ
ისევ დაგვჭირდეთ გასაგზავნათა.
წადით და კარგათ დაისვენეთ. (ისინი გავლენ)
ეხლა-კი, ძმანო, ყველა გადაწყდა...
ხვალ დილით ადრე, მზის ამოსვლამდის,
ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა მტერთანა.
აგრეთვე, აბა, არ დაგავიწყდეთ
ძლიერ საჭირო ჩვენი პირობა.

რობიტ. რა პირობაა თქვენი პირობა?

ჯიმშერ. ზანთიადისას უნდა დავხოცოთ
ის ოსმალები, რომელნიც ჩვენა
სახლშია გვყვანან ჩაყენებულნი.

რობიტ. ძალიან კარგი, მეც ეგრე ვიზამ.

გოდერმ. მაშ, როგორც ვატყობ, საქმე ხერხდება!
იქნება, მართლა, ჩვენ გავიმარჯვოთ!?.

ჯიმშერ. ეჭვი გაქვს განა?

გოდერმ. ალარც ნამცეცი.

რობიტ. მაინცა გვმართებს დიდი მხნეობა,
თორემ დიდ-ძალი ჯარი ჰყავს მტერსა.

ქიტა. წმიდა გიორგი დაგვეხმარება.

ნინო. (წინ წამოდგება) პატივცემულო მშობელო მამავ!
ერთი თხოვნა მაქვს ძლიერ საჭირო,
ნება მომეცი, რომ მოგახსენო.

ჯიმშერ. მითხარი, შვილო, რა საქმე არი?

ნინო. მე და ქალთამზე ვაპირობთ, მამავ,
მომავალს ომში ჩვენც ჩავერივნეთ;

ვაჟკაცურადა ვიკისრო ყველა—
ბრძოლის სასტიკი დევნა თუ ცემა,
არ დავერიდნეთ მისს ქარიშხალსა,
გავწიროთ თავი სამშობლოს ხსნისთვის,
დავედნეთ მტლედა მისს წყლულს ორივე,
ვით კოლხიდელნი ცალ-ძუძუ ქალნი.
აი ამ წმინდა საქმისთვისა გთხოვთ,
მშობლური ლოცვა წინ წაგვიმძღვაროთ!

ქალთამზე. მართალი არის, ჩვენ ეგრე გვწადის
და ვითხოვთ თქვენგან გზის დალოცვასა.

ჯიმშერ. ცური დამიგდეთ! თუ აქამდისინ
საჭირო იყო დიაცთა შველა,
ეხლა არ გვინდა, ბევრი გვყავს ხალხი,
თქვენ გირჩევნიათ, ისევ შინ იყვნეთ.

ანნა. ჰო, შვილო, კაცი მოვალე არის,
გაჭირების დროს თავი გასწიროს,
მაგრამ ამ ჟამად არა საჭიროებს
თქვენს უმანკო სისხლს ტკბილი მამული.

გოდერძ. მეტი-ღა არის თქვენგან ეგ მსხვერპლი,
სჯობს, გაგვიგონოთ საქმის მცოდნეთა.

ნინო. არა, ტყუილად ნუღარას გვირჩევთ,
ჩვენ არ დავიშლით განზრახულს საქმეს;
თქვენგან ვთხოულობთ მხოლოდ დალოცვას,
რომ იგი ლოცვა გზას გვინათებდეს.

ჯიმშერ. მაშ, არ დაიშლით?

ქალთამ. არა, არას გზით.

ნინო. რადგანაც არის ეგ წმინდა აღთქმა,
რომელსაც უნდა ჩვენ ვემსახურნეთ
ბრძოლის ბოლომდის.

ჯიმშერ. რაკი აღთქმაა,
რა გაეწყობა! კარგი წამოდით;

იბრძოლეთ მხნეთა, არ შედრკეთ გულით.
თქვენს წმინდა საქმეს და წმინდა აღთქმას
ზეცით უფალი წარუმართავს გზას;
მაგ განზრახვისთვის ძლევით გატარებსთ,
ომის ქარცეცხლი ვერას დაგაკლებსთ!..

ანნა. (გადაეხვევა ჯერ ერთს, მერე მეორეს)
მოდით შვილებო, გადამეხვიეთ,
ეკლიანი გზა მეც დაგილოცოთ...
იესო ტკბილმა თქვენ დაგიფაროთ,
თქვენმა ნავნევმა მტერმა ვერ გავნოთ
და ვთხოვ ღვთის-მშობელს, ისევ კეთილად
დაბრუნებულნი უკან მენახოთ!

გოდერძ. წმინდა მხედარი—თეთრი გიორგი
იყოს მფარველი თქვენი ყველგანა.

ნინო
ქალთ. } დიდათა გმადლობთ!

ჯიმშერ. იარაღი გაქვთ?

ქალთ. მზათა გვაქვს ყველა.

ნინო. ეხლა-კი წავალთ;
ნება მოგვეცით, ეს ერთი ღამე
რომ გავატარო დედი-დასთანა,
ჩვენს მოხუცებულს მოლოზანთანა.
თითონა გვთხოვა: ჩემთან მოდითო,
ეს ერთი ღამე—დიდი საქმის წინ—
გავატაროთო ქრისტიანულად;
მეორე დღეს-კი, როცა დრო იყოს,
ნულარ ახანებთ, წადითო ჯარში...

ანნა. მასთან არ ერთხელ ყოფილხართ ხოლმე,
წადით, შვილებო, ღმერთი გფარავდეთ.

(კიდევ გადაეხვევა, ისინი გავლენ გვერდის კარებში)

ქიტა. ღმერთო მაღალო, შენ გადმოგვხედე!..
(შემოდის **სალომე**)

ჯიმშერ. რაო, სალომე!

სალომე. შენს სანახავად
მოვიდნენ აქა ორი ოსმალო,
ერთი ასლანი, მეორე ამბობს,
სახელად მქვიან ისკანდერიო,
ორთავეს უნდათ შენთან შემოსვლა.

ჯიმ. რა საქმეზეო, არა უთქვამთ რა?

სალომე. ძლიერ საჭირო საქმე რამ გვაქვსო,
როგორც იმისთვის, ისე ჩვენთვისო,
და უსათუოდ გვინახულოსო.

ანნა. შეკრებილები ერთად რომ გნახონ
და ფაშას უთხრან?..

ჯიმ. არა მგონია!.

გოდერძ. ალბათ საშური საქმე ექნებათ,
რომ დაჟინებით ეგრე ითხოვენ
შენს ნახვას; მოდი, ჩვენც ვინახულოთ,
მგონი, ზარალი მით არ გვექნება.

ჯიმ. მტყობათ, ისე მოდიან ჩვენთან,
როგორც გულითა კეთილის მდომი,
და არა ისრე—ვით მოვიდოდა
გამარჯვებული ქვეყნის ბატონი.
უთხარ, სალომე, რომ შემოვიდნენ. (**სალომე** გავა)
ჯერ დავაკვირდეთ, აბა რა უნდათ,
მერე მოვექცეთ, როგორც დავატყოთ.

(შემოდიან **ასლან, ისკანდერ** და **სალომე**)

ასლან.
ისკანდერ. } სალამი თქვენდა.

ჯიმ. გმადლობთ. რას გვეტყვით?
თუ არა ვცდები, საქმე გქონიათ?

ასლან. Დიახ, და კიდეც შეგატყობინებთ.
ჯიმ. Აბა გვითხარით, აი მოგისმენთ.
ასლან. Ყველაზედ წინათ თქვენ ეს იცოდეთ,
რომ ჩვენ ორივე თქვენთან მოვედით,
არა ვით მტერნი საბძანებელად,
ან გაიძვერულ ცბიერებითა
გვსურს თქვენთვის რამე ხიფათი მტრული;
არამედ როგორც შეჰფერის ვაჟ-კაცს—
გულახდითა ვართ თქვენთან მოსული—
თქვენდა მეგობრად კეთილს საქმეში!
ის-კი, რაც გვინდა, რომ გაგიმჟღავნოთ,
აღძრავს თქვენშია ორ-ნაირ გრძნობას:
ერთი იქნება სასიხარულო,
იმედით სავსე—ნათელ-მოსილი;
მაგრამ მეორე—გრძნობა ეჭვისა—
მას ძირში მოჰკვეთს, ფოთლებს გაუხმობს—
ჩვენდა ვაგლახად, სამგლოვიაროთ.
რაც გულშია გვაქვს, რაც გვაცხოველებს,
რამაც თქვენ წინა ჩვენ მოგვიყვანა,
ისე ძლიერად მოქმედობს ჩვენზედ,
რომ ვერ მოვითმენთ მის უთქმელობას...
მხოლოდ-კი იმას მარტო თქვენ გეტყვით,
თქვენ გაგიერთებთ ამ დაკრძალულს გულს...
ჯიმ. Თუ საკეთილო იქნება რამე,
ჩვენც დიდს მადლობას გამოგიცხადებთ.
ალექსანდერ. ჩვენ იმ საქმისთვის მადლობას არ გთხოვთ,
არამედ თქვენთან შემოერთებას!
გოდერმ. მაშ მიზეზი სთქვით თქვენი სურვილის,
რომ საქმემ ნათლად გამოაშუქოს.
ასლან. აი მიზეზი, მომისმინეთ:
ცოტა შორითგან თუმცა დავიწყობ,
მაგრამ მით საქმე უფრო ჩაღდება...

თქვენ კარგად იცით, რომ ოსმალთ ჯარი
სულ შემდგარია სხვა-და-სხვა ხალხით,
ათას გვარისა მოდგმის და რჯულის.
ამ დიდს ჯარშია სხვა ბევრთა შორის
წოდებით „ჯარი იანიჩართა“...
ამ ჯურის მხედრად აღიზრდებიან
მრავალ კუთხითგან ტყვედ მოკრეფილი
პატრა ბიჭები. იმათ ოსმალო
თვისს წეს-რჯულზედ ზრდის... ვაჟკაცდებიან...
შემდეგ ამათგან შეადგენს ხოლმე
უმთავრეს ძალას ხონთქრის ჯარისას...
ამგვარს მეომართ, მამულს მოწყვეტილთ,
თითქმის სრულებით რომ ავიწყდებათ
თავიანთ მოდგმა, სამშობლო მხარე...
გატაცებულებს სისხლის რუებით
სხვა არაფერი არ აგონდებათ,
და თავისს მამულს გაუგებრადა
ბევრჯერ ბედკრულნი ფეხით ჰქელავენ.
აი ამნაირს ჯურას ვეკუთვნით,
ჩვენ ორნივე ვართ იანიჩარნი;
ამგვარის ქცევით ჩვენც ვიქცეოდით.
აქამდის არც-კი მოგვგონებია
ტომით რანი ვართ, სადაურები!..
ეხლა ყოველი გამოვიკვლიეთ,
დავრწმუნდით, რომ ვართ ჩვენ ქართველები,
კახეთიდგანა წაყვანილები
ორივე ერთს დროს, ერთად შეკრულნი.

ანნა. (ცალკე) ორივე ერთს დროს, ერთად შეკრულნი?!.

ჯამ. მერე რა გნებავთ, ან რას აპირებთ?

ასლან. ეხლა ვხედავთ-რა, ჩვენი მამული
ჩავარდნილია გაჭირვებაში,
რის მიზეზიცა თითქმის ჩვენა ვართ,

ჩვენის სიბნელით, უცოდინრობით,
ამიტომ იმის დასაცველადა
აღარ დავზოგავთ არა ღონესა,
გვინდა, შეცდომა გამოვისყიდოთ.
თქვენთანაც მიტომ მოვედით დღესა,
რომ შეგიერთდეთ მტერთან საბრძოლად,
რისთვისაც, მგონი, თქვენ ემზადებით.

ალკანდერ. მეომარნი გვყავს თითონ ათასი,
ახლა თქვენებიც დაემატება!..
რომ შეგერთდებით, ველარა მტერი
ჩვენს რკინის გულსა ვერ დაუდგება.
შეგერთდეთ, ძმანო! ჩვენც თქვენები ვართ;
ტანისამოსზედ ნუ შემოგვხედავთ,
რომელიც მათვე თვალებს მოსჩიჩქნით.
საქმე გულია! ჩვენ-კი გულშია
მსხვილ ასოებით ეს გვაწერია:
„ქართველები ვართ—ივერთა ძენი“!

ჯიმ. ეგ არის მხოლოდ ლიტონი სიტყვა;
რით დაამტკიცებთ მაგის სიმართლეს,
რომ ჩვენც მოგენდოთ, ეჭვი არ გვქონდეს?

ასლან. არ იყო, მგონი, ძლიერ საჭირო,
დასამტკიცებლად რამე საბუთი;
მაგრამ რადგანაც უთუოთ ითხოვთ,
მაშ მოგახსენებთ, რაც ხელთ გვიჭირავს.
ამ დილას, ჯიმშერ, შენს ზვარში გქონდათ
თქვენ შეთქმულობა მტერთ წინააღმდეგ;
ამავ კრებაზედ შენ და რობიტსა
მოგსვლოდათ ჩხუბი, მუქარას სთვლიდა,
თუმც ეხლა ვხედავ თქვენს თანაზიარს.
მცირე ხანს უკან დანარჩენებმაც
გამოიარეთ შინ წასასვლელად
და თან ჯიმშერიც ემუქრებოდა

რობიტსა მისის ჯიუტობისთვის...
ჩვენ რომ არ ვიყვნეთ ან ქართველები,
ან არ გვეწადოს თქვენთვის კეთილი,
ხომ დაგასმენდით მაშინვე ფაშას,—
და საქმე სხვა რიგ გათავდებოდა?!.
აი საბუთი უფრო ფხიანი:
ჩვენი სჯულია ქრისტიანობა,
ერთი გვწამს ღმერთი, ჯვარცმულს ვლოცულობთ
და ამის ნიშნად პირჯვარს ვისახავთ (იწერენ).
დანარჩენს თითონ ის დიდი საქმე,
რასაც ეს მკლავი მოიმოქმედებს,
ჩვენს ერთგულებას თქვენ დაგიმტკიცებს!..
ან რაღათ გინდათ სხვა საბუთები?
რათ გინდათ მეტი სიტყვების ხარჯვა?
ნუ თუ არ გყოფნით ეს აღსარება,
ამონაჩქეფი გულის სიღრმითგან?..
იქა ბუდობდა მიძინებული
ქართველობისა მწარე სვე-ბედი;
და რაკი ერთხელ გამოიღვიძა,
ისე გადიდდა, გაშალა ფრთები,
თითქმის სხვა გრძნობებს ადგილს არ აძლევს,
დაგვიმორჩილა, ყმად გაგვიხადა!..
რასაც გვიბძანებს, ჩვენც აღვასრულებთ...
აი ამ გრძნობის ნაბძანები გვაქვს,
რომ თქვენ ჩაგკიდოთ მეგობრად ხელი,
თქვენთან ერთადა ჩვენ ვიმოქმედოთ...
თავისუფლების მოელვარე მზე
ამოვუშუქოთ ჩვენს ტურფა მხარეს;
და მოცემული მისგან სიცოცხლე
იმისთვის უქმად არ ჩავატაროთ!..
ჩვენც აღვასრულეთ, მოვედით თქვენთან;
მაგრამ რას ვხედავთ? საბუთებიო!..

ნეტავ რათ უნდა გულს სხვა საბუთი,
როცა სიტყვაში სჩანს მის სიწრფელე?!
ნუ თუ არ გჯერათ ჩემი სიტყვები,
და კიდევ ეჭვის თვალით გვიყურებთ?
მაშ, ერთსაც გეტყვით უკანასკნელად!
იცოდეთ, მიტომ მოველით თქვენთან,
რომ გაცოდინოთ ჩვენი განზრახვა.
თუ უარს გვეტყვით, თქვენ არ მიგვიღებთ,
მაშინ უთქვენოთ თავს ვისახელებთ
სამშობლოსათვის თავის განწირვით,
და მომავალმა თუ გაპატიოთ,
არ გაზღვევინოთ ეს უდივრობა,
კვეხნით სთქვით, რომ ხართ სახელოვანნი!..

ალკანდერ. სუყველა ამას ერთს დავუმატებ,
რაც ბევრსა ჰნიშნავს ჩემის აზრითა,—
როგორც საბუთი ჩვენის სიმართლის,
როგორც საშველი მამულის ხსნისა.
ყური დამიგდეთ, რა მოგახსენოთ:
ოსმალთა ჯარი ორად იყოფა;
ნახევარი აქ—თელავში რჩება,
ნახევარი-კი გაღმა მხარს გავა.
ამ გაყოფითა ჩვენ ვისარგებლებთ,
თუ თქვენც ისურვებთ... ეხლა თქვენ იცით...
თუ გნებავთ კიდევ—მივიღებთ ფიცსა,
ჩვენს სიმართლეზედ, გულწრფელობაზედ!

ჯიმშერ. ძალიან კარგი, დაიფიცევით!..

ასლან. ოღონდ გვერწმუნეთ, მაგდენის ეჭვით
ნულარა გვტანჯავთ და შემოფიცვა
ადვილი არის წრფელის გულისთვის!
მაგრამ ფიცის წილ წყევლა მომადგა,
ტკბილის მაგიერ მწარდება ენა...
თქვენს უნდო გულსა ის უფრო იქნებ

ჩასწვდეს ძირამდის, მაშინ გვერწმუნოთ!
თუ ჩვენ არ ვიყოთ ქართველთა მოძმე,
მათ ჭირი-კვნესა ჩვენც არ გვტანჯვიდეს;
თუ ქართველთ მტერსა ზურგი ვუჩვენოთ,
არ გავხდეთ წამლად ივერთა წყლულის,
თუ არ შევაკლათ თავი იმის ხსნას,
მით ვერ მოვიმკოთ გმირთა სახელი;
თუ ორგულობა თქვენი შეგვამჩნდეს,
ვიწყოთ მელური ჩვენ ცბიერება;
მაშინ ჩვენ ზეცამ რისხვა მაღლისა—
კვლაკვნია ელვა დაგვცეს ვაებით,
მზისა ნათელი ბნელად გადგვექცეს,
შიშის ზარს გვცემდეს ღამის გუშაგი;
ქვეყნად ვიდოდეთ თავ-ლაფ-დასხმულნი,
ყველასაგანა მოძულებულნი;
ძმა-მეგობარნი მტრად გადაგვექცნენ,
აღარ ვუნდოდეთ გაქსუებულნი;
აღარ გვეღირსოს მშვიდი ცხოვრება,
დღე-ღამე ძილი არ მოგვეკაროს;
მუდამ გვდევნიდნენ მწარე ფიქრები,
უპირო კაცად გვიცნოს ქვეყანამ;
და გულის სატრფომ ჩვენს სიცოცხლეში
ნუგეშის სიტყვა არ მოგვაწოდოს!
ტრიალს მინდორზედ, ან მთის მწვერვალზედ
მძაფრ ქარიშხალმა შეგვხუთოს სული;
სასტიკს ბრძოლაში გარ-შემორტყმულთა
გადაგვტეხოდეს ვადაში ხმალი;
წყალ-მოწყურებულთ, ხახა-გამშრალთა
სადაც წყალს დავწვდეთ, ყველგან დაგვიშრეს,—
თუ მუხანათად, მტრულად მოგექცეთ,
არ გიერთგულოთ, ღმერთიც გაგვიწყრეს!..

ისკანდერ. ამინ!..
ჯიმშერ. შესდექით!..
რობიტ. კარგი!
ოდერმ.
ქიტა. მოიცათ!..
} თითქმის ერთად

ჯიმშერ. კარგია, გვჯერა, ყველა გენდობით...
ასლან, შენ ამბობ, რომ კახელი ხარ?

ასლან. ნამდვალად.

ჯიმშერ. რომელ სოფლითგანა ხარ,
არ გახსოვს კარგად?

ასლან. კარგად არ მახსოვს;
უნდა-კი ვიყო ამ თელავითგან!
გულს იამება მისი დანახვა,
თითქოს როგორღაც კიდეც მეცნობა
აქ არე-მარე კოხტად შემკული;
მთელი ქალაქი, მის მდებარება,
გადასახედი მდიდარს კახეთზედ
წარმოდგენაში მიცხოველდება;
თითქოს იქ იყოს დიდის ხნითგანა
ხელუხლებელად შენახულიო...
ეხლა-კი ნათლად ვიდგენ თვალ-წინა
მის მცხოვრებლებსა, ზნე-ჩვეულებას...
თითქოს მენახოს მისი სახლები,
ციხე-კოშკები და ვენახ-ზვრები...
მაგას გარდა—სხვა—ეს სახლი მეტად
გულსა იზიდავს, სულსა ახარებს,
თითქოს მეცნობა და მიყვარს კიდეც!..
აი ოთახი, ეს მოკაზმული
თითქოს მენახოს ვითომ სიზმარში,
რომ ვთამაშობდი აქ ბავშვობის დროს;
საამურს ნანას მიმღერდნენ ხოლმე
დაძინებისას, თან მაშინებდნენ...

მაგრამ ეს ყველა საითგან მახსოვს,
ამას-კი სწორედ მე ვერ აგიხსნით...

ჯიმშერ. ძალიან კარგი... ის აღარ გახსოვს,
თქვენი წაყვანა რა ხანი არი?

ასლან. ისკანდერ ჩემზედ უხუცესია,
და მაგან უფრო დანამდვილებით
იცის, რა ხანმა განვლო მას შემდეგ...

ისკანდერ. სწორედ იქნება თვრამეტი წელი...

ანნა. რაო, თვრამეტი?!.

ისკანდერ. დიახ, ნამდვილად.
ჩვენც აქაური მცხოვრებელნი ვართ...

ანნა. ოჰ, ღმერთო ჩემო! სწორედ იმ წელსა
ჩემი შვილიც ხომ ოსმალთ მომტაცეს!..

ასლან. ბანა თქვენც გერგოთ ეგ მწარე ბედი?

ანნა. ბევრგო და გავხდით მის მოძებვარნი!..

სალიმე. (ჩუმათ ჩაიდუდუნებს) დიახ, გაგვხადა მის მოძებვარი!..

ჯაბშ. ასლან, არ გახსოვს დედ-მამის გვარი,
მათი სახელი?

ასლან. ვაი ჩემს თავსა!
ჩემს უბედობას ეგ ზედ ართვია,
რომ მშობლებისა გვარი-სახელი
სრულებით ველარ მოვიგონია!
ეგ რომ ვიცოდე, მაშინ ხომ დასტურ
შემეძლო ბოვნა ჩემი დედ-მამის...
მაგრამ უკულმართ ცხოვრების ჩარხმა
ეგ უებარი, საჭირო ცნობა
ჩემი თავითგან სრულად განსდევნა;
ვერ შემიძლიან, რაც გინდ ვეცადო,
რომ მოვიგონო მათი სახელი,
რომ დაკარგული ბედნიერება—
დავიწყებული მშობლური გული
ვიპოვო და მით დაკარგულს შვილსა

გამოუშუქდეს აქამდის ბნელი...
რომ მშობლიურს ხმას, ალერსს და ხვევნას
ველირსო კიდევ მე უბედური...
ველირსო სიტყვას ყოვლად ბედნიერს:
„მამავ და დედავ, ჰა თქვენი შვილი“!
მათ მიპასუხონ ნეტარ-კილოთი:
„გიპოვეთ, შვილო, ტყვეობას ხსნილი“!..
მაგრამ, არ ვიცი, შევესწრობი მას,
თუ ქვეყნად ვივლი ობოლი მარად!..

ჯამშერ. შენა, ისკანდერ?

ისკანდ. ალარც მე მახსოვს...
საკვირველია, რათ დამავიწყდა!
რაც წაგვიყვანეს, მას შემდეგ კიდევ
კარგა ხანს მქონდა ხსოვნაში ყველა,
მაგრამ შემდეგში—ომებში გართულს
ალარ მეცალა მოგონებისთვის
და შეუმჩნევლად მიტომ გამქრალა.

ჯამ. მე სახელები ეხლა რომ გქვიანთ,
ხომ ოსმალური სახელებია;
არ გახსოვს მაშინ რალას გეძახდნენ,
როცა იყავით ისევ ქართველნი?
(ტირილ) თუ ესეც ველარ გამოვარკვიე,
მაშინ იმედი გადამიწყდება...

ასლან. მე ვერც მაგაზედ მოგცემ პასუხსა!
რაც თავი მახსოვს, ასე მგონია,
ასლანის მეტსა არას მეძახდნენ,
თუმც რა თქმა უნდა, მაშინ სახელი
რამე ქართული გვეწოდებოდა...

ისკანდერ. ასე მგონია, რომ უსათუოდ
მომაგონდება ეგ სახელები... (იგონებს)
მაგრამ შეხე ბედს! ვერ მივწვდი წადილს!..
ცოტა მაცადეთ, კიდევ ვეცდები... (იგონებს).

ანნა. ნეტავ თქვენსავით ცოცხალი იყოს
ჯან-ღონით სავსე ჩემი შვილიცა,
ეგრე თქვენსავით სამშობლო იცნას,
იმის ხსნისთვისა ეგრე ცდილობდეს,
და... მაგრამ გული რომ ვეღარ ითმენს,
თუ მას ვერ ჰხედავს, არ უალერსებს!..
ოჰ, შვილო, ნეტავ ცოცხალი კი ხარ?..
გახსოვსღა შენი სამშობლო მხარე?..
სად ხარ ეხლა—ჩემო არჩილ!...

ალკანდერ. (შეჰყვირებს) **Ა**რჩილ!..
მეც მომაგონდა! ეს არის სწორედ
არჩილ, რომელსაც მწარედა სტირი...
ჯიმშერ ივრელის შვილია არჩილ,
აი ის არჩილ, რომელიც ოსმალთ
მოგტაცეს თქვენა თვრამეტ წლის წინეთ;
და თქვენს თვალ წინა მე და ეს არჩილ
თოკით შეკრულნი ცხენს გადაგვკიდეს;
არჩილს თავისის კერპობისთვისა
მხარში ჭრილობაც მიაღებინეს...
აი აქ სწორედ, ზედ ამ ადგილას,
თუ გახსოვთ, მოხდა ესე ამბავი...
ეს არჩილია და მე ლევანი,
კეთილ ჯიმშერის აზნაურშვილი...
მამაჩემს ერქო სახელად გიტო,
დედაჩემს კიდევ სალომე...

სალომე. (**მოეხვევა**) **შ**ვილო!..
მე ვარ სალომე ის შენი დედა!..

ალკანდერ. **დ**ედავ, გეთაყვა, ჩემო სურვილო...

ასლან. **მ**ე დაკარგული ამათ შვილი ვარ?!.

ანნა. **რ**ოგორ, ასლანი ჩემი შვილია?!.
ჩემი არჩილი, ჩემი ბიჭუნა?.. (**ტრემლ-მორევით**)
ოჰ, მოდი, შვილო, მაშ ჩამეკონე,

დამიტკბე დიდ ხნის ნადაგი გული!..

ასლან. (აღელვებული) **ოჰ**, ნეტარებავ... დედავ... მშობელო!.
(გადაეხვევიან)

ჯიმშერი (ჯერ გაშტერებული დარჩება, მერე მუხლებზედ დაეცემა ხელ-გაშერობილი)

ბძადლობ, უფალო, ამ დროს შემასწარ,
რომ ჩემი შვილი კვლავ დამანახვე,
მაღირსე ლიტონს—მე გახარება...
ეხლა ყველა დარდს ბოლო მოეღოს...
და სახლის ჭერმაც მაშ გაიხაროს!..

(დედა-შვილნი განშორდებიან ერთმანეთს, მერე **ჯიმშერს** გადაეხვევა)

ჯიმ. **ოჰ**, ჩემო შვილო, ჩემო ნუგეშო!..

ასლან. **მ**ამავ, მამილო, კეთილო, ტკბილო!..

ანნა. **შ**ენ გენაცვალოს დედის სიცოცხლე...
მოულოდნელი ბედი გვეწვია...
შვილო, ისკანდერ, მოდი შენც **ჩ**ემთან,
შენც ისევ ჩემი შვილი არჩილ ხარ...
შენ მაპოვნინე, შენ გაგვაცანი...
მაშ, მოდი, მოდი, შენც გამახარე...

ისკანდერ. **დ**იდად მიხარის ეს ჩვენი ბედი...
შენც დედაჩემად მე მეგულები...

სალომე. **რ**ა ბედნიერი დედა ვყოფილვარ,
სულ დამავიწყდა წარსული ტანჯვა!

ჯიმ. **მ**აშ, ეგრე... ასლან, ჩემი შვილი ხარ,
ის დაკარგული ჩემი არჩილი?!.

ასლან. **ბ**ონს ვერ მოვსულვარ სიხარულისგან...
ან რა უნდა ვთქვა, რა გავაკეთო,
როგორ დავიწყო თქვენთან ბაასი?..
თითქოს თავს ბრუ მაქვს მე დახვეული...
(შემოდის **მსახური**)

მსახური. **ფ**აშის კაცია, ამბავ კითხულობს.
საჩქარო საქმე მაქვს ფაშისგანო.

ისკანდერ. აი დალუპოს ღმერთმა ისინი,
რა დროსი იყო ეხლა სხვა საქმე!..
ასლან. (დამშვიდებული) არა, ისკანდერ, უნდა წავიდეთ
ძალიან მალე, ეხლავ, ამ წუთას,
რომ ეჭვიც-კია აიღონ ვერა.
ჩვენი ხვალინდელ საქმის შესახებ
აი რას გეტყვით: ჯარები თქვენცა
ორად გაჰყავით და თავის ადგილს
გააწესრიგეთ, მზათ იყოლიეთ...
სხვა-კი ჩვენ ვიცით, ხვალ გამოჩნდება...
აბა, ისკანდერ, წავიდეთ მალე... (გავდენ)
ბაბუნა. დიდება ღმერთო, შენსა განგებას!
გოდერძ. სწორედ რომ მართლა სასწაულია...
რობიტ. აი სიბერის ტკბილი ნუგეში!..
სალომე. ახ, ცოტას მაინც ვერ დაიცდიდნენ?..
ჯიმ. სიზმარივითა მსწრაფლად გათავდა!..
ანნა. ჩვენება იყო, თუ მართლა ცხადი!.. (გაშტერდებიან)

ფარდა

დ. ნახუცრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ანტონი I

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი.

(თ. ორდანიასი რუსულიდამ.)

I

ანტონი I კათალიკოსი იყო მეფის შთამომავალი. ის იყო ძმის-წული ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა (მამით) და დისწული კახეთის მეფის თეიმურაზ II-სა.

ანტონის მამა, უმცროსი ძმა ვახტანგ VI, იყო იესე მეფე, მაჰმადიანი [1]). ის არ იყო შესანიშნავი არც სიმამაცით და არც რაიმე სხვა ღირსებით; იყო გაუმაძღარი მთავრობის მოყვარე და თვისის მიზნის მისაღწევად ხშირად ცილის წამებასაც არ ერიდებოდა. ამისთანა თვისებებით მან შეიძინა კარგი სახელი სპარსეთში, სადაც წაყვანილ იქმნა იგი თვისის მამის მეფე ლევანის მიერ 1704 წ. [2]) აქვე, სპარსეთის შაჰის სასახლეში, მან შეიძინა მაჰმადიანთ ზნე-ჩვეულებანი, მიიღო მაჰმადიანობა (შიიტისა) და იწყო თავ-აშვებული ცხოვრება —მეჯლისებში, ქეიფებში და სხ. შაჰისთან იმდენად დაიმსახურა მან სახელი, რომ ამ უკანასკნელმა უბოძა მას ქირვანის მთავრობა [3]); მაგრამ ესეც აღარ იკმარა და მოინდომა თვისის ღვიძლის ძმის, მეფის ვახტანგ VI, ტახტის დაჭერა. ამ აზრით მან მიუჩინა ვახტანგს სპარსელი ჯაშუშები [4]), და-

---

[1]) სპარსელების მეფობების დროს საქართველოში (1616—1729 წ.) ქართველთ ზოგიერთი მეფეთაგანი იძულებულ იყვნენ, ტახტი რომ არ დაჰკარგოდათ, გარეგნობით მაინც მიეღოთ ისლამი.

[2]) „ქართლის ცხოვრება“ ნაწ. II, გვ. 252.

[3]) იქვე გვ. 324. [4]) იქვე გვ. 327 და 70.

სწამა ცილი, ვითომც ის მოქმედებს მაჰმადიანობის წინააღმდეგ, სძულდეს მაჰმადის სარწმუნოება და იყოს მისი მოსისხარი მტერი, გულ-მოსულობით თითქო მას ძირს გადაეგდოს ყურანი და უშიშრად დაეწვას იგი [5]). შაჰიმ მოახდინა სასტიკი გამოძიება, წაართვა ვახტანგს ტახტი და დასვა მაზზედ მეფედ იესე (მაჰმადიანობაში ალი-ყული-ხანი) მაჰმადიანი 1714 წ. დეკემბრის 3-ს [6]).

ქართლში მეფობის დროს იესე ატარებდა დროს მეძავობაში, გახრწნილ თავ-აშვებულ ცხოვრებაში და ინტრიგებში. ვახტანგის ოჯახობა გაიქცა იმერეთში; თვითონ ვახტანგი-კი წავიდა შაჰსთან დაბარებისამებრ მისსა. რადგან იესეს ეშინოდა, რომ ვახტანგმა ტახტი უკანვე არ წაართვას, ამისათვის სთხოვა შაჰის, რომ ვახტანგი ციხეში დაეჭირათ [7]). მიუხედავად საქმრთველოს ეკკლესიის მამების კრების დადგენილებისა, იესე მეფე, ყურნის თაყვანის-მცემელმა, შეირთო ცოლად მარიამი, დაახლოვებულის ნათესავის ცოლი [8]) და შემდეგ, 1715 წ., დაიწერა ჯვარი ქახეთის მეფის ირაკლი I ასულზედ, ელენეზედ [9]) (იგივე „ბეგუმი"), რომელიც იყო დედა კათალიკოსის ანტონისა.

ჩქარა ბედმა უმუხთლა იესე მეფესაც. ქირმანში დატყვევებულმა ვახტანგმა მოიგო შაჰის გული, მიიღო გარეგნობით მაჰმადიანობა და ხელ-მეორედ დაიბრუნა ქართლის ტახტი. იესე გაიქცა თვისს ცოლის ძმასთან, ქახეთის მეფესთან, მაგრამ სპარსელებმა დაატყვევეს იგი ცოლითურთ ტფილის-

---

[5]) Историческіе взгляды на состояніе Грузіи подъ управленіемъ царей—магометанъ II. Іоселіани, გვ. 70.

[6]) „ქართლის ცხოვ." ნაწ. II 253, 426 და 79. „Парижская хроника" 1714 წლისა.

[7]) იქვე გვ. 79, 327. [8]) იქვე. გვ. 327.

[9]) „ქართ. ცხოვ." ნაწ, II, გვ. 327 და 253. „Парижская хроника" 1714 წ.

ში [10]). სულ-გრძელმა მეფე ვახტანგმა განათავისუფლა საპყ-
როობილედგან ძმა, უბოძა მას მდივან-ბეგობა და აჩუქა მუხ-
რანი, სადაც სცხოვრებდა იგი უნაკლულოდ ცოლითურთ.
მთავრობის მოყვარე, უმადური იესე მაინც კიდევ არ დასცხ-
რა და მოინდომა როგორმე ღალატი გაეწია ძმისათვის. მან
აუჯანყა ვახტანგს ქვეშევრდომნი, გაუხადა მოწინააღმდეგედ
მეორე ძმა მისი სიმონი და ბოლოს წაჰკიდა კახეთის მეფე
კონსტანტინეს და სპარსეთის შაჰისაც. სხვათა შორის მან
დააბეზღა ვახტანგი შაჰსთან მასში, რომ თითქოს მას საიდუმ-
ლოდ, შაჰის საწინააღმდეგოთ ეკავოს კავშირი რუსეთის მე-
ფე პეტრესთანა [11]). როდესაც შაჰი დარწმუნდა ამაში, ვახ-
ტანგს ქართლის სამეფო წაართვა და გადასცა კახეთის მეფეს
კონსტანტინეს 1723 წ., აპრილის 23 [12]). ზაიმართა ბრძო-
ლა ამ ორ მეფეთა შორის. ვახტანგი დამარცხდა და კონსტან-

---

[10]) „ქართლის ცხოვრება“ ნაწილი II, გვ. 253. Brozzet Bap. 68. ვინადგან ბროსსეს ვერ ამოუკითხავს სისწორით ერთი წარწერა. ამისათვის შეცდომია ჭკონებს თითქოს მეფე იესეს 1712 წ. უკვე ჰყავდა ვიდეტ შვილებიო Bap. 69.

[11]) იქვე გვ. 82 და 137, აგრეთვე იხ. ზოემა დავით გურამიშვილისა. პეტრემ მართლაც შეჭკრა კავშირი ვახტანგთან, რადგან მას ჰსურდა კასპიის იქითა მხარის დაპურობა; ვახტანგს უნდა აედო განჯა და შემახია და მოეცადნა რუსეთის ჯარისათვის ომის გასაგრძელებლად შიდა სპარსეთში. პეტრემ აიდო დარუბანდი, მაგრამ მალე იძულებული გახდა შინაური მდგომარეობისა გამო რუსეთს გაბრუნებულიყო; ვახტანგი კი უცდიდა 40,000 ჯარით განჯის გალავანთან, სადაც მას გარს შემოერტყნენ სპარსელები, ოსმალები და ლეკები; ვახტანგი იძულებული გახდა გაქცეულიყო რუსეთში და დაეკარგა ტახტი თვისი და მემკვიდრეებისათვის Переписка Груз. царей съ Рус. государ., გვ. 77. Буткевича, ნაწილი I, გვ. 60—73.

[12]) „ქართლის ცხოვრება“ ნაწილი II, გვ. 254.

ტინემ ტფილისი დაიჭირა. [13]) ამავე დროს საქართველოს საზღვართან მოახლოვებული იყო თათრის სულთნის ახმეტის ჯარი, რომელსაც ჰსურდა დაესაჯა ვახტანგი რუსეთის მეფესთან ხელ-შეკრულობისათვის. რა დაინახა ვახტანგმა თვისი თავი უბედურს გარემოებაში, მიიღო თათრების წინადადება ზავის ჩამოგდებაზედ და ამისთვის გაგზავნა თავისი ძმა იესე და შვილი ბაქარი ოსმალების ჯარის უფროსთან, იბრაგიმთან. იესესაც ეს უნდოდა. დაუახლოვდა თათრებს, შიიტის სარწმუნოება სუნიტისაზედ შესცვალა და ამით გახდა ხელ-მეორედ ქართლის მეფედ [14]). კახეთის მეფე კონსტანტინე-კი ღალატით დაატუსაღეს და შემდეგ თავიც მოჰკვეთეს მას. სელჯუკებმა დაიკავეს თითქმის მთელი ქართლი და ნახევარი კახეთი. ვახტანგს და მისს შვილს ბაქარს ეძებდნენ დასაჭერად და ამისათვის ისინი იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ რუსეთში პეტრე მეფესთან 1724 წ. კათალიკოსი დომენტი III, მკვიდრი ძმა მეფე ვახტანგისა, გადააყენეს კათალიკოსობიდგან და გაგზავნეს თენედორის კუნძულზედ (არქიპელაგში), ხოლო კათალიკოსობა უბოძეს ბესარიონს (ორბელიანსა [15]), კაცსა ღირსეულს. მრავალი ეპარქიები დაცარიელდა; საეკკლესიო ქონება დაიტაცეს; ზოგიერთ ეპისკოპოსებმა დასტოვეს ეპარქიები და გაჰყვნენ ვახტანგს რუსეთში. ესენი იყვნენ შემდეგნი: ქრისტეფორე სამთავისისა, რომელსაც ბარტყულაზედ ჰქონდა დრო და ჯვარი, პავლე ტფილელი, ნიკოლოზ რუისელი, არსენ მანგლელი, ნიკოლოზ ურბნელი და იონა (იხ. Архивъ св. Сѵнода 1725 წ. საქმე № 192). რამოდენიმე ხნის შემდეგ ამავე მიზეზების გამო წავიდნენ რუსეთში: იოსებ სამების მთავარ-

---

[13]) გვ. 87, 88, 140, 332.

[14]) „ქართლის ცხოვრება“ ნაწილი II, გვ. 87.

[15]) იქვე გვ. 88, 140, 332.

ეპისკოპოზი, რომანოზ სამთავრელი და Iონა მანგლელი (იხ. Архивъ св. Сѵнода 1734 წ. №№ 301, 303; 1725 წ. № 193). საეკკლესიო წესიერება შეირყა; განათლება, რომელიც მე-XVIII საუკუნეში იწყებოდა, შეჩერდა. ქართლისა და ქრისტიანობის იღბლად ურწმუნო მეფე Iესე მეფედ დიდხანს არ ყოფილა. Iგი გარდაიცვალა მაჰმადიანობაში 1726 წ. [16]). მას დარჩა ცოლი და ორი შვილი: Aბდულ ბეგი (ანუ Aრჩილი, პირველის ცოლის მარიამისაგან) და Tეიმურაზი (მეორე ცოლის Eლენესაგან), რომელმაც მიიღო Iვერიის ეკკლესიის კათალიკოსობა Aნტონ I სახელწოდებით.

Aმისთანა შინაურ და საზოგადო პირობებში იზრდებოდა ახალგაზდა მეფის შვილი Tეიმურაზი. Aმისთანა პირობებში მყოფი Tეიმურაზი, რასაკვირველია, ვერ შეითვისებდა იმ საუკეთესო სულიერ თვისებებს, რომლებითაც იგი იყო შემკული, უკეთუ არ მივიღებთ მხედველობაში მის დედას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თვისს შვილებზედ და რომელმაც დაიხსნა იგი ზნეობით გახრწნილ და ურწმუნო მამის ზეგავლენისაგან.

Aნტონის დედა იყო ასული Kახეთის მეფის Iრაკლი I (ნიკოლოზი მეორე სახელი) [17]) ბ ღვიძლი და Kახეთის მეფეთა Kონსტანტინე და Tეიმურაზ II-სა. Kრისტიანული ამი-

---

[16]) „ქართლის ცხოვრება“ გვ. 88, 242 და 254. სხვა ადგილს (გვ. 476) შეცდომით ნაჩვენებია იესეს სიკვდილი 1733 წელსა; ზოგიერთებს შეცდომით ჰგონიათ იესეს სიკვდილი 1729 წ.

[17]) Iრაკლი I-მა ანუ Iგივე ნიკოლოზმა, თეიმურაზ I-ის შვილის შვილმა და დავით მეფის შვილმა, სიუმაწვილე კაკტარა რუსეთში, ალექსი მიხეილის ძის სასახლეში, სადაც მიიღო მან განათლება. Iგი განაგებდა კახეთის სამეფოს 1689—1703 წწ. (Собраніе грузинскихъ актовъ, გვ. 253 და „გულანი ანჩუთისა.“)

სი სახელი არის ელენე [18]), მაგრამ მას ეწოდების გუჯრებში მეორე სახელი „ბეგუმა“. ცნობილი მოგზაური ბულდენ-შტეინი ჰმოწმობს აგრეთვე, რომ თათრები უწოდებდნენ მას ელენედ და ბეგუმადო. ტფილისის მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთეც უწოდებს მას ელენეს („მზა-მეტყველების“ წინასიტყვაობაში). რუსეთში იყო ცნობილი ელისაბედად [19]); ამავე სახელს არქმევს დედას თვით მისი ძე ანტონ კათალიკოსი [20]). ამისთანა ცნობებიდან ზოგიერთი ისტორიკოსები შეცდომაში შედიან [21]), რადგან არ იციან მათი შეთანხმება. ჩვენის ფიქრით ანტონის დედას ერობაში ერქმევოდა ელენე (ქრისტიანული სახელი) და ბეგუმი მეორე სახელი, რომელსაც ხშირად არქმევდნენ საქართველოში ქრისტიანულ სახელთან ერთად, ხოლო როდესაც აღიკვეცებოდა მონაზვნად იგი გამოიცვლიდა ჩვეულებისამებრ სახელს და დაირქმევდა ელისაბედს.

ღვთის შიშსა და კეთილ-მსახურებაში აღზრდილი ელენე ვერ იტანდა ქმრის უზნეო საქციელს და როდესაც შეატყო, რომ მისი ქმარი არ იკარებდა მისგან არავითარ მისს დარიგებასა, გადასწყვიტა გულში სულიერი ტანჯვა-მწუხარება შეემსუბუქებია ქრისტესადმი მუდმივ ლოცვა-ვედრებით და ქველ-მოქმედებით, ე. ი. აღეზარდა შვილები ქრისტეს სარწმუნოებაში. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ელენემ მიიღო მონაზნობა და თავისი სახლი აქცია თითქმის მონასტრად,

---

[18]) „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი II 253 და 327.

[19]) Переписка груз. царей съ Россійск. გვერდი LXXXVIII.

[20]) თვის თხზულებაში „წყობილ-სიტყვაობა“, გვ. 299, კაშოტემა 1853 წ.

[21]) ბ. იოსელიანი უწოდებს მას ელენედ („მზა-მეტყველების“ წინასიტყვაობაში და ნ. მთვარელიშვილი-კი ელისაბედად და უარს ჰყოფს სახელებს ელენეს და ბეგუმს („იგერია“ 1879 წ. გვ. 43).

დროს უმეტესად ატარებდა ლოცვა-ვედრებაში ღვთისადმი და ამასავე მიაჩვია თავისი ერთად-ერთი ვაჟი თეიმურაზი (ანტონი), ანასტასია და მარიამი [22]). ანტონი ამბობს, რომ მისი დები მშვენივრად იყვნენ აღზრდილნი ღვთის შიშსა, მის სჯულსა და შეთვისებაში [23]). მათს გარდაცვალებაზედ ანტონმა იტირა ისინი ლექსად.

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ელისაბედს ერთად-ერთის ძის თეიმურაზის აღზრდა განვითარებაზედ. პატივცემულ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს ჰგონია [24]) ანტონის დაბადების წელი 1714, როდესაც დედა მისი გათხოვილიც არ ყოფილა იმ დროს. როგორც ზემოთაც ვუჩვენეთ, ეს მოხდა 1715 წ. [25]); ამით მას (იოსელიანს) შეცდომაში შეჰყავს სხვა მკლევარნიცა. ერთს რუსულს გუჯარში თეიმურაზი ნაჩვენებია 10 წლის ჭაბუკად; აქედამ ცხადად სჩანს, რომ იგი დაიბადა 1720 წელს. ამასვე გვაჩვენებს ჩვენ მეფე-პოეტის თეიმურაზ II ლექსი, რომელშიაც მოთხრობილია, რომ მან ოცის წლის შვილი ირაკლი დასვა

---

[22]) „წყობილ-სიტყვაობა“ გვ, 301—302. და ტიმოთეს „მზა-მეტყველების“ წინასიტყვაობა.

[23]) „წყობილ-სიტყვაობა“ 844—850 ოთხ ტაეპოვანის ლექსი. ლედოფალი ელენე სწერავდა მთელის თავისის ქონების მეათედს დიდს მონასტერს (იხ. ჩემი აღწერილობა დავით გარეჯის მონასტრისა № 571).

[24]) მის მიერ გამოცემულის ანტონის თხზულების „წყობილ-სიტყვაობის“ წინასიტყვაობაში, გვ. V. იქნება იოსელიანი ხელ-მძღვანელობდა იმ აზრით, რომ საქართველოში კათალიკოსობას არ აძლევდნენ 30 წლამდისინ და უკეთუ 1744 წ., როდესაც ანტონიმ მიიღო კათალიკოსობა, იგი იყო 30 წლისა, მაშინ ნამდვილად გამოდის, რომ იგი დაბადებულა 1714 წ.

[25]) იხ. ჩვენი Собраніе историческихъ матеріаловъ, ნაწილი I, გვ. 178, ბ. 17, 269, ბ. 7.

ქახეთის მეფედ და ოცის წლისავე ძმის-წული ანტონი—კათალიკოსად განაწესაო. თბილისის საეკკლესიო მუზეის ხელთნაწერში სწერია: „დაიბადა თეიმურაზი—ანტონი 1720 წ. 17 ოქტომბერს, კვირა დღესა, ღამის მესამე საათზედ“. ქათალიკოსის დაბადების დღეს (17 ოქტომბერს) სწერდნენ შესხმებსა: პირველ დიაკონი ტრიფილლი, დავით მესხიშვილი (რექტორი თელავის სემინარიისა), მღვდელი იოანნე ოსეშვილი და სხ. მაშასადამე, მამის სიკვდილის შემდეგ 1727 წ. იგი დარჩა დედას 7 წლისა. დედას მრავალი ქონება დაუტოვა ქმარმა: გარდა მოძრავის ქონებისა მან მიიღო სპარსეთის შაჰისაგან სამეფო პალატნი ტფილისში და დიდი პენსია ფულად ქ. ტფილისის შემოსავლიდან [26]). რადგან დედას საკმაო შეძლება ჰქონდა, ამისათვის მას ჰსურდა შვილისათვის რაც შეიძლებოდა ყოველ მხვრივი განათლება შეეძინა. შემდეგ შინაურული განათლების მიღებისა დედამ გააბარა იგი დავით გარესჯის მონასტერში [27]), რომელშიაც იყო მდიდარი წიგნთ-საცავი და რომელიც იმ დროინდელ უმაღლესს სკოლას წარმოადგენდა: აქ იღებდნენ შესაფერს განათლებას ყველა საუკეთესო იერარქნი საქართველოს ეკკლესიისა. აქაური მასწავლებელნი იყვნენ: ქოზმა (წყობ. სიტ.“ 154, § 277), 70 წლის მოხუცი სფირიდონი, მისი მიმქმელი ემბაზიდან (ანტონისა). ბარდა ამისა იმას მიჩემებული ჰყავდნენ მასწავლებლებად და აღმზრდელებად თავადნი: ნოდარ ხერხეულიძე და იოსებ ფალავანდიშვილი და აგრეთვე გაქრისტიანებული, იმავე მონასტრის მცხოვრები მირზა-ალი (ქრისტიანული სახელი ილია) სპარსელი [28]). სფირიდონის ხელმძღვა-

---

[26]) ბლატონ იოსელიანი. წინასიტყვაობა „წყობის-სიტყვაობისა“, გვერდი VI. [27]) იქვე გვ. VI.

[28]) იქვე, გვერდი V—VI. ბ. იოსელიანი უწოდებს ამას უდაბნოს წინამძღვრად, მაგრამ ამ მონასტრის გუჯრებში, რომელნიც ჩვენ გავარჩიეთ, ეს სახელი არსად სჩანს.

ნელობით ახალგაზდა ბატონიშვილი სწავლობდა საღმრთოწერილს და საღვთის-მეტყველო მეცნიერებას; საერო მეცნიერებას და მწერლობას იძენდა ანტონი ალბათ ფალავანდიშვილისა და ხერხეულიძისაგან, ხოლო მირზა-ალი შესაძლებელია სპარსულს ენას ასწავლიდა. გარდა ამისა, ახალგაზდა მეფის-წული სწავლობდა ბერძნულს ენას პამფილიის ეპისკოპოზ პართენთან, რომელიც ტფილისში სცხოვრობდა და ასწავლიდა ბერძნულს ენას მოლოზანს მარინეს (ერობაში მაკრინე), კათალიკოზის მამის დას [29]). უნდა ვსთქვათ აქვე, რომ ანტონს ბერძნული ენა არ ჰქონია ძირითადათ შესწავლილი, რადგან მის ლიტერატურულ შრომიდან არსად სჩანს ამ ენით სარგებლობა. ისიც უნდა მივიღოთ სახეში, თუ რა საფუძვლის ძალით ჰფიქრობს განსვენებული ჩუბინაშვილი, რომ ვითომც საბა-სულხან-ორბელიანიც ყოფილიყოს ერთი მასწავლებელთაგანი ანტონისაო? [30]). ეს რომ სიმართლეს მოკლებულია, იქიდამა სჩანს, რომ საბა ორბელიანი 1720 წლიდან საქართველოში არ ყოფილა. ის სცხოვრობდა მოსკოვში დედოფალ დარია არჩილის ასულთან და იქვე გარდაიცვალა [31]). კათალიკოსი სწავლობდა აგრეთვე სომხურს ენასაც, თუმცა არ ვუწყით უდაბნოში მყოფობის დროს თუ შემდეგ. შემდეგ ბერად აღკვეცისა ის უფრო განვითარდა ხსენებულს საგნებში და როდესაც კათალიკოსობა მიიღო,

---

[29]) იქვე, გვ. V—VI. სხოლით მეორე საეკლესიო გუჯრები, გამოცემა ფურცელაძისა, 1881 წ., გვ. 15.

[30]) Энциклопедическій словарь, გვ. 563

[31]) Савва скончался отъ Р. Хр. 1725 года, января 26 дня вечеромъ въ великомъ городѣ Москвѣ, въ с. Всесвятскомъ, во дворцѣ царя Арчила и въ той же церкви погребенъ съ большою почестью и расходами въ присутствіи Дареджани. იხ. ჩვენი Собраніе историческихъ замѣтокъ и матеріаловъ, გვ. 474, (ნაწ. II).

მაშინ მიჰყო ხელი ძირითად შესწავლას რუსულ და ლათინური ენებისას (რუსეთში მყოფობის დროს 1756—1762 წწ.). უკანასკნელი უფრო კარგად შეისწავლა.

ღვთის მოშიში დედა კათალიკოსისა ამზადებდა თვისს ძესა არა სასულიერო წოდებისათვის, არამედ სამეფო ტახტისათვის. საღვთო-წერილის შესწავლა მეფეთათვის სავალდებულო იყო. ღირსეულნი მეფენი საქართველოისა მართლაც საკმაოდ განსწავლული იყვნენ საღვთისმეტყველო მეცნიერებაში. რადგან კათალიკოსი სამეფო კაცი იყო, ამისათვის მან შესაფერისად შეისწავლა საერო მეცნიერებაცა, სხვათა შორის სპარსული ენა კარგად ესმოდა, ურომლისობა არ შეიძლებოდა, რადგან საქართველო მაშინ სპარსეთ-ოსმალეთის დიდს გავლენის ქვეშე იმყოფებოდა.

შემდეგ, როგორც დავინახავთ (მაშინ ის სცხოვრობდა მოსკოვს, ნოვოდევიჩის მონასტერში), დედამ, გაიგო-რა ანტონის ბერად აღკვეცა მისგან ნება-დაურთველად, მწარედ ყვედრება დაუწყო შვილსა და სწერდა:

„შვილო ჩემო! რაისათვის განგმირე გული ჩემი მახვილითა, უცხოეთს ქვეყანაში ,ტყვე ქმნილი, ახლა-კი დაკარგული ყოველივე იმედი ჩემის დაბრუნების ჩვენს ქვეყანაში; ძმა შენი აღარ იყო და რათ წარიკვეთე სასო მეფობის მიღებაზედ [32]). შენ უნდა გეფიქრნა ტახტზე, რომელიც ჩვენ დავკარგეთ, შენ უნდა ყოფილიყავი ერთად-ერთი მემკვიდრე უბედურის მამის შენისა, რომელიც დაკარგული იყო ამა და იმა ქვეყნისათვის“ [33]).

ერთის შეხედვით გასაკვირად გვეჩვენება, რა საფუძველით ფიქრობდა ელენე ტახტის დაბრუნებას შვილისათვის და საიდან იქნებოდა ანტონი ერთად-ერთი მემკვიდრე ტახ-

---

[32]) წინასიტყვაობა „წყობილ სიტყვაობისა“ გვ. VI.

[33]) იხ. Собраніе рукописныхъ историческихъ замѣтокъ и матеріаловъ, ნაწ. II, გვ. 414.

ტისა, როდესაც, როგორც ვუწყით, მას ჰყავდა უფროსი ძმა Არჩილი (Აბდულ-ბეგი, Გიორგი) და როდესაც კანონიერი მემკვიდრენი ქართლის ტახტისა—მეფე Ვახტანგის ძენი (Ბაქარი და Ალექსანდრე), Რუსეთში მცხოვრებნი დიდის პატივით, ლამობდნენ ტახტის დაბრუნებას?

Ამაზედ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგნი მოსაზრებანი: უფროსი ძმა Თეიმურაზისა, Არჩილი, როგორც ვუწყით, იყო ძე Იესესი ერთის ქართველ თავადისშვილის უკანონოდ მოტაცებულის ცოლისაგან; ხალხის თვალში იგი უკანონოდ დაბადებულად ითვლებოდა და ამისათვის მისი განრინება ძნელი არ იყო. Რაც შეეხება მეფე Ვახტანგის მემკვიდრეებსა, Ელენეს შეეძლო ეფიქრნა, რომ ისინი, როგორც Რუსეთში მცხოვრებნი, ხალხს მოშორებულნი იყვნენ ამდენს ხანს და რუსებისაგან უმწეობისაგან შთენილნი ვერ შეიძლებდნენ მიზნის მიღწევასა. Მისი ძე-კი, საქართველოში მყოფი, ითვლებოდა კანონიერ მემკვიდრედ ტახტისა. Გარდა ამისა მას შეეძლო შემწეობა ეთხოვა ოსმალებისგან, რომელნიც, როგორც ვუწყით, მფარველობას უწევდნენ მაჰმადიან Იესეს მემკვიდრეებს წინააღმდეგ ქახეთის მეფეებისა, რომელნიც დანდობილნი იყვნენ სპარსეთზედ და Ვახტანგ VI მემკვიდრეებზედ. Ვინ იცის, რუსებმა დედოფალს Რუსეთში აღუთქვეს კიდეც დახმარება. Რაც უნდა ყოფილიყო, Ელენეს უსაფუძვლო მოფიქრება არ ჰქონია შესახებ მისი შვილისგან ტახტის დაკავებისა. Ეს შეიძლება იქიდამაც დავინახოთ, რო 1736 წ. Იესეს უკანონო შვილმა Არჩილმა (Აბდულ-ბეგმა) მიუხედავად მისი უკანონობისა, დროებით მამის ტახტი დაიკავა და დაუწყო სასტიკი ომი გაძლიერებულ მეფეთ Თეიმურაზ II და Ირაკლი II.

Ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, რამდენს ხანს დარჩა ახალგაზდა მეფისშვილი მონასტერში და რა მიზეზისა გამო დასტოვა მან იგი. Ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი 1734 წ. ძალ-

დატანებით დაწინდულ იქმნა მეფის კარის კაცთა და მეგობართა რჩევით, როგორც ჰმოწმობს მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე (წინასიტყვაობა „მზა-მეტყველებისა“, იხ. ისტორია ს. ჩხეიძისა, გვ. 341). ამის შემდეგ იგი გაერთო სახელმწიფოსაპოლიტიკო საქმეებში, რადგან სწადდა მას ქართლის სამეფო ტახტი ჩაეგდო ხელში.

თვით მისსგან ცოლის შერთვას ჰქონდა იგივე მიზანი. იგი დაქორწინდა ბივი ამილახვრის ასულზედ, რომლის მამა იყო ძლიერ გავლენიანი კაცი ქართლში; ის იყო მეფე ვახტანგის მემკვიდრეების მოადგილე და მცველი მათის ინტერესებისა: იგი ეომებოდა თათრებს, სპარსელებს და ქახეთის მეფეებსა, რომელნიც სცდილობდნენ ქართლში გამეფებასა. 1731—1735 წლებმა დიდი გავლენა იქონიეს ქართლზედ. ამ დროს თათრები, გამგენი ქართლის სამეფოსი, შემდეგ გარდაცვალებისა თეიმურაზის მამის იესესი, დაუძლურდნენ აღმოსავლეთში გაძლიერებულის შაჰ-თამაზთან (იგივე ნადირ-შაჰ) ბრძოლაში. თათრის ჯარი მიეშურა საომრად ახალ შაჰსთან ბაღდადში; ორთავე მოსისხლე მტერნი—თათრები და სპარსელები—ერთი მეორეს ეომებოდნენ და 1733 წ. საქართველო იმნაირს ბედნიერს დღეში იმყოფებოდა, რომ ადვილად შეეძლო განთავისუფლებულიყო მუსულმანობის მპყრობელობისაგან [34]), მაგრამ საქართველოს საუბედუროდ ამ დროს მოვიდნენ რუსეთიდან ვახტან VI ძენი რუსის ჯარით 1734 წელს.

ბაჭივრებულ მდგომარეობაში მყოფი ელენე, იძულებული გახდა მონასტერი დაეტოვებინა, თვისი 14 წლის შვილი ვისმესთან შეეკედლებია და იმასთან კავშირი დაეჭირა. ეს იყო მიზეზი ჩვენის ფიქრით ანტონის სიძეობისა გაძლიერე-

---

[34]) Переписка иностранныхъ государствъ съ Россійскимъ государствомъ გვ. 191—192; 198—200.

ბულ ქართლის ერისთავთან 1734 ანუ 1735 წელში [35]). ნამდვილად არ ვუწყით მარტო დაიწინდა, თუ კანონიერი გვირგვინით იკურთა ამილახვრის ასულზედ. მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე აი როგორ მოგვითხრობს: „თეიმურაზი იძულებული გახდა გვირგვინი ეკურთხა და იქმნა მოწვეულ დასაწინდად, მაგრამ მან, უარის-მყოფელმა ყოველივე წუთიერი ამა ქვეყნისა ცხოვრებისა და მსურველმა ქალწულად დარჩენისა, უარ-ჰყო ქორწინება და სული მისი მიისწრაფა ბერულ ცხოვრებისაკენო“.

ეს-კი ეჭვს გარეშეა, რომ ჯვარ-დაუწერელი საცოლო 14 წლის ბატონიშვილისა იმყოფებოდა მამის სახლში, იმის გავლენისა ქვეშე და მამა მისი ერთს დროს იძულებული გახდა—რადგან ეშინოდა შაჰისა—მიეყვანა თვისი ასული ირანის შაჰსთან, რაიცა შეუძლებელი იქმნებოდა, თუ იგი შეუღლული ყოფილიყო ეკკლესიის წესით ანტონთანა და ქმარის სახლში ყოფილიყო. ანტონს შეეძლო დაემალა თვისი ცოლი იმერეთში ნათესავებთან ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, რუსეთში გადაეყვანა. რა მიზეზი იყო, რომ ნადირ-შაჰ ასე მოექცა ამილახვარსა? იქნება ამის მიზეზი იყო ინტრიგები შაჰისთან მყოფის ქახეთის მეფის თეიმურაზ II [36]), რომელიც სცდილობდა ესეს შვილებისა და ბივი ამილახვრის განზრახვანი ჩაეფუშა [37]). ჩვენი ისტორიკოსები მოგვითხრობენ ამაზედ მხოლოდ იმას, რომ ამილახვრის ქალი ძლიერ

---

[35]) ქართლის ცხოვრება, გვ. 339; „Матеріалы для новой исторіи Кавказа“ Буткова. ნაწ. I, გვ. 137, 228 და 229. Исторія Георгіанская о юношѣ Амилахваровѣ, переводъ И. С. 1779 წ. გვ. 53. ეს წიგნი აქვს გენერალს ი. ამილახვარს. მისი წინაპრებია: ბაბუნა XVII, იოთამ, ანდუყაფარ, დიმიტრი (გივის ძმა), დავით, ბარძიმი და გივი.

[36]) ქართლის ცხოვრება გვ. 339.

[37]) Буткова, I, გვ. 137.

მოეწონა შაჰისაო, როდესაც ის იყო საქართველოში 1735 წ., მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით (გვ. 339) ეს მომხდარა შაჰის მისვლამდე ტფილისში. ამილახვარი თუმცა დიდს უარზედ მდგარა თავისი ქალის მიყვანაზედ მასთან, მაგრამ როდესაც იგი მოუნდომებია მოსაკლავად, მაშინ-კი უარი ვეღარ უთქვამს [38]).

მღვდ. კ. ანთაძე.

(შემდეგი იქნება).

---

[38]) იქვე. ბ. იოსელიანის ერთის ხელით-ნაწერის შენიშვნაში, რომელიც ჩვენა გვაქვს, ბუნდოვანათაა ნათქვამი, რომ კათალიკოსს თითქოს ჰყავდა ცოლი, რომელიც დასტოვა „ნარდის“ თამაშობისა გამო. იქნება ავტორს ჰგონია, რომ ანტონმა ნარდის თამაშობაში წააგო თვისი ცოლი?!

იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი

(მისი მოღვაწეობის მოკლე განხილვა).

დიდი ხანი არ არის, რაც ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი გამოვიდა საეკკლესიო განმანათებლობითის მოღვაწეობის სარბიელზედ. წელს თიბათვის თოთხმეტს შესრულდა თოთხმეტი წელი, რაც მათი მეუფება აღიკვეცა ბერად ქიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს, 1887 წელსა. აკადემიაში სამაგალითოდ კურსის დამთავრების შემდეგ მღვდელ-მონაზონი ლეონიდი პალლადიმ, საქართველოს დაუვიწყარმა ექსარხოსმა, დანიშნა ქავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მისიონერად და სკოლათა ინსპექტორად 1888 წელსა. ამ წლიდგან იწყება მოღვაწეობა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდისა საქართველოს ეკკლესიის სასარგებლოდ საინგილოსა, ფშავ-ხევსურეთსა, მთიულეთსა და ოსეთში. მისის მოღვაწეობის უმთავრესს მიზნად შეიქმნა სახარების ცხოველ-მყოფელის სწავლის ზედგავლენით განახლება და აღყვავება იმ ერთა ცხოვრებისა, რომელნიკ ოდესმე იყვნენ ერთგულნი ძენი ივერიის ეკკლესიისანი და დროთა უკუღმა ტრიალის მეოხებით შთაცვივდნენ უმეცრების უფსკრულში. ახალ-გაზრდა მღვდელ-მონაზონი მისიონერად ყოფნის დროს მოციქულებრივის თავგანწირულებით დადიოდა სოფლიდგან სოფლად, დაბიდგან დაბად, კლდე-ღრეებში, მთებს შორის, უშიშრად და შეუპოვრად ბნელსა და აჩრდილსა სულიერის სიკვდილისასა მსხდომარე ერთა უქადაგებდა ადვილად გასაგების ქართულის ენით სახარების დიდს სწავლასა.

მღვდელ-მონაზონი ლეონიდი მოღვაწეობდა ჩრდილოეთს ოსეთში, რომელიც ძველს დროს საქართველოს ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ქრისტიანობის აღდგენის საქმე ქავკასიონის მკვიდრთა შორის მეთვრამეტე საუკუნეში ივერიის ეკლესიის შვილებმა დაიწყეს (იოსებ სამებელი, იოანნე მანგლელი და სხ.). მათ ეკუთვნით პირველი ჰაზრი ქავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების დაარსების შესახებ. სოფ. ბესლანში ოსმა ბუთიევმა მიიწვია მღვდელ-მონაზონი ლეონიდი, რომელმაც აკურთხა მის-მიერ დაარსებული სკოლა-ეკლესია [1]. მანვე დაათვალიერა ოსეთის დედათა ქავკავის სკოლა და ნახა, რომ ამ სკოლაში საღმრთო სჯულის და რუსულის ენის სწავლება ცუდად იყო დაყენებული. მასვე ეკუთვნის წერილი სამხრეთ ოსეთის შესახებ, რომელშიაც ის შეეხება ოსთა სარწმუნოებრივს ცხოვრებას [2]. მანვე დაარსა სკოლები როკასა და ედისში, რომელთ სადგომები მცხოვრებლებმა აღაშენეს [3].

აი რა სწერია გაზეთ „ივერია"-ში ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობის შესახებ ოსთა შორის:

„ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთს ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც „ქავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების" ხარჯით აღშენებული. მაშინდელი ოსები დიდის ხალისით-კი არ გზავნიდნენ თავიანთს შვილებს სკოლებში, არამედ თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის მხრის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც ჩრდილოეთ ოსების სკოლათა ინსპექტორად დაინიშნა დიდად

---

[1]) „Дух. Вѣстн. груз. экзарх. 1891 წ. № 2, გვერდი 36—37.

[2]) იქვე 91 წ. № 4, გვ. 36—37.

[3]) იქვე 1891 წ. № 8.

პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ეოვლად-ს მდვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში, მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძვრებით ესაუბრებოდა, თუ სწავლა-განათლებას რა მნიშვნელობა აქვს. ასე ექცეოდა მათი მეუფება ლეონიდი ოსებს ყოველს წელს, როცა-კი სკოლების სარევიზიოდ მობრძანდებოდა ხოლმე. ქეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გამოიღო, და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა... დღეს-კი აქ სკოლაში ბავშვებს კენჭის ყრით იღებენ. დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა [4]).

დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდეს ზაქათალის მაზრაში ინგილოთა შორის, რომელნიც ქართველი ტომის არიან და ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ. სპარსთა მძლავრობის მეოხებით ინგილონი მოსწყდნენ საქართველოს ეკკლესიას და მძლავრობით გამაჰმადიანებულ იქმნენ. მეცხრამეტე საუკუნეში ინგილოთა განმტკიცებას მაჰმადიანობაში ხელს უწყობდნენ მოლები და ხოჯები, რომელთაც მრავლად სკოლები გამართეს მეჩეთებთან და ახალთაობას ასწავლიდნენ არაბულს ენას და სცდილობდნენ, რათა იგი გამოსულიყო მოსისხლე მტერი რუსებისა და ქართველებისა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ მისიონერ-ინსპექტორად ყოფნის ჟამს დიდი და მხურვალე ყურადღება მიაქცია ბედის მიერ დაჩაგრულს ინგილოებს. აი, სხვათა შორის, რას ამბობს ყოვლად სამღვდელო ინგილოთა შესახებ: „საინგილოს მოლები სცდილობდენ, რომ ახალთაობამ ინგილოებისამ არა გაიგოს რა თავისის მამა-პაპების, ეროვნების და დედა ენის შესახებ. ფრიად საჭიროა, რომ მეჩეთებთან დაარსებული სკოლები დაუმორჩილოს მოაგრობამ საერო განათლების სამინისტროს უწ-

---

[4]) „ივერია“ 1901 წ. № 61

ეებას და რუსული ენა გახადოს სავალდებულოდ ამ სკოლებში. აგრეთვე საჭიროა საინგილოში მოლები ქართველის ტომისანი იყვნენ და ქაზის და ეფენდის მსაჯულების უფლება ჩამოერთვათ [5]). 1890 წელს მისის თანადასწრებით საინგილოში საფუძველი ჩაეყარა ჟურმუხის წმ. გიორგის ეკკლესიას. 10 აპრილს მღვდელ მონაზონი ლეონიდი და ადგილობრივი სამღვდელოება, მოწაფენი ქორაღანის, ალიბეგლოს და ქახის სკოლებისანი, ვაჟნი და ქალნი, გაემგზავრნენ იმ მთის წვერზედ, სადაც უნდა აღშენებულიყო ხსენებული ტაძარი. მოწაფეთა გუნდი ჰგალობდა წმ. გიორგის ოხითას (ტროპარს). მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ შესაფერის სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას [6]). 1891 წლის 12 მაისს მან აკურთხა ქახის დედათა სკოლის საფუძველი. ამ სკოლის აღშენებაში მღვდელ-მონაზონის ლეონიდის ჩაგონებით მონაწილეობა მიიღეს ქახის მცხოვრებლებმა. საფუძვლის კურთხევის დღეს მან შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. იმავე წელს 13 მაისს თასმალოში დაარსა ახალი სკოლა-ეკლესია. მაჰმადიანთა შორის საზოგადოდ ქალს ძლიერ დაბლა აყენებენ, მისთვის სწავლა-განათლებას მეტს ბარგად სთვლიან. ასეთის ჰაზრით არიან განმსჭვალულნი ინგილოებიც. მღვდელ-მონაზონი ლეონიდი, როგორც მქადაგებელი ქრისტიანობრივის ზნეობისა და გონივრულის მოქალაქეობისი, უარსებს ინგილოებს ქახის დედათა სკოლას 1890 წელსა. ამის გამო მოახსენა მან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს შემდეგი: „ინგილოები ჰფიქრობენ, რომ ქალი სრული ადამიანი არაა და მისთვის განათლება მეტი ბარგია. ამისთვის დედათა სკოლის გახსნა ამ მხარეში სასიხარულო მოვლენაა, ღირსია სრულის ყურადღებისა და დახმარების“ და ამის გამო იგი თხოვს საბჭოს დანიშნოს ხსენებულს სკოლაში მას-

---

[5]) Дух. Вѣстн. 1890 წ. № 5. გვ. 34—38.

[6]) იქვე გვერდი 38—39.

წავლებელი ქალი [7]). 1892 წელს მღვდელ-მონაზონი ლეონიდი სწერს ჟურმუხის ტაძრის შესახებ და თანაც შეეხება ინგილოთა ახალთაობის სვე-ბედსა. ინგილოთა ახალთაობა, მისი ჰაზრით, უკეღმართს სწავლა-განათლებას იღებს მეჩეთებთან დაარსებულს სკოლებში მუსულმანთა სასულიერო წოდების ზედ-გავლენით; საჭიროა, ეს ახალთაობა რუსთა სკოლებში აღიზარდოს; საჭიროა აგრეთვე, რომ აქაურმა მოღებმა რუსული ენა იცოდნენ; დიდად სასარგებლო იქნება, რათა აქ შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლება რუსთა სკოლებში. მოლები ძალა დატანებით ასწავლიან ინგილოთა ახალ-თაობას სრულიად უცხოს, გაუგებარს და ძალზე არაბულს ენას და თანაც ხმარობენ ბარბაროსულს ზომებს სწავლებისათვის, ასე რომ ბევრს მოწაფეს უდროვოდ გამოასალმეს წუთი სოფელი. სხვათა შორის ამავე წერილში ბრძანებს იგი: „ინგილოები საკმაოდ დაიტანჯნენ მუსულმანთა სასულიერო წოდების სიმერაგის გამო. ჩვენს დროში ისინი სდგანან უეჭველის დაღუპვის უფსკრულის პირსა და ამის გამო ჩვენი ზნეობითი ვალია, თუ არ გვსურს პასუხის მგებელი ვიყვნეთ ღვთისა, ჭეშმარიტების სამსჯავროისა, საკუთარის სვინიდისისა და, ბოლოს ამავე ერისვე წმ. მოწამე—წინაპართა წინაშე—უშველოთ მას, დავიფაროთ იგი, ხელი შევუშალოთ მაჰმადიანობას იმის განადგურების საქმეში, დავკეტოთ მეჩეთებთან არსებული სკოლები, ვითარცა მთესველნი მაჰმადიანობისა, და შემოვიღოთ სავალდებულო სწავლება მართებლობის მიერ დაწესებულს სკოლებში“ [8])... 1892 წელს მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ ქრისტიანობაზედ მოაქცია თასმალოში 62 სული ქრისტიანობას განდგომილი და მათი მსგავსი მრავალი ინგილო... ახალგაზრდა მისიონერმა საიმედო მტკიცე გზაზედ დააყენა ინგილოთა შორის ქრისტიანობის აღდგენის საქმე.

---

[7]) იქვე № 17, გვერდი 4.

[8]) იქვე 1892 წ. გვერდი 21—24.

—ბანსაკუთრებით საყურადღებოა ის გონივრული ზომები, რომელსაც იგი უჩვენებდა ამ საქმის დასაგვირგვინებლად... აქვე, ინგილოთა სვე-ბედის მოგონების ჟამს, უნებლიედ თვალთ წინ გვეხატება ჩვენი ძვირფასი ძველი მესხეთი, სადაც დღეს სცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველები... დიდებული სამშობლო უკვდავი რუსთველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა, ექვთიმე მთაწმინდელისა, ფილოსოფოსის ჭირ-ჭიმელისა და სხვათა დღეს ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია... აქაც, როგორც საინგილოში, დათარეშობენ სტამბოლიდგან მოსული მოლები და ხოჯები, რომელნიც მკვიდრთ უქადაგებენ რუსეთის სიძულვილს, სამშობლოს დატოვებას და ოსმალეთში გადასახლებას... ბევრი, გატაცებული ცრუ იმედებით, სტოვებს სამშობლოს, მიდის ოსმალეთში და სამუდამოდ უბედურებაში ვარდება... ბოლო დროს, სინანულში ჩავარდნილი, ბევრი უკანვე, სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ რა გამოვიდა?!. ისინი ველარ ელირსებიან კეთილ დღეობას და გულ დათუთქულნი მწარე ნაღვლით გამოესალმებიან წუთი-სოფელსა. ინგილოები და გამაჰმადიანებული ქართველები ამ მხრით სწორედ რომ ერთს ბედში არიან... რუსეთის სახელმწიფოს ინტერესთათვის სტამბოლიდგან მოსული ხოჯები და მოლები ინგილოთა და გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის მეტად მავნებელნი არიან.

დიდი შრომა მიუძღვის ყოვლად-სამღვდელოს თუშ-ფშავ-ხევსურ-მთიულთა შორის ქრისტიანობის დამყარების და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეშიაც. იმათ შესახებ მან ფრიად საყურადღებო წერილები დასტამბა რუსულს ენაზედ [9]). მის-მიერ წარმოთქმული ჰაზრები თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის ქრისტიანობის განმტკიცების შესახებ დღეს თანდა-თან მოდის სისრულეში. იგი სთხოვს საბჭოს, რათა მან

---

[9]) იქვე 1891 წ. № 12 და 1892 წ. №№ 2, 10, 11 და სხვ ..

ა) დაუნიშნოს იმათს მღვდლებს ჯეროვანი ჯამაგირი; ბ) დაენიშნოთ მათ საკუთარი ბლაღოჩინი, რომელიც უნდა სცხოვრობდეს ბარისახოში და რომელსაც უნდა ჰქონდეს ჯამაგირად 700 მან. [10]); გ) მოწვეულ იქმნან აქ სამსახურში სემინარიელები;—დ) უკეთუ მთებში დარჩებიან იგინი ექვს წელზედ მეტს, მოემატოსთ მათ ჯამაგირი და ერთ-ერთი შვილი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით აღეზარდოთ; ე) მიეცეთ მედავითნეებს ჯამაგირად—200 მან.; ვ) დაარსებულ იქმნას საზოგადოების ხარჯით ბარისახოს სკოლასთან თავ-შესაფარი 15 მთიულთა ბავშვთათვის; ზ) მღვდლებს უნდა აღეკრძალოთ სამრევლოთა გარეშე ცხოვრება; Თ) საჭიროა მათთვის აღშენებულ იქმნას სადგომები საზოგადოების ხარჯით [11]); თ) უნდა შეკეთებულ იქმნან ეკკლესიები; ი) მრავლად გაიხსნას საეკკლესიო სკოლები განსამტკიცებლად მთიულთა შორის ქრისტიანობისა და სხვა... როგორც სჩანს, მღვდელ-მონაზონმა ლეონიდმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის ქრისტიანობის აღდგენის და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს. მან გახსნა საზოგადოების მინდობილობით სკოლა ბუდამაყრის ხეობაში და აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რათა საზოგადოებას თავისს ხარჯით განეახლებინა ლუთხუბის სამრევლოში ღვთის-მშობლის ტაძარი, რომელიც დიდად პატივცემულია გუდამაყრელთა შორის [12]). 1892 წელს მანვე გახსნა სკოლა პანკისისა, სადაც სცხოვრობენ მთებიდგან გადმოსახლებული ქისტები, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. ქისტებმა სკოლის მოსათავსებლად სახლი თავისს ხარჯზედ აღაშენეს.

---

[10]) უკვე ორი წლის წინ დაინიშნა აქ ბლაღოჩინი და მიეცა ხსენებული ჯამაგირი.

[11]) ეს ჭაზრიც ამ ბოლო დროს განხორციელდა.

[12]) იქვე 1892 წ. № 2, გვ. 30.

მღვდელ-მონაზონმა ლეონიდმა სკოლის გახსნის დღეს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ურჩევდა მსმენელთ შეეყვარებინათ სკოლა, როგორც გამავრცელებელი კეთილ-ზნეობისა და მათის ახალ-თაობის აღმზრდელი [13]) მანვე გახსნა სკოლა ზემოხსენებულს ბარისახოში [14]). მისივე შუამდგომლობით ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ გამოიღო ხარჯი ტაძართა განსაახლებლად: ჟურმუხის ტაძრისათვის – 3,000 მან., თასმალოსათვის—4,000 მან., ყორნისისათვის—4,000 მან., აგრეთვე არ დასტოვა უშემწეოდ ტაძრები თიღვისა, მცხეთისა, საფარისა, სამებისა, წმ. ჯვრისა და სხვა... ახალგაზდა მისიონერის მოღვაწეობას აღაფრთოვანებდა ის საკეთილო გარემოება, რომ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი პალლადი, მაშინდელი ექსარხოსი საქართველოსი, მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობოდა და აფასებდა ყოველსავე მისს ჰაზრსა, ნაბიჯსა და მოღვაწეობას... მღვდელ-მონაზონი ლეონიდი თვისის სასარგებლო და ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის 1892 წ. დანიშნულ იქმნა იოანნე ზედაძენის მონასტრის წინამძღვრად იღუმენის ხარისხით, ხოლო 6-ს მაისს 1893 წელს ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი და დანიშნულ იქმნა ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად. იმავე წელს 23 ნოემბერს იგი დანიშნულ იქმნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტერთა ბლაღოჩინად. მან განამშვენიერა, გააცოცხლა ხირსის მონასტერი, აღშენებული ათ-ცამეტ ერთი მამათაგანის წმ. სტეფანეს-მიერ. წმიდა სტეფანეს საფლავს მან დაადგა ახალი მშვენიერი ლუსკუმა, გააუმჯობესა ტაძარი და მონასტერთან დაარსა საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომელსაც თავისს ხარჯით ინახავდა... 1896 წელს 24 ენკენისთვეს არქიმანდრიტი ლეონიდი დანი-

---

[13]) იქვე გვერდი 38.

[14]) იქვე 1891 წ. № 8, გვერდი 3—4.

შნულ იქმნა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის წევრად და 1897 წლიდგან იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრის წინამძღვრად. მამა არქიმანდრიტმა ამ მონასტერთანაც დაარსა საეკკლესიო სკოლა თავისს ხარჯით. იგივე დანიშნულ იქმნა დაბადების გამასწორებელ კომიტეტის, თბილისის სიძველეთ-საცავის და სასულიერო წოდების ღარიბთათვის სამზრუნველოს თავმჯდომარედ. ერთსა და იმავე დროს არქიმანდრიტი ლეონიდი მსახურებდა ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს წევრად 1889 წლიდგან და აღსრულებდა საბჭოს სხვა-და-სხვა მინდობილობათაც სასწავლო საქმეთა შესახებ...

17 აპრილს 1898 წ. არქიმანდრიტი ლეონიდი სახელდებულ იქმნა მღვდელ-მთავრად ბორისა—უწმიდესის სინოდის ბრძანებისამებრ...ამ დღეს მათმა მეუფებამ წარმოსთქვა სიტყვა რუსულს ენაზედ. მან სხვათა შორის, ბრძანა: „მყოლიეს მე წინაპრები, რომელნიც თაობითი თაობათ მღვდლობენ ეკკლესიის მწყემსთა გუნდთა შორის, და მეცა მაქვნდა კურთხევა ზეციერისა მამისა დაბადებად ესე ვითარსა კერასა, რომლისა ცხოველი მოწოდება იყო დანერგვა და განმტკიცება ქრისტიანობრივის კეთილ-მსახურებისა მისის სახლისა ყოველთა წევრთა შორის... რვა წლის მიმცეს სასულიერო სასწავლებელში... ვიმყოფებოდი ზედ გავლენასა ქვეშე ნათესავისა ჩემისა მღვდელ-მთავრისასა [15])... ვიყავი მეორისა ამის მშობლისა ჩემისა სამღრთო მსახურებათა მხილველი!.. მე მქონდა სურვილი, რათა „ღვთისა სიტყვითა აღმეორძინნა მკვიდრნი მშობლიურთა ჩემთა კავკასიის მთათანი და ქრისტიანებრივი აღზრდა შვილთა მათთა მეტვირთნა... ვმადლობ მეუფესა ცხოვრებისა ჩემისასა, რომ მიჩვენა მე ადგილი მსახურებისა ჩემისა სამშობ-

---

[15] ეოვლად სამღვდელო ალექსანდრე, აწინდელი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი, ღვიძლი ბიძაა ეოვლად სამღვდელო ლეონიდისა.

ლოსა და ცნობილსა ქვეყანასა შინა, ქვეყანასა, რომელიც უწინარეს ჟამიდგან ცნობილ არს შეურყეველის რწმენით ქრისტეს წმ. სწავლისა და ყოვლად უცხოი ქსელთაგან მწვალებლობისა და ცრუ-მოძღვრებათაგან"... თავისს სიტყვაში ბოლოს მიმართა ახლად სახელ-დებულმა მღვდელ-მთავარმა მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს და სთხოვა მას დახმარება სულიერს მოღვაწეობაში: „შენ განმიკითხავ მამობრივის სიყვარულით, ნაკლულევანებასა აღმივსებ, შრომათა და ღვაწლთა შინა მწე და ხელმძღვანელ მექნები"! [16]). ყოვლად სამღვდელო ლეონიდი ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მთავრად სიონის საკრებულო ტაძარში, რომელსაც დიდძალი ხალხი მოაწყდა; ბევრმა ვერ შესძლო ტაძარში შესვლა, რომელიც ხალხით იყო აღსავსე და იდგა გალავან შიგნით და გარეთ. მღვდელ-მთავრად აკურთხეს იგი მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანემ, საქართველოს ექსარხოსმა, ზურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ქავკავისეპისკოპოსმა ვლადიმერმა და იმერეთისამ ბესარიონმა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდი დანიშნულ იქმნა მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად და ესრედ იგი შეიქმნა თანამშრომლად ამ წმიდა საქმეში მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანესი, რომელიც ბრძანდება ამ კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ დროდგან იწყება ნაყოფიერი, თავ გამოდებული მოღვაწეობა კომიტეტისა, რომლის სახელით თავმჯდომარემ და მისმა თანაშემწემ გაგზავნეს მრავლად მოწოდებანი მთელს რუსეთის სახელმწიფოში... და უხვად მოუვიდა ფული კომიტეტს მართლ-მორწმუნე რუსთაგან და ქართველთაგან. დიდებულის მცხეთის საპატრიარქო ტაძრის განახლების საქმეს

---

[16]) ყოვლად სამღვდ. ლეონიდის სიტყვა გადმოსთარგმნა რუსულიდგან ქართულს ენაზედ ბ. მ. ჯანაშვილმა ძველის ენით, რომლის ნიმუშები ზემოდ არის მოყვანილი. იხ. „ივერია" 1898 წ. № 94.

ბრწყინვალე ხანა დაუდგა... 70,000 მანეთამდის შეგროვდა შეწირულება ამ ტაძრის განსაახლებლად.

Იმავე დროს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი ექსარხოსის მინდობილობით თვალ-ყურს ადევნებდა ქართულის ენის და საეკკლესიო გალობის სწავლების საქმეს სასულიერო სემინარიასა, სასწავლებლებში და საეპარქიო დედათა სასწავლებელში. Იგი ესწრებოდა გამოცდას ამ საგნებში... Მისივე თავმჯდომარეობით შედგენილ იქმნა კომისია ახალის პროგრამმის შესადგენად ქართულის ენის სწავლებისათვის საქართველოს საექსარხოს სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში. Ეს კომიტეტი შესდგა მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანეს ნებართვით და თვის მიერ შემუშავებული პროგრამმა მთავრობას წარუდგინა განსახილველად... ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი გულ-მხურვალედ ეპყრობოდა ქართულის საეკკლესიო გალობის აღდგენის საქმეს, იმ სამხმოვანი გალობისა, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეინახა ქართველთა მართლ-მადიდებლობა და ღრმად გადგა ფესვები იმათს სულსა და გულში. Ერთხანად მათმა მეუფებამ კიდევაც შეადგინა ქართულ მგალობელთა გუნდი, რომელიც ბ-ნ ალ. ქავსაძის ლოტბარობით ჰგალობდა თბილისის ეკკლესიებში მღვდელ-მთავრის წირვის დროსა... დღესაც არსებობს ასეთივე გუნდი ბ-ნ ქარგარეთლის ლოტბარობით... მათმა მეუფებამ ექსარხოსის მინდობილობით მოახდინა „რევიზია“ ბორჩალოს მაზრის სამრევლო ეკკლესიებისა და ნახულ-გაგონილის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანეს, რომელმაც, ამ მოხსენების თანახმად, დიდი ყურადღება მიაქცია მართლ-მადიდებელ სარწმუნოების მდგომარეობას ამ მაზრაში. Ეს მაზრა, როგორც ვიცით, ძველად იწოდებოდა „ბუგარკად“, „ტაშირად“, „საქართველოს სომხითად“ და აქ ბლომად, ძლიერ ბლომად სცხოვრობდნენ ქართველები. აქვეა ნიადაგი სომეხ-

თა და ქართველთა შორის სარწმუნოებრივის განხეთქილებისა. ეს მხარე ძველად იმყოფებოდა ქართველ მეფეების მფარველობის ქვეშ; აქ ძველად ჰყვაოდა მართლ-მადიდებლობა. მისს კურთხეულს ნიადაგზედ (თრიალეთში) დაიბადა დიდებული მამა საქართველოს ეკკლესიისა—ბიორგი მთაწმიდელი, რომლის სულიერ სიდიადის და სიწმიდის წინაშე ქედს იდრეკდნენ საბერძნეთის და საქართველოს გვირგვინოსანნი... დღეს-კი აქ მართლ-მადიდებლობა ოდნავ ბჟუტავს და მრავალ-წამებული ქართველების მოძმენი დაჩაგრულნი არიან...

არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ყოვლად-სამღვდელომ არ დასტოვა მზრუნველობა მისდამი რწმუნებულ მონასტერთა გასამშვენიერებლად... დღეს ეს მონასტრები კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველებზედ და ცხადად ღაღადებენ იმ ჰაზრს, რომ ქართველთა შორის ჯერ არ ჩამქრალა სარწმუნოების ნაპერწკალი... ყოვლად-სამღვდელომ შემწეობის ხელი გაუწვდინა ათონის ქართველთა სავანის ბერებსაც, რომელთაც ბერძნები სდევნიან უსამართლოდ... დავით-გარეჯის უდაბნოში მათმა მეუფებამ, საქართველოს ექსარხოსის ნებართვით, ათონიდგან გადმოსული ქართველი ბერები დაასახლა და მათ მიუჩინა წინამძღვრად მამა ბენედიკტე (ბარკალაია)... ყოვლად-სამღვდელო ამასთანავე მჭევრ-მეტყველი მქადაგებელია...

წარსულ საუკუნეში ქართველებს ჰყავდათ ერთი შესანიშნავი მქადაგებელი ყოვლად-სამღვდელო ბაბრიელი, აწ უკვე განსვენებული, რომლის ქადაგებანი გადათარგმნილ იქმნენ რუსულსა და ინგლისურს ენაზედ... ყოვლად-სამღვდელო ბაბრიელის სიკვდილის შემდეგ სამქადაგებლო სარბიელზედ პირველობა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს დარჩა. ჩვენ არ შევეხებით აქ მისს მრავალს მოძღვრებას, რომელთ განხილვა შინაარსის და ენის მხრით შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყოვლად-სამღვდელო თვისს ქადაგებებში ყოვლის უპირველეს შვილია თანამედროვე ცხოვრებისა, მცოდნე მისი ავის და კარგისა. მისი მოძღვრებანი სარ-

კეა ქართველის ერის თანამედროვე ცხოვრებისა მისის სიგრძე-სიგანით, ღირსება-ნაკლულევანებითურთ. Igi ჰქადაგებს მარტივის, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ენით და ამიტომ მისი მოძღვრება ადვილად გასაგებია; ჰაზრსა და სიტყვას შორის მისს მოძღვრებაში სრული თანხმობაა, მაჩვენებელი მქადაგებლის საღვთის-მეტყველო განვითარებისა [17]).

1900 წ. ყოვლად სამღვდელო ლეონიდი თიბათვის, მკათათვის და მარიამობისთვეში ექსარხოსის მაგივრად განაგებდა საქართველოს საექსარხოსო საქმეებსა... სწორედ ამ დროს შთავიდა საფლავად ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა... მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს წარდგენილების თანახმად, ზორის ეპისკოპოსი ლეონიდი უწმიდესის სინოდის მიერ დანიშნულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსად... მათის მეუფების წინ გაიშალა ფართო, ვრცელი სარბიელი სამღვდელ-მთავრო მოღვაწეობისა იმერეთის უძველესს სამწყსოში, რომელსაც ოცდა თხუთმეტს წელზედ მეტს განაბრწყინვებდა ნეტარ-ხსენებული ბაბრიელი.

თ—ტ—ელი.

---

[17]) იხ., მაგალითად, „ივერია“ 1898 წ. № 8.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი

და მისი გვარის ისტორია

(შემდეგი *)

ნაამბობი ახალციხის ქართველთ კათოლიკეთ მოძღვრის Ivანე ზვარამაძისაგან.

ზუბალაანთ გვარის წევრნი ჯავახეთში პირველად აწყვერში აღმოჩენილან. მაშინ აწყვერი ქალაქად ითვლებოდა, იქ მცხოვრებთა რიცხვიც დიდი იყო. აწყვერში ზუბალაშვილები უკვე კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებდნენ, დრო, ამათის კათოლიკობასთან დაკავშირებისა უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკ., ასე 1653 წელს. ამ დროებში გაძალუანებული ყოფილა აწყვერში ვინმე ქალიმაჯ ეფენდი, მტერი ქრისტიანებისა, მდევნელი მათი და სასტიკი ბოროტი. Igი აწყვერშია დასაფლავებული. Esევე ეფენდი სასტიკი მდევნელი ყოფილა კერძოდ ზუბალაშვილებისა, რომლებსაც აწყვერში იმ დროის კვალად კარგი ვაჭრობა ჰქონდათ გამართული და შესამჩნევი ვაჭრებიც ყოფილან. მაგრამ მალე აწყვერს ოსმალნი დასცემიან და ქრისტიანები დაურბევიათ; ესენი აყრილან და სოფელ დვირს წასულან; ამათშივე ყოფილან ზუბალაშვილები; ჯერჯ ვერც-კი მოასწრეს ახალ მოსულებმა დვირს დასახლება, რომ 1655 წელს, ახლა ამ სოფელს დაეცნენ ლეკები. დვირელნი და ზუბალაშვილები სოფელ ხიზაბავრას შეეხიზნენ, რომელიც მაშინ განთქმული იყო შესანიშნავის ქართველ მეომრებით და ფალავნებით. მოგეხსენებათ, რომ ძველად განთქმული მოჭიდავენი სულ

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5.

ხიზაბავრელები იყვნენ, რომელთაც შემდეგ ქართლში ხიზანბარელი უწოდეს.

თუმცა ხიზაბავრა მძლავრი სოფელი იყო და მის მცხოვრებნიც მძლავრ ვაჟკაცებად ითვლებოდნენ, მაგრამ ლეკები მაინც არც ამ სოფელს ასვენებდნენ და მათ უფრო სდევნიდნენ, რადგანაც მათი შიში უფრო ჰქონდათ. უკანასკნელ, სოფლის მცხოვრებთ მობეზრდათ უღმრთოდ ბრძოლა და მათ აქეთ-იქით იწყეს (1670 წ.) გასვლა და თავის შეფარება. ზუბალაშვილებიც ხიზაბავრიდამ ზოგი თბილისში გადმოსახლდნენ, ზოგნი ბორს, ზოგნი მოზდოკს და მით გადურჩენიათ თავი.

ზუბალაშვილებს ახალციხეშიაც კარგა ხანს უცხოვრიათ; იგინი ერთგულ წევრებად ითვლებოდნენ აქაურის ღარიბ ეკლესიების, და ქართველ კათოლიკებისთვის შეწირულებაც უძღვევიათ. სამწუხაროდ ჟამთა ვითარებამ შთანთქა სამცხის ეკლესიების ძველი კონდაკის წიგნები; ოსმალთა დევნის მეოხებით მრავალი ძვირფასი ხელთ-ნაწერი დამწვარა, თორემ ზუბალაანთ გვარის შესახებ ბევრი რამ საინტერესო ცნობები აღმოჩნდებოდა, რადგანაც ამბად არის დაშთენილი, რომ XVII საუკ. ზუბალაშვილები კათოლიკის ყველა ეკლესიებს დიდს დახმარებას უწევდნენო. ზუბალშვილებს დაახლოვებული კავშირი ჰქონიათ აგრეთვე აწყვერში მყოფ იმ დროის გამოჩენილ ქართველთ მთავარ ბვარამთან.

ზუბალაშვილებს მესხეთსა და ჯავახეთში ცხოვრების ასპარეზზედ ფეხი მაშინ გაუმაგრებიათ, როცა ოსმალებს კათოლიკებზედ დევნა შეუჩერებიათ და ვაჭრობის გულისთვის სხვა-და-სხვა შეღავათები მიუციათ.

ახალციხის ზუბალაშვილების გვარის შესახებ დაშთენილა კიდევ შემდეგი ცნობა: XVII საუკუნის ზუბალაშვილების ერთი წევრთაგანი, XVIII საუკუნეში, ახალციხეში დაშთენილა, აქ დასახლებულა, შემდეგ ესენი გამრავლებულან, იგინი ახალციხეში აღებ-მიცემას მისცემიან, მათ მეცხრამეტე

საუკუნემდის კაი შეძლებაც შეუძენიათ, მაგრამ მათდა საუ-
ბედუროთ, 1830 წლის დიდის ხოლერობის მეოხებით მთლად
მოსპობილან, გადარჩენილა მხოლოდ ერთი—ლუკა ზუბა-
ლოვი, რომელიც შემდეგ ოქრომჭედლობის ასპარეზზედ ხე-
ლოვან ოსტატად აღმოჩენილა, მით სარჩოც კარგად შეუძე-
ნია და საზოგადოთ ყველა საქმეში სახელოვანი მრეწველი
ყოფილა, მაგრამ უშვილოდ გარდაცვლილა 1890 წლებში
და მით მოსპობილა ახალციხეში ზუბალაშვილების გვარის
ის შტო, რომელიც დღევანდელს ცნობილს ზუბალაშვი-
ლებს ენათესავებოდა.

ასპინძაში მცხოვრებთ გამაჰმადიანებულთ ზუბალაშვი-
ლებმა დღესაც კარგათ იციან, რომ ისინი მონათესავეები
არიან კათოლიკე ზუბალოვებისა. იგინი ამბობენ, რომ ჩვე-
ნი მონათესავენი ქართლში სცხოვრობენო. დღეს მაჰმადიანთ
ზუბალოვებიც ისეთივე ფანატიკები არიან და მოძულე ქარ-
თველთა, როგორც სხვა ქართველთ მაჰმადიანები. ახალცი-
ხეში ყოფნის და ცხოვრების დროს, ზუბალაშვილები ყო-
ველთვის ივანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მრევლათ ითვ-
ლებოდნენ და ამ ეკკლესიას გაჭირვების დროს ყურადღება-
საც აპყრობდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი:
XVIII საუკუნეში, ცნობილის ანდრია ზუბალოვის მეუღლეს
ანნას, ხსენებულის ეკკლესიისათვის შესაწირავი გაუგზავნია,
რაც მოხსენებულია ამ ეკკლესიის „კონდაკში“. ზუბალაშვი-
ლებს დიდი მეგობრობა ჰქონიათ პავლე შაჰყულიანთან და
იმ დროის ახალციხის ყველა მღვდლებთანაც. თბილისში ყოფ-
ნის დროს შაჰყულიანი ხშირად ესტუმრებოდა მათ, ამის დახ-
მარებაც სცოდნიათ; პატრის ფილიპეს უპირველეს მეგობრე-
ად 1830 წლებში თბილისში მარტოდ ზუბალაშვილები იყ-
ენენო. ახალციხეში ზუბალაანთ გვარის შესახებ ადრე ძველ-
ი მღვდლებმა ბევრი რამ იცოდნენო. დღეს ამ მოძღვართ
რიცხვი აღარ არს, განვლეს სოფელი, ერთათ ერთი მამა ივა-

ნე ბვარამაძეა, რომელსაცბევრი რამ ახსოვს ამ გვარის წინაპართა შესახებ.

ახალციხეშიგვე ნაამბობი:

ბიორგი, ანდრია და ივანე ზუბალაშვილები ქართველ მეფეების დროს სცხოვრობდნენო. მათ დიდათ უყვარდათ ახალციხის ქართველ კათოლიკეთ სავარდისის ეკკლესია და ამიტომ მას იგინი ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ივანე ნათლის-მცემლისას. 1789 წ. ამ ეკკლესიის ძმობაში ჩაწერილა წევრად და წლიური ფულიც შეუტანია ბიორგი ზუბალოვის მეუღლეს, რაც აღნიშნულია ხსენებული ეკკლესიის კონდაკშიაც. მოხსენებულია, რომ ამ ქალის ფულით წელიწადში სამი ხმიანი წირვა უნდა გადაეხადათ. ესეც ერთი მაგალითი მის, რომ ძველადგანვე ზუბალაშვილები ლათინის ეკკლესიის წეს რიგზედ მდგარან და არა სომეხ-კათოლიკისაზედ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. საზოგადოთ ახალციხის ეკკლესიის დავთრებში ზუბალაანთ გვარის წევრნი ბევრს ალაგას არიან მოხსენებულნი ვითარცა მათი მფარველი და პატივის მცემელნი.

ზუბალაშვილები ვაჭრობას ძველიდგანვე შესჩვევიან, ვიდრე კათოლიკობას მიიღებდნენ, ძველადვე დაწინაურებულან იგინი, მაგრამ კათოლიკის სარწმუნოების მიღების შემდეგ უფრო მხნე პირებად აღმოჩენილან. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოდგან სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და ევროპას, იქიდამ სხვა-და-სხვა საქონელი შემოჰქონდათ და მით ქართველებში ვაჭრობას და აღებ-მიცემას ავრცელებდნენ. ქართველთ მეფის და ბატონიშვილებისათვის ამათ ხშირად სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთებიც მოურთმევიათ ხოლმე; ისე ზუბალაშვილი არ დაბრუნდებოდა უცხოეთიდამ საქართველოში, რომ იგი მეფეს არ ხლებოდა და პატივი არ ეცა. მეფენიც დიდათ აფასებდნენ ზუბალაშვილების შნოსა და აღებ-მიცემის საქმეს.

ერთი ასეთი ზუბალაშვილთაგანი იყო სტ. ზუბალაშვილი, მომსწრე მეფე ერეკლესი და თავის დროის კვალად ხელოვანი ვაჭარიც. მან მეფეების დროდგანვე დაიწყო ინდოეთში მგზავრობა და იქიდამ სხვა-და-სხვა საქონლის შემოტანა. მისდა საუბედუროდ, რამდენიც ეს საქართველოში მოვიდოდა და საქონელს შემოიტანდა, იმდენი საქონლის ფასის მაზანდა დაეცემოდა ხოლმე, რაც მას დიდს ზარალს აძლევდა. ამან დიდათ იზარალა და ქართველთ მეფობის შემდეგ რუსებსაც მოესწრო. რუსების დროს კიდევ მოჰკიდა ვაჭრობას ხელი, კიდევ სცადა საქმე,მაგრამ ვერ წაუვიდა კარგად, უკანასკნელ, ვგონებ, 1820 წლებში, საქართველოდამ სხვა-და-სხვა ვაჭრებს ინდოდთში გაჰყვა სავაჭროდ. იქიდამ ეს აღარ დაბრუნდა, არ ვიცით რა იქმნა, გარდაიცვალა სადმე უძეოდ და მით მოისპო ინდოეთში ზუბალაშვილების გვარის შტო, თუ იქ დასახლდა და დღესაც იქნება მრავლობენ სადმე. ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით მასზედ.

ცხინვალის ზემოთ, ჯავის ხეობაზედ, არის ერთი სოფელი, ხეთი; ამ სოფელში ზუბალაშვილების რამდენიმე კომლი სცხოვრებს, იგინი შეძლებულნი მცხოვრებნი არიან, საკუთარი ტყე და მამულები აქვსთ და იქამდე გაძალუანებულ არიან, რომ ამ სოფელში ერთს უბანს სახელად „ზუბაანთ უბანი“ ეწოდება. დიახ, ჰაზრი გახლავთ, რომ დღევანდელი ზუბალაშვილები მათი შთამომავალნი არიან. ძველად კათოლიკეებში, პატრებს ჩვეულება ჰქონდათ, რომ ვინც-კი კათოლიკობას მიიღებდა, იმას პირველს ყოფილს გვარისაგან მცირედ გვარსაც შეუცვლიდნენ. ზოგს გვარს მცირედ შეეცვლებოდა სახე და ზოგს კი სრულიად, ისე, რომ ქართულის მას აღარა დაშთენოდა რა, ან სომხურს მისთვისებდნენ და ან თათრულს. ასეთი მაგალითების დამამტკიცებელია შემდეგ გვართა ისტორიები: ძველი ვარდიძე დღეს ჩილინგარიანად იწოდება, მანანაძე—პარმაქსიზოვად, შოშიაშვილი—

ნალბანდოვად, ხარისჭირაშვილი—ხარისჭირიანცად, მაისურაძე—მაისურიანცად, ხუციშვილი—ხუციანცად და ათასნიც სხვა ამ გვარნი, რომელნიც ქართველ კათოლიკებს მიეთვისათ ძველათვე.

—

ქ. გორში ნაამბობი ანტონ ზუბალაშვილის-მიერ.

მამის ჩემის დავითისაგან შემდეგი ამბავი შემიტყვიაო:

მეფის თეიმურაზის (1744—62 წ.) განკარგულებით, თბილისიდამ და ბორიდამ ლათინის წეს-რიგის პატრები განდევნეს, პატრები ახალციხეს გადავიდნენ და იქ მიეცნენ ცხოვრებას. ბორში ეკლესია დაკეტეს, თბილისშიაც ასევე ქმნეს. ბორის და თბილისის კათოლიკენი ამ უბედურების გამო დიდათ გლოვობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, პატრებს ნება მიეცათ ბორსა და თბილისში შემოსვლის და მღვდელ-მოქმედების შესრულებისა. ბორში მათ ეკლესია წართმეული ჰქონდათ, ქართველთ ეპყრათ, ამიტომ ზუბალაშვილებმა იმეცადინეს და თავიანთ სახლში ერთი დიდი დარბაზი მისცეს პატრებს სალოცავად. აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბებოდნენ ბორის კათოლიკენი და აქ ლოცულობდნენ. ეს დარბაზი დღევანდლამდეა დაშთენილი, იგა გადაკეთებულ იქმნა ბორის საოსტატო სემინარიის თათართ მოწაფეთა განყოფილების სადგომად. ამ დარბაზის მოწყობა ეკკლესიად და მფარველობა მთლად ზუბალაშვილებს ეკუთვნისთ, ყველა საეკლესიო ხარჯი მათ ჰქონდათ ნაკისრი, ასე რომ პატრებსაც ისინი აძლევდნენ წასვლა-წამოსვლის ფულს, ულუფას, სხვა-დასხვა შესაწირავებს და სხვ. პატრებს და საზოგადოდ კათოლიკე მოგზაურებს ყოველთვის ზუბალაშვილემის ოჯახში ეძლეოდათ ბინა. ასეთი სამსახურის და პატივისცემის სამახსოვროდ პატრები დიდათ კმაყოფილნი იყვნენ და ზუბალაშვილების სამსახურის და მფარველობის ცნობებს ყოველთვის რომის პაპს ატყობინებდნენ. პაპმა ზუბალაშვილების ასეთს

სამსახურს დიდი პატივი სცა და 1770 წლებში, ბორის ზუბალაშვილებს ლოცვა-კურთხევა და შენდობის წერილი (ინდულგენცია) გამოუგზავნა. ეს ძველი „შენდობის წერილი“ ზუბალაშვილებში კარგა ხანს ინახებოდა, უკანასკნელ იგი მეტად დაძველდა, ამიტომ იოსებ ზუბალოვი რომში წავიდა, თან წაიღო და პაპს პიო მეცხრეს სთხოვა განახლება. პაპმა სიამოვნებით განუახლა, ძველის მაგიერ ახალი მისცეს. შემდგომ ჩვენში ის ძველი სრულიად მიეფარა, დაიკარგა და აღარც ახალი ვიცით რა იქმნა, იოსებისავე ხელში დაიკარგა. როგორც ვიცით, ასეთი შენდობის წერილი და ლოცვა-კურთხევა პაპისაგან საქართველოში მარტოდ ზუბალაშვილებს ჰქონდათ მიღებული, სხვა არავის, თვით ქართველ კათოლიკე თავად-აზნაურებსაც-კი არ მიულიათ პაპისაგან ასეთი პატივისცემაო. მართლაცა და უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ინდულგენცია და ლოცვა-კურთხევა საქართველოში არც ერთს გვარის წევრთ არ ჰქონიათ.

მეფის თეიმურაზის და ირაკლის დროს გამოჩენილი იყო მერაბ ზუბალაშვილი და ანდრია: მერაბი კუტი იყო, მაგრამ როცა მეფე თეიმურაზი ან შვილი მისი ერეკლე II და ან სხვა ვინმე ბატონიშვილები მობრძანდებოდნენ ბორში, მაშინათვე მათთან წაიყვანდნენ კუტს მერაბას. მერაბი მოხუცი იყო, იგინი სიამოვნებით მიიღებდნენ ხოლმე და ისიც ასე ავედრებდა მათ:

— ბატონო მეფევ! წყალობა გვიყავი და ბორის ეკლესია დაგვიბრუნეთ, რათა ვილოცოთ ჩვენის სულისთვის და თქვენის მეფობის გაძლიერებისათვის.

მერაბმა თავის დროის კვალად მეფისა და სხვა დიდებულთა საკადრისი სიტყვა იცოდა, პატივისცემა, კარგი მუსაიფი და მიტომაც დადიოდა მეფის სახლში თავისუფლად. მერაბი, ბორის ეკლესიის გარდა, თბილისის ეკლესიის მფარველობასაც ავედრებდა მეფეებს. მერაბს თხოვნა აუსრულდა და მეფემ კათოლიკეებს ყოველივე დაუბრუნა, ეკლესიე-

ბი, ნივთები, პატრებიც განამრავლა და პატივი აგო, ჯამაგირი დაუნიშნა და საჩუქრებითაც დააჯილდოვა.

თავის დროის კვალად ბორში გამოჩენილ მოქალაქედ ითვლებოდა ანდრია ზუბალოვიც. ანდრია ზუბალოვს კარგათ იცნობდნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოზი და სხვა იმ დროის წარჩინებული პირნი. მეფე, კათალიკოზი, მღვდელმთავრები და ბატონიშვილები ბორში რომ მობრძანდებოდნენ, ყოველთვის ანდრია ზუბალოვსაც ნახავდნენ. ხშირად თვით ანდრია მოიწვევდა ხოლმე მეფეს, შესაფერს ნადიმს უმართავდა და მეფე თუ კათალიკოზი და სხვანი ყოველთვის სიამოვნებით მიბრძანდებოდნენ ზუბალაშვილების სახლიდგანა. ერთხელ ანდრია ზუბალაშვილს თავის სახლის კაცებმა და სხვათაც შემდეგი რჩევა უთხრეს:

— ანდრიავ! მეფე და მეფის ძენი დიდი პატივის მცემელნი არიან შენი, ისარგებლე მით და სთხოვე, რომ თავადიშვილობა გიწყალობოს, უეჭველია მოწყალე მეფე ერეკლე შენთვის არ დაიშურებს ამას.

ანდრია ეტყოდა ხოლმე პასუხად:

— არა, ბატონებო, მე სადილზედ მოსამსახურეობის თავი არა მაქვს, მის უმაღლესობას სადილზედ ყოველთვის თავად-აზნაურები ემსახურებიან და მეკი ასეთს ტვირთს ვერ ავიტან. მეფე და მეფის ძენი იქამდის მწყალობელნი არიან ჩვენი, რომ ამ პატივისცემის გარდა მე სხვა ამაღლება არ მჭირია.

ძველთაგან დარჩენილია ამბად, რომ მეფე ერეკლე ზუბალაშვილებს და ნამეტურ ანდრიას ისეთს დიდს პატივსა სცემდა, რომ ანდრია რასაც-კი დაავალებდა და სთხოვდა, მეფეც ყოველთვის სიამოვნებით უსრულებდა დავალებას. ანდრიას სიტყვით მეფემ ბორში ბევრს კაცს და ოჯახს მისცა მოწყალება და მფარველობა გაუწია. ანდრიას რომ მეფისთვის თავადობა ეთხოვნა, ამას უეჭველია მეფე არ დაუჭერდაო, მაგრამ ანდრიამ არ ინდომაო.

ზოგიერთი მოხუცებულნი ადრე იტყოდნენ ხოლმე, რომ ზუბალაშვილები პირველად ცხინვალში სცხოვრობდნენ, იგინი ენათესავებოდნენ ქართველ ისრაელებს და შემდგომ კათოლიკობას დაუკავშირეს ლათინის პატრებმა ისინი თვით ქ. ცხინვალშიო. ახალციხისკენ კი სულ სხვა გარდმოცემას ამბობენ ამ გვარის შესახებ და ამათ პირდაპირ მესხებად სახავენ. ზუბალაშვილები მესხნი არიანო, ძველადგანვე მესხეთიდგან ქართლში გადმოსახლებულნი, შემდეგ კი ისევ უკან დაბრუნებულან და აწყვერს დასახლებულან. ეს გვარი თვით ცხინვალშიაც აღმოჩნდება, რომ მოიძებნოსო. არის ისეთი გარდმოცემაც, რომ ძველად ზუბალაშვილების ზოგიერთი წევრნი ქოსტანტინეპოლშიაც წასულან სავაჭროდ და აწყურიდამ, ახალციხიდგამ მათ ბევრი რამ საქონელიც გაუტანიათ გასაყიდათ ქოსტანტინეპოლში, მაგრამ აღარა სჩანს. იგინი ისევ დაბრუნდნენ იქიდგან საქართველოში თუ იქ დარჩნენ.

ასეთი გარდმოცემაც გახლავსთ: ზუბალაშვილები ჯავის ხევიდგან არიან და არა ჯავახეთიდგანაო. ჯავის ხეობაზედ იგინი მტერთა თავ-დასხმისაგან შეწუხებულნი ყოფილან, ერთი მათგანი გადმოსახლებულა ბორში, იქ კათოლიკის პატრებს დაახლოვებია, კათოლიკობა მიუღია, პატრებისაგან ისე გაწურთვნილა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საკმარისადაც დაწინაურებულა ცოდნით, საქმით და შეძლებით; ეს ხანა უნდა ყოფილიყოს XVII საუკუნის ნახევარს, და დღევანდელი ზუბალაშვილები სწორედ ამ ზუბალაშვილის შთამომავალნი არიანო. არის ისეთი გარდმოცემაც, რომ გორელ პატრს, ტულუკაანთ დავითას, დიდი ზეგავლენა ჰქონია ზუბალაანთ გვარის პირებზედ, ამ პატრისგან განმტკიცებულა მათში კათოლიკობა. ამ დროს ზუბალაანი შეძლებით ისე ყოფილან დაწინაურებულნი, რომ მათ ჯეროვანი დახმარება მიუციათ პატრი დავითისთვის და იგი 1724 წ. წასულა რომს. 1733 წელს იქ მან ქართულს ენაზედ „საქრისტიანო მოძღვრებაც“ დასტამბა, რომელიც ზუბალაშვილების დახმა-

რებით მაშინვე მოიტანეს საქართველოში. XVIII საუკუნეში, ქართველთ კათოლიკეებში ყველაზე ამაღლებით და დაწინაურებით მარტოდ ზუბალაშვილები ითვლებოდნენ.

ხურსიძეების ნაამბობი.

ხურსიძეების გვარში დარჩენილია შემდეგი გარდმოცემა: ზუბალაშვილები ცხინვალელები არიან, შემდეგ დროებაში, ზედმიწევნით 1730 წლებში, ბორში გარდმოსახლებულან და ვაჭრობას შესჩვევიან. ბასულა რამდენიმე ხანი და ბორს ლეკნი და ოსმალნი დასცემიან, ბორი აუღიათ, იქ ფეხი გაუმაგრებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველები ამხედრებულან ოსმალთა და ლეკთ წინააღმდეგ, მტრის დევნა და ხოცვა დაუწყვიათ, მტერი გაუდევნიათ, ამას დიდი ძალი ქართველობა შესწირვია, მაგრამ ბორი მაინც გაუნთავისუფლებიათ. ოსმალთ ამ დროს რამდენიმე ქართველი მეომარი მაინც დაუჭერიათ და თან წაუყვანიათ. ახალციხეში რომ ჩასულან, ეს მეომარი ტყვეები კათოლიკის პატრებს და ხურსიძეებს უნახავთ, ამათ დაუხსნიათ ეს ტყვეები და გაუნთავისუფლებიათ. ამ განთავისუფლებულ ტყვეებში რამდენიმე ზუბალაშვილნიც რეულან. ესენი ზოგნი ახალციხეში დაშთენილან პატრებთან, შემდეგ კათალიკობას დაკავშირებიან და ზოგნი ისევ ძველს სამშობლოში—ქართლშივე დაბრუნებულან. იმასაც ამბობენ, რომ ახალციხის პატრებს მეტად დიდი ამაგი მიუძღვისთ ქართველებზეო. ახალციხეში ესენი ქართველთ ტყვეებს ყოველ წელს ასობით იხსნიდნენ და ქართლს, იმერეთს და კახეთს აბრუნებდნენო. ასეთნივე ყოფილან ძველად მცხოვრებნი ახალციხელი შოშიაშვილები, დღეს ნალბანდოვად წოდებულნი; ესენიც დიდძალ ტყვეებს აპარებდნენ ოსმალეთიდგან საქართველოშიო. მრავალი ცნობაა აგრეთვე დარჩენილი, რომ ახალციხიდამ ზუბალაშვილებიც ათავისუფლებდნენ ოსმალთაგან ტაციობით წაყვანილ ქართველთ ტყვეებს და ამ საბრალოებს ქართლს, იმერეთს

სამეგრელოს და ქახეთს აბრუნებდნენო. მაშინდელ ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებს ტყვეთა განთავისუფლება დიდ სულიერ საქმედ მიაჩნდათ.

ზუბალაანთ გვარს დიდის სიამოვნებით მოიხსენებს საფრანგეთის მწერალი ალექსანდრე დიუმა. როცა მოგზაური თბილისში მოსულა, მას ხშირად ჰქონია შემთხვევა ზუბალოვებთან მისვლის, მათს ოჯახში პატივს და დიდს თავაზს მოკლებული არ ყოფილა, მას კაი ცნობა ჰქონია იაკობ ზუბალოვის, იმის შვილის ქოსტანტინესი ღა მთლათ მათს ოჯახეულობასთან. მოგზაურს ამათთან ხშირად პირდაპირ ჰქონია საუბარი, რუსულად გამოცემულს მეორე ტომში იგი ბევრს ალაგას ახსენიებს ზუბალაშვილების გვარს. ერთ ალაგას ასე სწერს:

„თეატრიდამ ჩვენ მოგვიყვანეს, იქვე თეატრის ახლოს, მდიდარის ი. ზუბალოვის სახლში, ორი ოთახი და დიდი დარბაზი (ზალა) ჩვენ დაგვითმეს, ოთახები და ნამეტურ დარბაზი მშვენივრად იყო მდიდრულად მორთულიო“.

საფრანგეთის მოგზაური ორიენტალისტი დუბოა დე მონპრე საქართველოში რომ მოგზაურობდა, მაშინ მას ბორში მოხდენია ყოფნა. ბორში მას გაუცვნია სხვათა შორის ივანე და ბიორგი ზუბალოვები. ორიენტალისტს პირადათ ჰქონია საუბარი ივანე ზუბალოვებთან და მათი ვინაობაც უკითხავს. რადგანაც მაშინდელ ბორის კათოლიკენი სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონზედ იდგნენ, ამიტომ მათ თავიანთი ვინაობა სომხათ უცნობებიათ და მოგზაურიც სომხად მოიხსენებს, ეს, რასაკვირველია, შეცდომა არის. ამაზედ ზემოდ წაიკითხავდით, აქ არას ვიტყვით.

ისტორიკოსი პ. იოსელიანი ზუბალაშვილებს მოიხსენებს ვითარცა თფილისის შეძლებულთ მოქალაქეთ. იგი ამბობს, რომ ზუბალაანთ გვარის წევრთ თფილისში, 1820 წ. აღაგეს ერთი მშვენიერი სახლიო, რომელიც იმ დროის კვალად თვალი იყო მთელის თბილისისა. ამათვე აკუთვნებს

მცხეთის ხიდის განახლებას, რომელიც ჩვენში ცნობილია პომპეის ხიდად.

ისტორიკოსი ნიკოლოზ ბერძენოვი პ. იოსელიანის ცნობების საშუალებით შემდეგს განმარტავს *) ზუბალაანთ გვარის წევრთა შესახებ.

XVII საუკუნეში, საქართველოს გამოჩენილის მეფის ლეონ ირანთა მსაჯულის დროს, თბილისში არსებობდა ერთი დიდი მშვენიერი ქარვასლა, რომლის ძირის სართულში იყო 80 დუქანი, მეორე სართულში უცხო ვაჭართათვის თავ-შესაფარი სადგომები და სხვა-და-სხვა საქონლის შესანახავი ოთახები და მესამე სართული-კი დანიშნული იყო ევროპიელთ მოგზაურთა სადგომ ბინად, სასტუმროდ (гостиница). ეს სახლი XVII საუკუნეზე წინედ აღუშენებიათ ქართველთ მეფეებს, გამოჩენილს ლეონ მეფეს მხოლოდ მის შემკობა ეკუთვნის, შუშაბანდებით მორთვა და მოკაზმვა, ეზოში ბაღის და წყლის აუზის გაკეთება.

ეს მშვენიერი სასახლე 1723 წ. ოსმალთაგან შემუსვრილ იქმნა და მის შემდეგ იგი ქცევა-ნგრევას მიეცა. უკანასკნელ ეს სასახლე და მთელი ამ კუთხის მიდამოები, ანუ როგორც ძველად „ავანაანთ ხევს“ უწოდებდნენ, მთლად ზუბალაშვილებმა შეიძინეს და ამ დიდი ხევის ნაპირას, სწორეთ იმ ალაგას, სადაც ძველად XVII საუკუნეში მშვენიერი ქარვასლა იყო, მათ 1820 წლებში ერთი მშვენიერი ოთხ-სართულიანი დიდი სასახლე ააგეს. ეს სახლი იმ დროს მთელს თბილისში შესანიშნავ სახლად ითვლებოდა, მისი უმთავრესი დარაბაზი შესანიშნავად იყო მორთულ-მოკაზმული. 1837 წელს, როცა თბილისში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზი მოვიდა, მაშინ მას ამ სასსხლეში გაუმართეს ნადიმი, იმპერატორი განჰკვირდა ამ სასახლის უმთავრეს დარბა-

*) ტფილისის აღწერა, დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენოვისა, პეტერბურგი 1871 წ.

ზის მოწყობილებით და ისურვა ზუბალაანთ გვარის პირადად გაცნობაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სახლი შეძენილ იქმნა საქართველოს სამღვდელოებისაგან ქართველების სემინარიად. დღევანდელი ქართველთ სემინარია ამ სახლშია მოთავსებული. ამ ამბავს მოგზაური ძოხიც მოიხსენიებს.

ადრე, როცა-კი სომხურ გაზეთებში და ნამეტურ „მშაკში“ ქართველ კათოლიკეთ გვაროვნობის შესახებ საუბარი ამტყდარა ხოლმე, იქ ზუბალაშვილების შთამომავლობა ხშირად სომხად მოუხსენებიათ, ამ მოხსენების საფუძვლად ყოველთვის დუბოა-დე-მონპრეს შემცდარს ცნობებს ასახელებდნენ. ამ შემცდარს ცნობებს დღესაც იმეორებენ ზოგიერთი მწერლები და თამამად სწერენ, რომ არამც თუ მარტო ზუბალაშვილები, არამედ მთელი ქართველ კათოლიკებიც სომხები არიანო. ამას დრო, ცდა და ისტორიული მასალები გამოაჩენს.

აქ საოცრება ერთი ის არის, რომ ამ მეისტორიებმა ქართული ენა არ იციან, ქართულს ისტორიას, ისტორიულ მასალებს, ხალხს, მათს ზნესა და ჩვეულებას არ იცნობენ, და უამისოდ გვაროვნობის გარჩევასა და განსაზღვრაზედ კი სჯიან. მობრძანდნენ, ჯერეთ ქართული ენა შეისწავლონ, ქართული მწიგნობრობა, ისტორია, ჩვენი ძველი არხივები გაიცნან და მერე ვნახოთ, თუ იგინი რა ლოღიკურს დასკვნამდე მივლენ და რას გამოაცხადებენ, რას დასწერენ. საუბედუროთ იგინი ამას არ მისდევენ და უამისოდ-კი რუსულს გაზეთებში სიცრუით სჯიან და კამათობენ, რაც არც ერთს განათლებულს მწერალს არ შეჰფერის.

როგორც მოვიხსენეთ, XVIII საუკუნის ნახევარს, საქართველოში საკმარისად ამაღლდა ზუბალაშვილების გვარი.

ღღევანდელის ქველ-მოქმედის სტეფანე ზუბალაშვილის პაპის მამა იყო ივანე; ივანე ზუბალაშვილს თბილისშიაც ჰქონდა შეძლება და ბორშიაც. იგი დაწინაურებული იყო ქართველთ მეფეებთან და ბატონიშვილებთან, ბორში და თბილისშიაც ივანეს სახლში ხშირად ბრძანებულა როგორც საქართველოს კათალიკოზი ანტონ პირველი, ისევე ანტონ მეორე. ხშირად ივანეს სახლში ნადიმიც ყოფილა გამართული და მეფე და ბატონიშვილებიც მიუწვევიათ. რაც შეეხება იმ დროის ლათინის პატრებს, ამათაც მეტად ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ზუბალაანთ ოჯახში, პატრებისთვისაც არა ერთხელ აღმოუჩენიათ შემწეობა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ძველადგანვე ზუბალაშვილებთან მეტად დაახლოვებული მეგობრობა ჰქონიათ ქართლის მეთაურ თავადთ ამილახვრებს, მაგალითებრ, XVIII საუკუნის გამოჩენილს ბივი ამილახვარს, რომელსაც ამის გამო იმ დროის კათოლიკე ეკკლესიებისათვის ბევრი საჩუქარი გამოუგზავნია სპარსეთში ყოფნის დროსაო.

ივანე ზუბალაშვილი რომ თავის დროს შეძლებული პირი ყოფილა, ეს სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ იგი სხვადა-სავა ტყვეებს ხშირად იხსნიდა, ზოგს ათავისუფლებდა თავის სულის საოხად და ზოგს სხვას გარდასცემდა და გადაცემაც თვით ყმათა თანხმობით ხდებოდა. ზუბალაშვილების ყმობას-კი ბევრი გლეხი სცდილობდა, რადგანაც ესენი სამღთო ზნეობის სიბრალულით აღვსილნი იყვნენ, და მართლ-მადიდებელთ ქართველთ მებატონეებზედ ბევრად მაღლა იდგნენ. ესენი გლეხებს არ აწუხებდნენ, სპარსელებზე, სომხებზე და ოსმალებზე არავის ჰყიდდნენ.

მეფე ერეკლის დროს, 1783 წ. ერთის ქართველის აზ-

ნაურის ყმის ჯენწელაძის ოჯახი ოსებს ჩავარდნიათ ტყვედ, თითონ გლეხი მოუკლავსთ და მის ცოლ-შვილი-კი ტყვედ წაუყვანიათ; გლეხთა მებატონემ ივანე ზუბალაშვილს მიმართა და სთხოვა ასე: ჩემი ყმის ოჯახი ტყვედ წაიყვანეს, მათი დახსნა ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც შეძლება არ გვაქვს, გთხოვთ თქვენ დაიხსნათო და ივანე ზუბალაშვილმაც დიდის სიამოვნებით დაიხსნა მთელი ოჯახი. *).

ხ. ჯ.

(შემდეგი იქნება)

---

*) Грузинскія крестьянскія грамоты, Д. Пурцеладзе, 1882 г., Тифлисъ.

ლეგენდა მეფე ერეკლეზედ.

მეფე ერეკლეს ზმით ლაპარაკი ძალიან უყვარდა. გაიგო ეს ერთმა დიაკვანმა, რომელმაც საუცხოვოდ იცოდა ზმით ლაპარაკი და მივიდა მეფესთან საღამოს ხანზე მოწყალების სათხოვნელად. იმ საღამოს მეფე ვერ ნახა და დიაკვანმა მეორე დილამდის მოუცადა. დილით მეფე გამობრძანდა თუ არა, დიაკვანი ფეხქვეშ დაუვარდა.

— ვინა ხარ შენ?—ჰკითხა მეფემ.

— დიაკვანი გახლავარ!

— როდის მოხველ?

— წუხელ გიახელით.

— როგორი პატივი მიიღე?

დიაკვანმა ახლა-კი დაიწყო ზმით ლაპარაკი:

ახალი ჩალა დამიგეს,
გვერდი სწუხს მაზე წოლასა,
ეშაწვილები მიპირობდნენ
ეურძნის წვენით დათრობასა,
დაბალი შინა-ყმები გყავს,
არ მიპირობდნენ ყმობასა,
და სადა, ნიკოლოზ სწყალობდეს,
ერეკლევ, თქვენს მეფობასა.

მეფემ გაიგო, თუ რაც გამოდიოდა ამ სიტყვებიდგან, გაუკვირდა და უბრძანა: „რას მთხოვ, დიაკვანო, რომ მოგცე?

დიაკვანმა ისევ ზმით მიუგო:

„სტაფილონის მოსახნავად სუსტი ხარი მიბოძეო“.

მეფემ გაიგო, რომ იმის სიტყვებიდგან ფილონი და სტა-

ხარი გამოდიოდა და გასცა ბრძანება, რომ დიაკვანი მღვდლად ეკურთხებინათ.

ვარდენ ყიფიანი.

შავ ასოებით დაბეჭდილიდგან გამოდის: 1) ხალიჩა, 2) ლები (ლეიბი), ბალიში, 4) საბახი, 5) ფილოხი და 6) სტიხარი.

მეფე ირაკლი.

ჭირიმე მეფე ირაკლის,
ჩვენი პატარა კახისა,
ჭირიმე ენა წყლიანის
და მუდამ სიტყვა კვახისა;
მან არ იცოდა ქურდულად
მტერზედ დაგება მახისა,
პირის-პირ შებმას არჩევდა,
თუნდ შავი ჭირიც ნახისა.

ბ. ბეგლარიძე.

პატარა კახს.

ერეკლესთანა ბატონსა
დედა ძვირათ გაზრდის შვილსა,
სტამბოლამდინ ხელთ უჭირავს,
მოსაზღვრეა სპარსეთისა;
თბილის ქალაქში ტახტი აქვს,
სამართალიც იქ არისა,
ბევრი ომების მომსწრეა
სასტიკ, მრისხანე, მწარისა.

ლ. მაისურაძე.

წინაპართა სულების თაყვანის-ცემა სვანეთში

ჩვენს დროში, ვგონებ, არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა-და-სხვა გვარ მოვლენათა გონივრულათ ახსნა-შეგნებისათვის პირველ ყოფილ საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ-მხრივ მეცნიერულ შესწავლას. აწინდელ მაღალ და განვითარებულ კულტურის დასაწყისს-დასაბამს მეცნიერნი ეძიებენ პრიმიტიულ საზოგადოებათა დაბალს და განუვითარებელს კულტურაში და ეს უკანასკნელი მიაჩნიათ თანამედროვე კულტურის პროტოტიპად. ზანათლებულნი ევროპიელნი ისეთ საზოგადოებათა მეცნიერულათ შესწავლისთვის, რომლებშიაც აქამდის დაცულან პირველ-ყოფილთ ადამიანთა რწმენა-შეხედულობა და სოციალური წყობილება, ვინ იცის რა შრომას არ ეწევიან, რა ფულებს არ ხარჯვენ, და ეს მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერების გასამდიდრებლათ და გასავითარებლათ. ჩვენ-კი, ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერების განვითარება იმდენათ არ გვაინტერესებს, რომ არ ვიცით, და არც ვცდილობთ ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა, რა გვარ ფორმაში ისახებოდა და რა სულიერის და ნივთიერის (მატერიალურის) კულტურის მატარებელი იყო იმ ხალხის ცხოვრება, რომელმაც კავკასიის ტერიტორიაზე პირველათ დაიწყო ისტორიული ცხოვრება ქართველების სახელით. ამიტომ აღტაცებით უნდა მივეგებოთ ისეთ ქართულ ჟურნალის დაარსებას ჩვენში, რომლის მიზანს, სხვათა შორის, შეადგენს ჩვენის ქვეყნის ეტნოგრაფიულად შესწავლა-გამოკვლევა. ევროპიელ ეტნოგრაფებმა კარგა ხანია სთქვეს, რომ ძავკასია ნამდვილ ეტნოგრაფიულ „კალეიდოსკოპს“ წარმოადგენსო. ევროპიელების ასეთის შეხედულობას სავსებით ამართლებს ჩვენის ქვეყნის მთიულთა

ცხოვრების შესწარლა. ავიღოთ თუ გინდ სვანეთი. ორი წლის განმავლობაში სვანეთში ყოფნამ დამარწმუნა, რომ ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა წარმოადგენს ნამდვილს ეტნოგრაფიულს საუნჯეს, რომელიც ჯერ თითქმის ხელ-უხლებელია, განსაკუთრებით ჩვენ—ქართველებისაგან, თორემ ევროპიელნი მეკნიერნი აქ ხშირი სტუმრებია. ჩვენ ამ მოკლე დროს განმავლობაში, რამდენათაც დრო და გარემოება ნებას გვაძლევდა, ვაგროვებდით ეტნოგრაფიულ მასალებს, და ახლა გვსურს ესენი ქართველ მკითხველ საზოგადოებას გავუზიარო „მოგზაური"-ს შემწეობით. ამ ჟამად წარმოვადგენ მხოლოდ პატარა სურათს, რომელიც შეეხება **წინაპართა სულების თაყვანის-ცემას** სვანეთში.

წინაპართა სულების თაყვანის-ცემა **ს**ვანეთში აქამდის დაცულია თითქმის შეუცვლელად მთელი თავისი შინაარსით, მნიშვნელობით და გარეგანის ფორმით და მოწყობილობით. **ს**ვანები ამ რწმენა-ჩვეულებას განსაკუთრებულის დღესასწაულით ეგებებიან და უწოდებენ მას „**ლიფანეს**", რაიცა ქართულად ნიშნავს „მოფენას", ე. ი. სულების მოფენა. „**ლ**ი-ფანობას" **ს**ვანეთში წელიწადში რამოდენიმე-ჯერ დღესასწაულობენ, მაგრამ მეტის სამზადისით, მორთულობით და მოწყობილობით „ლიფანობა" სრულდება ზამთარში; სახელდობ, იწყება **ნ**ათლის-ღების, სვანურად „**გ**ანცდების" წინა დღეს და გრძელდება **ნ**ათლის-ღების შემდეგ პირველ შაბათამდის. **ნ**ათლის-ღების წინა დღეს სვანის ოჯახის თითქმის ყველა წევრის სახეზედ წაიკითხავთ რაღაც არა ჩვეულებრივს სულიერ მდგომარეობას; თვით ოჯახის მოწყობილობაშიაც ამჩნევთ თვალ-საჩინო ცვლილებას; ხედავთ, რომ რაღაც დიდი, მაგრამ უხმო, ჩუმი და საიდუმლოებით მოცული მზადებაა. **პ**ირველ ყოვლისა, ყოველი სვანი სცდილობს ამ დღისთვის თავისს სახლ-მიდამოში მეტი სიწმიდე, სიფაქიზე და სისუფთავე დაამკვიდროს (რაც საზოგადოდ იშვიათი მოვლენაა **ს**ვანეთში). **ო**ჯახის ყოველგვარ ავეჯეულობა-ჭურჭლეულო-

ბას გულ-მოდგინეთ სწმენდენ, რეცხენ და ალამაზებენ რაც შეიძლება, რათა ღირსეულს და საპატიო სტუმრებს — „სულებს“ ღირსეულად და შესაფერად დაჰხვდნენ. ამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე ამზადებენ ვახშამს, რაიცა შესდგება სხვა-და-სხვა განსაკუთრებულის ხელოვნებით მომზადებულ სამარხვო სანოვაგეთაგან (ამ დღის მარხვაც ამ არა-ჩვეულებრივი დღესასწაულის მიერ არის გამოწვეული, თორემ ისთე სვანეთში მარხულობას არაფრად მისდევენ). ამ გვარად დამზადებულ საჭმელებს აწყობენ სახლში ორს ადგილას. სახლის აღმოსავლეთი ნაწილი უფრო ლამაზათ და გულ-მოდგინებით არის მორთული; ეს მხარე დანიშნულია მოსასვლელ „სულთათვის“ და ამიტომ გამართულია აქ ტაბაკი, შემკული სხვა-და-სხვა გვარი საჭმელებით. ერთ კუთხეში ამჩნევთ განსაკუთრებულად პატარა ტაბაკს ხუთი პურით; ეს ბავშვების „სულთათვის“ არის დანიშნული. სახლის დასავლეთის ნაწილი ოჯახის ცოცხალ წევრნ აქვთ დათმობილი, და აქაც, რასაკვირველია, სუფრა არის გაწყობილი. რომ „სულები“, როგორც ჩვილნი და ნაზი არსებანი (სვანების შეხედულებით) არ შეწუხდნენ, ამიტომ ეზოში სახლის კარებამდის გზებს თოვლს აყრიან და ხშირად კიდევაც აფენენ რასმეს. ყოველივე მზადებას დასასრული ეძლევა მზის ჩასვლის ხანს. ამ დროს სვანის ოჯახში სამარისებური სიჩუმე მყარდება. არსაიდგან ხმა, არსად მოძრაობა; ყველას ყურადღება კარებისკენ არის მიპყრობილი, რადგანაც ოჯახის წინაპართა „სულებმა“ უნდა შემოდგან ფეხი... აი დაჰკრა უკანასკნელმა წუთმა „სულების“ შემოსვლისამ; ამ დროს წარმოსდგებიან წინ ოჯახის უფროსი წევრნი და მიეგებებიან მავალ „სულებს“ შემდეგი სიტყვებით: „**ქვინეღერმეთ! ხოჩა ჯიშახშ სქანხად**“ (ე. ი. სულო ღმერთო! კარგი ფეხით შემოდი). ამ სიტყვებით შემოუძღვებიან „სულებს“ სახლში, სადაც ისინი დაბრძანდებიან მათთვის განმზადებულ სუფრაზედ. მათ პირ-და-პირ სხდებიან ოჯახის წევრნი და იწყება ჩვეულებრივი ვახშამი. ის

მხარე, რომელიც „სულებს“ აქვთ დათმობილი, ამ შემთხვევაში ითვლება წმიდა და საღმრთო-შეუხებელ ადგილად. **ა**ქ ფეხის დადგმა სასტიკი და მომაკვდინებელი ცოდვაა. **ი**ქ ვერავინ ვერ გაბედავს ფეხის დადგმას; და, თუ ვინმე „მეტიჩარამ“ გაჰბედა და მათ (სულების) მხარეზედ გაიარა ან დაჯდა, ის, სვანების შეხედულებით და ღრმა რწმუნებით, უთუოდ „სულების“ მსხვერპლი გახდება; მას „სულები“ გამოასალმებენ ამ წუთი-სოფელს და გაიხდიან თავიანთ ამხანაგად. **ვ**ახშმის დაწყების წინათ კვლავ ეეედრებიან „სულებს“ შემდეგის სიტყვებით: „**ქვანდერძეი! ხოჩა ჭიშხმ ასგიმხიდ ი ხოჩა ჭიშხშ ჩვამცვირდ. ძარები ქვანს შგიდბ მაერ ი ეჩენქა ძარემ ქვინუნქა მაგისქე ირა ი ძერძან ხოჩაამთ ეჩხელიი**“. (**ს**ულო ღმერთო! კარგი ფეხით მოდი და კარგი ფეხი დაგვიტოვე, კაცის სულს მშვიდობა მიეცი, და მას გარდა—ყველასფერი შენია და შემდეგში უკეთესად დაგიხვდებით). **ს**იხარულის გრძნობის გამოხატვა რა სახითაც უნდა იყოს, ცოდვათ ითვლება; ამიტომ მთელ იმ დროს განმავლობაში, როცა ეს საღმრთო ჩვეულება სრულდება, სიმღერას, სიცილს, ხუმრობას ან რაიმე ისეთს საქციელს, რომელიც არ შეეფერება ამ საიდუმლო-სამგლოვიარო წამებს—განდევნილია სვანის ოჯახიდგან. **ა**ქ ადგილი აქვს მხოლოდ ზღაპრებს და ძველებურ ამბებს, რომელსაც მოჰყვება ხოლმე ოჯახის უფროსი მოხუცი. **ვ**ახშმის შემდეგ ოჯახის უფროსი ქალი არ იძინებს დილის ალიონამდე, ის აცხობს ამ დროს პურებს და უყარაულებს „სულებს“. **ა**სეთი სურათი მეორდება ყოველ ღამეს შაბათამდის. **შ**აბათს დილას უფროსების „სულები“ სტოვებენ თავიანთ ოჯახს და მიეჩქარებიან კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც დანიშნულია ამ დღისათვის. **ა**მ კრებაზედ „სულები“ ბჭობენ და ბაასობენ იმის შესახებ, თუ ვინ დაჰკლან, ვინ აცოცხლონ, რით აზარალონ, რით ასარგებლონ და ამ თავის გარდაწყვეტილებას „სულები“ მხოლოდ მეორე

წელს ატყობინებენ თავიანთ ოჯახებს განსაკუთრებულის ნიშნით. ქვირა საღამოს დაბრუნდებიან კრებიდგან „სულები“ თავისს სახლებში. ქრებისგან დაბრუნებულს „სულებს“ სვანები დიდის ამბით ეგებებიან, სახლის კარებზედ სდგამენ რძის ყავას, ძალიან ცხელს. „სულები“ შემოდიან და სხდებიან თავიანთ ადგილზედ. ვახშმის დროს ჩვეულებრივად ლოცულობენ და ეგვედრებიან „სულებს“. ამ ღამეს არავინ არ იძინებს. ალიონზედ კიდევ უმასპინძლდებიან „სულებს“ და შემდეგ „სულები“ მიდიან თავიანთ სამეფოში, საიდგანაც მეორე წლამდის აღარ ბრუნდებიან.

„ჩოლგარი“. ამ სახელს ატარებენ კოჭლთა „სულები“. სვანების რწმენით „კოჭლთა“ სულები, როგორც კოჭლნი, ჩამორჩნენ გზაში სხვა „სულებს“ და ამიტომ ისინი მხოლოდ მეორე შაბათს მოაღწევენ ამ ქვეყნათ. სვანები ამ ჩამორჩენილ „სულებსაც“ იმ გვარათვე ეგებებიან, როგორც პირველთ; უმზადებენ საჭმელებს, მხოლოდ განსხვავებული აქ ის არის, რომ სუფრის მიუცილებელ კუთვნილებას შეადგენს რძე. კოჭლთა „სულები“ კრებებს არ მართვენ: ისინი მხოლოდ ერთ დღეს რჩებიან მიწიერთა შორის და შემდეგ გაემგზავრებიან სულთა სამეფოში.

დ. ანტონიძე.

ალდგომა სოფელში (იმერეთში).

ნათქვამია: „ალდგომასავით შეეხარებაო“ და შეეხარებოდნენ კიდეც. მეც მახსოვს წირვის შემდეგ როგორ შეგროვდებოდნენ გალავანში ქალი და კაცი, დააბამდნენ ფერხულს და გაჰქონდათ ეროი „ვარხალალო“! ბებრებიც კი, ოთხმოცი წლის ბებრები, თმა-წვერ ყაჭის პარკივით გაყვითლებული,

ნატამალი კბილი რომ აღარ ჰქონდათ, ისინიც-კი არ მოაკლდებოდნენ საერთო მხიარულებას, ხოლო ვისაც არ შეეძლო ჩარეულიყო მათში (რასაკვირველია სიბერისა და უძლურების გამო), განცალკევებული დადგებოდა სადმე ცაცხვის ძირში და თავისთვის იმღერდა, ღუღუნებდა:

„ქრისტე აღდგა! გვიხაროდენ!..
მადლი მახაროებელსაო!..
ქრისტიან, გაგვიხაროდენ!..
ოო!.. ოო!...“—მიაბამდნენ ზედ ბანს...

იმ ღამეს ხომ სიხარულით აღარ დაგვეძინებოდა... სიხალისით!.. იმე!.. მეხუმრები? ხვალ ჩაიცმენ ახალ ტანისამოსს, ხვალ... დღეს, იქნება... დღეის გარდაც ვინ იცის რამდენი დღე და კვირე... ფეხ-შიშველი, შიშველ-ტიტველი დაეტეტებოდნენ!.. ხვალ-კი დაიმოსებიან ტანით, ფეხით... წითელ-ყვითლით... და როგორ არ გაიხარებდნენ?.. ბასახარელიც ჰქონდათ და უხაროდათ კიდეც.

იმ ღამეს არ დაიძინებდნენ-მეთქი... ჩემს დროშიაც ასე იყო. პატარები თვალს მოვატყუებდით მხოლოდ და მერე ისევ წამოვცივდებოდით და ჩვენ ჩვენს ხალათებს დავუფათურდებოდით. დიდებს ხომ არ დაეძინებოდათ, არც დაწვებოდნენ სრულიად. მთელი დღე ფეხზე იდგნენ, ხვალის სამზადისს უნდებოდნენ: უნდოდათ დიდებულ დღესთან არ შერცხვენილიყვნენ, სამხიარულო დღე მხიარულებითვე გაეთენებიათ. ჯერ ცოცხლებისთვის უნდა ეზრუნათ. ხვალ კეთებას როგორ ვინმე გაბედავდა რისამე, „ხვალეისთვის დღეს უნდა ეზრუნათ: დაეკლათ საკლავი, დაემზადებინათ შეშა, წყალი, ნამცხვარი. ამას რომ მოჰრჩებოდნენ, ახლა მკვდრებსაც სულის ხსენება უნდა, მათთვინაც უნდა ცდილიყვნენ რასმე: ცოცხლები თვალ-წინ უდგიათ, მაგრამ არც მკვდრები ჰყავთ მოძულებული; რაც უნდა იყოს, ისინიც თვისნი არიან—მათაც პატივი უნდა. მათთვის საკურთხს გააკეთებდ-

ნენ და ამდენს ფათურში ამ დღეს სულიც ელეოდა. **დ**ა მერე ქალს თუ კვერცხიც ვისმე ჰქონდა შეულებავი, ხომ მისი შელებაც საქმე იყო და ამასობაში მამლის ყივილიც მოუსწრებდათ და დადგომისასაც (წირვისას) დარეკდნენ. **მ**ერე შინ ვიღა გააჩერებდათ! დიდი თუ პატარა, გამოწყობილი ახალ ტან-ფეხში, მხიარული გულით საყდარზე გარბოდა... **ბ**არბოდა, რასაკვირველია, თავის გამოსაჩენად... **ი**ქნება, ეს დღე არც კი უხაროდათ!.. **ა**რ უხაროდათ იმდენად **ქ**რისტეს აღდგომა, რამდენადაც ეს ახალი ტან-ფეხი ახარებდათ, ახალისებდათ:—აი, მე მაქ და შენ არაო,—რომ წამოეძახათ ტოლ-ამხანაგისთვის...

დიაღ! დიდებს მთელი დღე საქმეში გართულებს, ისევ უძილარს, დაუწოლელს წირვის დრო მოუსწრებდა: მთელი წინა-დღე სახვალიო წვრილმან საქმეში იყვნენ გართულნი და ჩვენც პატარები ხომ მთელს დღეს საყდრის გალავანში ვატარებდით: სარაკუნოთი თუ ზარის რეკით ვაყრუებდით სოფელ-კუთხეს!

ფიცარს გამოგვიჭრიდნენ დიდები, თავ-ბოლოში ბაწარს ჩააბამდნენ და სარებზე ჩამოჰკიდებდნენ. **ი**ს ქანაობდა, ჩვენ ბავშვები კი მივადგებოდით, ორი თუ სამი ზედ და ხის თავ-სხვილ, პატარა ტარიან კვეჟოებს ვურტყამდით (ვცემდით). **ი**სიც რიგინობდა. **ზ**ოგი ზარს რეკდა. **ჩ**ვენც ერთი მეორეს ვეჯიბრებოდით და ზარისა და ფიცრის ხმებიც თითქოს ერთი მეორეს ეცილებოდნენ. **ი**ყო ამოდენა დღეს გაუსხლეტელი ხმა შაფათს ნაშუაღღევიდან დაწყებული კაი გადასულ ვახშმობამდე [1]). **დ**ა წინეთ ხომ დიდებიც ასე ატარებდნენ

---

[1]) ეს ფიცრის რაკუნიც იმ დროის ნაშთი უნდა იყოს, როცა ზარი თუ სხვა რამ მისთანა სახმაურო რკინეული არ ეოფილა შემოღებული და მის ნაცვლად ამ ფიცარს ხმარობდნენ რაიმე ნიშნის მისაცემად. ან იმ დროს გვაგონებს, როცა წარმართებისაგან დევ-

დროს. **ი**ტყვიან, უწინ მთელ დღეს არამც თუ აღამებდნენ, ღამესაც ამ ხალისით ათენებდნენ: ეკლესიის გალავანში ათევდნენ ღამეს სიცილ-კისკისით და ასე მხიარულად ეგებებოდნენ სამხიარულო ქრისტე აღდგომას,—აღდგომას ეკლესიის გალავანში ითენებდნენ. **შ**ინ ვინ დადგებოდაო, – იტყვიან. შეიკრიბებოდნენ... **ი**ქვე იყვნენ მზად. **ღ**ვდელი მოვიდოდა და, რაღა საყურებელი ჰქონდა, ცისკარს შეუდგებოდა...

— „**ა**ღსდეგინ **ღ**მერთი და განიბნენ ყოველი მტერნი მისნი“!—შემოსძახებს ღვდელი.—„**ქ**რისტე აღსდგა...“—შებღავლებდა მრევლს და ისიც—„**ჭ**ეშმარიტად აღდგა!“—შებღავლებდა, იგრიალებდა ერთად ამოდენი ხალხი [2]). **მ**ერე ხატებს ეცემოდნენ, ლიტანიას შემოუვლიდნენ. **ბ**ათავდებოდა წირვა და შეიქნებოდა ერთი ხალისი: ტუჩზე კოცნა, კვერცხების ჭიდაგი და ასე მხიარულად ატარებდნენ დროს. **დ**ღესა? **დ**ღეს სადღაა ის მხიარულება, გაფრინდა ის უდარდელი გული!! **ი**ს მაშინდელი მხიარული გული დღეს დარდმა და ნაღველმა მოიცვა... ახლა დიდებს კი არა და ბოვშებსაც აღარ უხარიანთ... **ი**სეთს ვიღა იტყვის, მის მეასედსაც ვერ ნახავთ, მაშინ რომ დიდებს უხაროდათ. **მ**ათ უმანკო გულამდინაც კი მიატანა დროის დარდმა და ვარამმა! არა,

---

ნული რიტხვ-მტირე ქრისტიანები. შიშის გამო, ზარის რეკვას ვერ ბედავდნენ და ისევ ამ ფიცრებითა და ტაშტ-ქვაბებით ეხმაურებოდნენ ერთი მეორეს.

[2]) უწინ გარდამოხსნას ნატისკრებს ასვენებდნენ ხოლმე, მაშინ უვლიდნენ ლიტანიას, ახლა კი ცისკარზე იტიან. წირვაც. ქალაქის უაიდაზე, პირველ საათზე გამოჭუაგთ, მისდა მიუხედავად, რომ ქალაქი ქალაქია და სოფელი სოფელი; უკანასკნელს პირველის წახედვა არ არგია. აქ მრევლი ეველა ახლოს არაა საეკლესიოზე და იქამდის მას გვარიანი ღრიანკლები და ოდრო-ჩოდროებიც შეხვდება გასავლელი, რომ შუადამისას საეკლესიოზე მისვლა, ცხადია, არც ეგრე ადვილია. უმრავლესობა კი ისევ ძველებურად სწირავს.

გაფრინდა ის მხიარულების ჩიტი, ის ალია წავიდა და მის ნაცვლად სხვა ალია მოვიდა და თავის ფლავიც და მისი დარდიც თან მოიტანა. და ეს ალიაც დროა და მისი დარდ-ნაღველიც ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა და მისი საჭირ-ბოროტო სიდუხჭირე...

მაგრამ... ჰე! ქმარა!.. დარდიც გვეყოფა და ნაღველიც, მხოლოდ ჩვენ ისევ ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ, ძველი ჩვეულება ქალალდზე გადმოვიტანოთ და ძველი დროის მოსაგონად ის მისი კულტურის ნაშთი ღა დავტოვოთ.

ლიტანიის შემოვლა ასე იციან. ცისკარზე (უწინ ნაცისკრებს) ღვდელი გარდამოხსნას აასვენებს. ხალხიც თავთავის ხატს ეცემა (ხატებიც ყველას დაჩემებული ჰყავს, იმ ხატს მის მეტი ვერავინ გამოასვენებს) [3]. ხატებს გულზე მიისვენებენ, მღვდელი წინ წაუძღვება და ლიტანიის შემოსარონებლად გამოასვენებენ ხატებს კარში. ყველა კარში გადის. საყდარი ცარიელდება; შიგ არავინ რჩება გარდა ერთისა, რომ დადგეს, ვინ დააყენებს: გარს შემოვლა ჭირის მოჭმას ნიშნავს და ახლა მას ჭირს ვინ მოსჭამს!?

ლიტანიას სამჯერ შემოუვლიან. სამჯერვე მღვდელი დასავლეთით თუ აღმოსავლეთით შედგება, პირს ზევითკენ იზამს, „ქრისტე აღსდგა“-ს იტყვის, ხალხიც—„ჭეშმარიტად“-ს შესძახებს, წაღმა შემოტრიალდებიან და გზას განაგრძობენ. მესამე შემოვლაზე-კი ყველა ქვას იმზადებს ხელში და დასავლეთით რომ შემოტრიალდებიან, ჩოლაბურისკენ [4]) იზამენ პირს და „ქვა ურიას! ქვა ურიას“-ო!—დაუშენენ წყალში

---

[3]) უწინ „ჯვარცმასაც“ გამოასვენებდნეს ხოლმე. იმაზე მამა ჩემი იყო ნიჩენილი, მის მეტი მას ვერავინ მოჰკიდებდა ხელს. ღღეს ამ ხატს ადგილიდან ადარ სცრავენ. სხვებს-კი ძველებურადვე უჭერს.

[4]) ჩოლაბური—მდინარეა, რომელიც „ჯვარცმას“ (ჭალატყეშია) მარჯვნივ, ანუ დასავლეთით ჩამოუდის. სხეკან წყალი, ე. ი.

ქვას. მით ურიები დაქოლეს ვითომ რაღა!.. დაჰგმეს იგინი (ურიები), მათგან ქრისტეს ჯვარცმისთვის.. და ხმაურობით მოადგებიან საყდრის კარებს. ქარებიც დაკეტილია, ვითომ ჯოჯოხეთის კარებია. აქაც „აღსდეგინ ღმერთი“-ს შემდეგ კარები იგრიალებს, შეამტვრიეს ვითამ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ და გამარჯვებულები ამდენი ხალხი შეხრიალდებიან შიგ... შემწკრივდებიან თუ შეიბოჭებიან წინ მღვდელი და უკან ხატიანები თუ მეხატენი. მღვდელი გარდამოხსნას საკურთხეველზედ დაასვენებს, მეხატენი (ხატების წამსვენებლები) ჩამომწკრივდებიან სახატეს წინ. ხალხიც მიდის თითოეულად მათთან, „ქრისტე აღსდა“-ს ეუბნება, იგიც „ჭეშმარიტად“-ს ეტყვის, ხატს ემთხვევა (თუ ამთხვევიებს) და გამობრუნდება. ყველა სათითაოდ მივა ყველასთან, ყველა ემთხვევა ხატს ქალიან-კაციანად.

მერე თავათ ჩამოუვლიან ერთი-მეორეს ხატიანა, ცალხელით ხატი უჭირავთ, ცალით პირჯვარს იწერენ, ჯერ ერთი-მეორეს ამთხვევინებენ ხატზე, მერე თავად ემთხვევიან და ხატებს თავ-თავის ადგილას დაასვენებენ.—„აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი“!—შემოსძახებს მღვდელი,—,,ქრისტე აღსდგა!''—,,ჭეშმარიტად აღსდგა!''—იღრიალებს ხალხი.—,;ქრისტე აღსდგა'' (მკვდრეთით და სხვანი)—,,ცხოიოო''—მიაყოლებენ მგალობლები — ,,ცხოვრების მიმნიჭებელ''-ს და დაიწყება წირვა.

წირვაზე რომ მივლენ, პირჯვარს დაიწერენ, რასაკვირველია, ღმერთს შეევედრებიან წმიდის გულით ან არა-წმიდით, სანთელს იყიდიან, ზოგს თან მოაქვს სახლიდგან (ნაგულებიცა აქვს სახლიდგან წამოღებული) *) თაფლის სანთელი,

---

ბდინარე რომ არ ემხრობათ „ქვა ურია!“-საც ადგომას სად დაუშენენ!

*) ჩვენში ნაგულები არ დააქვთ ეკლესიაში. ამწყობი.

თავის ხელით [5]) ჩამოქნილი. და, რასაკვირველია, რაც უნდა იყოს, საყვარელი ხელით ნახელავი, ნამზადი ცოცხალსაც იამება და მკვდარსაც უფრო გაეხარდება?! და ესენიც ნაყიდს ყოველთვის შინ ნაკეთებს ამჯობინებენ. მივლენ მიცვალებულთა საფლავთან და, ვინც უყვართ, თუ ყველას არა, მის საფლავზე თავით ჩაასობენ ანთებულს სანთელს მიწაში. რასაკვირველია, მკვდარიც ყველას ჰყავს და მათ საფლავზე ანთებული სანთლებით მთელი გალავანი გაჩირაღდნებულია, აბრდღიალებულია იქაურობა [6]) და ნამეტურ მაშინ, როცა ლიტანიას უვლიან. ყველას ხელში ანთებული სანთელი უკავია და ისე უვლიან ლიტანიას... მადლია რამდენჯერმე რომ მოაყურებიებ ერთსა და იმავე სანთელს აღდგომის წირვას, რაც დიდ ხანს გაგატანს, მით უკეთესია, თუ ეს სანთელი ჯვარის წერისაც იქმნებაო, მადლია, თუ არაფერი გეტკინებაო...—არ ვიცი კარგად.

ნაწირებს, გამოვლენ თუ არა... მანამდიც, შიგნითაც,—ვინ ვისაც მოასწრებს,—ერთი-მეორეს ,,აღდგომას'' მიულოცვენ. ,,ქრისტე აღსდგა''-ს ეტყვის და კვერცხს უმკვლევს...კვერცხიც შეღებილია ხომ იცით'..ისიც ,,ჭეშმარიტად''-ო, ეტყვის და სამაგიეროს მიუმკვლევს, ხელში კვერცხს ინაცვლებენ თუ ცვლიან და ერთი-მეორეს ტუჩზე კოცნიან. **მკვლევარ** (კვერცხის) ეს გახლავთ. კოცნაზე უარი ამ დღეს არ შეიძლება; ვინც უნდა იყოს, ყველას უნდა აკოცონ, რასაკვირველია, კაცმა კაცს და ქალებმა ხომ უმისოდაც კოცნა იციან,—არი მათი სალამი. ქალი და კაცი, მახლობლები, რასაკვირველია, ნათესავები თუ აკოცებენ, თორემ უნათესავო ქალისგან კაცის დაკოცნა აქ საძრახისად მიაჩნიათ, რაც გინდ იგინი სულიერად დაახლოვებულნი იყვნენ. უცხო ქა-

---

[5]) სანთლის ქალები არიან.

[6]) „...წვერიც აბრდღიალებულიო"—გამოცანაც აქედან არის წარმოშდგარი.

ლი და კაცი, ე. ი. გარეშენი, მხარზე ჰკოცნიან, ეს თავაზიც არი და პატივიც,—ასეა ზრდილობა მათი: მოსარიდალ ადამიანს ყოველთვის მხარზე ჰკოცნიან, თავისიანსაც-კი.

ნაწირვებს, პირველად... არა—„ქრისტე აღსგა“-ს რომ ეტყვის ბოლოს ღვდელი ერს, მიულოცავს დღესასწაულს, აი მაშინ გამოვლენ და მიცვალებულს კვერცხს მიუმკვლევენ, —„ქრისტე აღსდგა“-ო, ეტყვიან, მასთან ზოგი მიწასაც ჰკოცნის მის საფლავზე, მის ნაცვლად და კვერცხს მიწაზე აყენებს. ბავშვები ხომ მიგეზებული არიან ზედ. დადებას კიაცლიან და... აალალებენ ხელად... ერთი მეორეს აწყდებიან; გულ-ბუგი აღარ უვარგათ მიწაზე ხოხიალით.

ღვდელს ვინც უმკვლევს, კვერცხს უკან აღარ წაიღებენ, არც უცვლიან მას მღვდელს,—არ ვარგა—თავი გეტკინებაო. იმასაც ოლარი აქვს ამოწეული და საყდრის კარებში ჩამდგარი ერს სამკვლევად იწვევს, ნამკვლევ კვერცხებს-კი იმ ოლარში აგროვებს.

Ეფრ. მერკვილაძე.

(დასასრული იქნება).

ხალხური იგავ-არაკები და ლექსები.

ხოსრუაანთ ქვრივი.

(ივანე ბოგნიძის ნათქვამი ს. ხელთუბანში)

მკა იყო გახურებული: ხოსრუაანთ ქვრივს ნათლიამ შესძახა კარებიდგან:

— ნათლიდედ! ბატონიაანთ ხოდაბუნში ქვეყნის თავთავი ყრია, წაიღე ფოცხი, წადი, მოფოცხე, წვრილ-შვილი ხარ, გამოგადგებაო.

— უი, შენ გენაცვალე, ნათლი, ამ სიცხეში როგორ წავიდე, ხომ მოვკვდიო.

ბავიდა ზაფხული, შემოდგომაც და ზამთარიც ჩამოწვა. ხოსრუაანთ ქვრივს დაფქულიც გამოელია და დასაფქვავიც. ისეთია, ბალღები სულ შესჩხავიან. მაშინ წავიდა ხოსრუაანთ ქვრივი და ნათლიას გადასძახა:

— ნათლი! სადა ყრია ის თავთავი, უნდა წავიდე, მოვფოცხოვო.

— ეხლა აღარა ყრია, ნათლი დედო,—გამოსძახა ნათლიამ:—როცა ეყარა, ის დრო წავიდაო!

თ. რაზიკაშვილი.

ლ ე ქ ს ე ბ ი.

მათუსალას მეძახოდნენ,
წველი მქონდა, განა ხისა.
ქრისტეს მოსვლის უწინარეს
ვიყავ ცხრაას სამის წლისა,
ნოეს დროში ხურო ვიყავ,
მკეთებელი კიდობნისა;
სოდომს ცეცხლი მოეკიდა,
დამსწრობი ვარ იმ დილისა,
ენუქისა და ილიას
მარწებელი ვარ აკვნისა,
გორგალ ხელმწიფის დროშია
მზვარეული ხემწიფისა.

*
* *

დაგლოკოთ პირმა ღვთისამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ქალაქ სიონმა საყდარმა
გადმომცქერალმა ღვთისამა,
აწყურში წმინდა გიორგიმ,
ქვევით ალავერდისამა.

*
* *

რუსთ ხელმწიფე გადმობრძანდა
ომი მოხდა ომარ ხნისა.
ალექსანდრე ამოტირდა,
თვალზედ ცრემლი ჩამოსდისა.
რისთვის ავყევ თავბერასა,
ეს საქმე სულ მისგნით მჭირსა,

არ ვიჯექი ქიზიყშია,
ლვინით არ ვიბანდი პირსა.

ზ. ჩხიჩკვაჩე.

გ ა ფ რ ი ნ დ ა უ ლ ი.

(ლაზარე ბექაურის ნათქვამი)

ხმალს ჰფერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა,
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის ძვალითა,
მგელსა დასცვივდა კბილები,
ტურას ლოყები ჭამითა.

ჯ ი ხ ვ ი.

(შახიფე)

ჯიხვის ნავალი კლდეები,
რომ ჰნახო გაგიკვირდება;
იმათ ნადგომსა, ნაწოლსა
თოვლი არ მოეკიდება.
ფეხთ რომ წაუსხლტეს ტიალსა
შიპზედ რქით დაეკიდება,
იმათ ამყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება?

ჯ. სეხნიაშვილი.

ს. რუისპირი.

ნეტავი იმის დედასა
ვისაცა ჰყავს კარგი ცოლი,
დადის და ქვიფს ეწევა,
ვერა სჯობნის თავის ტოლი.

*
* *

ზოგიერთსა დედაკაცსა
კიდეცა სჯობს ნეზვი *) ღორი,
წავა და ჩეჩქში **) ჩაწვება,
როგორც მენახშირის ცოლი.

დ. გაბრუაშვილი.

გიორგი გელანაშვილი.

(ნათქვამი გრიგოლ ხანიაშვილისგან ს. ანაგაში)

ბელანაშვილი გიორგი ***),
სარდალი მწყემსებისაო,
აგრე არიგებს მეღორებს,
როგორც რომ მამა შვილსაო.
არაგვში ღორი დაიძრა,
საითა შვრება პირსაო,
მანგლისში ღორი ჩავიდა,
დიდ-გორს მიუდგა ძირსაო.

შუალამე რო შეიქმნა,
ელვა რომ იქმნა ცისაო,
თავს ლეკები წამოგვადგნენ,
პირ-იქით დაღისტნისაო.

---

*) ფუდალი.
**) სიმინდის ტარის ნარჩომი.
***) არაგველი ეროვნული.

ჩვენი პატარა გიგიტა
ლეკს მოუგდია ძირსაო;
გული-პირს ხანჯალს აჭირებს,
შაშვივით აღებს პირსაო...

— „მიშველე, ძმაო გიორგი,
თქვენი ვარ, განა სხვისაო?..
მაშინ დაბრუნდა გიორგი,
როგორც ბორბალი წყლისაო,
კაფა და კაფა ლეკები
პირიქით დაღესტნისაო,
იგრრე აკაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო...

რომანოზ ახმეტელაშვილი.

ქაია კარგად ყოფნაო,
კარგი ხარი და ძროხაო,
დასახურავი ნაბადი,
ახალოხი და ჩოხაო.

*
* *

აზნაურობა მიყვარდა,
გვერდზედ დახურვა ქუდისა,
გავლა-გამოვლა ბაზარში
გადაკიდება ჩხუბისა.

*
* *

პატარძალმა აიკინა:
არ დავდგები მე თქვენსაო,
კვირეს წავალ, შინ ზეგ მივალ,
ვეტყვი დედა-ჩემს ლექსსაო:
სალეჩაქე, სალბანდეო,
დედა, რისთვის დამბადეო,

თუმც დამბადე, გამზარდეო,
რისთვის დამწვი, დამდაგეო!..

ზ. არჯევანიძე.

ს. ვახანი.

ამპარტავნება ცუდია,
წააგავს სულელობასა,
თავი დაიგმე, ის გიჯობს
ერთგულ მოყვასის ძმობასა.

*
* *

ვინც ორ სიტყვას რიგზე ვერ სწერს,
ისა ხალხის ჭირი არის,
და ვინც წერა სულ არ იცის,
ის-კი სწორედ ვირი არის.

ბ. ბეგლარიძე.

ლ ი ა ხ ვ ი.

ლიახვი ადიდებულა, თან მოაქვს არე-მარეო,
გორელებს ჩამოუარა, ჩამოაცალა მხარეო,
ბევრსა ეწვია სახლებში, მწარ აუტირა დედაო,
ბევრსა მოსტაცა აკვანი, აგორა ზედი-ზედაო.

*
* *

ერთსა კაცსა ცოლი, შვილი
ზურგს აეკრა, აეკიდა,
უკანიდან მტერი მისდევს,
წინ მოყვარე წაეკიდა,
საქმე კარგა ვერ მოუდის,
ფეხიც ველარ მოიკიდა,

ადგა და შინ გამობრუნდა,
გულზე ცეცხლი მოეკიდა...

ლ. მაისურაძე.

სოლომონ მეფის ლექსი.

(ნათქვამი სადიმიტრაოში, ქუთ. მაზრ., გლეხის ჯაშია ლალუაშვილისაგან)

სოლომონმა სთქვა, ჩვენმა მეფემ,
რა ღმერთმა გამაჩინაო,
მომცა კლავში ღმერთმა ძალა,
მაცოცხლა და მარჩინაო.
ოქროს გვირგვინოსანი ვარ,
არც ვარ ხელმწიფე მცირეო,
შე, როსტომო, ერისთავო,
რა საქმე გამიჭირვეო,
მე ბატონი და შენ ყმაი,
ღმერთმანი მოგითმინეო,
ჩამაგდე აჯამეთურში,
ფშალეი მაკრეფინეო,
ამისი ავი კაცი ვარ,
ქვრივი ვაზარე, ობოლი,
ბრმას თვალი აუხილეო,
წყერი ვამრავლე-ვაშენე,
ჩეროს ქვეშ მივაძინეო,
სადაც ავი კაცი ვნახე,
გზა შარას ამოვკირეო;
სამი წლის ხმელი მამალი
ხეს შევსხი-შევაყივლეო,
სხვის თვალში ბეწვსა ეძებდი,
შენ თვალში გედვა ლირეო,

შე რომ მახესა მიგებდი,
უმალ მე დაგიჭირეო...

დ. ფოცხვერაშვილი.

ნათქვამია ბრძენისაგან,
კაცმა ჭირი დამალაო,
ჭირმა თავი არ დამალა
და მით გამოაშკარაო.

ი. ისაკაძე.

ცეცხლო, მელოდე.

ცეცხლო, ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
თვარეს ეთაყვანებოდე...
ხვალე ადრე მოგიკითხავ,
აქანეი დამხვდებოდე...

პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი.

პატარძალი მევიყვანე,
იგიც კაი ფეხისაო,
დაჯდება და კაბას ჰკერავს,
უტინტილებს ენასაო,
თუ როდისმე მჭადს ჩააცხობს,
წაგვამწარებს ყველასაო.

*
* *

წმიდა თევდორე,
ოსებს ებრძოლე,
თვარ დაგიჯერონ,
თოფი ესროლე.

ს. მათხოჯი. ვ. ხუროძე.

ლეჩხუმში გაგონილი.

ბაქო, ბაქო! როგორ ბაქო,
თეთრი ძუძუ-მკერდი ბაქო,
ბავლა-ბამოვლა შეგშვენის,
ტუჩი მშვენიერი ბაქო,
შენი მშვენიერი წარბი
ინით შეღებილი ბაქო...
ია აყვავებული ხარ,
ფერს ვერ შეგიცვლის ზამთარი,
ახალი ვარდის კონა ხარ,
ჩინეთის ჩამონათალი.

ა. ხაბულიანი.

რისთვის დავალ ამ ქვეყნად,
თუ რომ არვის ვარგივარ,
ჩემგნით არვინ რას სწავლობს,
არც სხვისი გამგონე ვარ!?
ასე ყრუ რატომ გავჩნდი
ამ ცრუ წუთი-სოფელში,
კი სჯობდა გავმქრალიყავ
მშობელ დედის მუცელში.
თუ-კი არვის ვარგივარ,
სჯობს ჩავიჩეხო კლდეში,
რომ ამ ქვეყნის ღრუბელი
არ ვიხილო ჩემს დღეში...

მ. თავახელი.

ზთიულის ქალი შევირთე
ბრიყვი და გაუზრდელია.

ორი სარტყელი ვუყიდე,
მესამე ჭიაფერია;
სამივ ერთად შემოვარტყი,
კიდევ არ შემოსწვდენია.
დედ-მამა სულ დამილახა,
ახლა მე მომყო ხელია,
ცხრა ლიტრა ერბო შეჭამა,
ქილას მოუსო ხელია,
მეზობლებში დაიკვეხა—
წეწვანსაც მივყავ ხელია,
იმისგან შეშინებულსა
ჯერაც არა მდებს ფერია.

* * *

ჭავჭავაძემ დამპატიჟა,
ღვინო მასვა ტკბილიო,
იქიდგან რომ წამოვედი,
მომერია ძილიო.
ერთი ჯაგი მომეწონა,
შიგ წავყავი ცხვირიო,
ერთ მელორეს ჩამოევლო,
მოეპარა სტვირიო.
ჩემი სტვირის მომპარავსა,
დაუსივდეს ცხვირიო,
იმისი ცოლი მენახოს
დღეისწორამდინ ქვრივიო.
ჩემი ძმისთვის მომეყვანოს,
გამეწიოს ლხინიო,
მზითევშიაც მოჰყოლოდეს
ჩემი ჭრელი სტვირიო.

ზ. ჩხიკვაძე.

ბიბლიოგრაფია.

ქართული კარაბადინი,

თარგმანი მეფე დაუთხანისა.

13-ს ივნისს, 1901 წ. ბორის მაზრის სოფელ მეტეხში ვნახეთ დიდი ხელ-ნაწერი წიგნი—ქართული კარაბადინი, ოსმალურიდამ სტამბოლს გადმოთარგმნილი საქართველოს მეფის დაუთხანის-მიერ (1569—1578). ბვგონია ეს პირველი ცნობაა მეფის დაუთხანის მწერლობისა და ამიტომ მოგვყავს აქ დასაწყისი იმ წიგნის შესავლისა.

„ნებითა და ბრძანებითა ღვთისათა ქორონიკონსა **ᲣᲐᲗ** *) ჩვენ **მეფეთ-მეფისა ბატონისა ლუარსაბის ძე** საწყალი **დაუთხან** ჩვენსა საქმეზედა ისტამბულს სულთან მურად ხელმწიფესთან მოვედით სასაქმოდ და აქა **ის**ტამბულს ორსა წელიწადსა ვიყავით და ერთსა დღესა ერთსა ბედნიერსა ფილოსოფოსსა კაცსა შემოვეყარენით და თავის სახლშიგან მიმიყვანა და მრავალ საქიმო და სამეცნიერო წიგნები ჰქონდა და გვიჩვენა და რა სრული ისი წიგნები ვნახეთ და გავსინჯეთ მწვედ მოგვინდა და მოგვეწონა და წინასაკაცთა მცნებასა და მცოდინაროა-

---

*) 486+1312=1798 წ. მოუკანილი ქორონიკონი ჩვენ შეცდარად მიგვაჩნია, რადგანაც დაუთხანი ცხოვრებდა მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში და არა მე-XVIII-სი. აქ ან შეცდომაა (უ-ს მაგივრად უნდა ს იყოს), ან გადამწერს თავისი დროის ქორონიკონი დაუსვამს, მიუხედავად აზრისა.

ბასა გავკვირდით, თუ ამმა ყველასა სენსა, ჭირსა და სატკივარსა ან როგორ მიხვდეს და ან გული როგორ გაავლეს და ან ამდენსა სენსა და ჭირსა თავ-თავისი წამ-ლები როგორ უყვეს. აწე ესე ჩვენცა ვიცოდით, რამ-დენს საქრისტიანოშიგა ამისთანა და ამგვარი წიგნი სა-ექიმო არ იყო... და ამიტომ გარდმოვიღე და გადმოვ-თარგმნეო...

„აწ, ვისაცა ამა წიგნითა და ამ წამლებითა უაქიმოთ და ძალითა შეწევნითა ღვთისათა ამ წამლებისა მიზეზითა იგი კაცი მორჩეს და ელხინოს, მე ცოდვილსა და ულირსს **დაუთხანს** ნუ დაგვივიწყებთ, ვინცა შენდობა გვიბრძანოთ, ღმერთმან თქვენცა შეგინდოსთ თქვენი ცო-დვანი და უხანოსა სოფელსაცა უჭირველად გამყოფოს და გადღეგრძელოს და შეგარგოს, თქვენზედა ალნად ქნას სარჯელნი და ჭირნი ნახულნი ჩემნი. აწი ესე წიგნი სამად გავყავით და სამ წილად ვქენით და გავაჩინეთ: პირველი კარი ორი ბაბი არის; ესე პირველი კარი სააქიმოსა საქმეებსა გამცნებს და გიამბობს; მეორე კა-რი საჭმელებსა, მაჯენებსა და შარბათებსა გამცნებსთ და გიამბობსთ; მესამე კარი და წილი ყოვლისფერისა სენებისა და სატკივრისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამ-ლებსა გამცნებს და გიამბობსთ“...

ეს წიგნი დღეს ეკუთვნის სოფ. მეტეხში მცხოვრებს თავად ზრიგოლ ილიას ძეს მაღალაშვილს, შეიცავს 500 გვერდზე მეტს და დაწერილია ქაღალდის დიდის ზომის თა-ბახებზე მხედრულის კარგის რგვალის ხელით.

Histoire de Géorgie ბაზაზი, 1900 წ., შე-დგენილი ბ-ნ ალ. ხახანაშვილის მიერ და ფრანგულათ გადათარგმნილი და გამოცემული რაფ. ისარლოვისაგან.

წიგნში აღწერილია საქართველოს ისტორია წინა დროებიდამ დაწყობილი ვიდრე რუსეთთან დაკავშირებამდე. განსაკუთრებით კი მშვენივრად არის აწერილი ქართველთ ერის სხვა-და-სხვა დროის აყვავებული მდგომარეობა.

წიგნი დაბეჭდილია პარიზში, სუფთად, ლამაზად, პარიზულად და მოთავსებულია სურათები: წმ. ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე II-ე, ტახტის მემკვიდრე დავით, შოთა რუსთაველი, საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოზი, გრ. ორბელიანი, გაბრიელ ეპისკოპოზი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, მამია გურიელი, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, ეკატერინე გაბაშვილი, დარიალის ხეობა, საზღვარი საქართველოსი, მცხეთა, ტფილისი, ბელათი და ქართული ჩუქურთმები.

წიგნი დაიბეჭდა პარიზის გამოფენისათვის. განძრახვამ თავისს მიზანს მიაღწია; იგი დიდის სიამოვნებით იქმნა ევროპაში მიღებული, ძლიერ ბევრმა უმაღლესმა პირებმა და ნასწავლმა კაცებმა წაიკითხეს იგი და საქართველოც გაიცნეს საკმარისად. გამომცემელმა 800 ცალი ევროპის სახელმწიფოებში უფასოდ დაარიგა. წიგნი ყველას დიდის სიამოვნებით მიუღია, ყველას დიდის სიამოვნებით წაუკითხავს, რის ნიშნადაც გამომცემელს 150-დე მადლობის წერილი მოუვიდა. მათში ბევრი მეტად უმაღლეს პირებს ეკუთვნის, მაგალითებრ: საფრანგეთის პრეზიდენტს, იტალიის, გერმანიის, ავსტრიის და ინგლისის სამხედრო უმაღლეს პირებს და ბევრიც კიდევ სხვა-და-სხვა მსწავლულებს და მწერლებს. ყველა მადლობას უთვლის და სწერენ: „წავიკითხეთ და კიდევაც წავიკითხავთ ამ მშვენიერ ქვეყნის აღწერასაო“. ქ.

რედაქციამ მიიღო წიგნები:

ჩემი აზრი და ფიქრები, სილოვანისა, ქუთაისი, 1901

წ., ფ. 20 კ. ბამოცემა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწიგნობრობაში, რადგანაც მასში, როგორც თვით წიგნის სათაური ჰმოწმობს, მწერლის საკუთარი „მე“ გამოსჭვრეტს. რა ღირსებისანი არიან მწერლის ეს საკუთარი აზრი და ფიქრები, ჩვენ მის შესახებ აქ არას ვიტყვით, მათი დაფასება თვით მკითხველისთვის მიგვინდვია.

კანდელი, საუმაწვილო ლექსები და აკროსტიხები **მ. ლელაშვილისა**, ფ. 5 კ.

პატარა, კარგის ლექსებით შემკული წიგნაკია. ღირს ერთი შაური. მოგვყავს, სანიმუშოთ ლექსი **სწავლა**:

სწავლა კარგია, პატარავ,
ისწავლე შენის გულისა!
სწავლაა დიდი იმედი,
ნუგეში დაჩაგრულისა;
სწავლა ცხოვრების ხიდია,
მომცემი სიხარულისა,
სწავლაა დედა-ბოძია
სამშობლოს სიყვარულისა...

ვარსკვლავები, თხზულებანი **ლ. მაისურაძისა**. ფასი 10 კაპ.

თუმცა წიგნს აწერია თხზულებანი **ლ**აზარე **მ**აისურაძისა, შიგ უფრო **მ. ს**ვიმონიძის ლექსებია ბლომად. **ე**ს გვგონია კორრექტურული შეცდომა უნდა იყოს. **უ**მთავრესი საგანი „ვარსკვლავები“-ს ავტორებისა ჩვენის ქვეყნის მოღვაწეთა და ჟურნალ-გაზეთების შეძლებისა-და გვარად დახასიათებაა. **ა**ქ თქვენ შეხვდებით შესხმათ: **ზ. ჭ**იჭინაძეს, **ე**ვდოშვილს, **ი**ვანე **ბ**ომართელს, **ნ**ოე **ფ**ორდანიას, **ა**ნტონ **ფ**ურცელაძეს, **ი**ვანე **რ**ოსტომაშვილს, **ი**აკობ **ბ**ოგებაშვილს, **ა**კაკი **წ**ერეთელს, **ი**ლია **ჭ**ავჭავაძეს, ჟურნალს „**მ**ოგზაურს“,

,,კვალს'', ,,ივერია''-ს და სხვ. მოგვყავს ნიმუშათ რამდენიმე პწკარი გაზეთ ,,ივერია''-ს.

ძველი ჩვენი ,,ივერია''
შრომა, ღვაწლით პირველია,
ჭეშმარიტათ სდგას თვისს აზრზე,
ქრისტეს მცნების მწირველია.

—

მას ვერავინ დაამარცხებს
გმირია და ძლიერია,
ფესვები აქვს ღრმად გადგმული
თუმც მოხუცი, ხნიერია.

მ. სიმონიძე.

ავტორები, ეტყობა, ბეჯითად თვალს ადევნებენ ჩვენს საზოგადო ცხოვრებას და მწერლობას, მაგრამ მათს შესხმებში ჩვენ მხოლოდ ხოტბანი შევნიშნეთ, ნაკლი-კი ვისიმე ანუ რისამე არც ერთი!.. ერთი წუნიც აქვს გამოცემას: აკლია მცოდნე კორრექტორის ხელი...

მოკლე ისტორია სომხეთისა.

(სენ-მარტენისა, თარგმნილი ფრანგულიდგან *).

სომხეთს აზიის რევოლიუციებზე თვალ-საჩინო გავლენა არასოდეს არა ჰქონია. თითქმის ყოველთვის მეორე ხარისხოვანი სამეფო, სომხეთი, ძალაუნებური მონაწილე იყო იმ დიდის სახელმწიფოების ისტორიულის ბედისა და უბედობისა, რომელნიც ერთი მეორის შემდეგ ჰყვაოდნენ აზიაში, ხმელეთის უმშვენიერეს ნაწილში. სომხეთის დიდებული მეფეები, ჩინებული სარდლები და ნიჭიერი მწერლები გარეშე სამშობლო ქვეყნისა თითქმის ყველასთვის უცნობი არიან. ქაცობრიობა საზოგადოთ იხიბლება დიდებული სახელებით. მხოლოდ სპარსეთი, არაბეთი და ინდოეთია ის ნაწილები აზიისა, რომლებმაც დიდად მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. საკმაოა ხსენება ამ ქვეყნების სახელებისა, რომ თვალ-წინ წარმოგვიდგეს მათი დიდებული ისტორიული წარსული: ძველისძველი განათლება, იქაური სახელმწიფოების დიდება და ძლიერება, გასაოცარი რევოლიუციები, სჯულის-მდებლები, დიდებული მწერლები, დახელოვნებული ნაზირ-ვეზირნი (მინისტრები), სახელ-განთქმული სარდლები და მეფეები, იქაური ხალხების განსაკუთრებული ხასიათი, სარწმუნოება და

---

*) სენ-მარტენის შრომათა შესახებ ისტორიკოსი ბაქრაძე, თავისს საქართველოს ისტორიაში (გვ. 126, შენ. 6) ამბობს შემდეგსა: S-Martin, Mèmoires historiquec et geographiques sur l' Armenie Lebeau, Hustoire du clu Bas-Empire. ორივეს ისზულება, რომელსაც მკითხველი ხშირად შეჰხვდება ჩვენს წიგნში, იმ გვარია, რომ საქართველო-სომხეთის ისტორიის გამომძიებელს საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი... სენ-მარ-

დაწესებულებანი, იქაური ქალაქების დიდებული ნაშთები და ძეგლები, მოწმენი მათის უძველესის ბრწყინვალებისა. ᲔᲠᲗᲘᲡ სიტყვით, აქ ყველაფერი იძულებულ გვხდის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ ქვეყნებს. ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ კი ყოველ ამ გვარ უპირატესობას მოკლებულია. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ქვეყანა, მოთავსებული დიდ სახელმწიფოთა შორის, თითქმის გამოჭყლეტილი მათ შორის, როგორც საბრძანებელი სუსტი მეფეებისა და განადგურებული შინაური ომებითა, მუდმივი მსხვერპლი უცხოელების მახვილისა, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ მარად დაწეწილი და დანაწილებული იყო და მასთანვე დამონებული. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ, ამ გვარი სამწუხარო პოლიტიკური მდგომარეობაა მიზეზი, რომ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ მატიანენი და სომეხთ მწერალთ თხზულებანი, მიუხედავად იმ დიდის სარგებლობისა, რომელიც შეეძლოთ მათ მოეტანათ მსოფლიო ისტორიისათვის, ძლიერ ნაკლებად იყვნენ ცნობილნი უცხოელებისგან. ᲒᲐᲜᲐ წარმოსმდგენია, რომ ძლევა-მოსილი და ამაყი დამპყრობელნი იმდენად დაიმცირებდნენ თავს, რომ შეუდგებოდნენ საცოდავი დამონებული ხალხის ნაწერების კითხვას, იმ ერის მატიანების კვლევა-ძიებას, რომელსაც თითქმის თავის დღეში თვით-მყოფელობა არ ჰღირსებია და რომელმაც, სხვას რომ

ტენი იყო გამოჩენილი ორიენტალისტი და პარიჟის აზიურის საზოგადოების დამფუძნებელთაგანი. 1828 წ. სენ-მარტენმა ბირველმა მიაქცია ყურადღება ამ საზოგადოებისა საქართველოს მწერლობაზე. ამანვე დააყენა ბრიტსე ჩვენის ისტორიის შესწავლის გზაზე. იმის Mètoires, რომელიც გამოიცა ორ ტომად 1818 და 1819 წ. შეიცავს საქართველოზე და სომხეთზე ძვირფასს ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებს: ბერძნულს, ლათინურს, ბიზანტიურს, არაბულს და სომხურს, რომელიც მან საფუძვლიანად იცოდა და თვით მრავალს ქართულსაცა. საუბედურად ეს Mèmoires „შვიათიდაა საშოვსე ად“.

ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ დიდის სიამოვნებით ადგილს ვაძლევთ „მოგზაურში“ ბ ნ მ. ჩოგოვაძის თარგმანს. რედ.

თავი დავანებოთ, ისიც კი ვერ შესძლო, რომ ბრძოლის ველზე მტერთან შეტაკებაში თავი გამოეჩინა.

მართალია, სომხეთის ისტორია არ არის იმდენად საინტეოესო და საგულისხმიერო, რამდენადაც ისტორია აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მიუცილებლად საჭიროა მისი შესწავლა, რადგან ის შეავსებს თვალსაჩინო ნაკლს აზიის ზოგადი ისტორიისას. მხოლოდ მაშინ გვექნება სრული წარმოდგენა იმ ხალხებისა, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ ეს ვრცელი კუთხე ხმელეთისა. სომხეთის მეფეებს და დიდებულებს ჰქონდათ ხშირი პოლიტიკური ურთიერთობა უცხოელებთან. სომხეთი იყო თითქმის მუდმივი ასპარეზი აზიის განუწყვეტელი ომებისა: აქ სომხები ხან თავგანწირულად იცავდნენ თვით-არსებობას სპარს-ბერძენ-არაბთაგან და მრავალ სხვებისგან; ხან-კი გულხელ-დაკრეფილი შესცქეროდნენ უცხოელთა სასტიკ ომებს და შეჯახებას იმისთვის, თუ ვის ებატონა აზიაში. ყველა ეს გარემოება გვაძლევს საკმარისს საბუთს, რომ სომხეთის ისტორია მიუცილებლად შევისწავლოთ და ამით ნათელი მოვფინოთ იმ ურიცხვ კითხვებს აზიის ისტორიაში, რომელნიც უამისოდ მუდამ მოცულნი იქნებიან თითქმის განურკვეველის სიბნელითა.

მ. ჩოგოვაძე.

(შემდეგი იქნება*)

---

*) სტამბის დაჯეტისა გამო, სადაც „მოგზაური" იბეჭდებოდა, „სომხეთის ისტორია" ამ ჟამად იმდენი ვერ იბეჭდება, რამდენიც უნდა დაბეჭდილიყო, დანაკლისს მისსა და საქართველოს ისტორიისას შემდეგს ნომრებში შევავსებთ. რედ.

19. ორი ლექსი მეფე ირაკლიზე, ბ. ახოსპირელისა და ლ. მაისურაძისა. . . . . 698.
20. სულების მოხსენება სვანეთში, დ. ანტონიძისა 699.
21. აღდგომა სოფელში, აფრ. მერკვილაძისა . 703.
22. ხალხური იგავ-არაკები და ლექსები . . 711.
23. **ბიბლიოგრაფია:** ძველი კარაბადინი მეფე დაუთხანისა; საქართველოს ისტორია, ა. ხახანაშვილისა ფრანგულ ენაზე; ჩემი აზრი და ფიქრები, სილოვანისა; კანდელი, ლელაშვილისა; ვარსკვლავები, ლ. მაისურაძისა. . . . . 721.
24. ისტორია სომხეთისა, სენ-მარტენისა, ფრანგულიდამ თარგმანი მ. ჩოგოვაძისა . . . . 726.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

მაჩაბლებისთვისა და **ენკენისთვის** ნომრები (№№ 8 და 9) „მოგზაური“-სა გამოვა ერთად ენკენისთვის ხუთმეტამდის.

Краткое объясненіе рисунковъ и древнихъ надписей и др. болѣе важныхъ статей №№ 6 и 7 грузинскаго журнала „МОГЗАУРИ“

		стр.
1.	Портретъ епископа Леонида	523.
2.	Молодость царя Ираклія II-го	525.
3	Историческіе афоризмы, Б. Е.	528.
4.	Нино-цминдскій храмъ съ рисунк.	529.
5.	Вардзійскій монастырь въ Ах. уѣз.	533.
6.	Эльбрусъ, съ рис. Т. Палавандовой	537.
7.	Амиранъ, легенда, М. Гобечіа	545.
8.	Ист.-географ. опис. Эретіи, Джанашвили	552.
9.	Гурія, К. Гварамадзе	565.
10.	Борчал. уѣздъ. Б	575.
11.	Св. просвѣт Нина	580
12.	Давидъ Возобновитель, Ласуридзе	594.
13.	Русуданъ. ист. драма, въ 5-ти дѣйств.	606.
14.	Янычаръ, ист. драма, въ 5-ти дѣйствіе Д. Нахуцришвили	619.
15.	Антоній I, Каталикосъ, Ѳ. Жорданія перев. съ рус. К. Анталзе	655
16.	Краткій обз. дѣятельн. преосвящ. Леонида.	669.
17.	К. Я. Зубаловъ и исторія его рода, З. Ч.	682.
18.	Легенда о царѣ Иракліѣ, В. Кипіани	697.
19.	Стихи о ц. Иракліѣ, Б. Ахоспирель и Л. Майсурадзе	698.
20.	Поминка душъ покойниковъ въ Сванетіи, Д. Антонидзе	699.
21.	Пасха въ Имеретіи, А. Мерквиладзе	703.
22.	Народныя басни и стихи	711.
23.	Библіографія	721.
24.	Исторія Арменіи Сен-Мартена, пер. съ фр. М. Чоговадзе	726.